სისკური 12

64
1964

ჩვენებური
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდება კოსმოსის გმირებს

ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვი
კოსმონავტი მფრინავი, ხომალდის მეთაური

კონსტანტინე პეტრეს ძე ფეოქტისტოვი
მეცნიერი თანამშრომელი კოსმონავტი



ბორის ბორისის ძე ეგოროვი
ექიმი კოსმონავტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

9740

შინაარსი

პოეზია

აკაკი გეწაძე — მზეს, თვალს უსწორებს გონება კაცის 3

რეზო ამაშუკელი — ლექსები 12

მამია ვარშანიძე — ლექსები 24

ანზორ აბულაშვილი — ლექსები 31

იუსტინას მარცინკიავიჩუსი — პუბლიცისტური პოემა 89

პროზა

მედეა შავლიაშვილი — უშენოდ. მოთხრობა 4

კარლო კობერიძე — ჩემო ცაგახსნილო ვენახო. მოთხრობა 14

დავით ჯავახიშვილი—მძარცველები. მოთხრობა 26

კლავდია დევდარიანი — ძველი ფუძე. რომანი. დასასრული 34

ემანუილ ფეიგინი — ჯვარისკაცი, შვილი ჯვარისკაცისა. მოთხრობა. გაგრძელება 69

12

დეკემბერი

1964

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ა.კ.კ. ც.კ.-ს და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ ასათიანი — ქართული პოეზიის სიახლენი 95

გიორგი მერკვილაძე — მებრძოლი სულის უკვდავება 109

სახელოვანი 50 წელი

ლამარა აბაშიძე — ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი 127

ნიკოლოზ ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „ჩემი ყოფაქცევა — ჩემი პირადი საქმე არ არის...“ 149

ჟურნალ ცისკრის 1964 წლის ნომრების შინაარსი 156

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი). გიორგი ციცაშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

მზეს თვალს უსწორებს გონება კაცის

„აისის“ ეკიპაჟს — ვ. კომაროვს, კ. ფეოქტისტოვსა და ბ. ეგოროვს.

ცეცხლიან ფრთებით, ლტოლვით და გზნებით
ცას შეეჩვევნენ რკინის მერნები,
რომ მზესთან ახლო ვიპოვოთ გზები
დიდი დღისა და არდაბერების.
მზის ახლო ფიქრიც მზესავით ღვივის
და ცას იდუმალ სიბურველს აცლის.
მზეს შეემატა „აისის“ სხივი,
მზეს თვალს უსწორებს გონება კაცის.
როგორც ლხინის დროს სასახლის ჭერი,
ისე მაღლდება ზეცის თავანი,
საასპარეზო ახალი ღელვის,
ხულის მზეობის და სითამამის..
გულს დიდი ფიქრის ცეცხლი ახელებს,
ფიქრისთვის ყველა გზა გახსნილია...
ჩვილებს არქმევენ გმირთა სახელებს,
სჯერათ — ისინი ცაში ივლიან.
დაფრინავს მზე და არ იცის დაღლა,
მშვიდია ცა და არასდროს ღელავს...
ნახვამდის, მიწავ! მივიწევთ მაღლა,
გვიახლოვდება ვარსკვლავი ყველა.
მხურვალე გულის ლტოლვით და გზნებით
ცაში დაჰქრიან რკინის მერნები,
რომ მზესთან ახლო ვიპოვოთ გზები
დიდი დღისა და არდაბერების.

მედეა შავლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშენოდ

მოთხრობა

— უშენოდ ერთ დღესაც ნუ მაცოცხლა.

— რამდენჯერ მითქვამს: ნუ იცი ეგეთი ლაპარაკი.

— აბა-აბა-აბა, უშენოდ ერთი საათიც არ მინდა სიცოცხლე.

— კიდე!

— არა-მეთქი, ანო, არა, უშენოდ ჩემი დარჩენა ტყუილია.

— კაცო, ნუ სცოდავ ღმერთსა, სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს ის განაგებს, ნუ ერევი ღვთის საქმეში.

— მაშინ სწორად განაგოს და მე ადრე მომკლას.

— ადამიანო, ქვეყანა შემოგნატრის: მტრისთვისაც საამური შვილებისა და შვილიშვილების პატრონიაო. რათა ხარ ბედის უმადური.

— შვილები დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა, მე კი უშენოდ ერთი დღეც ნუ გამითენოს.

— რათა? ცოდონი არ არიან, ორივენი ერთად რომ გამოვეცალოთ ხელიდან?

— ისინი გადაიტანენ მაგას. აი მე კი უშენოდ დიდი ბრალი ვიქნები.

— შენ მარტო შენი თავი უნდა გახსოვდეს?

— არა, ანო, უშენოდ არ იქნება ჩემი სიცოცხლე.

— აბა, ჰა, დაიწყე ისევ შენებურად. არ იქნა და იმ თავით ამ თაობამდე ეგ ჯიუტი ლაპარაკი არ მოიშალე.

— კარგი ჰო, აღარ ვიტყვი...

— ჯერ არ დაგიდვია ეგეთი პირობა!

— კარგი-მეთქი, კარგი. ერთხელ კიდევ მაპატიე და გამომცადე.

— მოდი, საჭმელი ჭამე.

კაცი ჩაფიქრებული იჯდა და მუხლებს შუა ჩადებულ ჯოხს ქვაფენილს უკაკუნებდა.

— არ გეყურება, ადამიანო, შენ გეუბნები, გაგიცვდა შეჭამანდი.

— ახლავე, ახლავე, ვერ გავიგე. ამ დალოცვილ მზეს გავუყურდი და ვერ გავიგე. ძლივს გამითბა ძვლები. კარგია გაზაფხული, კარგი. უფრო კარგი იქნება, თუ მოსავლიან წელიწადს მოგვიტანს.

— აქეთ მოჯექ, აქეთ. ეგე, წინ გიდგას ჯაძი. დაიცა. ხელი არ ჩაჰყო შიგა. გადიწიე სახელოები.

— ვნახე, ვნახე. უჰ, რამოდენა პური დაგიდვია. ი გოგოს შეუნახე?

— მაშ ისე დავტოვებდი? ნუ იცი ეგეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი.

— ჩემთვის მაინც ძალიან დიდი მოგვცია, აკრეჭც მამა გიცხონდება, ანო, გადაუჭერი იმ გოგოს, მოზარდია; იმას მეტი უნდა. იმისი საყელოცა სჭამს ახლა, მე ბებერს ცოტაც მეყოფა.

— ჭამე, რასაც გაძლევ. მე შენზე ნაკლებად შემტკივა გული ობლისათვინ?

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ჩემთვის მაინც დიდი მოგვცია. ჰაი დედასა, იმ ჰიტლერს ამოუწყდეს ცოლ-შვილი ჩვენნ დამშევისთვინა. ეს შავი პური რა არის, ისიც რომ არა გქონდეს მაძღრისად.

— რაკი შენ ჩამოსწყვეტე, რაღა გაახარებს ჰიტლერსა.

— კიდევაც, რომ ჩემი კუთხეკვინთ არა არის-რა, თორემა, რაც მე იმ მაღალ ღმერთს ვეხვეწები, მე წამიყვანე შენთანა და ჩემი შვილები საფსალამათი დამიბრუნე-მეთქი ჯარიდან, აქამდე კი უნდა მისვლოდა. აბა, რისი მაქნისი ვარ, ვგდიეარ კუნძივითა და ვერც ვერას გმატებ და ვერც ვერას გეხმარები.

— შენ ეაშინაც ისე ეხვეწებოდი, ამ ობლის ჯიდა რომ გამოგვაცალა ხელიდან.

— ჰაი, ჰაი, რომ ვევედრებოდი. აბა ის კი სამართალი იყო, მე, ამ ხნის მოხუცი, აქ დავჩაჩანაკობ და სიცოცხლით სავსე და ჯულმოუჯერებელი ახალგაზრდა ქალი კი მოგვტაცა.

— დიდა მოუკვდეს იმასა, — ჩუმად დაიკვნესა ქალმა. — ჰოდა, რით ვერ გაიგე, რომ შენი არაფერი ესმის იმ ღმერთსა. დაანებე თავი ცოდ-უბრალო ხვეწნა-ვედრებასა,—სთქვა ხმამაღლა და მაშინვე პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს შენდობა სთხოვა ავად ხსენებისათვინა.— ეგე, ჩაი ფინჯანით გიდგას. რაღას ეძებ, სთქვი. რად იცი ეგრე ხელების ცეცება. არ დაიმდურო თითები.

— შაქარს ვეძებ და რო ვერა ვნახე!

— სადღა გვაქვს შაქარი. აი, ხახვით დალიე. ცოტა თუთის ფაფა გვქონდა და გოგოს შევუნახე.

— კარგი გიქნია, ანო, კარგი. საცაა მოვა სკოლიდან.

— მოვა და დავახვედრებ რამეს. თუ ჭამას მორჩი, დაიბანე ხელები და ნავთზე წადი. ტალნები ტყავის ჯიბეში ჩაგიწყე.

— წავალ, როგორ არ წავალ.

— აი ეს წინდები ჩაიცვი. მაგით ბაზარში ასვლა სირცხვილია, ქუსლი გამოხეკვია. ბაიხადე, ამაღამ გამოვაქსოვ.

— რა ჩანს კალოშებში. ღმერთი გიშველის, ნუღა სწვალობ. ისეც ბევრი საქმე გაქვს.

— ბაიხადე. თანდათან წაემატება და მერე ძირიც აღარ გამოეცალება.

— ჩემი ქუდი და ტყავი აქ დავაწყე. სადმე გადაუხაცვლე ადგილი?

— მანდავეა. ცოტა ბუხრისაკენ გასწიე ხელი.

— ჰო, ვნახე, ვნახე.

ცალი სახელო წამოიცვა, მეორე მხარზე მოიკიდო და კარისაკენ გაემართა. სიჩუმეში ფილაქანზე შემოვლებულ აგურს ჩვეული მოძრაობით გადააბიჯა, ქვაფენილი გაიარა და ქუჩაში გამოვიდა. გაუბედავად და მაინც მხნე ნაბიჯით მიდიოდა აღმართზე. ჯოხს კარგა მანძილით იქნევდა წინ, მერეღა ადგამდა ფეხს.

— შაქრო პაპა, წამოგყვე?

— ზურა ხარ, შვილო? არ მინდა, თვითონ მივალ. შენი წლოვანება შვიდზე რომ გაამრავლო, იმდენი წელია ამ გზაზე დავდივარ, ქვებიც გავიზეპირე.

— სამოცდაათი წლისა ხარ, პაპა?

— რათა, შენ მკაფათვისა არა ხარ? თვეები რაღა უყავი.

ბიჭმა ჩურჩულით გადათვალა თვეები თითებზე და მერე გაამრავლა.

— სამოცდახუთმეტისა, პაპა?

— რათა, ბიჭო, დავიბადე თუ არა, აღმართზე დავრბოდი?

— კარგი, ორი წელიწადი დავუმატოთ, სამოცდათექვსმეტისა გამოხველ, პაპა.

— ესეც შენი ანგარიშის გაკვეთილი.

— შაქრო პაპა, რამდენი ხანია, რაც ეგრე ხარ?

— ახლა შვიდი დაუმატე შენს წლოვანებას.

— უკვე ჩვიდმეტნახევარი წელიწადია? უჰ, საწყალო პაპა. მოიცა, მივედით უკვე. აქეთ, აქეთ წამო, ფეხი არ ჩაგივარდეს კიბეზე.

— გაიზარდე, შვილო, გაეზარდე შენს დედას.

— დაგიცადო, პაპა?

— ხუ დამიცდი, სახლში წადი, სახლში. შენს გაკვეთილებს მიხედე. ცოდვაა დედაშენი, გუშინაც გულს იბრუნებდა. შენს მასწავლებელს უთქვამს, სკოლაში არ იყოო. ქალი წელებზე ფეხს იდგამს, როგორმე სარჩო არ გამოგილიოს, ერთი ეგ გვაალია შენა და მაგასაც არ აკეთებ.

უკანასკნელი სიტყვები აღარ გაუგია ბიჭს. სარდაფში ჩასულმა დაამთავრა ბოლოთქმა.

ქუჩაში დარჩენილმა ერთ ხანს დაცარიელებულ დახლებზე თავმოყრილ ბეღურებს უყურა. მერე პატარა კენჭები მოკრიფა და ქუჩის მყუდროება აფართხალებული ფრთების ტლაშუნით დასერა. გაფრენილები სტვენით გააცილა. შემობრუნდა და ქვაზე ჩამოჯდა. ისევ დაბრუნებული სიჩუმე ლოდიანი მძიმედ დაეწვა გართობის მძებნელს. მოულოდნელად იმ ლოდებზე მოხეთქილ ნიღვარივით მოვარდა ხმაური. ბიჭმა მაშინვე მარჯვნივ მიიბრუნა კისერი. ვიდრე თვალი გაერკვეოდა, ყურმა გაარჩია რიგის ქვებისა და მზეზე გამხმარი დახლის ფიცრების ბრახუნი. ყველაფერი ერთად ახმაურდა, აკანგაშდა, არახრახდა. მისი კბილა ბიჭების მთელი გუნდი წვიმასა ჩამოყოლილივით მოედო იქაურობას. სახეზე ღიმილი ეფინათ ბაგშვებს, თვალებს კი შიშით აციცებდნენ და ზღაპარში გაგონილი ქაჯებივით იგრიხებოდნენ. გაიქცეოდნენ, მერე შეჩერდებოდნენ და უკან-უკან იყურებოდნენ. რაღაცას თუ ვიღაცას გაფაციცებით ეძებდნენ. ვეება ქვებს ურახუნებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ: ელექტრონის და ტელეფონის ბოძებს ზრიალი გაუდიოდა. ბიჭების ხარხარი ფიცრების რახრახში იკარგებოდა. ამ პატარა ჭინკების თვალებში აღტაცების ალი მალიმალ იცვლებოდა შიშის ფეთებით.

— შავი კოლა მოდის, შავი კოლა, — დაიძახა ვიღაცამ, მაგრამ მისკენ არავის გაუხედია. ალბათ მთქმელმაც იცოდა, ვერავის გააოცებდა ნათქვამით, რადგან ეტყობოდა, არავის ეუცხოებოდა ეს ზანზარი თუ ხმაური. მისი მიზეზიცა და დანიშნულებაც ყველასთვის გასაგები და ნათელი იყო. მაშინვე დახლებიდან გაჯავრებული გამყიდველები გამოლაგდნენ. ხელების წმენდით დარბაისლურად გამოდიოდნენ ფეშტამლიანი მჭედლები და ხელოსნები.

— აბა, თუ მოიშალონ ამ ძაღლის ლეკვებმა, ეს რა გასართობი შემოიღეს, — ჯავრობდნენ ნოქრები და ზეინკლები.

თვითეული მაყურებელი ცდილობდა დაეჭირა ამ უცნაური სეირის მონაწილენი, მაგრამ ისინი საოცარი სიმარჯვით უსხლტებოდნენ ხელიდან და ელვის სისწრაფით გვერდზე ჩაუქროლებდნენ ხოლმე. თვალებად და ყურებად ქცეული ბიჭი იმავე ადგილზე დარჩა გაქვავებული, სადაც ხმაურმა მოისწრო. მაგრამ გამოჩნდა თუ არა სიბრაზისაგან სახემოქცეული და გაავებული კოლა, ბიჭი მაშინვე გამოფხიზლდა, მის დაკოჭრებულ ხელებში მოხვედრა კარგს არას უქადდა.

კოლას გამოჩენისთანავე ბაგშვები მი-

მინორჩაქროლილი წიწილებივით მიმოფანტნენ და აქა-იქ შეიყუჟნენ. მარტო ზურა დარჩა ქუჩაში. ამჯერად უდანაშაულო იყო და არც გაქცევა უფიქრია, მაგრამ კოლას გაჭარხლებულ სახეს რომ შეხედა, მიხვდა, მტკუან-მარილის სამსჯავრო არ შედგებოდა. აქეთ-იქით გაიხედა, სადალაქოში შევარდა, მერე უკანა კარიდან ვიწრო ქუჩაში გავიდა, მარცხნივ გაუხვია და ქუჩის გარდიგარდმო გაკეთებულ მოკირწყლულ თხრილთან წამოეწია შაქრო პაპას.

— ნელა, ბიჭო, ნელა. თავ-პირი არ დაიმტვრიო, რად აჯავრებთ მაგრე მაგ კაცს, რომ მერე გულგახეთქილები ემალებით.

— რა იცი რომ მე ვარ, პაპა?

— რა დიდი გამოცნობა უნდა შენი ფეხის ხმას?

— ყველას ფეხის ხმასა სცნობ, პაპა?

— ვცნობ, მაშ, როგორ არა ვცნობ. ჩვენს უბანში ყველასა ვცნობ.

— შაღლან კოლასაც?

— რატომ თავს არ დაანებებთ მაგ საცოდავს. რას ერჩით, ეგრე რომ აგიქებთ?

— ჰოდა, რად გვახევს ყურებს?

— აბა შენ ნურას დაუშავებ, თუ გერჩოლოს.

— პირველად იმან დაგვიჭირა, გიკი.

— გიკი რად არის? აბა, რას აკეთებს გიჟურს? ერთი ეგ არის, ხმაური ეჯავრება, თორემ სხვაფრივ ძაან მუშა და პატიოსანი კაცია. განა მუდამ ეგრე იყო? ისეთი ვაჟკაცი იყო იმ უბედურებამდე, რომა...

— რა უბედურებამდე, პაპა?

— აგე, მაგის უკუღმართი ცოლი მკალავ ვანოსთან რომ გაიპარა და ბალღიც თან წაიყვანა.

— რად გაიპარა?

— ეშმაკმა რომ იცოდეს იმისი თავი და ტანი.

— მერე ვეღარ იპოვა კოლამ?

— არ უძებნია. ვაჟკაცი იყო და არ იკისრა, ცოლი გამეტეაო. მე თვითონ გავაგდეო, სთქვა. ოღონდ იმ დღის მერე ვეღარ გამობრუნდა. ძნელია, განა ადვილია. იმისთანა შავთვალა გოგო ჰყავდა, ავ თვალს არ ენახვებოდა. გიშერეიოთ შავ თმაზე ბაფთას რომ შეაბამდა დედამისი, იმის ყურებას არაფერი სჯობდა. დედაც ლამაზი იყო, ის ღვთის პირიდან გადავარდნილი. მხიარული ოჯახი ჰქონდა და უცებ გამოყრუდა ეგ უბედური. იმისთანა ტიკტიკა იყო ის გოგო, იმის უთქმელი არაფერი რჩებოდა. სამი წლისა კი იყო...

— როგორ გაიპარა, პაპა, კოლას ეძინა?

— ეძინა კი არა, სამუშაოზე იყო წასული. ზაფხულობით ახლო-მახლო სოფლებში დადიოდა. სახლებს აშენებდა. მაგისთანა ხურო ამ არემარეზე არ მოიძებნებოდა. ჰოდა, შემოდგომაზე, როცა ფულითა და ხორაგით დატვირთული კაცი სახლში მობრუნდა, გალაღებული და ახმაურებული ოჯახის ნაცვლად სამარისებურმა სიჩუმემ შემოჰკვნესა შიგნიდან. მაგიდაზე წერილი დახვდა — მე ის კაცი შემიყვარდა და შენ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ახალი ბედი ეძიეო. ჭირმა წაიღოს იმისი თავი, აკი გააუბედურა ეგ კაცი. იმ დღის მერე ხმაურს ვეღარ იტანს. ეგრეა, შვილო, არავინ იცის, ხვალ იმის თავს რა იქნება და სხვის ჭირსა და უბედურებას მორიდება და პატივისცემა უნდა. ერთმანეთს ტანჯვა და ვარამი ჩვენ უნდა შევუმსუბუქოთ. უფრო მეტად კი არ უნდა გავუძნელოთ ცხოვრება ადამიანს. აი, მე ხომ მუდამ მეხმარები. იმისი უბედურება რითაა ჩემზე ნაკლები?

— შენ სხვა ხარ, პაპა, შენ კარგი კაცი ხარ!

— ისიც კარგია, შვილო. კარგი და ავი ყველა კაცშია, ოღონდ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ერთმანეთს მუდამ კარგი გამოვაჩენინოთ და ავი, რაც შეიძლება შორს დავამალინოთ ხოლმე.

— შენ გინახავს კოლას შვილი, პაპა?

— მინახავს, როგორ არ მინახავს.

— მაშ კოლას ბავშვები არ ეჯავრება?

— ბავშვების სიძულვილი როგორ იქ-

ნება. კაცი მხეცი უნდა იყოს, ბავშვი რომ ეჯავრებოდეს. ბავშვები კი არ ეჯავრება, ეგ რახარუხი ეჯავრება, ჰოდა, თქვენც მოერიდენით, რაღა ნათოს დასხმა უნდა მაგის ცეცხლსა.

— ამას წინათ დაბღიაანთ პატარა ლია აეყვანა ხელში. მე მეგონა, იმასაც ყური უნდა აახიოს-მეთქი. აკოცა და დასვა. არც ლიას შეშინებია. სულ არ უტირია. ალბათ, თავისი გოგო გაახსენდა, არა, პაპა?

— ალბათ, შვილო. ვერ იქნა და ვერ დაივიწყა. ცოტა დრომ კი არ გაიარა მას შემდეგ. საცაა ოცი წელიწადი შესრულდება.

— უჰ, ახლა შვილიშვილებიც ეყოლებოდა.

— ეყოლებოდა, მაშ არ ეყოლებოდა! უბედურება ვერ უნდა მოგერიოს კაცსა. კაცი იმის კაცია, რომ მუდამ იმის ცდაში იყოს, უბედურებამ ვერ დაჯაბნოს, ისევ მე ვაჯობოო. აპა, ეს სანავთე აურბენინე ანო ბაბოს, მე აქ მყუდროში ჩამოვჯდები.

— შაქრო პაპა, დაბრუნდი? ცოტა ხანს ბალღს ვერ დამიჭერ? კაცები რიყეზე ქვასა ტვირთავენ და კერძი უნდა ჩავუტანო.

— მარუსა ხარ, შვილო? დაგიჭერ, როგორ არ დაგიჭერ.

— შენ გაიხარე, პაპა. ვერავისთან დავტოვე. ამ ჩემს დამთხვეულს კიდევ ვერ ვანდე. თუ იტიროს, ჩემი ბიჭი გამოგზავნე, დამიძახოს.

— არ იტირებს. რად უნდა იტიროს. იგრე მოვუგურგულო, რომა... რად ვატირებ. შენ წადი, მიხედე შენს საქმესა, ამის დარდი ნუ გექნება.

კაცი ჭიშკართან გადებულ, გრძელ ხის სკამზე ჩამოჯდა, ჯოხი გვერდზე მოიდო და მერეღა ჩამოართვა ბავშვი. სათუთად შემოახვია თბილი მოსასხამი, ნაზად მიეფერა და მუხლზე დაისვა. პატარა არ დანებდა იმ დიდ, ნაჯაფარ ხელებს. დაიძაგრა, წამოიწია და კაცის მუხლებზე დადგომას შეეცადა. მოხუცი ჩვილის მოძრაობაზე მიხვდა, რაც უნდოდა, თორემ დანახვით, აბა რას დაინახავდა. ისევ აიყვანა ხელში და როცა პაწაწინა თითები თეთრ, თოვლზე უფრო სპეტაკ წვერებს ჩააფრინდა, ტკბილად ჩაიცინა.

— აი თურმე რა გინდოდა, შე ეშმაკო. კაცი დავბერდი, ჩემს წვერებს არავინ შეხებია, შენ გინდა გამიჩეჩო? მოდი, პატარა ცუგრუმელავ, მოდი. აჰა, ათათუნე შენი პატარა თათები.

— შაქრო, გამარჯობა, შაქრო!

— გაგიმარჯოს, ლექსო, გაგიმარჯოს.

— ვის ბალღს ეგუგრუტები, შაქრო?

— სანდრო, შენა ხარ? კუტაანთია. დედამისს მუშები ჰყავს და არა სცალია ამისთვისა.

ჭიშკრიდან შაოსანი გამოვიდა.

— ვის მიესალმე, ძია? ევა ვარ.

— გიცანი, გიცანი. ჩვენმა ბიჭებმა ჩაიარეს და იმათ გაველაპარაკე.

— რაღა დროს იმათი ბიჭობაა, — გაეცინა ევას, — საცაა ას წელიწადს მიუკაკუნებენ.

— ეჰ, ჩემთვის მაინც ბიჭები არიან. შენ ხომ არაფერი გინდოდა?

— ჰო, სანაყელი მოგიტანე. მინდოდა, ცოტა მწვანილი და ნიორი ჩაგენაყა. ტყემალს ვაკეთებ და ხელში ღონე აღარა მაქვს.

— ჩაგინაყავ, აი მოვიდეს ამისი დედა. რაღა ღონე გექნება ჯერა, იმისთანა ავადმყოფობა გამოიარე.

— დავბერდი კიდეც, ძია, დავბერდი.

— რას ამბობ, ჯერ რა დროს შენი სიბერეა, გოგო. სამოც წელიწადსაც არ ხარ მიღწეული.

— უჰ, შენ გაიხარე! ჩემი გოგიას დამკარგავი, ან კი როგორღა დავდივარ ამ ქვეყანაზე.

— კარგი ბიჭი დაჰკარგე, ევა, კარგი. ღმერთმა დასწყევლოს ეს ომიც და იმის მამგონიც. ყოჩაღი და ჭკვიანი ბიჭი იყო გოგია. რას იზამ, ჭირს გამაჯრეს უნდა. დანარჩენებისათვის უნდა იცოცხლო, დანარჩენებისათვის. ფილთაქვა გვერ ჯზე მიუდე, წაიყვანს ყმაწვილსა და ჩაგი ყაყა... — უთხრა და ისევ ბავშვს მიუალერსა.

შუადღე რომ გადავიდა და მზე სინოფის ვაშლის ხეს მიეფარა, კაცი მძიმედ

ადგა სკამიდან. ჭიშკარი ხელის კვრით შეაღო და ეეას შესძახა:

— ეეა, აიღე როდინი, აგერ ლამფაროზე შემოვდგი.

— შენ გიხარე, ძია, მადლობელი ვარ, მაგ ლობელი.

— არაფრის. რისი მადლობა. თუკი გამოგადგებით რამეში. სხვა რისი მაქნისი ვარ.

მერე ჯოხის კაკუნით ქვაფენილი აიარა, ოთახის კარი გააღო და ხელით საწოლის თავი მონახა. იქ ჯოხი მიაყუდა. ჯერ ანოს გაეხმაურა, პასუხი რომ ვერ მიიღო, დერეფაწში გამოვიდა, ხელპირი დაიბანა და ისევ საწოლთან მივიდა. აოჩქარებლად გაიხადა. იქვე მდგომი სკამი ხელით მოაცურა და ზედ იშვათი წესრიგით დააწყო ტანსაცმელი.

სასურველი სტუმარივით გულღიად შემოსული გაზაფხულის მზე სითბოსა [illegible] ალიარსსა ღვრიდა მყუდრო ოთახში. მზეზე მოთენთილმა მოხუცმა სიამით მოადუნა კუნთები და მალე მშვიდი და ძლიერი, ფშვინვა გაისმა გამოყრუებულ სახლში.

მერე სამი დღე ელოდა მოხუცს ჭიშკართან მიდგმული, გაზაფხულის ოხშივარით გაბრუებული ხის სკამი. ის კი მხოლოდ მეოთხე ნაშუადღევს გამოჩნდა. ტყაპუჭის ცალ სახელოში მკლავგაყრილი, ჯოხის კაკუნით ჩამოვიდა, ტყავის კალთა გადასწია, კრიალოსანი ამოიღო და ორჯერ ვერც კი მოასწრო ჩამარცვლა, რომ ქუჩიდან მიესალმა ვიღაც.

— ბიჭო, შაქრო, როგორა გყავს დედაკაცი, არ მოიკითა?

— სანდრო ხარ? რა ვიცი, შენი ჭირიმე, ჯერ კი ისევ მწუხარეა და. ფილტვების ანთებააო; ვინ იცის, როდის გაუვლის.

— ჩამოგვიდა ქალი?

— ჩამოვიდა. მეორეც ჩამოვიდა. ორივენი თავზე ადგიან, მაგრამ რასა შველიან, აბა?

— ნუ გეშინია, კაცო! რამ შეგაშინა? ცოცხალი ადამიანი ან კარგად იქნება ან ავად. გული გაიმაგრე. კარგად გახდება, აბა რა იქნება? ყველა უბედურება შენ ხომ არ დაგატყდება თავზე?

— უბედურება ეგ არის, აი, თუ არის. ჩემი უბედურება რა მოსატანია მაგასთან, — ამოიკვნესა მოხუცმა, მოსაუბრეს დაემშვიდობა, ერთხელ კიდევ ჩამარცვლა ბოლომდე ქარვის მძივები და, გულმა აღარ მოუთმინა, ავადმყოფისაკენ გასწია, მაგრამ იქ არ შევიდა, არ შევაწუხოო. იმ ოთახიდან ქალების ჩუმი ლაპარაკის ხმა გამოდიოდა, ერკი არჩევდა სიტყვებს. ისევ აქეთ ჩამოჯდა. ბუხარს მიეფიცხა, მერე შებინდებას არ დაუცადა, ლოგინში უსიტყვოდ ჩაწვა და როცა შვილებმა მიაკითხეს, საჭმელი ჭამეო, თავი მოიმძინარა. ოღონდ შუაღამისას, ფეხის ხმა რომ მისწყდა, ლოგინიდან წამოიწია. გაფრთხილდა, ძველთაძველი საწოლი არ ავაჭრიალოო, და ნელა წამოდგა. ფლოსტები განზე გაცურა და ასე, უჯოხოდ, ფეხშიშველა. წინ გაწეული ხელით მეორე ოთახში გავიდა. არც ერთი ნივთი არ აუხმაურებია, არაფერს არ წასაჯახებია, არც არავის-რა გაუგონია... იქ ტახტზე ჩამოჯდა და მეუღლის გახშირებულ სუნთქვას დააკვირდა. თუმცა ქალს ხმა არ გაუღია, დარწმუნდა, არა სძინავსო და ნელა დაიჩურჩულა:

— ანო, აგრემც ის კარგი მამა გიცხონდება, ანო, როგორა ხარ, ხმა გამე!

ქალს არც ახლა გაუცია პასუხი, მაგრამ მისმა გაძნელებულმა სუნთქვამ სთქვა სათქმელი.

კაცმა ხელის ენერგიებით ჯერ საბნის ნაპირები მონახა და გაშიშვლებულ მხრებთან ჩაუჯეკა, მერე ალმურმოდებულ, დამჭკნარ ლოყებზე ხელი გადაუსვა, გათხელებულ, თეთრ ბუწუწებზე გადაინაცვლა და ავადმყოფის თავთან ბალიშზე დასვენა ბევრჯაფაგამოვლილი, ახლა მეტისმეტად გასათუთებული და მგრძნობიარე ხელი. ცოტა ხნის მერე მარჯვენა ასწია, თეთრ წვერამდე ჩამოცურებული ერთადერთი კურცხალი მოიცილა და, ჩემო სიცოცხლეო, ისე ამოიკვნესა, თან გული ამოაყოლა. თვი-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ კი ამოაყოლა, მაგრამ არც ამ ჩურ-ჩულის გამგონეს დაუყენა კარგი დღე:

ქალს ჯერ გააჟრჟოლა, მერე თითქოს გაეცინაო, შეაკანკალა კიდეც. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენჯერ მოუსმენია ეს ორი სიტყვა. ჩურჩულით ნათქვამი, რამდენჯერ წისქვილზე უფრო ხმამაღლა აუძგერებია გული, და უიმისოდაც თაკარა ლოყებზე ცეცხლი წაუკიდებია. რამდენჯერ კაცის გახშირებულ სუნთქვას ზედ მის ყურთან დაუკარგავს მისი მარცვლები. ხშირად სირცხვილის ალმურიც ავარდნია, რადგან ღედამთილ-მამამთილისა და მრავალი მაზლ-რძალის გასაგონადაც წამოსცდენია ეს სიტყვები კაცის ბაგეს.

„ჩემო სიცოცხლევ!“ არასოდეს დაეჭვებულა ნათქვამის გულწრფელობაში, არც მისი გადატანითი სახე უძებნია, არც მხოლოდ ხატოვან გამოთქმად მიუჩნევია და მაინც მხოლოდ ახლა ჩაწვდა ამ ხუთი მარცვლის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ იგი მოხუცისათვის შეუფერებლად ძლიერი და მაინც მეტისმეტად უმწეო, უსუსური კაცის სიცოცხლის აუცილებელ პირობად ქცეულიყო, რადგან უიმისოდ ამ კაცის ყოფას სიცოცხლე კი არა, ჯოჯოხეთი დაერქმეოდა. ნახევარი საუკუნის მიჯნაზე ეს ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები სუსტი ქალის ყურებში მთის მოძახილზე ძლიერად აქუხდა და ახმიანდა. შრომასა და გარჯაში გამოწრთობილ კაცის ხელებს შეეძლოთ მთელი ქვიყნის საქმე ეკეთებინათ, რასაც გასწვდებოდნენ და რასაც ვერ გასწვდებოდნენ ისიც, მაგრამ სამაჯირო ზრუნვა და ყურადღება მაინც სამდელო საქმედ ჩაითვლებოდა. ამ ძლიერი ხელებისათვის კი, ყველაფრის გაკეთებას თვითონ რომ იყო მიჩვეული, სამადლოდ და საქველოდ გაკეთებული დიდი საქმეც კი შეურაცხყოფა იქნებოდა. ამიტომ ისედაც გაწვალებული სიცოცხლე ნამდვილ წამებად გადაექცეოდა ამ ბრმა კაცს, რომლისთვისაც არც პირში და არც მორიდებით ჯერ არავის ეთქვა სიტყვა „ბრმა“, იმდენად დიდ უბედურებად და საცოდაობად თვლიდნენ მის უსინათლობას.

ეს ქალი კი, მისი სასთუმლის მეგზეურე ქალი, კაცს ისეთივე განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა, როგორც საკუთარი სხეულის ნაკვთები. დანარჩენი ახლობლები: შვილები, მოკეთეები, მეზობლები მხოლოდ კეთილისმყოფელები იყვნენ, მეტი არაფერი. ამდენი ხნის ერთად ცხოვრების განმავლობაში ხედვადაკარგული კაცისათვის ქალი თვალებივით აუცილებელი გახდა. არა, თვალები რა არი, უთვალებოდ აგერ ჩვიდმეტი წელიწადია ცხოვრობს, გულივით საჭიროდ და სავალდებულოდ იქცა...

და ქალი დაიძაგრა, დაიკუნთა, დაიჭიმა... თითქოს მთელი სასიცოცხლო ძალები ერთად დაძაბა და დააგროვაო. რამდენჯერ უფიქრია ახალგაზრდობისას, ჩურჩულით ნათქვამი ეს ორი სიტყვა მოუსავლეთის გზაზე დამდგარს უკან დამაბრუნებსო. და ახლა, რიცა ქალში ამქვეყნიური ვნებების მოგონებებიც კი გამქრალიყო, სწორედ ახლა შეეცადა იმ ღიცხლიანი სიტყვებით გამოწვეული მაშინდელი ნაფიქრის ასრულებას.

— წადი, დაწექი, ფეხშიშველი ნუ ზიხარ, არ შეეცივდეს მე არა მიჭირს რა, — სთქვა ჩურჩულით, მაგრამ ისეთი უწვეულო და საოცარი ხმით, რომ კაცს ამ სიტყვების მაგივად მოესმა: „უშენოდ არ მოვკვდები, ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ, შენი სიცოცხლისათვის ვიცოცხლებ“.

— ჰო, წავალ, წავალ, ოღონდაც შენ კარგად იყავი, ოღონდაც, ოღონდაც...

ტახტიდან ისევე ფრთხილად წამოდგა და წინ გაწვდილი ხელით თავისი ლოგინისაკენ გაემართა. აქ ღია, უსინათლო თვალებით დაუცადა ცის გათენებას, უფრო სწორად — ღილის ხმაურს, რადგან მისთვის ერთნაირი სიშავეთ თენდებოდა და ღამდებოდა.

კიდევ რამდენიმე დღე შეემატა ქორონიკონს.

იმ ღილით ყველაზე ადრე შუშანამ გამოაღო ნაჭრარი და რიშელიეთი ნაკერი, გათახთახებული ტილოს ფარდებია-

ნი ფანჯრები. პირდაპირ აივანზე შავგრანგიან ევას მოჰკრა თვალი და მაშინვე ანო ძალოს ამბავი ჰკითხა.

— რა ვიცი, შუშან, თითქოს ამ დილას ცოტა მოიხედა და ვინ იცის...

— რა საკვირველია, ქა, მაგ დედაკაცის ამბავი. როგორი კეთილი და აკკარგანანი ქალია და რამდენი ხანი გაჯანჯღლდა. დღეს მესამე დღეა სულს ებრძვის.

— ასეთ დროს ამბობენ: სული ელისო იქნება ბიჭებს ელის ეგ საცოდავი.

— როგორა ნახავს შვილებს, ეგ შავ ვარსკვლავზე დაბადებული, ყველანი ომში დაეხოცნენ.

ოთახში ქალი შევიდა და მამას შეეჩვიანა:

— ხორბლის ფაფა გაგიკეთე, მამი, ღორის ქონი შეაში ჩავდო თუ აგურიო?

— სულ ერთია, შვილო, შენ ის მოიხარი, დედაკაცი რასა იქს ამ დილას?

— თითქოს მოიკეთა, მამი, ერთი ჭიქა ყურძნის წვენიც დალია სვენებ-სვენებით.

— ღმერთო, შენ გადმოგვხედე, ღმერთო, შენ გვიშველე.—ჩაიბუტბუტა კაცმა და ტახტიდან მძიმედ წამოიწია.

არეული და უმწეო ნაბიჯით მაგიდასთან უჯოხოდ მივიდა. წელში მოხრილი, წინ გაწეული ხელით მეტისმეტად უსუსურ და საცოდავ შთაბეჭდილებასა ტოვებდა. ქალმა შეხედა და ოთახში ჯოხი მოათვალიერა. მაგრამ ჯოხის მიწოდების მაგიერ მეორე ოთახს გახედა და მიხვდა, ოღონდ ვერ ჩამოაყალიბა, რომ ის დიდი იმედი და საყრდენი ეცლებოდა ამ ბებერ მხრებს და ჯოხი ვეღარას უშველიდა. კაცმა სკამი ფრთხილად გასწორა, მაგიდას მიუჯდა და უგემურად დაიწყო ჭამა. ორი ლუკმაც არ გადაეყლაპა, რომ კოფნი ხელიდან გაუვარდა.

— რა მოგვიდა, მამი? — წყნარად შეეკითხა ქალი და კოფნის ასაღებად დაიხარა. წყალი გადაავლო, შეამშრალა და მარჯვენა ხელში ჩაუდო მოხუცს. ხელი მაგიდიდან მოწყვეტით ჩამოუვარდა და უსიცოცხლოდ დაეკიდა მხარეს. კოფნი ისევ იატაკზე აწყრიალდა.

— მამი! — დაუძახა ქალმა და ხელახლა აიღო კოფნი.

მამამ ხმა არ გასცა.

— მამი, რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარ?

პასუხი არც ახლა მიიღო.

— მამი, მა... — სახეში ჩახედა შვილმა.

კაცი ისევ ისე იჯდა მაგიდასთან, ოღონდ თავი გვერდზე ჩამოვარდნოდა და სახეზე მორიდებული ღიმილი დახატოდა, თითქოს შვილს კოფნის დაგდებისათვის უსიტყვოდ ბოდიშს უხდისო.

ქალმა რაღაც საშინელი იაზრა და ის იყო უნდა დაეწიოვლა, რომ მეორე ოთახის კარმა დაიჭრიალა. ქალი კარებს მივარდა, უნდოდა დისთვის დაეძახა, ამის ნაცვლად უფრო მაგრად გამოიკეტა ორივე კარი. იქვე, პატარა მაგიდაზე შპრიცს მოჰკრა თვალი, გამობრუნდა და აივანზე გაიჭრა. მიშველეთო, დაიძახა, წინ გაწეული ხელები გაასავსავა, მერე თვალებზე მიიფარა და აცახცახებული სხეულით აივნის სვეტს მიეყრდნო. უცებ იგრძნო, მშველელი აღარსაიდან მოვიდოდა. ისევ ოთახში შემობრუნდა. ღიად დატოვებული კარიდან ადრე გაზაფხულის მზის სხივი შეპყვა, კაცის თეთრ წვერს დაეფინა და შარავანდედდადგმულს დაამსგავსა. შვილმა მამასთან ჩაიმუხლა. ისევ თბილ მკერდში ჩაუცურა ხელი. ოდნავ შეანძრია და როცა უსიცოცხლო სხეული სკამზე ტომარასავით ჩაიკეცა, ჩემი საწყალო მამაო, შეჰკივლა. მერე შეშინებული თვალები ავადმყოფი დედის ოთახის კარს შეაფეთა. ისევ ფეხზე წამოდგა. ორივე ხელი შემოხვია, თეთრ, თოვლზე უფრო თეთრ, სხივდაფენილ წვერზე დაეკონა მკვდარსა და გულამომჯდარი აქვითინდა.

მედეა შავლიაშვილი
უშენოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ამაშუკელი

წყნარად გადადის ნაცრისფერი გარუჯულ ფერში —
დაიწყო ქართლი.
ყველაზე მძაფრად აქ იგრძნობა ჩემი სამშობლო.
ამ ხრიოკ ველზე თვითეული მტკაველი მიწის
ისე მეძახის, როგორც სული ჩემივე ხორცის,
და ამ სევდიან სილამაზეს ჩუმად სვამს თვალი,
დაიწყო ქართლი,
ნელა მიდის მატარებელი.



სექტემბერი

რა კარგი იყო ეს სექტემბერი —
მწიფე და მძიმე, როგორც მტევანი,
მაგრამ ზაფხულის სუნი და ფერი
ფეხდაფეს მომდევს, როგორც მდევარი.
მე ისევ ვუკრავ წყნარად და შენთვის
ჩემს უსაყვარლეს და ნაზ აკორდებს
და ვცდილობ, ძველი სიმღერა ერთი
არ დამეკარგოს და მომაგონდეს.
ჩემს სულში ახლა წითელი ფერით
ანთია შენი ლამაზი თმები,
და თან მომყვება როგორც სიმღერა
ჩამავალ მზეში ჩამდგარი მთები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობა

იმ ღამეს თოვდა, თოვდა და თოვდა...
და შენ გეძინა სიცივით დაღლილს,
გარშემო ცივი სინათლე კრთოდა
და ივსებოდა სიჩუმით სახლი.
ვხედავდი ჩემს ლანდს საწოლთან დახრილს
და ჩრდილი დახრილ კედელზე თრთოდა.
შენ კი გეძინა ყველაფრით დაღლილს,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა.
და განშორების წუთივით ბნელი
შენი სხეული მოჩანდა ბნელში,
და შენი ხელი, გამხდარი ხელი
მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში.

გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...

☆

ტყე

გარინდულ ტყეზე გადადის თქორი
და ისმის ჩუმი შრიალი ხეთა,
მე ტყიდან მომაქვს მოკლული ქორი
და დაცვენილი ფოთლების სევდა.

წითლად ღუიან კოწახურები,
ასკილის ბუჩქი მკრთალად ინთება.
ო, ამ მთვლემარე ფერის ყურება
თვალს არასოდეს არ მოწყინდება!

და მე არ ვიცი, იყო თუ არა
ოდესმე განცდა ასე მთლიანი.
ტყეს თვითმფრინავმა გადაუარა
და ჩუმად შეკრთა ტყე ნისლიანი.

და ჩემში ბჟუტავს მოწყენა შორი,
ხელშეუხებელ ფერთა ზმანება,
გარინდულ ტყეზე გადადის თქორი.
— „დავდივარ, ვწუხვარ, და მენანება.“

კარლო კობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ეს ამ გაზაფხულზე იყო, წვიმებმა რომ მოუხშირა და კინაღამ ზეზეურად დაგვილპა ხეები. მივთეს-მოვთესე ყველაფერი, გაგსხალი, შევსარე, გადავკავე ვენახი, დედაჩემს დავემშვიდობე და ისევ ქალაქში დავბრუნდი. გრიპი დამეტაკა. არ ვიცი, სადგურში დამხვდა, თუ ავტობუსში ამომივარდა; დამეტაკა და საწოლზე გამშხლართა. დამესიზენენ ექიმები: ჰაი აქეთ, ჰაი იქით, როგორც იქნა, მოვიშორე გრიპი; ახლა, თუ სიცოცხლე გინდა, წადერში წადიო. ნუ წახვალ თუ ბიჭი ხარ! ავიკარი გუდანაბადი და გავუდექი გზას. მოკლედ, ჩავლასლადი წადერში. წადერიდან ლებარდეში ავუხვიე, ლებარდედან — საირმეში, საირმედან ისევ წადერში, მთელი ზაფხული ასე ვიტრიალე. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გუშინწინ ჩამოვედი.

დედა კიდევ ჰო, დედაა. ნათესავიც, სხვა არა იყოს რა, თავს ვალდებულად თვლის, მაგრამ მეზობლები? მეზობლებმა დამინახეს თუ არა, იწივლეს და იკივლეს, — მეფერებიან, მანჯღრევენ, ეკითხებიან, ეფერებიან, ეკითხებიან, ეფერებიან, ეკითხებიან, ეფერებიან

და იქაც შემოდგომაა, — ნაძვები გაბუტულებივით გამდგარან განზე.

ჩამოსული დღესვე მივიხედ-მოვიხედე, წაქცეული ღობე წამოვაყენე, ყველა მოვინახულე, ჩამოვარიგე სალამი, საყვედურებიც მივიღე და დედაჩემის ხათრით ზედაშესაც გავუსინჯე ჭაშნიკი.

გზშინ გამომიარა ძმაკაცმა თავისი დანჯღრეული მანქანით. ძარაზე ავყარეთ ყუთები, კალათები. მე ზევით ავედი, დედაჩემი კაბინაში ჩაჯდა, კალთაში ფეხგაკრული ვარია ჩაისვა და უთენია ვენახში ჩავრახრახდით. ვენახი ზედ ალაზანზე გვაქვს.

— ჰაი, ნიკა პაპავ! — ვეძახი მომიჯნეს, — ჰაი, მეზვრე! ყურძენს გპარავენ, მეზვრე!

— ჩამოხველ, შვილო, კახავ! — ჩემი ბოსტნიდან მაგონებს. მოტუსტუსებს, მოტუსტუსებს და მოლაპარაკობს. — არ გრცხვენია, ბიჭო, ეგრე უნდა სავსე მამულის დავიწყება? ეგ გასწავლეს ქალაქში? შე უგერგილო, შენა! ამ ჭიგოთი უნდა აგიჭრელო გვერდები!..

ჭიგო დააგდო. მივვარდი და გადავეხვიე. თაგზე ხელი გადამისვა, შუბლზე მაკოცა.

— მოგენატრა, პაპავ? — ეკითხება ჩემი ძმაკაცი.

— არა, შენა გგავს? ერთხელ არ იტყვი, ბერიკაცია, სახლში ავიყვანოო. სულ ცარიელს კი დააჭენებ.

— ჩემი თავი მოგიკვდეს, როდის მითხარი, კაცო?! — ლოყაზე შემოიკრა ხელი.

— არ მითქვამს, მაგრამ ვიცი, იუარებ.

— ეს სხვა შოფრების ყაიდისა არ არის, ყმაწვილო, — ეუბნება დედაჩემი.

— რა ვი, ღმერთმა ქნას. შოფრებისას რას გაიგებ, ძალად სწავლობენ ტყუილს.

— კახავ, მეჩქარება, — არაყს ისხამს ძმაკაცი, — თქვენ ოღონდ დაკრიფეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს. ღილის მაღლი შეგეწეოთ!

— ამინ! — უმტკიცებს ნიკა პაპა.

— საღამოთი ამოგვალი, — ისევ აავსო ჭიქა, — ორი სახარება შეგეწეოთ!— გადახუხა, მანქანა დაქოქა და მოძუძგა. მაინცადამაინც არ ჩამოვკიდებივარ, დარჩი-მეთქი, ისე ვუთხარი, ცალყბად; შოფერია და გზაზე დგას.

— კარგი პირი უჩანს მოსავალს? — ვეკითხები.

— ნუღარ იტყვი!—მიდის და მივყვები. ვენახში შევედით, — რა ვენახი გაქვთ. შვილო, მტერსაც კი იამება, — გაჩერდა, — აი, კახაბერო, შენი ჩამოხლულია ეს მწვანე. ნაცარი ააშორა მამაზეციერმა და იმიტომ არის ეგრე აყვირებული. ამ საფერავს ხომ უყურებ? ამას ხირხატი შველის. ნარბილში არც საფერავი ვარგა, არც რქაწითელი. ეს რქაწითელი ძალიან არის დატვირთული; სად გაგონილა, ბიჭო, სამი რქა და სამი ნეკი?! შენ რომ შვიდი ძმა კიდევ სხვა გყოლოდა, ვითომ საიქიოდან მოგაბრუნებდა დედაშენი? ეგრე კი არ არის, შვილოსა. არც კაცის დაჩაგვრა ვარგა, არც ვაზისა. უნდა მოუფრთხილდე, იმდენი აკკიდე, რამდენსაც მოერევა. განა ეს არის და მორჩა! სხვა შემოდგომაც მოვა. ეგ ვაზი მერმის პირის გასასველებელსაც ვეღარ მოისხამს. ნოტიო ამინდები იყო წელსა და დედაშენმა ცა გამოზომილად გაუხსნა. ალღოიანი ქალია ნინო. როკა გვალვაა, ცა მაშინ უნდა გაუხსნა ნაკლებად. ყურძენს ხელი შეაწოდე, ვიდრე ნამიანია.

მზეში ირხევა ჩემი ცაგახსნილი ვენახი, ჩემი დავიწყებული ვენახი. დავდივარ ხალათამოჩაჩული, თმააბურძგნული, ფეხშიშველი. მიხარია ყველაფერი; თქვენ კი ამ სიხარულს ვერ გამიგებთ, ჩემო თბილისელო ძმაკაცებო.

— წამოდით აქეთ, — გვეძახის დედაჩემი, — წამოდით, კახა!

ქოხთან გავედით. მოლზე კიტრი, პამიდორი, ნესვი, საზამთრო ყრია.

— ეს რა ნესვია?! — ჯავრობს პაპა,— შვინდარწლის ბუჩქში შემასწრო ერთმა მუხანეისმა, იქ არის გატრუნული, შენ ის წამოიღე! წიწაკაც გამოაყოლე, სალათას ისე როგორ გავაკეთებთ, რძალო?!

მზეზე გაფიცხებული ხვართქლა დავიფინე და დავჯექი. მივირთმევ ცივ საზაამთროს, ცივ ატამს, ნამიან ყურძენს და სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის.

მალე არაყი მოგვეკიდა და დედა ვუტირეთ ყველას, ვინც ომს აპირებს და ჩვენს სავსე მამულს ემუქრება.

— ცოტა სიბრალული იქონიეთ! — გვირჩევს დედაჩემი.

— კარგი ვენახი გქონია, წეღან გადავეხედე. შენს მარჯვენას გაუმარჯოს, ნიკა პაპავ!

პაპა შუბლშეკრული მომჩერებია.

— შენი მამა-ბიძანიც ეგეთები იყვნენ, როგორსაც შენ გიყურებ. ისწავლეს წიგნის კითხვა და ლოთობაც ისწავლეს. ცოდოს ვერ ვიტყვი, ტყუილი არ იცოდნენ. არავის დაუძალებია შაქროსთვის, თავისით წავიდა ომში, წავიდა და იქ დარჩა. ვახტანგსაც ეგრე დაემართა. ომის წინა წლებში, მამაშენი სიღნაღში...

— ეგ ვიცი, დამისხი, — ჭიქაზე ვანიშნებ.

— რა ვი, შენი გვარისა ჯერ ბალიშზე არავინ მომჯდარა. რაღაცას ისწავლიან ხოლმე, მაგრამ მერე დაბორიალობენ, აღარ იციან, რას წააწყდნენ. შენც იმათი ჯილაგისა არა ხარ? შენზე მსმენია, ქალაქში წანწალის მეტი საქმე არაფერი აქვსო.

— დამისხი თუ მისხამ. აი, რას ვეტყვი: დავწანწალებ თუ დავბარბაცებ, ჩემი საქმეა, არავის ვაწუხებ, ჩემთვის ვარ, გაიგე?

— იმასაც ამბობენ, რომაო, ისე ხატავსო, ფიცარზე კაცი რომ დახატოს და ის ფიცარი ღობეზე მიაყუდოს, ჩაივლი და გამარჯობას ეტყვი, იგეთი ნაღდი იქნებაო. აბა, რა ვიცი! აქ ჩამოხვალ და თოხნი, იქ ჩახვალ და... რა ვიცი, მამისეულ სახლს აგური ვერ მოუმატაო! ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— კაცო, რას გადამეკიდე?! სხვა რამეზე ილაპარაკე.

— მართალი იქნება, იმიტომ გწყინს. დედაჩემმა არყის ბოთლი აავალაცალა:

— გეყოფათ, მერე ღვინოს ვეღარ დალევთ!

— ეგ მინდოდა მეთქვა, კახაბერო! წავალ, სახედარს მიეხედავ.

ვიფიქრე, სოფელში უფრო დავბრუნდეს-ნებ-მეთქი, მაგრამ...

— ვინც ეგ გითხრა, აქ ჩამომიყვანე. ვნახოთ ერთი, ჩემზე მეტს გათოხნის, თუ ჩემზე უკეთესად. სამამულეს ნეკისაკან ვერ არჩევენ! რაც მე გავაკეთე, სხვამაც გააკეთოს! ხვი ვენახად ვაქციე, აქ არ იყავ?! მარტო ვედროებით ასი ტონა ქვა მექნება გატანილი! სამი წელი შევაკალი ამ სატიალე მიწას. მას შემდეგ თირკმელების ტკივილი ვეღარ ჩამიყუჩეს, თვალები შემიშუდა, ხალხს კი ლოთი ვგონივარ! თვითონ ერთმანეთს გოჯობით ჰპარავენ ეზოებს, სხვის კაცობაზე კი წაიგრძელებენ ხოლმე ენას!

— უმაღლესი დაამთავრა და მიწას ვერ გაექცაო, განა საჩხუბრად ვეუბნები, შვილო.

— ეჰ. — წამოვდექი, ღობის ჩრდილს შევეფარე, — გული ამტკივდა. რომელ ეროს მივხედო, ყველაფერი მტკივა, მაგათ მარტო ტყეში სიარული ჭკნიათ საქმე!.

— ეს რა ღვთის წყრომაა! — გაჯავრდა პაპა, — ეგეთი ძარღვებაშლილი როდემდე უნდა იყო, ბიჭო! აგე, ოსმალეთში უწერვს შენი ღრიალი...

ისევ ჩავსხედით.

— დილაც ამას ჰქვია, კახაბერო, — ისე ამბობს, თითქოს აქ არაფერიაო.

— ღმერთმა დასწყევლოს!

— ადე, შვილო, — მეუბნება დედაჩემი, — სამი მწკრივია დარჩენილი და ვიდრე ჩამოცხება, ძირები გამოუთოხნე. სტუმრების ჩამოსვლამდე კი მთელ ვენახში უნდა მოვატა�თოხი.

—დააცადე, ცოტა ხანს დაისვენოს, სალაპარაკო მაქვს ამასთან.

— ჭრიჭინა რომ ამღერდება, მაშინ ილაპარაკეთ, ყმაწვილო.

— მე რომ ახლა მინდა?

მხართეძოზე წამოვწექი, პაპაროსს ვაბოლებ, თან ქალაქორ ამბებს ვყვები.

— რა ხალხია ე ქალაქელობი, ერთხელ არ მოგხვდავენ რთვილამდე, აბა რა გიჭირს და აბა რა გილხინსო?!

— ადე, ბიჭო, რა გითხარი!

— ჰო, კარგი, ამომასუნთქე!

— აღარ დაასვენებ? — უბდღვერს პაპა.

— მერე დაისვენოს, ყმაწვილო!

— ვითომ ახლა რა უჭირს? ან არადა, წადი, ბუდეშორებს გადაავლე თვალი, აქ ჩვენ რას გვიყურებ?

— არ გესმის, კახავ?

— ეს რა ქალია, კაცო, რა ღმერთმა გადმომგდო, ჰა! ეგ რომ ბომიჯნედ არ მყავდეს, მარტო მე რას მოვიგერიებდი ამდენ უსაქმურსა და მაწანწალას. იმ დღეს ჩვენს საურმეზე აბრიამ გამოიარა. აუუყირდა დედაშენი: შენ თუ კი სულისა ხარ, ერთი ეს მითხარი, რა გრილალი გაგაქვს ამ დატკეცფილ ვენახებშიო. მამუკას ძაღლი გადმოვრეშოდა ხოლმე თქვენს ვენახში და მიირთმევდა ადრეულა ყურძენს. რა ყელზე დაადგებოდა რა! დედაშენი დამეფერა მამუკას, ბოთვერა არ ჩამომაყვანინონ აქაო, თორემ გაჩვენებ როგორ მადაზეაო. მერე იკადრა დამა, მაშა! ამ გაზაფხულზე კიდევ ჯიბმ გამოკრიფა სატაკური თქვენს ყორეზე. დაიჭირა დედაშენმა, საყელოში ჩაავლო ხელი: შე უნდილოო, შე ლოთოო (ღვინო-არყის გემო კი ჯერ არ იცის!), ვაჰ, კაცო! ერთი არ წამოსცდება, შენ ჩაგამცხედროს შენმა პატრონმაო და ამისთანები.

— რად უნდა დავწყევლო, იმასაც ჰყავს დედა და მეც მყავს შვილი. კარგი ბიჭია, დახტის, ჭიდაობს, ჩხუბობს, არ ისვენებს, სულ ცხვრ-პირი აქვს ჩამოლეწილი. ზოგჯერ ასეც უნდა. თუ ცოცხალი ხარ, ცოცხალს უნდა ჰგავდე. რა მოხდა, ფრთამოკეცულები დამიწვა? ესეც არ იყოს, სატაკური მე როდის დავთესე, თვითონ ამოვიდა. გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე, ბალახი ბალახია, ამის გულისათვის როგორ დავწყევლო. კარგი ბიჭია, გაუმრავლდეს შშობელს!

პაპა კუნძზე ჩამოჯდა, ქალამნები გაიხადა, მომიტრიალდა:

— ,,ახაბერო, ხელადა ორმოში ჩადგი, ზვეიდან ლეღვის ფოთლები წააყარე, ჩავაციოთ. ეგ ვარიაც დაჰკალი და ვიდრე მოფიშფიშდება, გამოვთხნოთ კიდეც. წავალ, თოხებს ამოვიტან.

— რას ამბობ,—გაწყრა დედაჩემი, ამ სიცხეში ბალღს ვენახში მოვგუდავ?! საღამოს გამიჩორკნეთ.

— ახლა აჯობებს, — უკანმოუხედავად მიდის პაპა, — ბალახი ჩაიფუფუქება.

ამოიტანეს თოხები და დავყეენით ზვიდან. თავზე ვაზის ნამხრევის გვირგვინი მახურავს, მზე მხრებზე მაწვება. მიყვებით მწკრივებს, მიესაუბრობთ.

ჩვენს ვენახს გზის მხარეს სარწყავი არხი ჩაუდის. მოჩუხჩუხებს წყალი, ბარე საქმრემდე მომწყდება. გავედით ბოლოში. ერთი მწკრივიღა დარჩენილი, მაგრამ რაკი არხის მხარეს გუთანი ვეღარ მიუდგება, ის ცარიელი მიწაც გამოსათოხნია. არ გამოთოხნი და კლანძა ბალახი შემოძვრება ვენახში. თუ შემოგვეპარა და ფხვიერ მიწაში წყაო თავი, როცა გააგდო, მაშინ დაიტრაბახე!

— კახაბერო, არ აჯობებს, შენ შენი მუშაობა გაიხსენო, მე ჩემი სიჯელე?

— აჯობებს.

— დავიწყოთ?

— დავიწყოთ და დავიწყოთ!

— აბა, მომყე, — დაიბუხუნა პაპამ, — მომყე! ეგრე არ უნდა ამასა! გენაცვალე! — მიხტის, აჩქარებით უსვამს თოხს, მიწას კორიანტელი ასდის.

— მოგდევ, არ დამიცადო! — მეც მიეხტივარ.

— მიდი, მიდი, დალოცვილო! ნუ გეშინია, ფესვს არ შეგაჭრი. მიწა კი არა, ოქრო ხარ, ოქრო! მიდი, კახაბერო!

გავასწარი. ცხელი ოფლი წურწურით ჩამომდის. ,,ეცხლი მიკიდია. მზე ასლა კისერზე მაწვება.

— მიწა გადაიყარე ფეხებზე, კვალი არ დატოვო, კახაბერო, ღმერთმა დაგაბეროს! მიუსვ-მოუსვი, მიუსვ-მოუსვი!

დავაგდე თოხი და რადგან გასატეხი თავი არ მაქვს, გვერდულად გადავეშვი არხში. გადაეტრიალ-გადმოეტრიალდი. ამოვხტი ისევ, ვეცი თოხს. გავხედე: ნიკა პაპას მთელი სარით გაუსწრია.

კარლო კობერიძე

ჩემი ცაგახსნილო ვენახო

— ეგ რა ჰქენი, ბიჭო, უფრო დაინიცხები. მიუსვ-მოუსვი! უკან მიიხედე, ბალახი ხომ არ მოგდევს? დაგიბრიყავ?

— ვინ დაიბრიყავ?! მეორე სარზე წამოგეწევი.

წამოვეწევი, მა რა იქნება: დაუგრძელებია თოხი და ჩემს წილსაც თოხნის.

— წელში გაიშალე, კაცო, დააცერავე თოხი, რა ეროსავით იქნევ? მაგრე ბარაქას ვერ მოკიდებ!

— ყურძენს უმარჯვე თოხი, პაპავ, მოუხდება.

— განა იქიდან ვარ ჩამოსული, სხვათა ქვეყნიდან: ეგ ხომ მე გასწავლე, ლაწირაკო!

ის მწკრივს მისდევს, მე ცარიელ მიწას ვჩიჩქნი. გახურდა ტანსაცმელი და უარესად ამიწვა ბეჭები.

— ვენაცვალე, ბიჭო!

მივდივარ და ხვინჭაზე მიწკრიალებს თოხი.

— ვიმღეროთ, პაპავ, მე და შენ რომ ვიცით, ისა.

— აბა, ამყე! „ირემმა ირემს ახარა“...

ისევ გადავეშვი არხში. გადახტომაში ბაყაყები მჯოხნიან, ამოხტომაში მე ვარ მაგარი. ამოვვარდი, სარს წამოვედეჯერ რა ხალათი მეცვა და ისიც დავხიე.

— ეგ ძველი და სხვა ახალი, კახაბერო, რამ დაგაჯანდავა, კაცო? შეინაცვლე თოხი!

მაშ ამან უნდა გამასწროს?! გავგიჟდი, გადავრეიე; მართლა გავიხსენე ძველი, — დავგტრიალდი, მაგრამ...

— აგაშენოთ! — ქვას ყუთი დაპკრა თოხი, თავში გავედიო. მოტრიალდა და ჩემს სვეს მოპყვება, — გეხმარები, ჯელო! შე უსირცხვილო, შენა, ამის იმედი მქონდა?

— რა დაახმაურე ვენახი, ყმაწვილო! — ხითხითებს დედაჩემი.

— აგრე უნდა! არ გავახარებ მტერსა! მაგას ხომ არ ჰგონია, ნიკა ძილში გაიპარებაო?

— აუჰ, — ამოვისუნთქე თავისუფლად. თოხი ჩრდილში გადავისროლე. მინდა ნელა ჩავიდე არხში.

— მოიცა, — შემაჩერა პაპამ, — ცოტა დაისვენე, არ დაგცადოს. მიჩვენე ხელები, — იცინის, — ბებერები დაგაჯდა? გაგეხუმრება ამაღამ, გაგამწარებს.

— ავიტან როგორმე...

მზე ცივგომბორისაკენ გადიხარა და დედაჩემმაც მითხრა:

— ადე, საქმეს მივხედოთ.

კარგი-მეთქი, ავდექი.

ყველაფერს ეკრეფთ: პამიდორს, კიტრს, ნესვს, საზამთროს და საურმეზე გაგვაქვს.

— კიტრს კიდევ არა უჭირს რა, — ვებუზღუნები, — ჩავამწნილებთ მაინც: რა ოხრად გინდოდა ამდენი ნესვ-საზამთრო? გაყიდვით შენ არ გაპყიდი. ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ მოახერხებ; ჭამით ხომ ვერ მოერევი და ვერ მოერევი!

— ცოტა მიმსვლელ-მომსვლელია? ნათესავი, მეზობელი, ეყოფთ კი?—თავს იმართლებს.

— მიმსვლელ-მომსვლელზე რა მოგახსენო, მაგრამ აი, მეზობლები და ნათესავები ცოტა რომ გატოკდნენ, თვითონაც ექნებათ. შენ რა, გადაგიწყვიტეს? დედა ხარ, მაგრამ როცა მე ვარ მართალი, უნდა გაჩუმდე.

ნიკა პაპა ყუთებში ძურწა ბალახს აფენს და შიგ ფრთხილად ალაგებს პამიდორს. კიტრი ტომრებში მოვაქციეთ. ცალკე ნესვია დახვავებული, ცალკე — საზამთრო.

მოვრჩით კრეფას. აგრილდა. მუხლი ჩავხარეთ და ძმაკაცმაც თავისი დანჯღრეული მანქანა ორღობეში შემოაროხარახა.

დედაჩემიც ძარაზე ამოვიდა. ნიკა პაპა ეხვეწა, კაბინაში შენ ჩაჯექ, მაგ კალათებსა და ყუთებს მე მივხედავო, მაგრამ არ ენდო, ჩემსავით ვერ მიჰხედავო. არც იმას ენდო, არც მე, ძარაზე ამოვიდა. ხან ყუთებს ეხლაუჭეშა, ხან კალათებს. ჩაჰკრავს მანქანა ორმოში თუ არა, „ვიჰ! ვიჰ!“ — ყვირის დედაჩემი. აჩერებს დაფეთებული შოფერი. ფერფერური გადასდის. კითხულობს, რა მოხდაო? რა უნდა მომხდარიყო, არაფერი-მეთქი, ვპასუხობ. ისევ ვაგრძელებთ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სოფელში შეეფდით, მაშინღა გაგახსენდი დედაჩემს:

— აბა, გაიხედ-გამოიხედე, ვის აქვს ეზო ძეძვით შეღობილი?

— რაზე მეუბნები მაგას?

— ჩვენს გარდა ძეძვის ღობე არავის აქვს.

— მე სხვას არ ვუყურებ.

— როდის რაღას უნდა ვეღირსოთ, შვილო?

— შენ გგონია, მე არ მედარდება?

— სამაგისოს რომ ვერაფერს გატყობ?

— ცოტა დამაცადე, იმ ღობესაც გამოვცვლი, სახლ-კარსაც მივხედავ.

— ახალ ძეძვს ჩამოიტან?

— ამის შიშით ვეღარ ჩამოვდივარ სოფელში. ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, სხვა რამე მაწუხებს, სულ სხვა!

— მე შენი მაინც ვერაფერი გავიგე.

— ვერ გაიგე და სულ გამანებე თავი!

— თავიც დანებებული გაქვს, ყველაფერიც... სირცხვილად სახლიც გეყოფა, დანგრეული სახლი.

მანქანა გაჩერდა, ნიკა პაპა გადმოვიდა. ამბოხდა.

— კახაბერო, შენი გულისათვის ამოვედი ვენახიდან. ამაღამ ჩემი სტუმარი ხარ, ჩამოდი, იქ აღარ ამომიყვანო, ერთ საათში ჩამოდი!

თავისი კალათები გადაიტანა.

არც ჰო მითქვამს, არც არა. ცუდ გუნებაზე ვიყავი. ტანისამოსი არ გამომიცვლია, ისე წამოვწექი ტახტზე. დედაჩემი ახლოს არ კამეკარა. ყველაფერი მე შევაბარეე მარანში. სალათაც ჩემი დასაჭერელი გახდა. ეგ კი არადა, ჭიქაც არ ჩამომტანან. რის ვაი-ვაგლახით გავუმასპინძლდი შოფერს, თუ ცარიელი პამიდორის ჭამას და ორი ჭიქა ღვინის დალევას გამასპინძლება ჰქვია.

— ნინო ძალო, კახა გამოახედე, — დაიძახა ვიღაცამ.

— როგორ შეიძლება?! — გაიოცა დედაჩემმა, — განცხრომაშია, ვერ გავდგიმე.

— რა გინდა, ბიჭო, ვინა ხარ? — გავეხმაურე.

— ნიკა პაპამ დამბარა, ჩამოდი, გელოდებიო, — პატარა ბიჭის ხმა იყო.

— დაიკარგე აქედან! — სხვა რამეზე გაჯავრებულმა, იმას დავუტაატანე.

არ გასულა ათი წუთი და ნიკა პაპაც მოვიდა. წამოვხტი, სკამს წავატანე ხელი.

— დაბრძანდი!

— არ მინდა, — მომაშტერდა, — შენ უჭირე აბრაგანი ბიჭსა?

გავჩუმდი.

— ჩავალ, ღვინოს ამოვიტან, — ხელადა ავიღე მაგიდიდან.

— ჩემთან უნდა წამოხვიდე, — მხარზე დამკრა ხელი.

— ვერ წამოვალ.

— წამოხვალ!

— დაღლილი ვარ, დასვენება მინდა.

— არ წამოხვალ და სულ მიგელწევ იქაურობას. შენს კისერზე იყოს!

— აბანაში წასასვლელი ვარ, ტანსაცმელი მაქვს გამოსაცვლელი, — ასე როგორ წამოვიდე?

— მე გასწავლი: რიგრიგობით გადმოადგი ფეხები და გამიმყე.

აივანზე გავდიოდი, არ გამიშვა:

— თუ წამოხვალ, წამოხვალ, არადა...

— ხელ-პირი მაინც დავიბანო, კაცო!

— იქ დაიბანე.

რომ არ წაყვყე, მართლა გადაირევა; გზიდან ვერ გადაახვევინებ; ამდროულა კაეი და ქვის ნატეხი, მართალი გითხრათ, სხვაგან არ შემხვედრია.

— კარი, წავიდეთ.

— რა იქნა დედაშენი?

— დედაჩემი? — გავჩერდი. — დედაჩემს დაბაში გამოუძახეს სასწრაფოდ; კრება ყოფილა და ხომ იცი, უმაგისოდ არ ჩატარდება.

— დედაკაცების კრება?

— ჰო, დედაკაცებისა.

მეორე ოთახში შეეიხედე, დედაჩემს მოვკარი თვალი, ეღიმებოდა. ხითხითით ჩავეედი ეზოში...

შოთებშუა მრგვლად მოხარშული ქათამი გულალმა დევს, ბარკლები აუფშეკია. დანა ხელადაზე ავლესე და ქათ-

მის აქნას შევუდექი. ეკა ბებია სიყვარულით მომჩერებია.

ნიკა პაპას თავისი საქმე აქვს, სავსე ყანწს მაწვდის:

— კარა დამილოცე, კახავ, — მერე ეკას ეუბნება, — დედაკაცო, ვეღარ მორჩა ფერუმარულის გაგლესვასა?

— ვინა, პაპავ? — ეკეთხები.

— გვანცა, ჩემი ქალაქელი ნათესავი.

— მერამდენე ქმარი ჰყავს? — მეღიმება.

— რას ამბობ, — გამიწყრა ეკა ბებია, — ჯერ ხომ ახლა წამოჩიტდა?!

გაიღო შუა კარი, შეეტრიალდი: გოგო შემოვიდა. ავათვალ-ჩავათვალიერე: გამოყვანილი, გულამოღებული კაბა აცვია, ფერადი კაბა. თმა მოკლედ აქვს შეკერჭილი. ბევრი რომ არ გაეგრძელოთ, მარწყვივით გოგოა! გაბაცნეს. ვერაფერი მოვახერხე და ისევ კეფა მოვიქეცე. გვერდით მომიჯდა.

— სულ შენზე ლაპარაკობენ მთელი საღამო, — მეუბნება გვანცა, — ვიფიქრე, ნეტავი როგორი ბიჭია-მეთქი.

— ქალაქელო, იქნება დაგვიწუნო სტუმარი? — ხელები უთახთახებს ნიკა პაპას. მე ფრჩხილებზე ვიხედები.

უხერხულობამ გაიარა და გავშინაურდი კიდეც. მაშინ იყო, კარტი რომ გამიშალა. ეს შენ ხარო, მითხრა და გრილოში ნაგდებ გოგრასავით თავპირგაყვითლებული ჯეელი მაჩვენა: გადაუგრეხია ულვაში და დაყუდებული შუბთან. ეს კი მე ვარო: მოუხვევია თავშალი და მიცინის. შუბი კი არ უკავია. კიდევ კარგი! იმას ვამბობდი, ეს მე ვარო, სთქვა, ადგა და ჰმ, გულზე დამეცა. მე შენ გეტყვი, ვიუარე, გმადლობთ-მეთქი. გაიღიმა, რა ვიცი, იქნებ დაგახველოსო. გაგიგია, კაცო, მართლა არ დამახველა?!

ღვინოს არ ვსვამდი, ხასიათზე კი მაინც დავდექი.

— კახა მხატვარია, — გადმოისროლა ბებიამ.

— მართლა? — წამოხტა გვანცა, ფანქარი და რვეული მომირბენინა, — დამხატე.

— იგეთ რამეს კი არ ვხატავ, შენ რომ მოგაწონო, — მოვუქციე ჩვენებურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გატყუებს, გოგო, სულ ქალაქს არის, ნასწავლია, — ამხვევებენ.

— ესენი გურჯაანსაც ქალაქს ეძახიან, იქა ვარ შოფრად, მაა?!

— აქ პატარა რამეც უკვირთ, — იცინის გვანცა, — თბილისში არ ჩადიხარ ხოლმე?

— ხანდახან.

— საინტერესოა, რატომ ხანდახან?

— ფეხბურთზე ჩამოვდივარ ხოლმე. თბილისში თოვლი იცის?

— ზოგჯერ.

— რატომ ზოგჯერ?

— თოვლი ზამთარში მოდის. მაინც რამდენჯერ ხარ ნამყოფი?

— ბევრი-ბევრი ათჯერ. თუ მართალი გინდა, თერმეტჯერ ან ცამეტჯერ.

ისე მიყურებს, ვატყობ ვებრალები. ნიკა პაპა და ეკა ბებია კი თავისთვის ჭუკჭუკებენ.

— რა დახეული ხალათი გაცვია, ვერ დაკერებინე მაინც?

— რა ვიცი, რა მეხალათება, ამდენი საქმე მომაწყდა.

— ე, — სკამიდან წამოდგა პაპა, — ვერ უყურებ?

ვიღაცამ თავზე ხელი გადამისვა. ავხედე, დედაჩემი დამდგომია თავს.

— ძვირფასი ქალი ხარ, — ჭიქას აწვდის პაპა, — ჭერი დამილოცე. მეგონა, არ ჩამოხვიდოდი.

— ვითომ რატომ არ უნდა ჩამოვსულიყავ?

— რამე ხომ არ ეწყინა-მეთქი.

დედაჩემი სუფრის ბოლოში დაჯდა და ახლა დაკვირდა გვანცას.

— ეს რა კარგი გოგოა! თვალი არ მატყუებს, მართლა კარგი გოგოა! მოუხდება ჩემს აივანზე ბავლა-გამოვლა!

ჩავახველე, ვანიშნე, მხარი ამიბიმეთქი.

— ეგრე ამბობს, რომაო, შოფერს არ მივთხოვდებიო.

— აბა, ამ სიბერის დროს, მაგის გულისათვის, უმაღლესში ვერ მიგაბარებ. ესეც არ იყოს...

— რა გითხრა, ქალო, დაბაში უფროსობამ? — შეაწყვეტინა პაპამ.

— რის დაბა, რა უფროსობა, რას ამბობ?! — შუბლი შეიკრა დედაჩემმა, — მერე უცებ გაახსენდა: — ვინც ლოთიაო და ღვინო-არყის სმის მეტი საქმე არა აქვს, მუკუზნის მარანში უნდა გამოვამწყვდიოთ, ბარემ ჩაიხრჩოს თავი ღვინოშია; ისინიც მოისვენებენ, ჩვენცაო. მე ვუთხარი, ჩემი ბიჭი აღარ სვამსმეთქი და ადრე გამომიშვეს.

— რა კარგად მოუფიქრებიათ!—უხარია პაპას. — რა არის სწავლა-განათლება? რას არ მოიგონებენ, კაცო!

ახლა მე მეღიმება, დედაჩემი ხითხითებს.

— თუ თბილისში ჩამოხვალ, უეჭველად მნახე, — ხმადაბლა მელაპარაკება გვანცა, — ერთ ცნობილ მხატვარს გაგაცნობ, ჭანიშვილს.

— ღმერთი შენ გიშველის, მადლს იზამ! — ვიბადრები.

— თუ მართლა ხატავ, სადმე სასწავლებელში მოგაწყობს.

— აღარც დაგივიწყებ.

— თუ არა, დამივიწყებდი ხომ?

— მაგას ვინ ამბობს.

— ასე კი გამოდის და...

— თუ გამოიყვან, გამოვა, რა ჰქვია, იმ... რა გვარი სთქვი?

— ჭანიშვილი, ჭანიშვილი დათო, რა თქმა უნდა, არ გიცოდნიხა.

— შოფერი რომ იყოს, არ გამომეპარებოდა.

„ვიცნობ რომელია, იქვსი წელი ჯვარს გვაცვა მე და ჩემი ძმაბიჭები. მივდიოდით და მივათრევდით კურსიდან კურსზე. როგორც იქნა, დაამთავრა. გაძრომგამოძრომის კაცია და ყველაზე კარგად აქვს დალაგებული ცხოვრებაც და საქმეებიც. რას ჰქვია, არ ვიცნობ! იმას ვინ არ იცნობს!“

— სად განახავ ქალაქში?

— გამომართვი, — ქალაღდი მომაწოდა, — ჩემი ტელეფონის ნომერია, დამირეკე.

— როგორ დაგირეკო, არ ვიცი.

დედაჩემს სახეზე აუფარებია ხელი, ეღიმება.

— არ იცი? — ფანქარს წვერს უთლის გვანცა, — რა დიდი ამბავი ამბავ უნდა, ჩაადგენ ორკაპიკიანს.

— მომეცი, მე წავუმწვეტებ, ხუთკაპიკიანი არ შეიძლება?

— არ ჩაეტევა.

— ეგ რა მითხარი?

— ვინმეს თხოვ და დამირეკავს.

— იმან რომ დარეკოს, მე რა?

— შენ დამელაპარაკები.

— კარგი, ოღონდ არ დაგავიწყდეს, შენი იმედი მექნება.

— მაგაზე ფიქრი ნუ გაქვს.

— ბიჭო, — ეკა ბებია მეუბნება, — ან ჭამე რამე, ან დალიე. მაშ რისთვის დაგპატიქე?

— საკმარისად მივირთვი; სმით კი აღარ ვსვამ, ერთი ჭიქა ჭირადაც მეყო, ლხინადაც. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხვალ ხომ იცი, — დანარჩენს მარტო გვანცას გასაგონად ვამბობ, — ფიჩხზე ვარ წასასვლელი.

დედაჩემს ისევ ეღიმება, ზოგჯერ თუ გადაულაპარაკებს მასპინძელს; ისე კი ყური ჩვენკენ უჭირავს, რაღაც რომ გამოეპაროს, დარდი აღარ მოასვენებს.

— რა არის ფიჩხზე წასვლა?

— ძნელი საქმეა. თუ ამაღამ არ დაიძინებ, შეიძლება მამლისყივილამდე აგიხსნა, ძაან რთული რამეა.

— მალე უნდა დავიძინო. ღილით ადრე თელავიდან მანქანით ჩამოვლის მამა და ქალაქში უნდა წავიდე.

— ქალაქში რომ ჩამოვალ, მაშინ აგიხსნი ტელეფონით. სწავლობ?

— სამედიცინოზე ვსწავლობ, მეოთხე კურსზე.

— გეყოფა, ადე, შინ წავიდეთ, შვილო, — თვალებს ისრესს დედაჩემი.

— ცერის ჭამა ხომ ახლა დავიწყეთ, დედი.

ამ დროს სად იყო, სად არა, ერასტი შემობლატუნდა. კაი გამრჯე კაცია, მაგრამ ერთი პატარა ნაკლი აქვს: ლაქლაქი უყვარს.

— გამარჯობათ. რატომ არ დამპატი-

ქე, ნიკავ? ეს რამდენი ნათურა გინთიათ, ხალხნო, თვალები მაინც არ გენანებათ?

— დაპატიჟება რად გინდა, ისე ვერ გვინახულებ? — დაასწრო ეკა ბებიამ.

ერასტი გადაკრულში იყო. აიღო ჭიქა და მისი მოსვლის და ჩვენი კეთილად დახვედრის დალია. მერე ფუძის ჩამყრელის, ჩვენ ვინც ვადღეგრძელეთ, იმათი და... მერე იატაკმა რყევა დაიწყო. დამადგა თვალი და აღარ მომაცილა.

— ვინ არის ეგ გოგო? — დამჩერებია მაღლიდან.

— დაჯე, კაცო, გეტყვი.

— არა, ვინ არის-მეთქი?

— გეტყვი, მოიცა.

— ჰა, მალე, თორემ მივდივარ. — თან დაჯდა.

— წადი და წადი, კაცო, რა გული გაგვიწვრილე! — გაბრაზდა პაპა.

— შენს ჯიბრზე ამაღამ აქ უნდა ვიყო. — მერე კისერში ჩამარტყა ხელი, — შენ გეუბნებიან, კახავ, ვინ არის ეს ბალღი?

რაკი არ მომეშვა, ვუზურჩულე:

— ჩემი საცოლეა.

— ბიჭოს, — წამოხტა, — მაჩვენე, გოგო, ხელები.

გვანცა ვერაფერს მიხვდა, ვერც გაიგო. ხელები ცხვირთან მიუტანა.

— კარგი თითები აქვს, — ვთქვი მე.

— რაღაცას მატყუებ, — დაეჭვდა ერასტი, — ყურები არ აგაგლეჯო, მიფრთხილდი. რა უყო ბეჭედი?

გადავიხარე და ისევ ვუზურჩულე:

— ახლა მოდაში დიდი საათია, მაჯის საათი. მეც ის მოვუტანე.

— კიდეც იმიტომ! — გვანცას მიშტერებია,—მაგეთი საათი მინდოდა მეყოფნა ჩემთვის, მაგრამ სადა მაქვს დასაწყვეტი მაჯა. მე მაგის ტარებას მოვუნდები და ქაფჩა როგორღა წავიღო სამუშაოზე, კაცი ვიშველიო?

წავალო, სთქვა, და წავიდა რაცრაციო.

— რა ბეჭედიო, რა სთქვა? — დაინტერესდა გვანცა.

— მთვრალი იყო და რას ლაპარაკობდა, თვითონაც არ იცოდა.

— ვნახოთ, თუ არ იცოდა, — სთქვა პაპამ.

— მეც ეგრე ვფიქრობ, — დაემოწმა დედაჩემი.

ავიშალენით. სხვებს ღამემშვიდობისა, გვანცას გზამშვიდობისა ვუსურვეთ და წამოვედით შინ.

— რატომ აურიე? — მისაყვედურა დედაჩემმა.

— გოგოებს უხარიათ, როცა მათ ჭაუას ეკითხებიან, როცა სილამაზის გარდა, განათლებასაც უქებენ. ასეთი რამ მათ პატარა ბიჭებივით უხარიათ. ისიამოვნოს, რა მენაღვლება, — ვუპასუხე.

დარაჯმა ახლახან ჩამოიარა სკოლიდან, იმანაც მომილოცა.

— ჯერ სადა ხარ! — მეუბნება დედაჩემი, იცინის, — ჯერ ხომ დილაა, ვნახოთ, საღამომდე რამდენი მოგილოცავს. სხვას არ დააბრალო. რაკა არ მიჯერებ, ყოველთვის ასე გაძართება.

მართლაც ჩემი ბრალია. რომ არ ვიცნობდე ერასტის, როგორმე გავიმართლებდი თავს. თუ გაახსენდა, ბებია ვასასისაც მიაწვდენს ხმას იმერეთში. იჯექი ახლა და იფიქრე გაქცევაზე!

— ჩაიტანე სკამი და დაჯექი ჭიშკართან, ასე ასვლა-ჩამოსვლით ფეხები დაგაწყვდება.

— ეგ მერამდენედ უნდა მითხრა?

— მაინც არ გესმის და რაღა ფასი აქვს, ერთხელ გეტყვი თუ ასჯერ.

არა, მაინც რა მწარედ შემომითვალა ბიძაჩემმა, იმ ერთხელ რომ უჩემოდ დანიშნე ქალი, რაც მაშინ მოიგე, ახლაც იმას მოიგებო. მართალია ბიძაჩემი, რას ერჩი! ძმაკაცებიც გადაირიენენ. მეზობლებმა... ეჰ, არ ღირს ლაპარაკი, ისევ თავიდან რომ მოვკვე, მაინც არ დამიჯერებენ.

დედაჩემს ისე მოუხვევია თავშალი, რომ მარტო თვალებიღა უჩანს. ივიანზე გამოუტანია ვარცლი და ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ, — ატყაპუნებს საცერს.

— ნანავ, თუ არ გამართლდეს, წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ნანავ, თუ არ გამართლდეს! აი, რა ვნახე...

— არ მინდა, მამიდა მოდის და პასუხის გასაცემად უნდა მოვემზადო.

გადამარჩინა მამიდამ, თორემ რა მოისმენდა ალაზნის სიგრძე სიზმარს! დაიწყებს დედაჩემი, დაიწყებს და აღარ დაადგება საშველი ბოლოში გასვლას. მერე, იქ არის თუ არ არის, მამაჩემი მაინც უნდა ახსენოს, მიდი და უმტკიცე, იქ არ იყოო. ზღაპარში მოედავები კაცს რამეში, მაგრამ სიზმარი სხვა რამეა. სიზმარში სულ ადვილად შეიძლება ტყუილის თქმა. სიზმრები სიცრუეს გვაჩვევენ...

ბოლოს და ბოლოს დედაჩემიც ამთავრებს სიზმარს, უფრო სწორად ავიწყდება სიზმარი და მიყვირის:

— გაახილე თვალი! ეგერ, ე, საკუთარი მხრებით რამხელა შენობა წამოჭიმა მამაშენმა, შენ კი... პირდაპირ წუთისოფელს მიწამლავ.

— ჩავალ, ფიჩხს დავკუწავ.

— ჩადი, როცა მუშაობ, მაშინ უფრო მარჯვედ იცი სიტყვის შებრუნება.

დაბლა ჩავდივარ და მამიდაც შემოდის ეზოში.

კარლო კობერიძე
ჩემი ცაგახსნილო ვენახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ვარშანიძე

ვფიცავ!

ვის უკვირს, „მაჰმუდ“ [1] რისთვის დამარქვეს,
რად გადამყარეს სახელს უცხოთა,
გული წამართვეს, თურქი გამხადეს?
ვაი, ისემაც სული უცხონდათ.

ჩვენს დედას, მამას აუგს ნუ ვკადრებთ,
აუგს ნუ ვკადრებთ ჩვენს დიდ წინაპარს.
ქვევრი ღალადებს, ვაზი ღალადებს,
რაც ხვდათ წილადა.

გიკვირდეთ, ჩემი ქართული ენა
გადავარჩინე... და განა ბედად?
ვიწამებ ხატად, ვიწამებ ზენად
ამ-ა-რელ დედას.

და რომ სთქვას კაცმა, რაა სახელი,
ჩვენი გულია, ვიცი, ღვთიური;
ვითარც ქედუხრელ დიდი კახელის,
დიდი ხევსურის, დიდ მთიულის.

გული წამართვეს, თურქი გამხადეს?
ვაი, ისემაც სული უცხონდათ...
ვფიცავ, ჩემს პირმშოს მე არ დავარქმევ
სახელს უცხოთა.

☆ ————

[1] მაჰმუდი — ჩემი ძველი სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახილი

მე ვნახე მთები, მაღალი მთები,
მისი სილურჯე და საოცრება,
გავბრუდი მისი მშვენიერებით,
ცად მიმაფრენდა ჩემი ოცნება.

ზღვა ვნახე, თავი მეგონა ზღაპრად,
და აქ დავსახლდი და დღეს ზღვაზე ვარ,
დავუჩოქე და ხელნი აღვაპყარ
და დაცემული მან აღმაზევა.

მანამდე მქონდა საუნჯე დიდი,
მანამდე ქვეყნის მეუფე გავხდი,
მაგრამ ეს გული ვერ დავიშვიდე,
ვერ გადავურჩი იდუმალ ძახილს.

ის მომძახოდა მარად და მარად
და სევდა გულში ვეღარ ჩავიკალ,
ბოლოს მე ვნახე ჩემი აჭარა,
დავიჩოქე და გულში ჩავიკარ.

დავით ჯავახიშვილი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექვრცველები

მოთხრობა

გამოჩენილ ამერიკელ ნოველისტს — ო'ჰენრის — ვუძღვნი ამ იუმორისტულ ექსპერიმენტს

ზუსტად აღარც კი მახსოვს, როდის „აღმოვაჩინე“ ო'ჰენრი, მაგრამ მეხსიერებაში დღემდე წარუშლელია ის შთაბეჭდილება, რაც ჩემზე მოახდინა პირველად წაკითხულმა მისმა ნოველებმა. ეს იყო ჯერ გაოცება, მერე—ისევე გაოცება და ბოლოს — აღტაცება. განსაკუთრებით მხიბლავდა ამ ნოველების საოცრად მოულოდნელი დაბოლოება, ზოგისა — მხიარული და სასაცილო, ზოგისაც — სევდიანი და სამწუხარო, მაგრამ ყოველთვის და აუცილებლად — მოულოდნელი. თვითეული მათგანი ერთგვარ თავსატეხად იქცა ჩემთვის. დიდი მონდომებით ვცდილობდი „ამომეხსნა“ რომელიმე მაინც. ხანდახან ჰა და ჰა! — თითქოს ვაღწევდი კიდეც მიზანს, მაგრამ... ბოლოს მაინც ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებული ვრჩებოდი და ეს ოდნავადაც კი არ მაბრაზებდა, პირიქით, უფრო და უფრო მხიბლავდა და მიტაცებდა.

მალე ეს გატაცება ჩემს ნაცნობთათვის ყოვლად მოსაბეზრებელი გახდა: ჩავიგდებდი თუ არა ხელში რომელიმე მათგანს, განურჩევლად მისი ვინაობისა და მიუხედავად მისი სურვილისა, თავბრუდამხვევი დაბეჯითებითა და დაწვრილებით ვუამბობდი ამა თუ იმ ახლად წაკითხული ნოველის შინაარსს (თუმცა იგივეს თვით ო' ჰენრი ჩემზე ბევრად მოკლედ და უკეთაც აკეთებდა).

დროთა განმავლობაში ავადმყოფობად ქცეული ამ ცუდი ჩვევით არა ერთსა და ორს შევაჯავრე ჩემი საყვარელი მწერალი და ბოლოს მეც იგივე ბედი მეწია. ის, რაც აქამდე ასე მხიბლავდა, ახლა უკვე მაღიზიანებდა და ლიტერატურულ ხელოსნობად მიმაჩნდა. იქამდე მივედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ო'ჰენრის თაყვანისმცემელთა ალყაში შემთხვევით მოქცეულმა, ასეთი სიტყვაც კი წარმოვთქვი:

— ნუ გამიჭირეთ საქმე თქვენი ო' ჰენ-

რით! მისი ყოველი ნოველა, როგორც იტყვიან, თითიდან გამოწოვილი ამბავია! უნიჭო რეჟისორსაც კი ძნელად თუ ეპატიება ისეთი ხელოვნური დამთხვევებისა და სხვა იაფფასიანი ხერხების გამოყენება რომელიმე ბალაგანის სცენაზე, როგორსაც ო' ჰენრი კადრულობს თავის ნოველებში! და ეს მაშინ, როცა მას რეალისტობის პრეტენზიები აქვს!..

აღარ მახსოვს, რა სასწაულმა ამაცილა აღმფოთებული ო' ჰენრისტების რისხვა. მათი გარემოცვიდან თავი რომ დავიძვრინე და შინ დავბრუნდი, ჩემთვის ერთ დროს ყველაზე საყვარელი წიგნთაგანი კაკლის ხის ძველებური კარადის სულ ქვედა თაროზე მივაგდე.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და, ერთხელაც ჩემმა უფროსმა ვაჟმა მიაგნო ასე უსამართლოდ მივიწყებულ წიგნს. აღტაცებისაგან თვალდაჭყეტილი, ნოველას ნოველაზე ყლაპავდა და გარდა იმისა, რომ ყოველი ფურცლის გადასაშლელად ჯოხზე წამოცმული ნაყინივით ლოკავდა თავისი მარჯვენა ხელის შუა თითს, ყოველ საღამოს გატაცებით მიამბობდა ამა თუ იმ ახლად წაკითხული ნოველის შინაარსს.

„აი, თურმე როგორი ყოფილა სინამდვილე, მისტერ ო' ჰენრი! — ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი! ყველაფერი ათასასჯერ მეორდება და არაფერია მოულოდნელი! თქვენ კი რიებს არ იგონებდით, არ გეზარებოდათ მაინც?" — ეფიქრობდი და დამცინავად ვიღიმებოდი. ხოლო როცა მაგონდებოდა, რომ უფროსი ვაჟის გარდა, ორი მომდევნოც მყავდა და ო' ჰენრის ნოველებს ძალაუნებურად კიდევ ორჯერ უნდა დაგბრუნებოდი, მიქრებოდა ღიმილი — დამცინავი ცა და სხვა ყოველვარაიც — და ჩემს ზურგზე თითქოს ჭიანჭველები დაცოცავდნენ. ეცდილობდი, არ მეფიქრა ამ არასახარბიელო ამბავზე და როგორმე დამეიწყებინა ო' ჰენრი. დიდი წვალების შემდეგ მართლაც მივიწყე მიზანს, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. ერთმა შემთხვევამ ცვლა შემაცვლევინა აზრი ო' ჰენრიზე. მას შემდეგ დღემდე იგი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია, და როგორც ნამდვილ მეგობარს შეჰფერის, ხშირად მეხმარება ცხოვრების ზოგიერთი უსიამოვნო სიურპრიზების ვაკაცურად გადატანაში.

აი ეს შემთხვევაც.

უთოვლო და ცივი ზამთარი იდგა. მოწმენდილი, მთვარიანი ღამეები დაბინერა და მაგრად ჰყინავდა. უთუოდ ამის გამო იყო, რომ საღამოობით ჩვეულებრივზე ადრე ცარიელდებოდა ქალაქი, ხოლო ერთხელ კი, როცა მე ნაქეიფარი შინ ვბრუნდებოდი, უკვე გვიანიც იყო და სრულიად უკაცრიელ ქუჩებში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

წვეულება, საიდანაც მე ვბრუნდებოდი, ფრიად ხალხმრავალი, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო. გაცხოველებული დისკუსია, თამადის სანაქებო ჭირვეულობის მიუხედავად, მთელი საღამოს განმავლობაში ერთხელაც არ შენელებულა. ვინ მოთვლის, რა არ ვახსენეთ და რაზე არ ვკამათობდით.

როცა ყოველვგარი სალაპარაკო და აგრეთვე მასპინძელთა ღვინის მარაგიც გამოილია, თითქოს წვეულებაც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს დიასახლისმა სხვათაშორის გვამცნო, რომ ღიღინთ, ტროლეიბუსით მგზავრობის დროს, მისთვის ჯიბიდან ამოუცლიათ საფფული, საბედნიეროდ — ცარიელი, რადგანაც ფულს იგი თურმე, ჩვეულებრივ, ისეთ ადგილას ინახავდა, რომ ამის თქმა მამაკაცების თანდასწრებით ეუხერხულა. დიასახლისის ნათქვამმა ჩვენი საუბარი გამოაცოცხლა. ახლა ბორტმოქმედთა სამყაროსა და მის მკვიდრთა მრავალფეროვან საქმიანობაზე აგლაპარაკდით. რომელი დროის ანერონვნების ქურდი თუ ავაზაკი გნებავთ, ჩვენ რომ გამოგვრჩენოდა და არ გაგვესამართლებინა?! გავიხსენეთ რამდენიმე ათასი წლის წინათ ეგვიპტეში მცხოვრებ მძარცველთა მთელი დინასტია, რომლის სიხარბესაც თვით უბრწყინვალესი ფარაონის — დიდი რამზესის ზღაპრული სამარხიც კი ვერ გადაურჩა;

დავით ჯავახიშვილი
მძარცველები

ავწონ-დავწონეთ ლეკთა მიერ გურამიშვილის დატყვევებისა და „ჯოკოდას“ ლეგენდარული გატაცების ფაქტებიც; დავგმეთ ალ-კაპონესა და მის მსგავსთა თავაშვებული თარეშიც ცათამბჯენების ქვეყანაში და სხვა. ბოლოს და ბოლოს „წრე შეიკრა“ და კვლავ დავუბრუნდით საუბარს იმ ქურდებსა და ჯიბგირებზე, ვისი სახელებიც თუმც ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში ჯერ არ შესულა, მაგრამ თვითონ კი, სამწუხაროდ, თბილისის ქუჩებს დღემდე თუმც კანტიკუნტად, მაგრამ მაინც შემორჩენიან.

ამის დასამტკიცებლად თითქმის ყველამ გაიხსენა თითო შემთხვევა საკუთარი, ან ვინმე ახლობელის ბიოგრაფიიდან. თამადაც კი არ დარჩა გულგრილი ამ ამბისადმი. ან კი როგორ დარჩებოდა, როცა სულ რაღაც სამიოდე თვის წინ, საღამოს ცხრა სააზე, პირადად მისთვის ვიღაც ნაძირალებს თითქმის ყველაფერი გაუხდიათ, რის შემდეგაც უთქვამთ, „ჯამაიკას“ ხმამაღალი ღიღინითა და ბედით კმაყოფილი ადამიანის ნაბიჯით გასცლოდა მათ (წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩენილი სამოსის გახდითაც დამუქრებიან, და რადგანაც მას — მხოლოდ ქართული სუფრული სიმღერების მოყვარულს — მათი შეკვეთა დამაკმაყოფილებლად ვერ შეუსრულებია, ამტომ — ეს უკვე მხოლოდ „გაფუჭებული ტელეფონის“ საშუალებით შევიტყვეთ— ვერც ამ სამარცხვინო სასჯელს გადარჩენილა).

თამადის მოადგილის სიდედრისათვის კი აგრეთვე არც ისე დიდი ხნის წინათ ოქროს საათი და ვერცხლისფერი მელნის საყელო წაუართმევიათ და სანაცვლოდ უფარგისი მაღვიძარა საათი და ცოცხალი, ბინძური კატა უზრუნველიათ (რასაც თურმე თამადის მოადგილე და მისი სამი ქვისული ყოველთვის უდიდესი სიამოვნებითა და ღვარძლიანი ხითხითით იხსენებენ ხოლმე). ...და ვინ მოთვლის, კიდევ რა არ გაიხსენა ნაქციფარმა საზოგადოებამ. საუბრის ასეთმა ბოლომ ცუდად იმოქმედა ჩემზე (და ალბათ სხვებზეც), რადგანაც უკვე გვიანი ღამე იყო, ტაქსის შოვნაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა და შინ მისვლამდე არც თუ ძალიან სასიამოვნო ძილისწინა გასეირნებას ვერაფერით ასცდებოდა კაცი.

ასეც მოხდა, და აი, როდესაც რამდენიმე მარტოდ დარჩენილი ბანოვანნი სახლებში ჩამოვარიგე, სრულიად მარტო დავრჩი ცარიელ ქალაქში.

ჰმ! ცარიელ ქალაქში! ცარიელი რომ ყოფილიყო, რაღა მიჭირდა?!

გულისფანცქალით მივყვებოდი ქუჩას. ქუჩა იმ შუქით იყო განათებული, რატომღაც „დღისას“ რომ ეძახიან, სინამდვილეში კი მკვდრის ფერს ადებს ყველას და ყველაფერს და ეს კიდევ უფრო მიძლიერებდა შიშს. თანაც „საფერავისაგან“ ტყვიასავით დამძიმებული თავიც ძლივს მიმქონდა შინისაკენ. ჩემს არეულ ფეხის ხმას ყრუ გუგუნითა და ზრიალით აპყოლოდნენ მძინარე სახლების ცივი კედლები და ჩაბნელებული სარკმელების გაყინული მინები. ცვდილობდი, აჩქარებული გულისცემისთვის ამეწყო ნაბიჯიც, მაგრამ არაფერი გამომდიოდა და როგორც ცოცხალი არსება, ისე მაღიზიანებდა და მაშინებდა ჩემივე გრძელი და სასაცილო ლანდი. იგი ხან ჩემს წინ გარბოდა, ხან უკან მომდევდა, ხან კი მეფისტოფელივით იკლაკნებოდა და გარს მივლიდა.

ამ უსიამოვნო დაკვირვებებით ვიყავი გართული, როცა ჩემს შესახვევს მივუახლოვდი და იქიდან რაღაც გაურკვეველი, უცნაური ხმები მომესმა. ვიდრე რამეს მოვისაზრებდი, ცნობისმოყვარეობამ უკვე დაასწრო შიშსა და სიფრთხილეს, შევეუხვიე... და უცბადვე ვინანე. მაგრამ გვიანღა იყო!

ჩვენგან სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით ხდებოდა სწორედ ის ადმაშფოთებელი აქტი, რომლის წინათგრძნობაც მე მთელი გზა მოსცენებას არ მაძლევდა და რატომღაც უფრო მაშინებდა, ვიდრე მაფშფოთებდა: ოთხი ავაზაკი თავს დასხმოდა ვიღაც პატიოსან მოქალაქეს და ძარცვავდა. ამ უსულგული ბორტმოქმედთ, ოცცრაადუსიანი ყინვის მიუხედავად, წელზემოთ უკვე გაეშიშვლებინათ ეს საბრალო ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა, „ჯვარცმასავით“ კედელზე გაკრულს, შარვლის გახდასაც უპირებდნენ. მაგრამ ის, როგორც ჩანს, არც ფიქრობდა ბედთან შერიგებას და უშიშრად უძალიანდებოდა მძარცველებს — იგრიხებოდა და თვალებს აბრიალებდა. ხოლო ამ უთანასწორო ბრძოლის ველზე ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ, სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაუმაგრა მას ისედაც მაგარი გული, რასაც მან ჯერ ყიჟინითა და მერე კი უშვერი გინებით მიმახვედრა.

— გამიშვით, თქვენი!.. — დაიღრიალა ჩახლეჩილი ხმით ეს ერთხელ კიდევ ღონივრად გაიბრძოლა, მაგრამ მძარცველებმა არც იმას მიაქციეს ყურადღება, არც მე და ოლიმპიური სიმშვიდით განაგრძეს თავიანთი სამარცხვინო საქმიანობა.

სრულიად უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანის ასეთმა შეუპოვრობამ და გულადობამ, ცხადია, ჩემი გაოცება და აღტაცება გამოიწვია, მაგრამ როგორც კი ამ განცდებმა გადამიარა (რაც საკმაოდ სწრაფად მოხდა), უკან გავრუნდა და გაქცევა გადავწყვიტე. გადავწყვიტე, მაგრამ მაშინვე შემრცხვა. იქნებ ჩემთვის ვერც მოიცალონ-მეთქი, გავიფიქრე და ამ უკანასკნელი იმედით ოღნავ გამხნევებულმა გზა განვაგრძე. რატომღაც თვალდახუჭული მივლასლასებდი და მაინც ცხადად მედგა თვალწინ საბრალო ადამიანი იმ უღმერთო ყინვაში ისე უღმერთოდ გაშიშვლებული.

მერე ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია შიშს, მოვბრუნდი, თვალი გავახილე, გავახილე და...

ნეტავ არ გამეხილა!

ვიცანი!

ვიცანი, მაგრამ არ იკითხავთ, ვინ? ვინ და ერთ-ერთი მძარცველთაგანი. იგი გახლდათ ჩემი მეზობელი, რომელიღაც დიდი საყფთიაქო საწყობის გამგე ტერენტი ტატიშვილი, მეტად წყნარი და თავაზიანი ადამიანი. აი თურმე ვინ ყოფილა სინამდვილეში! დღისით — ფარმაცევტი, ღამე კი... ვინ იფიქრებდა?! გაოცებისაგან ყბა მომეღრიცა, პირი დავაღე და...

— ტერენტი? — წამოვაყრანტალე.

იგი, რაღა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ვიცანი. მისმა ამფსონებმაც ბოროტად გადმოხედეს, შემომიბღვირეს... და ყოველგვარ ყინვაზე უარესმა სიცივემ დამიარა ტანში. გამეგონა, ასეთ დროს ავაზაკები საკუთარ ძმასაც არ ინდობენო. გაქცევა მინდოდა, ვერ ვინძრეოდი, გაქვავებულივით ვიდექი და თითქოს პაერი აღარ მყოფნიდა.

ტერენტი ბარბაცით წამოვიდა ჩემკენ, მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო, დიდი, სუფრისოდენა ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა. მერე სიმწრით გამიღიმა და... კარგა დრო გავიდა, ვიდრე მისი ნათქვამის აზრს ჩავწვდებოდი.

— ხედავ, ბიჭო, რა დღეშია ეგ უბედური?! — მითხრა მან, — გაგვიცოფდა კაცი, ძმაო! ლიტრანახევარი კონიაკი დალია და აბა რა დაემართებოდა? ახლა დაუჩემებია, მტკვარში უნდა ვიბანაოვო და იმიტომ იხდის. მოდი, თუ ძმა ხარ, შენც მოგვეხმარე, იქნებ როგორმე ჩავაცვათ, თორემ მენინგიტი აკლია ახლა მაგას?

ესა სთქვა თუ არა, ვიდრე გონს მოსვლას მოვასწრებდი და რამეს ვუპასუხებდი, მილიციის წითელზოლიანი მანქანა გრიალით მოადგა ტროტუარს. გამოსაფხიზლებელში ყველას ერთად გაბანავებთო, სთქვა მორიგე მილიციელთა რაზმის უფროსმა და ხუთივენი ფქვილის ტომრებივით შეალაგეს მანქანაში. მე ვერ შემამჩნიეს და ხელი არ მახლეს, ალბათ ჩრდილში რომ გაუნძრეველად ვიდექი — იმიტომ.

რა გასაკვირია, რომ ამდენ ხათაბალას გადარჩენილი, სიხარულისაგან სულ კუნტრუშ-კუტრუშით გავიქეცი ჩემი ეზოსაკენ და ის იყო ჭიშკარი უნდა შემეღო, რომ... წინ ვიღაცის ლანდი ამეტუზა და გზა გადამიღობა. ახლა კი საეჭვოც აღარაფერი იყო. „ორჯერ ზედი-

---

დავით ჯავახიშვილი
მძარცველები

ზედ სასწაული არასოდეს მომხდარა“, მოვასწარი გაფიქრება და ულაპარაკოდ გავიხადე პალტო; კიდევ კარგი, სახლთან ვარ-მეთქი, ესეც გავიფიქრე და დანარჩენის გახდაც დავაპირე, მაგრამ უცნობმა ხელით გამაჩერა, ხმა არ ამოუღია. ამ უცნაური საქციელით გაოცებული, კარგად დავაკვირდი მის დაჩრდილულ სახეს და თუმცა კი პირველად ვხედავდი, მაგრამ მაინც ვიცანი უილიამ სიდნეი პორტერი, იგივე ო'ჰენრი... იგი დოინჯშემოყრილი იდგა და ნიშნის მოგებით მიღიმოდა.

მე ისღა მოვახერხე, რომ დამნაშავესავით გავუღიმე მას და მაგრად ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაძვილი

ხმა შორეული თითქოს მომესმის
იმ კაცის—ცეცხლში თავს რომ არ ხრიდა,
ეს ჩემი სიტყვა იმას, რომელიც
უხმოდ გავიდა თავის სახლიდან.

ვინც ჩემი ფიქრი გაიყოლია,
ვისზე ტკივილიც ვეღარ დავმალე.
ვისაც ამქვეყნად ძმა არ ჰყოლია,
მაგრამ წილად ხვდა საძმო სამარე.

ვისზე დარდითაც ვეღარ ვიძინებ,
და კვლავ ვიგონებ ღიმს იმ მხედრისას,
ვინც ზურგით ზიდა ომის სიმძიმე
და ტყვია ზურგში არ მოხვედრია.

ვისაც უყვარდა აპრილი თეთრი,
ვისი სიცილიც თითქოს მომესმა.
რომელიც იყო იმედი ერთის,
ერთის ღიმილი სწვავდა რომელსაც...

ვინც მერე ცეცხლის შარას გაუდგა
და სადარდელით გული აევსო,
ვისაც სიცოცხლით ლექსი არ უთქვამს,
ვისი სიკვდილიც გახდა სალექსო.

ვისი ძლიერი სუნთქვაც მინელდა
და ვინც ღიმილით სიკვდილს დასცინა,
ვისაც მაისი ჰქონდა იმედად
და ცხელმა ტყვიამ ვერ გააცივა, —

თითქოს მე ისევ ხმა შემომესმა
იმ კაცის — ცეცხლში თავს რომ არ ხრიდა...
ეს ჩემი სიტყვა იმას, რომელიც
ვეღარ გამოვა თავის სახლიდან.

☆ ————

ადექ, დიდმა გზამ უკვე მოგიხმო
და სადგურებში რეკენ ზარები,
შენ ალაგებდი ჩემოდანს უხმოდ
და ახლა შორით მიემგზავრები.

უმზერდი შენს ძველ წიგნებს და ჩანთას, —
გულში ნაღვლიან ფიქრების ამშლელს.
გარეთ, წვიმაში გიცდიდა ძაღლი,
იცვამდი პალტოს, იხვევდი კაშნეს.

გწამდა, სადგურში გიცდიდა ისიც, —
ჩუმი ყვედრებით, ჩუმი ბოდიშით
ის იდგა ასე, გაყინულ თითებს
ვერსად ითბობდა შენს მოლოდინში.

იმ გაცილების შენ იცი ფასი,
როცა შენ მხოლოდ თითებს იმტვრევდი...
ახლა მიჰქრიხარ შორეულ გზაზე,
სველ მავთულებზე სხედან ჩიტები.

და გამოწვდილან შენსკენ ხელები,
თრთოლვით დამალულ პაპიროსს ეძებ...
შენ იცი, მწვანე მატარებლები
რას რეკენ გაბმით შორეულ გზებზე.

და მინდა გაგყვეს იმ თვალთა ფერი,
ეს ტკბილი სევდა სულ გულზე გაჩნდეს.
მე მინდა, ძალზე დიდი ხნის მერეც
ამ ფიქრითა და ამ გულით დარჩე.

☆ ————

საგაზაფხულო მდაღვდი ფერით,
მაგრამ გასამხელს ვეღარ მიმიხვდი.
ვარდფურცლობა და დაღმართი ვერის,
არგამოჩენა მერე დიდი ხნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სველი ხეები სურნელს აკმევენ,
თბილისი იქცა ალბათ ოცნებად...
ჩემი ვაგონის ლურჯი სარკმელი,
შენი თვალები და გაოცება.

იმ გაზაფხულის მიმკრთალი ფერი, —
გამოგიტაცა აქეთ რა ქარმა!...
უხმოდ დახრილა თვალები შენი,
ის ძველი ცეცხლიც როგორ ჩამქრალა...

ისევ დარჩება სარკმელი ღია,
ნაცნობი შუქი ისევ ამანთებს...
ვერის დაღმართზე დაგცილდი მღიმარს,
იქნებ ცხოვრების შეგხვდე აღმართზე.

კლავდია დეკანაძე



რომანი

ესოფელი თანდათან დაწყნარდა. პუპლია ჩამოვიდა, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდა. არც მას დაადგა კარგი დღე: პროფესორისა და მისი ცოლის დახმარებით ძლივს შეარიგა შვილი და რძალი. რძალმა სამუდამოდ აითვალწუნა პუპლია. სანამ ჩეხოსლოვაკიაში წავიდოდა, დედამთილისათვის თვალი არ გაუსწორებია. ვერც სოფელში მოისვენა პუპლიამ. ქმარი გაცეცხლებული დახვდა. მერე გაიგო, ლევანი თავმჯდომარეობას თავს ანებებსო.

— რატომ. კაცო, ახალ მოყვრებთან თავი მომქონდა. ქმარი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მყავს-მეთქი, ახლა ესეც ტყული გამომადგა, — აკრემლდა პუპლია. გამოცდილი ჰქონდა ცრემლის ძალა ლევანზე, მაგრამ აქამდე მორჩილი და დამჯერე ლევანი ისე იყო გამოცვლილი, აღარაფრის გაგონება არ სურდა:

— შემარცხვინეთ, თავი მომშერით, გარეთ ვეღარ გამოვსულვარ, ადამიანისათვის თვალი ვერ გამისწორებია! აქამდე პატიოსანი კაცს მეძახდნენ, ახლა კი რა ვარ? არც შვილი მინდა, არც რძალი, შენც მომცილდი თავიდან. შენ ამომიგდე ოჯახი, წადი და იცხოვრე შვილთან ქალაქში.

შალვა და მისი და ეზოში ისხდნენ, მაკას ბედზე მსჯელობდნენ.

— ეგ რომ ახლა სოფელში დარჩეს, ადამიანად აღარ ივარგებს, თუ მაგისათვის სიკეთე გინდა, ძმაო, ინსტიტუტში უნდა შევიყვანოთ.

— რას ამბობ, ახლა მაგას მეცადინეობის თავი სადა აქვს?

— შენი სიყიოტით დაღუპე ბავშვი, ჩემთან რომ დარჩენილიყო, ეს არ ჭოხდებოდა. ახლაც თუ ოთხ კედელს შორის გამოამწყვდიე, დარდი მოკლავს, დაავადმყოფდება; ფრთხილად იყავი, ხელიდან არ გამოგეცალოს.

— კარგი, თუ და ხარ, გულს ნუ მიხეთქავ, ეს მჭირდება ახლა მე?

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 10, 11.

— საქმეს უნდა დაუფიქრდეს კაცი, საქმეს!

— კარგი, ვიფიქრებ, მაგრამ ამ უსუსური ბავშვით სად გავგზავნო?

— გადამიელთან ხომ არ აგზავნი, იქ არა ვარ, თითისტოლა ბავშვს ვერ მოვუვლი? თუ სამედიცინოზე გაუჭირდება ჩაბარება, ისევ სამხატვრო აკადემიაში შევიყვანოთ.

— მაკა, შვილო, დროა გამოცდებისათვის მოემზადო. მე თბილისში გაპირებ წასვლას, საბუთებს სამხატვრო აკადემიაში შევიტან.

მაკამ გაოცებით შეხედა მამას:

— მერე, ბიჭი?

— ბიჭსაც წავიყვანთ, მხატვარი გამოვა, — გაღიცინა შალვამ და ნუკრი ხელში აიტაცა.

— ეგ შეუძლებელია, მამა! — ძლივს ამოიღო ხმა მაკამ.

მამამ და მამიდამ, როგორც იქნა, დაითანხმეს მაკა — თბილისში სასწავლებლად წასულიყო.

მაშ, მაკა სამხატვრო აკადემიაში უნდა წავიდეს? ასრულდა მისი ოცნება, მაგრამ რაღა დროს! ახლა მისთვის სულ ერთია ყველაფერი. წავა, ისწავლის იმიტომ, რომ ასე უნდათ მისიანებს. იგი ხომ მათ ნება-სურვილზე დადის. მაგრამ ახლა კარგად უნდა მოემზადოს, რომ კვლავ შერცხვენილი არ დაბრუნდეს უკან.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ყველას ეძინა. მთვარე მკრთალად ანათებდა აივანს, მაკა ფეხაკრეფით მიუახლოვდა მაგიდას: მივიწიებული რვეულები ამოქექა. ძველ ჩანახატებს თვალი გადაავლო და ხატვას შეუდგა. ხატავდა და კვლავ შლიდა, ფანქარზე უფრო ხშირად საშლელს ხმარობდა, მაგრამ სამუშაოს თავს მაინც არ ანებებდა. ნუთუ ვერ შეძლებს გადალახოს სინდლეები, ნუთუ ვერასოდეს გახდება მხატვარი? გათენდა. ბავშვის ტირილმა გამოარკვია. მაკამ ბიჭი აკენდან ამოიყვანა და გულში ჩაიკრა. შალვა გაახარა შვილის ხელში ფანქრის დანახვამ, გული იმედით აევსო — საყვარელმა საქმემ და დედობრივმა გრძნობამ მაკას იქნებ გული გაუმთელოსო.

პუპლიამ მაკას გამოცდებზე წასვლის ამბავი ვარიჩასგან შეიტყო. აღარ იცოდა, გახარებოდა თუ სწყენოდა.

— ბეჭა, ვარიჩკა, გულზე მომეშვა, რაც ის გოგო აქედან წავიდა. ლევანი მის ჭკუაზე აღარ იყო.

— რა ვიცი, ისე იქცეოდა, თითქოს ერთი პატიოსანი ვინმე მყავდესო, — ჩაიქირქილა ვარიჩკამ.

— მეშინია, ვახტანგს არსად შეხვდეს.

— შეხვდეს თორემ მაგის გულისათვის ცოლი არ მიატოვოს, აქ არ ჰყავდა, რომ სდომებოდა?

— რომ გაიგო, ბავშვი ჰყავსო, გადაირია, მაინც რატომ უმალვადა, საოცარი არ არის?

— მისმა კუდაბზიკობამ დაღუპა.

— რომ იცოდე, რა დღეში ვიყავი: შვილი ცალკე გადამერია, რძალი ცალკე,

— არ გინდა ბავშვის ნახვა?

— აპა, პა, პა, მეორედ არ მითხრა ეგ. რა ეშმაკად მინდა? ბავშვის მეტი რა ეყოლებათ, ვინაცვალე იმათ. ჩემს რძალს გერეს დავახვედრებ შინ?

— ახალი ამბავი იცი? ხალხი ამბობს, შალვა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ავირჩიოთო.

— შალვა? — შეიცხადა პუპლიამ. სახე აუპილპილდა — უი, უი, ღმერთო მომკალი ახლავე! ამდენი ამაგი წყალში უნდა ჩაგვიყარონ? ჩემი ლევანი მაგათ გულისათვის თავს არ იზოგავდა, დაავიწყდათ ეს?

— ენანებათ, რომ ანთავისუფლებენ, მაგრამ ჯერ ერთი, თვითონ უთხოვია და მეორეც, ავტორიტეტი გაუფუჭდაო.

— გადირიე, ქალო, ლევანი რა შუაშია, მე კი არ მყოლია უკანონო შვილი! მაშ შალვა ავირჩიოთო, ჰა? ისე ჩემს გულზე უნდა იარონ? ღმერთო, რა მეშვილება? მართლა თუ გადავსახლდები აქედან, თორემ ჩვენი საშვილი არ არის. სულ მივატოვებ აქაურობას, წა-

---

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ვალ თბილისში ჩემს ბიჭთან, ამაზე უკეთესად მაინც ვიქნები.

— აბა, ქალო, რაღა შალვას ირჩევენ, — ცეცხლზე ნათოს ასხამდა ვარიჩკა.

პუპლია შორიდანვე დაეტაკა ეზოში შემოსულ ქმარს:

— შეიტანე განცხადება, შეიტანე! მიტმასაც არ ირჩევენ თამაჯდომარედ შალვას! დაგვეცხო ყურები, ესეც შენი კარგი მეგობარი.

ლევანი უხმოდ ავიდა აივანზე.

— თამაჯდომარედ შალვა უნდა ავირჩიოთო, ცა და ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს, — ჩაურთო ვარიჩკამ.

აქ კი ვეღარ მოითმინა ლევანმა, სახრე დაატრიალა და იყვირა:

— დამეკარგეთ აქედან, მომცილდით, არ გნახოთ აქ ჩემმა თვალებმა!

თბილისში გამგზავრების წინ მაკამ ოქროპირი ინახულა.

გამოთხოვებისას ოქროპირმა უთხრა:

— შვილო, მაკა, ცხოვრებას პირდაპირ უნდა შეხედო. ადამიანს სიცოცხლე უნდა უყვარდეს და მაშინ ამქვეყნად ყველაფერს დაძლევს. ყოველ ადამიანს თავისი გზა აქვს ცხოვრებაში. ზოგჯერ მხოლოდ ერთი წუთია საჭირო, რომ გადაწყდეს მისი ბედი. გახსოვდეს, მაკა, შენ დღეს დედა ხარ. დედობრივი გრძნობა კი ყველა გრძნობაზე მაღლა უნდა დაიყენო.

გამოცდები დასრულდა, მაკა აკადემიაში მიიღეს. იდგა კედელზე გაკრული სიის წინ, მისჩერებოდა თავის გვარს და გრძნობდა, რომ დღეიდან ახალ ცხოვრებას იწყებდა. იმედითა და შრომის სურვილით აღსავსე დაბრუნდა შინ. უდოდა, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი სხარული, მაგრამ ვის გაუზიაროს, ვის უთხრას? ის ხომ მარტოობისათვის გაიმეტა ცხოვრებამ. არა, არა, მაკა მარტო არ არის! მას შვილი ჰყავს, ცხოვრების მიზანიც აქვს, მაგრამ რატომ არის მისი ცხოვრება ასე ერთფეროვანი?

მეცადინეობა დაიწყო. მაკა სისტემატიურად ესწრებოდა ლექციებს და ბრწყინვალისყურით უსმენდა პროფესორებს. ფანაკურსელებისაგან კი თავი ირიდა, ამიტომ ამხანაგებმა უკარება შეარქვეს. საქმემ გამოაცოცხლა მაკა. მისი სული შემოქმედებითი ძიების სურვილით აივსო და ამაღლდა. ქალი მთელი არსებით დაეწაფა მხატვრობას.

ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნებულ ვახტანგს სოფელში წასვლა უნდოდა, მაგრამ მადონა ვერ დაითანხმა: თუ მამაშენს ჩემი ნახვა უნდა, თვითონ ჩამოვაო, ჯიუტად ამბობდა იგი. ვახტანგს ენა ჩავარდნილი ჰქონდა, ცოლს ვერაფერს ეუბნებოდა. „მაკა, მაკა,“ გულში იმეორებდა იგი. რად მოხდა ყველაფერი ეს? რა უფლებით შემოიჭრა მადონა ვახტანგის ცხოვრებაში და განდევნა მაკა, ურომლისოდაც სიცოცხლეც ვერ წარმოედგინა ვახტანგს? ვინ არის მადონა, რა უნდა ვახტანგთან? სად არის მაკა? ვახტანგს უნდოდა ეყვირა, ხმამაღლა ეთქვა ეს ყველასათვის, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, ჩუმად იტანჯებოდა.

ინსტიტუტში ლექციები განახლდა. მადონა გამოიცვალა, თუ აქამდე მხიარული და ატაკებული იყო, ახლა უეცრად დადინჯდა, წიგნებს ჩაუჯდა. ვახტანგს მუდამ დაცინვით ელაპარაკებოდა. ვახტანგი დაინნა, აღარ იცოდა, ვის მიეკედლებოდა. თავს ყველგან უცხოდ გრძნობდა. სხვის ოჯახში იყო, ამიტომ ყველას ხათრით და რიდით ექცეოდა.

სოფელში შემოდგომა მოილიე. პუპლია დატვირთული ეწვია შვილსა და რძალს. შეუსრულდა ოცნება, — მისი შვილი პროფესორის სიძე გახდა, კარგი ბინა ჰქონდა, მანქანაც ჰყავდა, მაგრამ მის ოჯახში სითბო მაინც არ იგრძნობოდა.

— ბიჭო, უთხარი შენს ცოლს, დედა დამიძახოს, — ხშირად ეჩურჩულებოდა იგი ვახტანგს.

— მოიცა, დედა, დაგიძახებს, აბა რას იზამს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, ბიჭო, ცოლია შენი, რაცა უცხოსავით ექცევი. სახლშიც ისე შემოდიხარ, თითქოს სტუმარი იყო.

— არ ვიცი, დედა, არა, თავი დამანებე! — შეუტევდა ვახტანგი და თავს გაქცევით შეელოდა. პუპლია მთელი დღე მარტო დაბორიალობდა ოთახებში. მისთვის არავის ეცალა, მოსამსახურე გოგოს თუ გაუბამდა საუბარს თავის დამტკვრეული რუსულით, თორემ რძალი დღეში ერთ სიტყვასაც ძლივს გაიმეტებდა მისთვის. მასთან ერთად არც ერთხელ არ გამოსულა გარეთ.

— ბიჭო, საახალწლოდ არ წამოხვალთ სოფელში?

— არ ვიცი, დედა.

— მამაშენმა მარტო გაატაროს ახალი წელი?

— ამ ზამთარში მადონა როგორ იცლის ჩვენს გზებზე!

— რა უჭირს, ახალგაზრდა ქალია. უნდა უხაროდეს ქმართან ერთად სიარული.

— არა, არა, დედა! — გაასავსავა ხელები ვახტანგმა.

შვილთან დაწყებული საუბარი პუპლიამ სადილობისას განაახლა:

— ჩემო რძალო, საახალწლოდ სოფლისაკენ გავუდგეთ გზას, რას იტყვი?

მადონამ გაკვირვებით შეხედა დედამთილს.

— მე მეუბნებით?

— შვილო, ჩვენ ახალ წელს მუდამ ერთად ვხვდებოდით, ახლა კი ის კაცი მარტოა, — დატკბა პუპლია.

— მერე მე რა შემიძლია? — მხრები აიჩეჩა მადონამ.

— მოემზადე, შვილო, წავიდეთ.

— მე?! — ისევ გაიკვირვა მადონამ.

— შენ თუ არ წამოხვალ, არ ივარგებს.

— ვითომ ასე ვენაკრები მამამთილს?

— ზამთარში მადონასათვის იქ წამოსვლა ძნელი იქნება, — მიეშველა შვილს მედია.

— რა უშავს, მძახალო, ახალგაზრდა ქალია, მერიხალივით გადაიფრენს იმ გზას. ლევანსაც გავახარებთ.

— თუ თქვენ თქვენს სახლში გინდათ გაატაროთ ახალი წელი, მეც მინდა ჩემს სახლში ვიყო, — უკმაყოფილება ვეღარ დაპფარა მადონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალი რომ გათხოვდება, შვილო, მერე ქმრის სახლი მისი სახლია.

— იქ ხომ არ მიპირებთ დასახლებას? ვახტანგ, რა ჰქვია თქვენს სოფელს? — დაცინვით ჰკითხა მადონამ ვახტანგს. — არა, არა, თქვენ და ვახტანგი წაბრძანდით. ახალი წელი ისე გაატარეთ, როგორც აქამდე გაგიტარებიათ.

ვახტანგი თავჩაღუნული იჯდა, თეფშს თვალს არ აცილებდა.

— ქალბატონო პუპლია, ზაფხულზე გეწვევიით სოფელში. ახლა, როგორც ვახტანგისაგან ვიცი, ძნელია იქ ასვლა. ლევანს ვთხოვთო, აქ ჩამოვიდეს საახალწლოდ, — პროფესორი შეეცადა უსიამოვნო ლაპარაკი შეეწყვეტა.

პუპლიამ იგრძნო, ყველა მის წინააღმდეგ რომ იყო განწყობილი და აღარაფერი უთქვამს. როგორ მოიქცეს? წავიდეს თუ არა საახალწლოდ სოფელში? მერე მარტოდმარტო როგორ ჩავიდეს? მტერ-მოყვარე რას იტყვის? რაღა თქმა უნდა, ჯობდა, ლევანი ჩამოსულიყო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ბოლოს გადაწყვიტა, მე და ვახტანგი წავალთ სოფელში, იქნებ ლევანი დავითანხმოთ და წამოვიყვანოთო. მაგრამ მალე ესეც გადაიფიქრა.

იმ საღამოს ყველანი თეატრში იყვნენ წასული. მარტოდ დარჩენილი პუპლია ფიქრს მისცემოდა. რა იქნებოდა, ერთხელ ისიც წაეყვანათ თეატრში. რამდენი ხანია აქ არის და ერთხელაც არ შეუთავაზებიათ, თეატრში ან კინოში წამოდიო. ამ ბიჭსაც პირში წყალი აქვს, ჩაგუბებული. ამ მწარე ფიქრში პუპლიას კიდეც ჩასძინებოდა. უცებ რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა, თვალი გაახელა. უკვე კარგა ბვანი იყო, პროფესორი და მისი სახლობა თეატრიდან დაბრუნებულიყვნენ, მადონას ოთახიდან ლაპარაკი ისმოდა. პუპლიას უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ თავის სახელს მოჰკრა ყური და გაინაბა.

— დედა, ჩემი დედამთილი საახალწლოდ აქ აპირებს დარჩენას?

— როგორ ლაპარაკობ, შვილო, მაშ სად უნდა წავიდეს?

— ვერ ვიტან მაგის სიახლოვეს! მამა-ჩემმაც გააკეთა საქმე — საახალწლოდ მეორეც მოიწვია! — პუპლია ვერ მიხვდა, ვინ იყო ის მეორე და სმენა უფრო დაძაბა.

— რა ვქნათ, შვილო, შენი ქმრის მშობლებია, პატივი უნდა ვცეთ!

პუპლია შეკრთა და საწოლზე წამოჯდა.

— კარგი, დედამთილს ვერ იტან, მამამთილმა რაღა დაგიშავა, ჯერ ხომ არც გინახავს?

— არც ის იქნება მაგაზე უკეთესი!

— რატომ ამბობ ასე, კარგი კაციაო, აქებენ.

— ახალწელს ნუ ჩამაშხამებთ.

— არ გადაირინო, შვილო, დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ.

დილით პუპლიამ ბარგის ჩალაგებას მიჰყო ხელი და სოფელში წასასვლელად გამზადა.

— რატომ აჩქარდით, გუშინ ხომ არ ფიქრობდით წასვლას? — გაკვირვებით ჰკითხა მედეამ.

— წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე, ვითომ ჩვენი რძალი გარეთ გვერეკებოდა.

— რას ბრძანებთ, ბავშვს თქვენი აქ ყოფნა ახარებს, ერთი სული აქვს, მამამთილს როდის ვნახავო.

ვახტანგს დედისათვის სიტყვაც არ უთქვამს. არც ის უკითხავს, რატომ გადაწყვიტე ასე უეცრად წასვლაო.

— ბიჭო, გიხარია ჩემი წასვლა? — ვეღარ მოითმინა პუპლიამ.

— რას ამბობ, დედა?

— თავიანთ ჭკუაზე გადაგიყვანეს?

— შენ არ მეხვეწებოდი, მადონა ითხოვეო?

— რას იზამ, ჭკუა რომ არ გექნება! რა ჭკონია შენს სიდედრს, იმაზე ნაკლები ქალი ვარ თუ?

— ჩუ, ჩუ, მეორედ არ სთქვა! — შეეშინდა ვახტანგს.

მატარებელი მიჰქროდა. პუპლიას ფიქრი არ ასვენებდა: ნეტა რას უწუნებენ? ცუდი ბიჭი გაზარდა? ან ის კნაუკ-ბოგორ რას წარმოადგენს ასეთს? ვითომ მაგაზე ნაკლები იყო პუპლია, ლევანმა რომ მოიყვანა? პუპლიას გაახსენდა თავისი ყმაწვილქალობა. მერცხალივით ბოგო იყო. მისი სიმღერის მოსმენას არაფერი სჯობდა. ცეკვას ხომ ნუღარ იტყვი! სხვა სოფლებიდან მოდიოდნენ პუპლიას სანახავად. ის რომ ეკლესიაზე გავიდოდა, ყმაწვილები თვალს ვეღარ აშორებდნენ.

არც ლევანი იყო ნაკლები ვაჟკაცი, — პუპლიამ კმაყოფილებით გაიღიმა. ტანწერწეტ ბიჭს ვერაფერს დაუწუნებდი, მაგრამ ეგ არის, ბავშვივით გულუბრყვილო და გულჩვილი იყო. ვაი თუ ვახტანგსაც მამის ვერი გამოჰყვა, მაშინ? მაშინ წასულია პუპლიას საქმე.

პუპლია შინ მხიარული დაბრუნდა. აბა, დარდს სოფელს ხომ არ შეაჩნევინებდა! ქმარი ტკბილად მოიკითხა. ლევანი გამხდარი და ფერმიხდილი ეჩვენა. აღარავის ეკარებოდა, გულს უჩიოდა.

— მარტო ჩამოხვედი, ქალო?

— რა მექნა, შენ იქ არ ჩამოხვედი და მარტო ხომ არ დაგტოვებდი?

— შვილი და რძალი რატომ არ ჩამოიყვანე?

პუპლიას ეკალივით მოხვდა გულზე ქმრის საყვედური:

— შე კაცო, ამ შუაგულ ზამთარში შენი რძალი აქ ჩამოვა?!

— მეზობლებიც მოვიმდურეთ, შვილიც დავკარგეთ. ახლა დაკარგდეთ მე და შენ და ვიქეიფოთ! — პუპლიამ ქმრის სიტყვებში მწარე სიმართლე იგრძნო და სიტყვა ვეღარ შეუბრუნა. ოჯახში დაბრუნდა, კერა გამოაცოცხლა. ლევანის მიერ განაწყენებული ვარიჩკაც შემოირიგა.

— ნეტა განახა, ვარიჩკა, როგორ ცხოვრობს ჩემი ბიჭი. რა მოწყობილი არიან, რა ავეჯი აქვთ, რა ჭურჭელი! რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლიათ.

— იღბალი გაქვს, პუპლია, გენაცვალე, ჩაიგდე ხელში ეს მზამზარეული ოჯახი.

— ახლა გენახა, რა პატივისცემაში

ვიყავი! — ეს კინოო, ეს თეატრიო, მერე ხომ არ გგონია, ტრამვაით ან ტროლეიბუსით ვმგზავრობდი? მოვიდოდა გაკრიალებული მანქანა და...

— ნეტავი შენ, პუპლია, ერთ თვეს რომ მეცხოვრა მასე, რაღა მომკლავდა? წამოგეყვები როდისმე და ყველაფერს საკუთარი თვალით ვნახავ.

პუპლია შეკრთა. თვალწინ მადონას სახე დაუდგა. გაგიხმა ენაო,—გაიფიქრა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— კი, ქალო, უთუოდ წაგიყვან. გადამყენენ თან. არ მიშვებდნენ, მაგრამ ამ კაცის ჯავრმა აღარ მომასვენა. რა ვუყო, არ ვიცი. ღმერთო, დარდსა და მწუხარებას ნუ გამოულევ შალვას ოჯახს!

— მაკა აკადემიაში მიუღიათ.

— რას მეუბნები, ის ღლაპი სად ჰყავს?

— თან წაიყვანა, მამიდამისი უზრდის.

— გაწყდა მაგათი სინსილა! მაგ ბიჭის დაბადების შემდეგ კაცი საამქვეყნო აღარ არის.

— აქეთ რატომ არ ჩამოდის ის შენი რძალი?

— ზაფხულზე საზღვარგარეთ იყვნენ, მერე სწავლა დაეწყოთ.

— ახლა ვერ წამოიყვანე?

— რას ამბობ, ქალო. ამ შუა ზამთარში სად შეუძლია ჩვენს გზებზე გადმოსვლა? მერე კიდევ ჩვენი სახლის ამბავი ხომ იცი, რომ გამიცივდეს?

— რა გააცივებს, ჩვენ ხალხი არ ვართ თუ?

— შე ქალო, ჩვენ და ის ერთნი ვართ? იმათ სახლებში ყველავან თანაბარი სითბო დგას: დერეფანში, სამზარეულოში. მე შენ გეტყვი, დანთება დაგჭირდება! ზაფხულზე ჩამოვიყვან. კვამლი მაინც არ დათხრის თვალებს.

— დიდი საფერეველი რძალი კი მოიყვანე, პუპლია. შენ ის არაფერში გამოგადგება.

— თვითონ იყვნენ კარგად და მე არაფერზე შევაწუხებ.

— მადონას ნახვა მთელ სოფელს აინტერესებს. ისეთი რა არის, მაგის გულისთვის მაკა რომ დაიწუნესო.

— ეგდა მაკლია, მაკას შეადარონ!

— მაკაც დაამთავრებს იმ აკადემიას, და...

— რაც უნდა იყოს, ერთმანეთს მაინც ვერ შევადარებ. ჩემი რძალი, გენაცვალე, ექიმია!

— რაო, რას იწერება ის ბიჭი? — შეეხმიანა ბუხართან მჯდომი ლევანი პუპლიას.

— რა დაგემართა კაცო, ვეღარ გაიგე?

— გავიგე და სწორედ ეს მაწუხებს. თოვლის მეტი აქ რა არის, ამისთვის ბაკურიანში როგორ წავიდნენ.

— კაი, კაი ერთი. ახალგაზრდები არიან, გაახილონ თვალი. მე რომ დამსვი კერასთან, ისე დაჯდება პროფესორის ქალიშვილი თუ?

— პროფესორის ქალიშვილი, პროფესორის ქალიშვილი! — რამდენჯერმე გაიმეორა ლევანმა, — არც შენ გიყვარდა შენი კერა და ბიჭსაც ვერ შეაყვარე!

— მე რომ სოფელს თავი შევაჯამე, ისიც მეყოფა.

— მაშ ვიყოთ ასე მარტო, ჩვენნი მომკითხავი კაცი არაა.

— ამბტომ გეუბნები, გავყიდოთ აქაურობა-მეთქი.

— სანამ ცოცხალი ვარ, მე ჩემი მამაპაპის ფუძეს არ მოვშლი. როცა აღარ ვიქნები, მაშინ როგორც გენებოთ!

პუპლიამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, კიბეზე ფეხის ხმა გაისმა და ოთახში ვარიჩკა შემოვიდა.

— საღამო მშვიდობისა!

— საღამო მშვიდობისა, ჩემო ვარიჩკა, რატომ დაგვივიწყე?

— ესმასას ვიყავი, ქორწილის სამზადისში ვეხმარებოდი.

— ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ამირანი კარგი ბიჭია. არც მაციაა დასაწუნი გოგო! — დინჯად სთქვა ლევანმა.

— როდისთვის დანიშნეს ქორწილი?— ჰკითხა პუპლიამ.

— ხვალ აწერენ ხელს, მაკას ელოდნენ.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

— ჩამოვიდა?!

— ჩამოვიდა. დედა, რა ბიჭი ჰყავს, ბავშვის უნახავს გაგიდის! ასეთი ლამაზი ბავშვი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, — სთქვა ვარიჩკამ.

პუპლია მის სიტყვებზე გულზე სკდებოდა, მაგრამ ვარიჩკა არაფერს იმჩნევდა.

ლევანმა ამოიოხრა, პუპლია დაიხარა და ბუხარს შეშა შეუმატა.

— შვილიშვილი კი არა, შვილი დამეკარგა, შენს მეტი ამ სახლის კარს აღარავინ აღებს, ჩემო ვარიჩკა.

— ვახტანგი რატომ არ ჩამოვიდა?

— ბაკურიანში წასულა, თოვლი მონატრებია.

— დედა, რას მეუბნები, ლევან, თოვლის მეტი რა არის აქ?

— ბაკურიანში ვარდისფერი თოვლი იცისო, ვარიჩკა.

— რას ამბობ, ადამიანო, მართლა?! — გოოცდა ვარიჩკა.

— ხუმრობს, ვარიჩკა, ხუმრობს! მთელი თბილისი ბაკურიანში მიდის და ისინი რატომ უნდა გამოაკლდნენ რჩეულ საზოგადოებას.

— თბილისში არ არის თოვლი?

— მოდა, ბატონო, მოდა! — არ ცხრებოდა ლევანი.

— როგორ მეხვეწებოდნენ, საახალწლოდ თბილისში ჩამოდი, ახალი წელი ერთად გავატაროთო. ვერ იქნა, ეს კაცი ვერ დავითანხმე.

— რა გიჭირდათ, ლევან, წასულიყავით, მოყვრებს გაიცნობდი.

— ეჰ, ჩემო ვარიჩკა, ჯერ აქ უნდა მოსულიყვნენ. ქორწილი უნდა გადამეხადა, მტერ-მოყვარისათვის გამეცნო რძალი. ასეა წესი და რიგი.

— ეგ მართალია, ჩემო ლევან. თუ ასე გვიწუნებს ის პროფესორის ქალიშვილი, შენს ბიჭს რაღას მიჰყვებოდა.

— რაც მოგივა დავითთან, ყველა შენი თავითაო, ხომ გაგიგონია, ჩემო ვარიჩკა.

— სწორედ ვლახა ამბავი მოხდა, ჩემო პუპლია, ასეთ ბავშვს რომ მამა არ ეყოლება, დიდი ცოდვაა!

— ახლა მეუბნები მაგას, ახლა?! — გაწიწმატდა პუპლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არასოდეს არ ვყოფილვარ შენი ოჯახისათვის ცუდის მსურველი, ჩემო პუპლია. მეცოდებით, ასე მარტო რომ ხართ. ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ!

— რა გაჩქარებს, ქალო?

— მეჩქარება, ვენაცვალე. მთელი სოფელი ესმასას არის თავმოყრილი. — ვარიჩკა კალოშების ფრატუნით კიბეს ჩაჰყვა.

— იყავი ახლა ასე გამოყრუებული. ელოდე, სანამ შენი შვილი და რძალი აქ არ მოგივიდნენ! — გესლიანად ჩაილაპარაკა ლევანმა.

პუპლია ფანჯრიდან უყურებდა, როგორ მიაფრატუნებდა ვარიჩკა კალოშებს ახლად ნაყარ თოვლში. თვითონაც გულით უნდოდა, ესმასთან გადასულიყო. მაგრამ მაკასთან შეხვედრას ერიდებოდა.

შემოდგომა ფრთხილი ნაბიჯით შემოპარა სოფელში. ყველაფერს მუქი ფერი დაედო. ახმაურდა მინდვრები, ორლობეები და ეზოები. დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა. ყველა ჭირნახულს ეზიდებოდა. მაციამ პატარძლობას თავი მიანება და ახალ ოჯახში ჯარასავით დატრიალდა.

მაკა თბილისში წავიდა. მამიდა ელენე პატარა ნუკრისთან ერთად სოფელში დარჩა.

ლევანი ავადმყოფობამ დაადაბუნა. მოიწყინა მისმა ეზო-გარემომ. სამზადის წინ ქათმებს მოეყარათ თავი, კუთხეში მიყრილ ნაგავს ქექავდნენ. ხანგამოშვებით რომელიმე მათგანი გაბედულად წავიდოდა ღია კარისაკენ. ცალი თვალით სამზადში შეიჭვრეტდა, მაგრამ სანამ ფეხის გადადგმას გადაწყვეტდა, პუპლიას შეძახილიც გაისმოდა:

— ოქში, ოქში, შე მელიის კერძო! — და ქათამიც უკან გარბოდა.

კარის ზღურბლთან ძაღლი გაწოლილიყო. თავი წინ გაწვდილ თათებზე დაედო და ქათმებს თვალს ზარმაცად

ადევნებდა. უეცრად პატრონი დაინახა, წამოხტა, შესწკმუტუნა და ფეხებთან გაუგორდა. ლევანი დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა.

— ბროლია, ჰაი, ბროლია!

პატრონის ალერსით გათამამებულმა ძაღლმა ხმამაღლა შეპყეფა. წინა თათები მკერდზე მიადო.

ლევანმა ძაღლი მოიცილა. სამზადში შესასვლელად დაიხარა, ვიწრო, დაბალ კარში ზორბა ტანი ძლივს შეიტანა.

სამზადში ცეცხლი გიზგიზებდა. ლევანმა სიბნელეს მიუჩვეველი თვალით მოათვალიერა იქაურობა.

— პუპლია, სადა ხარ, ქალო?!

— აქა, ვარ აქ! — გამოეხმაურა პუპლია.

— ვერ დაგინახე, კვამლმა თვალი მომშრა.

დაუძლურებული ლევანის დანახვაზე პუპლიას ცრემლი მოერია.

— აგერ ვარ, აგერ! — კვლავ შეეხმიანა პუპლია და საცრის კარბაზე ხელი უფრო მაგრად აატკაცუნა.

ლევანმა პასუხი აღარ გასცა. კერიასთან მივიდა. ხელის ფათურით სამფეხა სკამი მოძებნა, დაჯდა. ცეცხლის ენებს თვალი გააყოლა. საკეცე აიღო, ცეცხლი გამოქექა და ცოლს მიუბრუნდა:

— ასეთ ამინდში ადამიანს ცეცხლი რომ ეამება, მისი საქმე წასულია.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, სამაგისო რა გგირს? — პუპლიას ხმა აუკანკალდა.

— ეჰ, ჩემო პუპლია, შენც ატყობ, ჩემი საქმე წასულია, მაგრამ რაკ იზამ?

სამზადში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ საცრის ტკაცატკუცი ისმოდა.

— ივ ბიუსგანს არაფერი ისმის? — დაარღვია სიჩუმე ლევანმა.

— ჩამოვა ალბათ მალე. შენი ბრალია, დროზე რომ არ ვაცნობეთ ვახტანგს.

— ეჰ, ჩემო პუპლია, მაინცადამაინც ავად უნდა გავხდე, შვილი რომ ჩამოვიდეს? შვილს უნდა ახარებდეს მშობლების ნახვა, თორემ თოკით მოთრეულს რა ფასი აქვს? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ ნეტავი იმას, ვისაც თან დარდი არ მიჰყვება.

— ეჰ, შე კაცო, რა დარდი გაქვს ასეთი? ერთი შვილი გვყავს და დაბინავებულია.

— დაბინავებულიო? დაბინავება ჰქვია იმას, სხვის ფუძეს რომ შეეკედლები? სოფელმა გაგგაიცცა და გაგვინაპირა. ძალა აღარ შემწევს, ჩემი სიმართლე დავამტკიცო. მეზობლების სამდურავი საფლავში ძნელი წასაღები ყოფილა. მოვკვდები და ჩემი ფუძეც მოიშლება. ამაზე დარდი მკვდარსაც კი არ მომასვენებს, იმთავითვე ასე იყო. შენ თვალი მუდამ ქალაქისაკენ გეჭირა. ახალმა რძალმა აქაურობის ნახვაც კი არ ისურვა. ვერც შვილს შევაყვარე ჩვენი კერა, ამაშიც მაჯობ.

— სასიკვდილო რა გგირს, ლევან? — ძლივს ჩაურთო სიტყვა პუპლიამ. ბნელ კუთხეში აფათურდა. ცრემლმა სათქმელი დაუხშო და გამამხნევებელი სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— მეცოდები, — კვლავ განაგრძო ლევანმა, — უპატრონოდ გტოვებ. დედ-მამის სიყვარული ვერ ჩავუნერგეთ ჩვენს შვილს...

ძაღლის ყეფამ ლევანს სიტყვა შეაწყვეტინა. ძაღლი ყორეზე შეხტა და მალე ყეფა წკმუტტუნმა შეცვალა.

— ვინ მოვიდა, ნეტავი?! — პუპლიამ ხელები წინასაფარზე შეიწმინდა და ეზოში გავიდა. ვახტანგს ძაღლი ფეხებში ეხლართებოდა, მხრებზე ახტებოდა. პუპლიამ შვილი რომ დაინახა, სიხარულით შეჰკივლა:

— ვახტანგ, შვილო! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა! — პუპლია ვახტანგს კისერზე ჩამოეკიდა. მკერდი ცრემლით დაუსველა.

— რა იყო, დედა, რა გატირებს?!

პუპლია უხმოდ ჰკოცნიდა შვილს.

ლევანი ძლივს გამოვიდა სამზადიდან. ვახტანგი მამასთან მიიჭრა, გულში ჩაეკრა, შეათვალიერა. რა მოსვლია, როგორ დალეულა ეს ვეება ვაჟკაცი! როგორც

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

კი დედა ცალკე დაიგულა, შიშნარევი ხმით ჰკითხა:

— რა მოუვიდა მამას?

— რა ვიცი, შვილო, ექიმი ამბობს, ღვიძლი სტკივაო. განსაკუთრებით არაფერს უჩივის, მაგრამ დასუსტდა. ფეხზე ძლივსღა დგას.

— რატომ აქამდე არ შემატყობინეთ? — იკითხა ვახტანგმა.

— ნუ შეაწუხებო, მეუბნებოდა. როცა მოვაგონდებით, თვითონვე მოვაო.

თითქოს შვილის მოსვლას ელოდაო, ლევანი იმ დღიდან ფეხზე აღარ ამდგარა, არც ვახტანგი მოსცილებია მის საწოლს. მეზობლები ავადმყოფის სანახავად ხშირად მოდიოდნენ, მხოლოდ შალვა არსად ჩანდა. ერთხელ ვახტანგმა სამზადში ვარიჩას და დედის ლაპარაკს მოჰკრა ყური:

— ასე შემოგითვალა, ჩემო პუპლია, როცა ბიჭი შინ არ იქნება, მაშინ გადმოვალ და ლევანს ვნახავო. ლევანთან სამდურავი რა მაქვს, თანშერდილები ვართ, მაგრამ არც პუპლიას და არც იმ ბიჭის ნახვა არ მინდაო.

— რა ვქნა, როგორ ვუთხრა მაგ ბიჭს, არადა, სულ შალვას ნატრულობს. დღესაც მითხრა, მის უნახავად ნუ მომკლავთო.

— ბიჭი ექიმთან გაგზავნე წამალზე. შენც აპირ დაჯექი, სამზადში. შემოვა და ნახავს. შალვას კი არა, სხვესაც ეზარებათ მოსვლა, როცა ვახტანგი შინ არის.

— რა დავუშავეთ მაგ უღმერთოებს? — წუწუნდა პუპლია. — კარგი, როგორც ჯობდეს, ლევანს ეგ სურვილი უნდა შევუსრულოთ. ვიცი, იტანჯება. ბავშვის ნახვაც უნდა, მაგრამ არ ივარგებს, რაღა რას იტყვის?

— რაღაი არ უნდა ჩამოვიდეს?

— რა ვიცი, ვახტანგი არაფერს ამბობს. მეც ვერიდები, მეშინია არ შევაწუხო.

— არ უნდა ავადმყოფი მამამთილის ნახვა?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია პუპლიამ, მაგრამ შეეშინდა უკმაყოფილება არ გამოვამჟღავნო და წამოცდენილი სიტყვა სწრაფად გამოასწორა, — არ იცის, ავად თუ არის.

— რა ვიცი, ახლანდელი ახალგაზრდების არაფერი მესმის, ასეთ დროს რაღაცი შინ არ უნდა ტრიალებდეს?

— სად სცალია, შე ქალო! — გაბრაზდა პუპლია.

— მთელი სოფელი ამაზე ლაპარაკობს.

— სოფლის ლაპარაკს რას დაეძებ. რა დაემართათ, ჩვენთვის მოიცალეს?

ვახტანგი ცდილობდა, როცა ვინმე მამის სანახავად მოვიდოდა, იქაურობას გასცლოდა. რა დაუშავა ასეთი, რად შეეძულა ყველამ?

ლევანს უძილობა დასჩემდა. ვახტანგი არ შორდებოდა. იჯდა მასთან და საუბრით ართობდა. მამა არასოდეს არ ეკითხებოდა მის ცხოვრებაზე, ოლზე, ოჯახზე. უკვირდა ვახტანგს მამის ასეთი სიჩუმე.

ის ღამე ვახტანგს საოცრად გრძელი მოეჩვენა. დედას ტახტზე მოკუნტულს ჩასძინებოდა. მამა თვალდახუჭული იწვა. ვერ გაიგებდი, ეძინა თუ არა.

— მარტო ვართ? — იკითხა უცებ ლევანმა.

— კი, მამა.

— უკანასკნელი სათხოვარი მაქვს შენთან, შვილო. — ლევანი ძლივს ლაპარაკობდა, — შინი ფუძე შექმენი, იცოდე. სხვის კერაზე მისული კაცი გუგულის ბარტყივით არის.

ლევანმა სათქმელი დაამთავრა და თვალი დახუჭა, ძალზე მისუსტებული იყო, ენაც წაერთვა.

სოფელში ხმა დაირხა, ლევანი ცუდად არისო. ეზო და აივანი ხალხით გაიავსო. ლევანი უხმოდ იწვა. საღამოზე ავადმყოფს უარესობა დაეტყო. სუნთქვა ვაუხშირდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. შობლზე სისხლის ძარღვები უკრთოდა. ბინდის ჩამოწოლასთან ერთად ლევანის სიცოცხლეც ჩაქრა. ვახტანგს სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში მამის თხოვნა, მისი ნაღვლიანი გამოხედვა. ჯერ ისევ თბილ ცხედარზე დამხობილი დედა, გაცივებულ ხელებსა და სახეს რომ უკოცნიდა ლევანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურად ჩამოცხა ოთახში. წამლების სუნი სულს უხუთავდა ვახტანგს. წამოდგა, აივანზე გავიდა. უნდოდა ოთახში გამეფებულ სიჩუმეს გაქცეოდა. აქაც, აივანზედაც სიჩუმე იყო, თითქოს მთელ კარმიდამოს ჩასძინებიაო.

ვახტანგს შიში დაეუფლა, შიში, მუდამ რომ თან სდევს სიკვდილს. უნდოდა სადმე გაქცეულიყო, დამალულიყო. უნდოდა ეყვირა, სამუდამოდ განდედენა სახლიდან სიკვდილის მაუწყებელი სიჩუმე.

დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. პროფესორი, მედეა და მადონაც ჩამოვიდნენ. მუშამ უზარმაზარი კვირგვინი მოაყენნთ კარზე. თეთრ ლენტს ქარი აფრიალებდა. ყველას თვალში ხვდებოდა წარწერა: „დაუვიწყარ ლეონს საყვარელი რძლისაგან“. პუპლია ტირილით შეეგება მძახლებს. დედაშვილი პუპლიას აქეთ-იქით მოუსხდა. პატარძლის საშვერტად მოსულ ხალხს ჭირისუფლები დაღონებული ხვდებოდნენ.

— სანამ ცოცხალი იყო, ერთხელაც არ ჩამობრძანდა, ახლა ჭირისუფლადაც დამჯდარა! — ვერ ისვენებდა ვარიჩკა.

— რძალია, ქალო, აბა რა ქნას?

— სიცოცხლეში წყალი არ დაულევნებია.

— წყლის დამლევნებლად ეგ არაკის გამოადგება. ხედავ, რამოდენა ფრჩხილები წამოუწრდია თითებზე?

— აფსუს, მაკა!

დასაფლავების შემდეგ მარტო დარჩენილი სახლობა მიყუჩდა. ცხოვრება, ასე თუ ისე, თავის კალაპოტში ჩადგა. პუპლია ცდილობდა, მძახლებისათვის რაც შეიძლება მეტი პატივი ეცა.

— ჩემმა ლევანმა ასე არ იცოდა სტუმრების დახვედრა.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო პუპლია, ჩვენ ხომ საქეიფოდ არ ჩამოსულვართ.

— ვაი ჩემს თავს, რძლის მოსვლას ასე უნდა შეხვედროდა ჩემი ლევანი? მთელი სიცოცხლე ოცნებობდა ბიჭის ქორწილზე. ისე ჩავიდა მიწაში, რძლის ნახვას ვერ ეღირსა.

— თვითონაც დამნაშავე იყო, ქალბატონო პუპლია, ერთხელ არ გვინახულა, ჩვენ კი მაგის მდგომარეობა არ ვიცოდით.

— იუკადრისა, ჩემო ბატონო. ჯერ რძალი აქ უნდა ჩამოვიდეს, მერე მეც ვინახულებ ჩემს მძახლებსო. აღარ დასცალდა, ბატონო. მე უბედურს მეგონა, გამოკეთდება-მეთქი. სასიკვდილოდ არ მემეტებოდა.

ნავახშმეეს ვახტანგი ბოლთას სცემდა აივანზე. მადონა და დედამისი ოთახში ჩურჩულებდნენ. მედეა თბილისში წასასვლელად ემზადებოდა. ვახტანგს მადონას ხმა მოესმა:

— არაფრით არ შემიძლია დარჩენა, დედა!

— როგორც გინდა, შვილო. მგონი დარჩენა ჯობდა, ვახტანგთან ერთად ჩამოხვიდოდი.

— როგორ, ვახტანგი დარჩება? — გაოცდა მადონა.

— მე მგონი, უნდა დარჩეს.

— არ მოსწყენდა, ნეტავ, დედამისის წუწუნი?

ვახტანგს გულზე მოხვდა მადონას სიტყვები. კიბე ჩაირბინა, ეზოში გავიდა. ნუთუ მადონა ასეთი უგულო ქალია?

მადონა დილით ადრიანად შევიდა ქმრის ოთახში.

— ვახტანგ, გზაში რომელ ფეხსაცმელს ჩაიცვამ? ჩვენ ხომ დღეს მივდივართ.

— მე არსად არ ვაპირებ წასვლას!

— მამას შეუთანხმე, ვახტანგ! ამდენ გაცდენას არ გაპატიებენ,—კილო შეიცვალა მადონამ.

ვახტანგმა პასუხი არ გასცა.

პუპლია სამზადიდან ქოთქოთით გამოვიდა.

— ასე როგორ შეიძლება, ბატონო. ხალხი რას იტყვის? რძალმა მამამთილის დასაფლავების შემდეგ სამ დღეს

აღარ უნდა მოიცადოს სახლში? სტუმარი ხომ არ არის?

— აპატე, ჩემო პუპლია, ვერ არის კარგად. აქ რომ ცუდად გახდეს, შეგაწუხებს.

— რას ამბობ, ბატონო, თავის სახლში ხან კარგად იქნება ადამიანი, ხან ცუდად.

— ქალბატონო პუპლია, კარგად რომ იყოს, ასეთ დროს ნამდვილად არ წავიყვანდი. მაგრამ მივარდნილი სოფელია და ახლა მისი აქ დატოვება არ ივარგებს, — უთხრა მედეამ. პუპლიამ რძალს გადახედა.

— იქნებ გავბედნიერდი და მიზეზობს, ჩემო ბატონო. მერე რა უშავს, მაგის ჭირიმე!

ვახტანგი საუბარში არ ერეოდა. აივნის სვეტზე მიყრდნობილი, ჩუმად მისჩერებოდა მოსაუბრეებს. დედის სიტყვებზე გული შეუქანდა, თვალებში სიხარული ჩაუდგა.

— ბედნიერება კი არა, შიშით გული მისკდება! — აცრემლდა მედეა.

— დედა, ღმერთმა სატირალი ნუროფერი მოგვიცეს, ჩემი ბატონო, ეგ რა სატირალია? საწყალო ლევან, რომ აღარაფერს მოგასწრო ღმერთმა, — მკერდში ხელი ჩაიკრა პუპლიამ. — წადი, შვილო, წადი, ღმერთმა მშვიდობით გატაროს!

ვახტანგმა მამის საფლავთან სკამი გააკეთა, მაგრამ პუპლია სკამზე არ ჯდებოდა. გვერდით მიუჯდებოდა ლევანის საფლავს. ცივ მიწას ხელს გადაუსვამდა და ჩუმად მოსთქვამდა. კახტანეი კი საათობით იჯდა ოჯის გაკეთებულ სკამზე. უყურებდა, როგორ დაფრინავდნენ ბეპლები ყვავილიდან ყვავილზე, ცაში მწიფობელები დატრიალებდნენ. მწიფობელების ხმაურობა ბავშვობა მოაგონა ვახტანგს. როგორ ახარებდა პატარებს მათი გამოჩენა! ბიჭები ერთ ჯრიალულს ატეხდნენ, ხტოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ზღიცას შეჰკიჟინებდნენ. ერთი ამბავი მოაგონდა: ერთხელ მამამ თბილისიდან თოფი ჩამოუტანა. ვახტანგი თოფს წუთით არ იცილებდა. ერთ კვირა დღეს სანადიროდ წავიდა, მწიფობელა ჩამოვადგო, გახარებულმა თავის პირველ ნადირევს ხელი დასტაცა და აღარ მოსოფდა, მაკასთან მივიდა თუ მიფრინდა. მაკა წყაროზე ჭურჭელს რეცხავდა.

— მაკა, ხედავ, მწიფობელა მოგიყვანე! — უთხრა და ჭრელი გრძელნისკარტა ჩიტი გაუწოდა. მაკამ ჩიტს დახედა.

— მკვდარია?

— არა, დავჭერი! — ამაყად უთხრა ვახტანგმა.

მწიფობელა მართლაც დაჭრილი იყო, ლამაზ ფრთებს საცოდავად აფართხუნებდა.

— რად დასჭერი ასეთი ლამაზი ჩიტი? — სინანულით სთქვა მაკამ.

— აბა, თოფი რისთვის მაქვს? — გაიკვირვა ვახტანგმა.

— რა ლამაზი ყოფილა, — აცრემლდა მაკა. ვახტანგიც შეწუხდა. მწიფობელა მასაც დაენანა:

— იქნებ არ მოკვდეს...

„რად გამოაცალე დედა-ბოძი შენს ფუძეს, ლევან, რად მიმატოვე მარტოდ-მარტო? ვახტანგი ჯერ ბავშვია, სად შეუძლია ჩემი პატრონობა! არ შეშინდე, ჩემო ლევან, აქაურობას არ დავტოვებ. დალოცე ჩვენი ვახტანგი. გაიხაროს თავის ახალ ოჯახში. ჩვენს ძველ ფუძეს მე და შენ უნდა მოვუაროთ, ლევან“, — მოსთქვამდა პუპლია.

ვახტანგს დედის სიტყვები ეკალივით ჩხვლეტდა. გრძნობდა, რომ დამნაშავე იყო დედ-მამისა და ოჯახის წინაშე. დროზე ვერ ჩამოვიდა სოფელში, ვერ მიატოვა სწავლა. გაახსენდა მადონას სიტყვები, აქ რა გაგაჩერებსო. მაშინ ულანაურად მოეჩვენა ეს ნათქვამი, მაგრამ ახლა უკვე უმძიმს აქ ყოფნა. ეტყობა, მისთვის ახლობელი აღარ არის ის ადგილი, სადაც დაიბადა, სადაც ბავშვობა გაატარა.

ვახტანგს გული თბილისისაკენ, ინსტიტუტისაკენ ეწევოდა. აღარ უნდოდა ეცქირა მოდან თვალცრემლიანი დედისათვის, მამის საფლავისთვის. დედამ წაბლის ტყემდე მიაცილა:

— წადი, შვილო, შენს გზას ეწიე!

როგორ გამოიცვალა დედა! მხოლოდ ახლა იგრძნო, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია დედის ცხოვრებაში მამას. პუპლიას ლევანის სიკვდილის შემდეგ საკუთარი თავი დაავიწყდა, ახლა იგი მუდამ ქმრის სიტყვებით ლაპარაკობდა.

ვახტანგი გვიან ღამით ჩავიდა თბილისში. კარი შინამოსამსახურემ გაუღო. სახლში არავინ იყო.

— კონცერტზე წავიდნენ, იაპონიის ჯაზი ჩამოვიდა, — უთხრა შინამოსამსახურემ, — აბაზანას გავახურებ, იბანავეთ, დაღლილი იქნებით.

ვახტანგი აბაზანაში იწვა. თვალები მიეღულა და დედის საყვედურით სავსე სახეს ხედავდა, — წაბლის ტყისპირად მდგარი, შორიდან მანდილს უქნევდა. ნაღვლიანად გასცქეროდა აღმართზე მიმავალ შვილს.

„ბიჭო, სოფელს გადაეჩვიე, აქ გული აღარ გიდგება!“ ვახტანგმა თვალი გაახილა, უსიამოვნო ფიქრი მოიცილა, აბაზანიდან ამოვიდა, ტანი შეიმშრალა, პიჟამო ჩაიცვა და აივანზე გავიდა. აქედან ელნათურების ალით გაჩირაღდნებული თბილისი, ხელისგულივით ჩანდა. მომხიბლავი შემოდგომის ღამე იყო. სასიამოვნო, გრილი ნიავი ჰქროდა. ვახტანგს სკამზე ჩასთვლემია: უცერად მადონას შეძახილმა გამოაფხიზლა:

— ჩამოვიდა?! მადლობა ღმერთს, სად არის? — მადონა აივანზე გამოვიდა, ხელი ხელს შემოჰკრა. ვახტანგი წამოხტა. ორივე ხელი შეაგება ქალს.

— ღმერთო ჩემო, რას დაგსგავსებიხარ? — გაიცინა მადონამ, შემდეგ ოთახში შევიდა და ვახტანგიც შეიყვანა.

— დედა, მამა, შეხედეთ ვახტანგს, რასა ჰგავს? ნამდვილი ტყის კაცია! შეხე, რასა ჰგავხარ, — კიდლის სარკეზე მიუთითა. ვახტანგმა იქით გაიხედა და შეკრთა. მართლაც რას დამსგავსებია, წვერიც როგორ წამოზრდია. პროფესორმა წარბი შეიკრა და მოსამსახურეს მიუბრუნდა:

— წყალი გააცხელეთ, წვერი მაინც გაიპარსოს.

ვახტანგი წვერს იპარსავდა და ფიქრობდა, ნეტა დედა რას იტყვის, რომ დამინახოსო.

მადონა როიალთან იჯდა, რაღაცას გატაცებით უკრავდა. მედეა სუფრას შლიდა...

ვახტანგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაება; ლექციები, მანქანით გასეირნება, კინო, კონცერტი ერთმანეთს მიჰყვა. პირველად ეთაკილა ვახტანგს კონცერტზე წასვლა, ნაადრევად მოეჩვენა, მაგრამ მადონას სიტყვებმა: მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იცის, კვლავ როდის გვექნება შემთხვევა იტალიელებს მოვუსმინოთო, — ეს ნაბიჯიც გადაადგმევინა. ასე მიჰყვებოდა დღე დღეს და მშობლიური სოფელი, დედა და მამის აჩრდილიც კი რაღაც ბურუსში მიიმალა.

გადაწყვიტა, დედასთან ზამთრის არდადაგებზე მაინც წავალო, მაგრამ მადონამ ახალი წინადადება წამოაყენა, არდადაგებზე მოსკოვსა და ლენინგრადისაკენ გავისეირნოთო.

პუპლიას ხშირად მისდიოდა წერილი. ყოველ წერილში დღე იყო დათქმული, როდის ჩამოვიდოდა ვახტანგი. დღე დღეს მისდევდა, პუპლიას თვალები გამოეღამდა სერისაკენ ცქერით. ეგონა, აი ახლა, აი ახლა გავიგონებ სტვენას, სერზე გადმომდგარ ვახტანგს დაეინახავო, მაგრამ ამაოდ.

— როდის ჩამოვა ის ბიჭი? — არ ასვენებდა ვარიჩკა. პუპლია თავს არიდებდა ვარიჩკას. მის ყოველ შეკითხვაზე გული ეკუმშებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა შვილი გაემართლებინა.

— სტუდენტია, გენაცვალე, თავის ნებაზე ხომ ვერ იყლის.

— ვახტანგის მეტი არავინ არის სტუდენტი?

— ოჯახიც თავისას მოითხოვს, ხომ იცი, შვილს მოელიან, — თავს იმართლებდა პუპლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდადაგებზე მოსკოვში მაგზავნიანო, მოსწერა დედას ვახტანგმა. ამ წერილის წაკითხვაზე პუპლიას მუხლთ მოეკვეთა, მაგრამ ვარიჩკასთან კვლავ გაამართოლა შვილი:

— მოსკოვში გაუგზავნიათ ჩემი ვახტანგი. ძალიან შეწუხებულია, შენს უნახავად მივდივარო.

— შე ქალო, ჯერ სტუდენტია, ახლა რომ ასე მოგანატრა თავი, მერე რაღას იზამს!

— რას ამბობ, უბრალო სტუდენტი და პროფესორის სიძე ერთია? ყველგან მაგას ირჩევენ და აგზავნიან, — ძველებურად დაატრაბახა პუპლიამ.

სხვა დარდიც არ ასვენებდა პუპლიას. ყოველ წერილში სწერდა შვილსა და რძალს, შვილიშვილის კალთაში ჩაგორებას როდის მოვესწრები, გამაგებინეთო. ვახტანგი კი ამის შესახებ არაფერს იწერებოდა. რძალმა ხომ ერთი სიტყვაც არ აღირსა. მერე როგორ ნატრობდა მის წერილს პუპლია, ვარიჩკას საჩვენებლად მაინც მოეწერა ერთი წერილი იმ შერცხვენილს. „არ დავიძებ რძლის წერილს, ბიჭმა მაინც მომწეროს ერთი სიტყვა ბავშვის შესახებ. დამღუპეს, ალბათ, მოაცილეს შვილი მადონას. ეგერ ამირანი და მაცია როდის დაკორწინდნენ, მაგრამ ესმას შვილიშვილი უკვე ხელში უჭირავს“.

ცუდად წარიმართა პუპლიას ცხოვრება. როგორ უქმად ჩაუარა შვილის ბედზე ფიქრმა. ჯერ ყველაფერი ისე მოწყო, როგორც პუპლიას უნდოდა. რამდენი ითვალთმაქცა, რამდენი ატყუა საწყალი ლეკანი. ხელში მაინც არაფერი შერჩა. შვილიშვილი კი არა, შვილიც დაკარგა, სათუთად და ნებივრად გაზრდილი შვილი.

ოქროპირი დაბიდან შინ ბრუნდებოდა. სერი აათავა და სულის მოსათქმელად წაბლებთან შედგა. დაიღალა მოხუცი, ჩაიმუხლა. აქედან სოფლამდე პატარა თავდაღმართიღა იყო. ჰაი გიდი! თვალის დახამხამებაში ამოიკლიდა ხოლმე ამ აღმართს. ახლა კი სულის მოთქმა უჭირს. ყალიონი ამოიღო, დაკოჭრებულ ხელზე დაიბერტყა, ქისა მოძებნა. ყალიონი გაიწყო. მზე ჩადიოდა. სოფელში აქა-იქ კვამლი მოჩანდა.

ოქროპირმა ერთ დროს აქედან პირველად გადახედა სოფელს. მაშინ აქ სამი უზარმაზარი წაბლის ხე იდგა. ახლა წაბლის წვრილ ღერებსღა ამოუყვიათ თავი. ის ვეებერთელა წაბლები მოეწონა მაშინ ოქროპირს და მათ ჩრდილში დაისვენა, წამოწვა კიდეც. რა ახალგაზრდა იყო მაშინ! აქვე გადაწყვეტა თავისი ბედიც — სამუდამოდ დარჩა მთის პატარა სოფელში, ხევში რომ მიყუჟულიყო, თითქოს ვიღაცას ემალებაო.

ოქროპირმა ნატოს ქორწილის დღეს მიატოვა თავისი სოფელი, რათა აღარაფერი სოდეს მიბრუნებულიყო იქ, სადაც ასე უდიერად მოეკენენ. ერთადერთი ნუგეში მოსტაცეს და იმ დღიერიელა ალფეზას გაატანეს, აქაო და ოქროპირი ობოლია, უსახლკარო და ქალს ვერ შეინახავსო. მაშინ ოქროპირმა არც იცოდა, სად მიდიოდა. იცოდა მხოლოდ, რომ ქვეყანა დიდი იყო, ააღირა თავი და წამოვიდა. წაბლის ძირში შეისვენა, სოფელს გადახედა, მოეწონა. ღამე იყო, როცა სოფელში შევიდა, ნაგვიანევი შემოდგომის ცივი, უგემური ღამე. ყველა სახლის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ოქროპირი მიპყვებოდა სოფლის ვიწრო ორღობეს. ვის კარს მიადგეს, სად წავიდეს, ვის მეკეკედლოს? ესე გაიარა სოფელი. სოფლის ბოლოს, წყლის პირად მკრთალი შუქი დალანდა, ძლივს რომ აღწევდა თხმელის ბუჩქებიდან. ალბათ წისქვილიაო, გაიფიქრა. ჩქარი ნაბიჯით წავიდა შუქისაკენ. მთის პატარა მდინარე ჩხრიალებდა. წისქვილის კარს მიაწვა და შეაღო. ვეება მხრები ძლივს შეეტანა ვიწრო და დაბალ კარში. ბუხართან მოხუცი იჯდა. ცეცხლს ჩასჩერებოდა. ხმაურზე მოიხედა. ხელის გულზე ნაკვერცხალი შეატრიალა და მშვიდად იკითხა:

— რომელი ხარ?

— გამარჯობა, ძიაკაცო!

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაშალოს, შვილო, არ მეცნობი.

— უცხო ვარ, ძია, აქეთ პირველად ვარ.

— დაგღამებია, მოდი, შვილო.

ოქროპირს მიწვევიც არ უნდოდა, სამფეხა სკამზე სწრაფად დაჯდა. უეცრად შეაძიგძიგა და ხელები ცეცხლს მიუშვირა.

— საიდან მოდიხარ, ვაჟკაცო? — მოხუცი ნაკვერცხალს კვლავ ხელისგულზე ატრიალებდა. ბოლოს ყალიონს დაადო და გაბმოლა.

— შორიდან, ძია.

— რა საქმეზე გარჯილხარ?

— სოფლიდან გამოვიქეცი!

— სოფლიდან გამოიქეცი? ავი საქმე ხომ არ ჩაგიდენია?

— არა, იმ სოფელში აღარ მედგომებოდა, — ოქროპირმა თავი ჩაღუნა და ცეცხლს ნაღვლიანად მიაჩერდა. მოხუცმა მგონი დაუჯერა, აღარაფერი ჰკითხა.

ოქროპირი ახლაც იგონებს მოხუც მეწისქვილესთან გატარებულ გრძელ ღამეს. მოხუცმა წერა-კითხვაც ასწავლა ოქროპირს. იმ პატარა სოფელმა შეითვისა ლტოლვილი. მოხუცი მეწისქვილე მოკვდა. ოქროპირი კი სამღვდამდე დარჩა წისქვილში. აღარავის ახსოვდა, როდის მოვიდა სოფელში. ამის შემდეგ სოფლის ყოველი სიხარული მისი სიხარულიც იყო, სოფლის მწუხარება კი მისი მწუხარება.

ახლაც სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს იგი. თავკაცობა დაავალეს. მოხუდა ოქროპირი, იუარა, რაღა დროს ჩემი თავკაცობააო, არ მოეშვნენ ბერიკაცს. ამიტომ იყო დაბაში.

აქ ჩაიმუხლა, საიდანაც ოდესღაც პირველად გადახედა პატარა სოფელს. მაშინ ყველაფერი უცხო იყო მისთვის. ახლა აქაური ყველაფერი უყვარს: ხეც, ბუჩქიც, ქვაც და სახლიც... მაგრამ ეს ვისი სახლია, რომ ანგრევენ? ერთი კედელიღა დარჩენილა საცოდავად. საწყალი ამბერკის სახლია. ამბერკი ოთხი თვის წინათ გარდაიცვალა. მისი ბიჭი დაბაში, რკინიგზის ბუფეტში მუშაობს. ახლა მამისეულ სახლს ანგრევს და დაბაში მიაქვს. იქ უნდა დაიდგას. ასევე მოიქცა შარშან სიკოს ბიჭიც. აქაო და ბარანში ვმუშაობო, მამისეული სახლი დაბაში წაიღო და იქ ისეთ კორტოხზე წამოაყუდა, ქვას რომ ვერ გააჩერებს კაცი. რა ეზო და გარემო ჰქონდა! გუშინდელ დღესავით ახსოვს ოქროპირს, სიკო რომ ძმებს გამოეყო და ორსართულიანი ოდა წამოჭიმა. რა იყო მაინც ის შემოდგომა! ათი კომლი შეიმატა სოფელს, ათი ახალი ოდა წამოჭიმეს. ახლა ახალი სახლი ააგო ვინმემ კი არა, მამაპაპისეულს ანგრევენ და ქალაქში გარბიან. აი, ლევანი მოკვდა. მის ცოლს მუდამ ქალაქისაკენ ეჭირა თვალი, ბიჭიც ისეთი გამოზარდა. ნუ გეშინია, მეორე არა ჰყავდეს, მოკვდება ბუბალია და მოიშლება ფუძე. ვარიჩკა სულ არ გათხოვილა. ერთადერთი ძმისწული ომში დაეღუპა. ეხვეწება დისწულებს საწყალი, მაგრამ სოფელში ცხოვრება არც ერთს არ უნდა.

თვითონაც დაბერდა ოქროპირი. უშვილძიროდ გადაშენდება. მოკვდება და ალბათ მისი პატარა წისქვილიც მოიშლება!

ეჰ! — ამოიოხრა ოქროპირმა, — ეჰ, ჩემო ოქროპირ, არც შენ გაგიტარებია ჭკუით შენი ცხოვრება. რა იყო, ოჯახს რომ არ მოეკიდე, რაკა თვალსა და ხელს შუა გაგიფრინდა წლები! ერთი კაფანდარა გოგოს გულისათვის მარტოდმარტომ გაატარე წუთისოფელი. ან შალვამ რა ჰქნა? დარჩა ერთი გოგოს ანაბარა. ახალგაზრდა კაცი იყო. ეთხოვა ვინმე, თუნდაც ვარიჩკა. ერთი ორი შვილი ეყოლებოდა, ერთი ორი ფუძე მოგვემატებოდა, სოფელი გაღონიერდებოდა. ახლა რა გააღონიერებს? თითო შვილი ვისაც ჰყავს, მთაც ქალაქისაკენ უჭირავთ თვალი! ძველად ყოველთვის უჭირდა სოფელს ფულის შოვნა, სად არ მიდიოდა ჩვენი კლეხი საშოვარზე! ჩვენი სოფლელები მოდამ რკინიგზაზე მუშაობდნენ, მაგრამ სახლკარს კი არ ტოვებდნენ. აქედან რომ დაიშვებოდნენ, წუთში ჩავიდოდნენ რკინიგზაზე. ახლა

ძველი ფუძე
კლავდია დევდარიანი

ვისაც არ ჰკითხავ, გეტყვის, აბა, ამ სიშორიდან ვიაროო?.. მოხუცი შეკრთა, თვალი გაახილა. ამბერკის სახლის კედელი დაენგრიათ, ბუხრის საკომურიც ჩაქცეულიყო, გამქრალიყო კიდევ ერთი კერა. წამოხტა და თავქვე სწრაფად დაეშვა. წისქვილისაკენ მიიჩქაროდა, თითქოს ეშინოდა, ისიც არავინ დამინგრიოსო.

ვახტანგის ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. იგი სიმამრთან ერთად ქირურგად მუშაობდა. დღეები უზრუნველად მიჰყვებოდა ერთმანეთს. ერთ დღეს მოსკოვიდან მადონას მამის დეპეშა მიიღეს, იტყობინებოდა, შინ ვბრუნდებიო. პროფესორი სამეცნიერო კონფერენციაზე იყო ზაზგაზინილი. მადონა და ვახტანგი მის შესახვედრად უნდა წასულიყვნენ სადგურზე, მანქანა კი არსად ჩანდა.

— ნეტავ სად დაიკარგა? ერთი საათია ვრეკავ, შოფერი კი არსად ჩანს, — წუწუნებდა მადონა.

— დაანებე თავი, რად გვინდა მანქანა? მშვენიერი დღეა, ფეხით გასეირნება სასიამოვნოც არის.

— რას ამბობ, რას, ტროლეიბუსით როგორ წავიდე?

— მაშ რა ვქნათ, ხომ ხედავ გვაგვიანდება.

— ტროლეიბუსში ვერ ჩავჯდები, — ჯიუტობდა მადონა.

— ფეხით წავიდეთ, ექიმო, სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

მადონამ საკმარისად იბუზღუნა შოფრების დაუდეგრობაზე, ბოლოს იძულებული იყო, ვახტანგს გაჰყოლოდა. ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ დაღმართში. ახლად გაყვანილ ქუჩას ორივე მხარეს გაზონები მიყვებოდა, თვალს სიამოვნებდა მწვანე ნარგავებისა და ყვავილების ცქერა.

ცირკში დღის სპექტაკლი დამთავრებულიყო, კიბე ბავშვებით იყო სავსე.

— შეხედე, ვახტანგ, რამდენი ბავშვია!

— რამდენია და რა კარგებია, ჩვენი კი არც ერთი არ არის! — ნიშნის მოგებით მიუგო ვახტანგმა.

— პატარა ბავშვები არ მიყვარს, — მოზრდილები კი კარგებია; შეხედე, შეხედე, აი, ისეთი რომ მყავდეს, უარს არ ვიტყოდი! — მიუთითა მადონამ ერთ-ერთ თმახუჭუჭა ბიჭზე, სვანური ნაბდის ქუდი რომ ეხურა. ბიჭუნა დიდ, შავ თვალებს აბრიალებდა. გაშლილ მხრებს ვაჟკაცივით მოარხეულდა. ვახტანგი მადონას გვერდით შეჩერდა და კიბეზე სირბილით ჩამომავალ ბიჭს დააცქერდა. ბავშვთან მაღალი, კოხტა ტანის ქალი მივიდა, ხელი მოჰკიდა, შეაჩერა და რაღაც უთხრა. ვახტანგმა ქალს შეხედა, შეკრთა და მადონას მკლავში ხელი წაავლო:

— წავიდეთ, მადონა, გვაგვიანდება!

— დედაც კარგი ჰყოლია, ჯიერანნავით ქალია.

— არ დამინახავს, — სიტყვა ბანზე აუგდო ვახტანგმა და ცოლს უსიტყვოდ გაჰყვა გვერდით. მადონას ქმრის დანაულობა არ შეუმჩნევია.

კიბეზე შეჩერებულ მაკას ვახტანგისა და მისი ცოლის დანახვაზე მუხლები აუკანკალდა, თვალთ დაუბნელდა და შვილს მხარზე დაეყრდნო. „ვახტანგ, ვახტანგ! მაშ ეს შენ იყავი. შენს ცოლს მოეწონა ჩვენი ბიჭი, შენ კი სწრაფად მოსცილდი. შეგეშინდა? რის შეგეშინდა? ჩემი თუ საკუთარი შვილის?“ — იმეორებდა გულში მაკა, შვილის მაჯა ხელში მაგრად ჩაებღუჯა, და არც კი ემოდა, რას ეუბნებოდა ბიჭუნა.

— დედა, ტრამვაიში ჩავსხდეთ. არც ტროლეიბუსი გინდა? — არ ისვენებდა ნუკრი და დედას ტრამვაისა და ტროლეიბუსისაკენ უთითებდა. მაკა კი ისე გარბოდა, თითქოს უკან ვინმე მოსდევხო. „ვახტანგ, ძლივს შევხვდით ერთმანეთს. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ! გამოცვლილხარ. ეჰ, რად ფართხალებ, გულო, ასე! მე ხომ სულაც არ ვიცნობ ამ კაცს. რა შეშინებული სახე ჰქონდა, რა დამფრთხალი თვალები! ცოლს გვერდით დამნაშავესავით გაჰყვა. არა, ის, ვინც მაკას უყვარდა, სულ სხვა იყო. ისე კარგად ახსოვს აგვისტოს ის დღე, თითქოს ყველაფერი ეს გუშინ

იყოო. მაშინ ისინი ცხრამეტი წლისანი იყვნენ, სიცოცხლეს შეჰხარიდნენ. მაშინ ვახტანგი ტანწერწეტა, თმახუჭუჭა ბიჭი იყო: თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ახლა კი რას დამსგავსებია! არა, მაკა არ იცნობს ამ კაცს. მასთან საერთო არასოდეს ჰქონია".

ძილმორეული ბავშვი დედამ საწოლთან მიიყვანა, დააწვინა, ოთახი მოათვალიერა. ორი პატარა ოთახი ჰქონდა მაკას. ეს ბინა შარშან მიიღო. ერთი ოთახი მამაშუაოდ აქვს განკუთვნილი. კედლებზე წიგნებით სავსე თაროები ჰკიდია. აქვეა მისი მოლბერტიც. სანამ ბინას მისცემდნენ, საშუალება არ ჰქონდა დიდ ტილოებზე ემუშავა. ახლა სხვაა, ახლა ყველაფერი აქვს მაკას, იგი სოფლიდან ჩამოსული პატარა გოგონა აღარ არის, უკვე მხატვარი ქალია და ფუნჯსაც კარგად ფლობს.

ძიების დიდი და ძნელი გზა განვლო მაკამ, სანამ ამ წარმატებას მიაღწევდა. დღეს მისი სურათები ყველას ყურადღებას იმსახურებს. ყოველი ხე, ბუჩქი, თუ ყვავილი ცოცხალია და სუნთქავს მაკასთან ერთად. მაშ რა აწუხებს? ნუთუ ვახტანგის შორით დანახვა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ძველი ჭრილობა გახსნოდა? მისთვის უცნობ მამაკაცსა და ქალს მოეწონათ ნუკრი, მერე რა არის აქ გასაკვირი. ნუკრი ყველას მოსწონს. მაკამ შვილის სურათს ახედა. ეს სოფელში დახატა. მაშინ ბიჭი ოთხი წლისა იყო. შალვამ შვილიშვილს ნუკრი მოუყვანა. ძროხის რძით კვებავდნენ პატარა ცხოველს. ბოთლს საწოვარა წამოაცვეს და ბავშვი ნუკრს თავის ხელით აწოვებდა რძეს. აი, ეს სურათი დახატა მაშინ მაკამ. ტილო შემოდგომის მზის სხივებს გაენათებინა, მთელი თავისი ქალური სითბო და სინაზე ჩაქსოვა მაკამ ამ სურათს.

აი, ესეც ნუკრი და მაციას პატარა გოგონა მაია. ეს სურათიც სოფელში დახატა მაკამ. გრძელ მორზე ნუკრი და მაიკო ისხდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ესეც მისი სადიპლომო შრომა. ამ სურათმა ერთ დროს ყურადღება მიიქცია და სახელი მოუხვეჭა მაკას, სახელი, რომელიც აღარავის სჭირდებოდა და აღარავის გაახარებდა. დღეს ვახტანგი სამუდამოდ ამოიშალა მაკას ცხოვრებიდან. ახლა მისდამი აღარც შურს გრძნობს და არც სიძულვილს. რამდენი ტანჯვა და მწუხარება მიაყენა ვახტანგმა, მაგრამ მას რა საერთო აქვს იმ კაცთან, ვისაც დღეს შეხვდა! რად დარჩა მაკა ცხოვრებაში ასე მარტო, რად ველარ იპოვა გულის სწორი?

მაკა დიდხანს იჯდა სავარძელში, შესცქეროდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს და თვალწინ ვახტანგი ედგა. შემდეგ წამოდგა, მოლბერტთან მივიდა. „უნდა დავხატო, ისეთი უნდა დავხატო, როგორიც მახსოვს, როგორიც მიყვარდა, რომ მისი სახე სამუდამოდ ჩამრჩეს გულში."

გვიან ღამემდე იმუშავა მაკამ. მერეც მთელი ღამე რული არ მიჰკარებია, ფიქრობდა წარსულზე, შვილზე, თავის უიღბლო ცხოვრებაზე, ახსენდებოდა ვახტანგთან დღევანდელი შეხვედრა, მისი შეშინებული, დაბეჩავებული სახე.

მაკას ნუკრიას სასკოლო ასაკი შეუსრულდა. შალვამ სთხოვა, ბიჭი სოფლის სკოლაში შევიყვანოთო, მაგრამ ვერ იქნა, მაკა ვერ დაითანხმა. მამას გადაჭრით უთხრა, ნუკრის ვერ მოვიცილებო.

მაკამ ბიჭი სკოლაში წასაყვანად მოამზადა. გვიან ღამით კვლავ ოთახში დაბორიალობდა. ხან მძინარე შვილს დახედავდა, ხან ფორმის ტანსაცმელს, ან ჩანთას, ბაბუამ ნუკრის რომ უყიდა.

— რად უნდა პირველ დღეს ჩანთა და წიგნები? — იცინოდა შალვა.

— არა, მამა, დღეიდან ნამდვილი მოსწავლეა. დე, სკოლაში ისე მივიდეს, როგორც ნამდვილ მოსწავლეს შეეფერება.

მაკამ ამ დღის აღსანიშნავად სურათი დახატა და გამოფენისათვის გაამზადა— „პირველი დღე სკოლაში".

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

დილით მაკა საწოლიდან უთენია წამოიჭრა. შალვა უკვე ამდგარი დახვდა:

— რა ადრე ადექი, შვილო, ბიჭი ჯერ არ გაადვიძო, ცოდვაა.

— არა, მამა, როგორ გავადვიძებ! ისე მეჩქარება სკოლაში წასვლა, თითქოს, მე თვითონ მივდიოდე, — უთხრა მაკამ და გაახსენდა, როგორ წაიყვანეს პირველად ისა და ვახტანგი სკოლაში.

უცებ ზარის ხმა გაისმა.

— ნეტა ვინ უნდა იყოს ასე ადრიანად? — გაკვირვებით იკითხა მაკამ და კარის გასაღებად გაიქცა. — დეპეშაა, მამა, ბებო, ამირანი და მაცია ნუკრის სკოლაში წასვლის დღეს მილოცავენ.

— ყოჩაღ, კარგად მოუფიქრებიათ! — გაუხარდა შალვას.

ნუკრიმ დედასა და ბაბუას წინ გაუსწრო. მაღალი კანჭები და თვალების ჭრილი ბიჭს მართლაც რომ ნუკრს ამსგავსებდა.

სკოლის ეზო ბავშვებით იყო სავსე. პატარებს დედებისათვის ხელი ჩაეკვლოთ და მათ კალთას ეფარებოდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეგებებოდნენ, ეკითხებოდნენ, ვინ სად გაატარა ზაფხული. პირველკლასელებს ერთად მოეყარათ თავი. მაკამ ნუკრის ხელი მოჰკიდა და მათკენ წაიყვანა.

— აი, აქ დადექი, ნუკრი, აქ ყველა შენი ამხანაგია.

ნუკრიმ დედას შეხედა, მისი ხელი არ ეთმობოდა.

— ამ ბიჭიკოს მოჰკიდე ხელი, ერთად დადექით, — უთხრა მაკამ შვილს და გვერდით მდგომ პატარა ბიჭზე ანიშნა. ბიჭმა შავი თვალები შეანათა მაკას, გრძელი წამწამები დაეფაფხულა. თავი ჯიუტად გაიქნია:

— მე მეორე კლასში ვარ, დეიდა!

— უკაცრავად, ბიჭიკო! — მიუალერსა მაკამ პატარას.

ბიჭზე ჩამოდიოდა. ლადომ გაუცინა მაკას. მაკა წამით შეჩერდა, იქნებ რაიმე მითხრასო, მერე სწრაფად შევიდა დარბაზში, სადაც მხატვრები და მოქანდაკეები უკვე შეგროვილიყვნენ.

საგამოფენო კომისიას ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. ყველა, ვინი სურათებიც დაიწუნეს, კომისიის წევრთა წინააღმდეგ იყო განწყობილი, იდგნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ედავებოდნენ. მაკამ სწრაფად მოავლო თვალი კედლებს და ერთგან თავისი ორი სურათი დაინახა. „უხვი მოსავალი“, — ეწერა ერთი სურათის ქვეშ.

მეორე სურათი იყო — „ახალგაზრდები სოფლის ორღობეში“ — ამ სურათით თავისი ბავშვობა მოიგონა მაკამ. ორღობეში მომაგალ ახალგაზრდებს შორის მაცია იდგა გიტარით ხელში, აქვე იყვნენ ამირანი, მაკა და კიდევ სხვა მათი ტოლები. ვახტანგიც მიუმატა ამ სურათს მაკამ მას შემდეგ, რაც იგი ცირკის კიბეზე შეხვდა, ოღონდ არა ისეთი, როგორიც ნახა, არამედ მხიარული და თამამი. ამ სურათზე ყველაფერი იცინოდა: აყვავებული წაბლები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა — ყველაფერი ეს როგორი ახლობელი იყო მაკასათვის! მაკას სიხარულმა თავბრუ დაახვია. თავის სურათებს ისე შესცქეროდა, თითქოს პირველად ხედავსო. გული შიშით და სიხარულით უფართხალებდა.

— მოგილოცო გამარჯვება? — ხელი მოხვია მეგობარმა ქალმა და თვალებში ჩახედა.

— ჯერ ადრეა, თინა! ვნახოთ, ხალხი რას იტყვის.

— ნუთუ კმაყოფილი არა ხარ?

— როგორ არა, თინა, როგორ არა! — შეეშინდა მაკას, — მაგრამ ხალხის მეშინია...

— ნუ გეშინია, ხალხი სამართლიანია.

მაკა მთავრობის სასახლის წინ ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მხატვართა გალერეისაკენ, სადაც საგამოფენო კომისიის წევრებს მოეყარათ თავი. ლადო გუდიაშვილი კი-

— ვახტანგ, დედაშენის წერილი მოვიდა, — სთქვა მადონამ და ქმარს წერილი გაუწოდა. ვახტანგმა სწრაფად გადახია კონვერტი და კითხვა დაიწყო.

— დედა გვთხოვს, საპირველმაისოდ ჩამოდითო! — ვახტანგი კითხვას განაგრძობდა. მადონამ პასუხი არ გასცა. სავარძელში იჯდა და ჟურნალს ჩასჩერებოდა. ვახტანგმა კითხვა დაამთავრა და წერილი სავარძელზე დადო.

— წაიკითხე, შენც გწერს.

— დამაცალე, ახლა არ მცალია, — გაუღიმა მადონამ.

— რას კითხულობ?

— არ ვკითხულობ, კაბა მაქვს შესაკერი და ფასონს ვარჩევ.

— მამა მოვიდა?

— როგორ არა, უკვე სუფრას აწყობენ.

მეორე ოთახიდან მედეას ხმა მოისმა:

— მადონა, თავი დაანებე მაგ ჟურნალს, გელოდებით! — მადონა წამოხტა. ვახტანგს ხელი ჩაავლო, პუშლიას წერილი სავარძლიდან გადმოვარდა.

— წამოდი, ვისაღილოთ, დედა გაჯავრდება. ჩემს ახალ შარვალს რატომ ყურადღება არ მიაქცევ? ხედავ, რა კარგად მადგას! — მადონა სარკის წინ კოხტად შეტრიალდა. ვახტანგმა გაუღიმა. დედის წერილი აიღო და ჯიბეში ჩაიდო.

ნასადილევს ვახტანგმა ისევ დედის წერილზე ჩამოაგდო სიტყვა:

— დედა საპირველმაისოდ სოფელში გვეპატიჟება.

— საპირველმაისოდ სოფლიდან აქ ჩამოდიან, ჩვენ კი იქით წავიდეთ?

— დედა გვთხოვს, ჩამოდითო, მადონა.

— მერე ჩვენები მარტო დავტოვოთ?

— დედაჩემი იქ მუდამ მარტოა!

— რა ვქნათ?

— მადონა, ეგ პასუხი არ არის.

— ჩვენ სოფელში ვერ წავალთ, სჯობია ისევ დედა ჩამოვიდეს.

ვახტანგი ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში დაიწყო ცქერა. ვიღაც ქალმა ქუჩა გადმოჭრა, პატარა გოგონასათვის ხელი ჩაევლო. ბავშვი დედას რაღაცას შესჩივლინებდა, დედაც უღიმოდა შვილს. რამდენი სიყვარული იყო ამ ღიმილში! ვახტანგს თვალწინ დაუდგა ციერკის კიბეზე ჩამომავალი მაკა და პატარა ბიჭი. „ის ხომ ჩემი შვილი იყო“, გაიფიქრა და პირველად ახლა იგრძნო, რა დაკარგა. წლების მანძილზე თავის თავს არ შეკითხნია, რად ხდება ყველაფერი ასე. საიდან გაჩნდა მის ცხოვრებაში მადონა? ვინ არის მადონა? განა მადონას შეუძლია იგრძნოს ვახტანგის გულის ტკივილი. განიცადოს მისი სიხარული? რად არის მადონა მისთვის ასე შორეული? „ეს ყოველთვის ასე იყო, მაგრამ შენ ამას ვერ გრძნობდი“, — ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

— ვახტანგ, არ ჩაგიცვამს? დაგვაგვიანდება! — ვახტანგი მადონასკენ შებრუნდა და გაკვირვებით შეხედა — ჩქარა ჩაიცვი, ვახტანგ, დღეს ხომ ლიას დღეობაა.

— მე არ მოვდივარ.

— რატომ?

— იმიტომ რომ, არ მინდა.

— ახირებულია, შენ ნუ მომიკვდები. „არ მინდა“, რა პასუხია? დედა, ვახტანგი ლიასთან არ მოდის, — მიუბრუნდა მადონა დედას.

— რატომ, შვილო? უხერხულია.

— ლია მოვდამ მოდის ხოლმე, არასოდეს არ ვავიწყდებით.

— უნდა წახვიდე, შვილო. მადონა მარტო ხომ ვერ წავა. საჩუქარიც ნაყიდია.

ვახტანგი უხმოდ მივიდა კარადასთან. ჩაცმა დაიწყო. მართლა, რა უნდა, რა აწუხებს, აკლია რაიმე? მისი დაბადების დღეს ყოველ წელს უამრავ სტუმრებს იწვევენ. ვინ გინდათ, რომ არ მოვიდეს: მადონას ამხანაგები, მედეას დები და ძმები, ნათესავები, პროფესორები. „მაგრამ არასოდეს არც ერთი შენი ნათესავი არ მოსულა“, — ჩასჩურჩულა ვიღაცამ. „სანამ ამ სახლში არ მოხველ, არც კი იცოდი, როდის იყო შენი დაბადების დღე“, — კვლავ ჩაესმა ხმა. მართალია, გუშინდელ დღესავით ახსოვს, დედას წერილი რომ მისწერა, დაბადების თვე და რიცხვი ზუსტად მაცნობეო. ახსოვს, როგორ გაიკვირვეს მადონამ და მედეამ ეს ამბავი. ვახტანგს შერცხვა და გული დაწყდა დედაზე.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

— ჩქარა, ვახტანგ, გვაგვიანდება! — შეაწყვეტინა ფიქრი მადონამ და მაჯის საათს დახედა.

ისინი ეზოში გავიდნენ და ჩქარი ნაბიჯით გაპყენენ გზას.

— ლილის გაეუროოთ, გველოდება.

ლილის სახლთან შეჩერდნენ, ქვეკეთ-დან ასძახეს. ლილიმ სწრაფად ჩამოირ-ბინა კიბე.

— სად იყავით ამდენ ხანს?

— ვახტანგმა დაიგვიანა, ველოდ-ბოდი, — თავი იმართლა მადონამ.

ქალებმა ვახტანგი შუაში ჩაიყენეს და გზა განაგრძეს.

— წყალი არ გინდათ? — შეეკითხა ვახტანგი ქალებს, როცა „ლაღიძის წყლებს“ გაუსწორდნენ. წყლის დასალე-ვად შეგიდნენ. კარში ვეება ვაქკაცს შეეფეთნენ. კაცს პატარა ტანის ქალი მოსდევდა.

— ვახტანგ?! — შეჰყვირა კაცმა და მკლავგაშლილი ვახტანგისაკენ წამოვი-და.

— ამირან! — წამოიძახა ვახტანგმა და ამირანს გადაეხვია.

— ვახტანგ, ვახტანგ! — მკლავზე ჩა-მოეკიდა მაცია.

— რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ!

— როგორ გაგვახარე, — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ ამირანი და მაცია.

— როდის ჩამოხვედით?

— სოფელი შეიძულე, ბიჭო? — მე-გობრულად მხარზე ხელი მოუთათუნა ამირანმა.

— სოფელში რა ამბავია?

— მშვიდობა. იქაურობა არ გენატ-რება?

— როგორ არა, მაგრამ დრო არა მაქვს, რომ ჩამოვიდე.

— შენი ფუძე მაინც არ უნდა დაივი-წყო!

— თბილისში ხშირად ჩამოდიხართ? — სიტყვა ბანზე აუგდო ვახტანგმა.

— მაკას გამოფენის სანახავად ჩამო-ვედით! — მაკას ხსენებაზე ყველამ უხერ-ხულად იგრძნო თავი. ვახტანგმა და მა-ციამ ერთმანეთს გადახედეს. ამირანმა კვლავ განაგრძო:

— ჩვენი მაკა ცნობილი ქალია, გვესა-ხელა. ხომ არ წამოხვალ გამოფენაზე?

ვახტანგმა ქურდულად გადასწყდა ცოლს.

— ვერ წამოვალ, ამხანაგის დღეობა-ში ვარ დაპატიჟებული.

— რომელია შენი ცოლი, გაგვაცანი, ბიჭო!

— სად არის გამოფენა? — მისდა-უნებურად იკითხა ვახტანგმა.

— მხატვართა გალერეაში.

— მადონა, მოდი, ჩვენებურები გაგა-ცნო!

მადონა მათკენ წამოვიდა და ამირან-სა და მაციას მიესალმა.

— კარგი ცოლი გყოლია, — აროხ-როხდა ამირანი.

— შვილები გყავთ?

— არა, ჩემო მაცია, ვერ გამოვდექით.

— ვემდურით ჩვენს რძალს, სოფელს სულ არ ეკარება.

— თქვენ რამდენი შვილი გყავთ? — კითხვა შეუბრუნა ვახტანგმა.

— ჩვენ ხუთნი, — გაიბადრა ამირანი, — უფროსი მაკას ნათლულია, ვახტანგი ჰქვია.

— კარგად იყავით, გვაგვიანდება, — ვახტანგმა მადონას ხელი მოჰკიდა და კარისაკენ წაიყვანა.

— სოფელს ნუ დაივიწყებ, ბიჭო, სო-ფელს! — დაუძახა ამირანმა.

— ჩემი ამხანაგებია, სოფელში ერთად ვსწავლობდით, — უთხრა ქალებს ვახ-ტანგმა.

ქალები მხიარულად განაგრძობდნენ დაწყებულ საუბარს. ვახტანგი კი ამი-რანის ნათქვამზე ფიქრობდა: „ნეტავი როგორი მხატვარია მაკა, როგორ მინდა მისი სურათების ნახვა! მაკა რომ ინს-ტიტუტში ჩემთან ერთად მოწყობილიყო, მაშინ სხვაგვარად წარიმართებოდა მისი ცხოვრება. განა მარტო მისი, ჩემი ცხოვრებაც“.

ვახტანგმა მთელი საღამო ჩუმად გაა-ტარა. ყველას უკვირდა მისი დუმილი. მადონა შეეცადა ქმრის გამხიარულებას, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ბოლოს თავი მიანება, სამაგიეროდ თვითონ მო-

ილხინა: მღეროდა, ცეკვავდა, ოხუნჯობდა.

— შეხეთ, რა ლამაზი ქალია, — ფიქრი შეაწყვეტინა ვახტანგს გვერდით მჯდომმა ახალგაზრდამ და გაშლილი ჟურნალი წინ დაუდო — ჟურნალის ფურცლიდან მაკა იცქირებოდა.

— რა ლამაზი სახე და სევდიანი თვალები აქვს. ეტყობა. დიდი განცდების ადამიანია, ნამდვილი ხელოვანის სახეა, არა, ბატონო ვახტანგ?

ვახტანგს ჭირის ოფლმა დაასხა, ძლივს მოახერხა პასუხი.

„უთუოდ უნდა ვნახო გამოფენა“ — გაიფიქრა მან.

ვახტანგი იმ ღამეს დიდხანს ფიქრობდა მაკაზე. რა სევდიანი თვალები აქვსო, ასე არ სთქვა იმ ახალგაზრდამ?

მეორე დილით იგი ადრე ადგა და წასასვლელად გაემზადა. იცოდა, გამოფენას ათ საათამდე არ გააღებდნენ, მაგრამ გული შინ არ უდგებოდა. უნდოდა შეუმჩნევლად გასულიყო, მაგრამ კარი გამოაღო თუ არა, მადონას ხმაც მოესმა:

— სად მიდიხარ, ვახტანგ?!

— საქმე მაქვს.

— რა საქმე გაგიჩნდა ამ დილით? მეერაგთან მინდა წასვლა, არ დაიგვიანო!

დერეფანში გასულ ვახტანგს შინამოსამსახურე წამოწვა:

— ქალბატონმა მედეამ — სად მიჰქანდებითო?

— საქმეზე მივდივარ.

— ბაზარში მინდა წასვლა, არ დაიგვიანო, ცუდად ვარ, მარტო ვერ წავალ,— გამოსძახა მედეამ. ვახტანგს ცეცხლი წაეკიდა, კარი გაიჯახუნა და ქუჩაში გავარდა.

წლების მანძილზე ვახტანგის სურვილს, მის სიტყვას არავინ ანგარიშს არ უწევდა. „პროფესორს ასე სურს, მედეას ასე უნდა, მადონას აზრი ასეთია“, და ასე გაჰქრა ვახტანგის პირადი ცხოვრება, პირადი სურვილები.

ვახტანგმა ქუჩაში საათზე მეტი იხეტიალა. ათ საათზე გამოფენის დარბაზში შევიდა. იქ არავინ იყო. კედლები მოფენილი იყო სურათებით. ვახტანგმა თვალი აუტრიალდა: პეიზაჟები, ადამიანთა სახეები... რაღაც ახლობელი, რაღაც ღვიძლი დაინახა ვახტანგმა ამ სურათებში. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ბავშვობას აგონებდა, სოფელსა და მაკასთან იყო დაკავშირებული. ახლად აყრილ ტყეს, გზის პირს რომ მიჰყვებოდა, უცნაურად მწვანე ფერი ედო. მიწა აქა-იქ ჩრდილებს ჩაემუქებინა.

დიდხანს იდგა მაკას ავტოპორტრეტის წინ. ეტყობა, დიდი განცდების ადამიანიაო, სთქვა წუხელ იმ ახალგაზრდამ. ვახტანგი სწრაფად მოსცილდა სურათს და ახლა სხვას მიაშურა...

სურათი ნათელ ფერებში იყო შესრულებული. დიდხანს შესცქეროდა ვახტანგი მას. აი, მათი სოფლის ორღობე, ახალგაზრდები მოიმღერიან, თითქოს ახლაც ჩაესმის ყურში მათი ხმა. მაცია გიტარით ხელში, ამირანი, მაკა და ვახტანგი. გაზაფხულია და ყველაფერი ხარობს...

თავი უბრუოდა. გარშემო ყველაფერი თრთოდა. დიდი ძალა იყო საჭირო, რომ დამშვიდებით ესუნთქა. სარკეში თავის ორეულს მოჰკრა თვალი. რამდენი განსხვავებაა მასა და იმ ჭაბუკს შორის, სურათიდან რომ იცქირება. ეს დღემდე არ უგრძვნია ვახტანგი. მაშ, აღარ არსებობს ძველი ვახტანგი. დანგრეულა წარსული და ვახტანგი ახლა ამ ნანგრევებზე დგას. შეკრთა, მიიხედ-მოიხედა, იგრძნო, რომ ყველაფერი ლამაზი და კარგი მის ცხოვრებაში მაკასთან იყო დაკავშირებული. ვახტანგს წლების მანძილზე ერთხელაც არ უცდია ჩაეხედა თავის გულში. იგი მხოლოდ უზრუნველ ცხოვრებაზე ფიქრობდა. ჭერნდა კარგი ოჯახი, მოწყობილი ბინა, აგარაკი, მანქანა. საზოგადოება პატივს სცემდა... დღეს პირველად შეადარა მაკა და მადონა ერთმანეთს.

ვინ არის მადონა? განა მადონასა და

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ვახტანგს შეუძლიათ ისე მსუბუქად იარონ ცხოვრების გზაზე, როგორც ოდესღაც მაკა და ვახტანგი დადიოდნენ? არა, მადონა ვერასოდეს ვერ შეცვლიდა მაკას. ვახტანგის ცხოვრების განთიადი მაკას ეკუთვნოდა.

ვახტანგსა და მადონას უკმაყოფილება არასოდეს მოსვლიათ. მადონას ოჯახმა ბევრი რამ კარგი შესძინა მას, მაგრამ საკუთარი ღირსება კი დაუკარგა. რამდენი შეცდომა ჩაიდინა ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანის ცხოვრება ხომ შეცდომებით არის სავსე, ცხოვრებაში შეცდომები გარდაუვალია. აქამდე არ უგრძვნია ეს. ახლა კი ყველაფერი გვიან არის. თმა შეეერცხლია, თვალებში შუქი ჩაქრობია.

ვახტანგი გარეთ გამოვიდა და გულდამძიმებულმა შინისაკენ გასწია. მხოლოდ ახლა გაახსენდა, მადონამ რომ უთხრა, არ დაიგვიანოო. სიდედრმაც ხომ ბაზარში გაყოლა სთხოვა.

— აღარც შემოდგომაზე ჩამოდის შენი ვახტანგი?

— წყნეთში აიშენა აგარაკი მისმა სიმამრმა.

— კაცს მამა დაეწყებოდა, მამინაცვალს ფიცავდაო, ისეა მისი საქმე!

— დედ-მამა შვილისათვის, შვილი თავის თავისათვისო, ხომ გაგიგონია? — უპასუხა პუპლიამ.

— ესმასთანა ჭკვიანი ქალი ამ სოფელში არ არის. ზის ახლა გახარებული ქალი შვილებსა და შვილიშვილებში. შვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჰყავს, რძალი — მასწავლებელი.

— ეჰ, მეც სიკეთე მსურდა ჩემი შვილისთვის. იცოცხლე. ის კარგად იყოს, მაგრამ მე არაფერში მარგია. ჩვენს კუთხეში ჩემი შვილის გარდა პროფესორი არავინაა. — ვახტანგი ჯერჯერობით პროფესორი არ იყო, მაგრამ პუპლია ინსტიტუტის დამთავრების დღიდან ასე იხსენიებდა შვილს.

— მელა კვდებოდა, თავი საქათმეში მიჰქონდაო, ასეა შენი საქმე, ჩემო პუპლია.

— რა ექნა, ვუთხრა პროფესორ კაცს, ჩამოდი და აქ კოლმეურნეობაში იმუშავეო?

— კოლმეურნეობაში რატომ იმუშავებს, მარა ხანდახან რომ ჩამოვიდეს, რა უჭირს. აგერ მაკა ჩამოვიდა ამ დილით. ბებია გახდომია შეუძლოდ. ხელად მოაშორა.

მაკას ხსენებაზე პუპლია შეეცადა სიტყვა ბაზზე აეგდო.

— ხმო გამიქუცა ამ ოხერმა სირსვილმა, ვერაფერი მოვუხერხე.

— ყური გაუხვრიტე, ქალო, მაშინვე გაანთავისუფლებს.

— მოუხდება ვითომ?

— რავა გეკადრება, ხელად უსაშველებს.

პუპლია და ვარიჩკა კერის პირას სამზადში ისხდნენ. პუპლიას ყველი ამოჰყავდა. უეცრად სამზადი გუგუნმა შეარყია, ვარიჩკა შეკრთა.

— ვეღარ გაათავეს იმ გზის აფეთქება, გამისკდა გული!

— უშველათ ღმერთმა, კარგი საქმე წამოიწყეს.

— იმარჯვა ახალმა თავმჯდომარემ, მოასფალტებული გზა უნდა გავიყვანოო, დაუჩენებია.

— ახალგაზრდაა, უნარიანი. საწყალი ჩემი ლევანიც ძაან მოწადინებული იყო გზა გაეყვანა, მარა ხალხმა არ აუბა მხარი.

— ამირანმა ბულდოზერი მოიყვანა.

— სამანქანე გზა რომ გვექნება, მერე იქნებ ჩემი ბიჭიც ხშირად ჩამოვიდეს.

— ღმერთმა ქნას. მე მპირდებოდი, მანქანით გასრიალებო, მარა შენი რძალი მგონი არც შენ გთავაზობს მანქანას.

პუპლია ადგა. თაროსაკენ წავიდა, ჯამი აიღო, ახლად ამოყვანილი ყველი ზედ დადო.

ორღობეში მაცია მორბოდა, არ შეჩერებულა, ისე მიესალმა ქალებს.

— გადმოიარე, შვილო მაცია, აქეთ.

— სკოლაში კრება მაქვს, დეიდა პუპლია.

— მაგ თუ რაიმეში იავარგებდა, გიტარის დაკვრის გარდა, ვის ეგონა?

— ახალგაზრდა იყო, ქალო, ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდა. ახლა როგორ უელის ოჯახს, ქმარ-შვილს! რა ბაგშვები დაზარდა! სისხამ დილით რომ ადგება, შუაღამემდე მაგის მოსვენება არ არის.

— ესმას წყალტუბოში აგზავნის, შენი რძალივით ფრჩხილებზე კი არ იყურება.

პუპლია რძლის მადლიერი არ იყო, მაგრამ მის აუგად ხსენებას მაინც ვერ იტანდა.

— ახლა ჩემი რძალი მაციასავით ხომ ვერ იტრიალებს?

— საუცხოო ოჯახი აქვს, სასახლესავით ოდა წამოჭიმა.

— ღმერთმა მისცეს, ორივე ცოლ-ქმარი მშრომელია. წელებზე ფეხს იდგამენ, მაგათზე ალალია. ამირანმა კოლმეურნეობაც ფეხზე დააყენა.

— იცოცხლე, წელს ისეთი სიმინდი და ვენახია, ავ თვალს არ ენახვება.

— ტყუილადაა აგრონომი თავმჯდომარედ?

— მარტო აგრონომობა როდი კმარა, შე ქალო! აქ გაზრდილია, იცის ჩვენი ჭირ-ვარამი.

პუპლია სამზადის კუთხეში მიყრილ ლობიოს მიუჯდა და რჩევა დაიწყო.

— წელს სულ ვერ მოვიყვანე ლობიო.

— წელს ლობიოს ცუდი მოსავალი იყო, კიდევ კარგად მოგიყვანია.

— კაცი დამხმარე არ მყავს და მე მეტი რა შემიძლია?

— ვის სცალია შენთვის, ყველა კოლმეურნეობაში მუშაობს. იქაც არ ყოფნით მუშახელი.

— მუშახელი სადღა არის, ვარიჩკა, სად! თვალი ყველას ქალაქისაკენ უჭირავს. ახალგაზრდა სოფელში აღარ ჩერდება.

— შენც ძაან გიყვარდა ერთ დროს ქალაქში სირბილი, ჩემო პუპლია!

— ეჰ, ნეტა იმ სირბილმა რა მომიტანა.

— ფოსტალიონი მოდის, ვახტანგის წერილი თუ მოაქვს.

— იქნება მართლა, შენმა ენამ გაიხაროს, ჩემო ვარიჩკა!

— შენი ბიჭის წერილია, პუპლია, — ეზოდან დაიძახა ფოსტალიონმა.

პუპლია ადგა, კალთა დაიბერტყა.

— შინ შემობრძანდი, შენი ჭირიმე, შინ!

— არა, გენაცვალე, მეჩქარება, ბევრი სასიარულო მაქვს ამ წვიმაში.

— რომ აღარ გვეშვება ეს წვიმა, დაალპო ყველაფერი.

— ესმასას გამოვიარე, ასე სთქვა, ერთ კვირას არ გადიღებსო.

— ვაი ჩვენი ბრალი, ერთ კვირას რა გაუძლებს ამ წვიმას?

ორი წლით მოსკოვში მივდივარო, სწერდა ვახტანგი დედას. მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ საქმეებს თავი ვეღარ გავართვი და არ დამიმდურეოო. პუპლიას ხელები აუკანკალდა, წუთით თვალები დახუჭა, მაგრამ გაახსენდა, ვარიჩკა აქ არისო და დროზე შეიკავა თავი.

— წავალ ახლა, ღმერთმა მოთმინება მოგცეს, — სთქვა ვარიჩკამ და სამზადიდან გავიდა.

მარტო დარჩენილი პუპლია დიდხანს იჯდა სამზადის წინ. შვილის წერილი ხელში შერჩენოდა. გასცქეროდა სიერცეს და ფიქრობდა: ვისთვის გაზარდა ერთადერთი შვილი? განა იმისთვის იკლავდა თავს, რომ სიბერეში მარტოდ-მარტო დარჩენილიყო?

სასაფლაოსაკენ წავიდა. სოფლის ორლობე ცარიელი იყო. პუპლიას არ უყვარდა სხვისთვის თავისი დარდის გამხელა. ახლაც ამაყად მიაბიჯებდა. შორიდან დაინახა ლევანის საფლავი. ვახტანგის გაკეთებულ სკამზე ვიღაც იჯდა. შეკრთა, ვინ უნდა ყოფილიყო? ნუთუ ვახტანგია? იქნებ ჩამოვიდა და პირველად მამის საფლავზე მოვიდა! მაგრამ არა, ვახტანგის წერილი ახლა არ მიიღო? მაშ სხვა ვინ ჰყავდა გულშემატკივარი საწყალ ლევანს! დაიბნა, იასამნის ბუჩქს ამოეფარა. ეს მაკაა? გვერდით ბიჭი უზის. რამოდენა გაზრდილა ბიჭი! რამდენ დროს გაუვლია! წლები არ დატყობია მაკას. გალამაზებულა, უფრო მეტად დამშვენებულა. მაკა შვილს რაღაცას

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ეუბნებოდა. პუპლიას სიტყვები არ ესმოდა, მუხლები აუკანკალდა, ჩაჯდა და ქუთდულად უცქეროდა დედა-შვილს.

მაკა და ბიჭი საფლავს მოსცილდნენ. პუპლიამ გაიგონა:

— წავიდეთ, შვილო. წვიმას აპირებს,— დედამ ბიჭს მხარზე ხელი დაადო და საფლავს ნელი ნაბიჯით გაეცალნენ. პუპლია უყურებდა მიმავლებს, სანამ ისინი თხლის ბუჩქებს არ მიეფარნენ. დაბნეული გამოვიდა საფარიდან, დარეტიანებულივით ჩაჯდა ლევანის საფლავთან. მხოლოდ აქ შეეძლო პუპლიას თავისი გულისტკივილის გამხელა, ლევანს არაფერს უმალავდა, თავისი ცხოვრების ყოველ წვრილმანს უამბობდა, ლაპარაკობდა პუპლია. ლევანი ხმას არ სცემდა, მაგრამ მან სიცოცხლეშიაც ასე იცოდა, საათობით უსმენედა პუპლიას და პასუხს ძლივს გაიმეტებდა. ახლაც თავის მწუხარებას პირი მოხსნა პუპლიამ: „შენ ჩემზე ბედნიერი ყოფილხარ, ლევან. ჩემს გარდა სხვაც გყოლია ჭირისუფალი. მე რა ვქნა, მე უბედურმა, მარტო რომ დაგრჩი ამქვეყნად, ხმის გამცემი არავინა მყავს. სოფლის თვალში იხტიბარს არ ვიტქი, ჩემო ლევან, მეყოფა მოთმინება. მართალი გამოდექი, ლევან. მართლაც დავკარგე ერთადერთი შვილი. დასანახავადაც მენატრება. მისი ბედნიერებისათვის შვილიშვილზე უარი ვთქვი, მაგრამ რომ არ ვიცი, ნამდვილად ბედნიერია თუ არა ჩემი შვილი? ამას როგორ ვიფიქრებდი, მაკა თუ შენს საფლავზე დადიოდა! ყვავილებიც ალბათ მას მოჰქონდა. მეგონა, რომელიმე კეთილმა ბავშვმა გაიმეტა-მეთქი, თორმე შენი შვილიშვილის საჩუქარი ყოფილა. აღარ მეცოდები, ლევან, ჩემს გარდა სხვაც გყოლია პატრონი. ამიხდა შენი სიტყვები, მეცოდები, უსატრონოდ რჩებიო. ჩემს თავს რას დავეძებ, სახლკარის ბედი მაწუხებს. ვახტანგს შვილი არა ჰყავს, კერის გამჩაღებელი არა ჩანს. მე კი ვდარაჯობ შენს ფუძეს, მაგრამ ჩემს შემდეგ გაკრება შენი კერა. მირჩიე, რა ვქნა,— შევრიგიო მაკას ბიჭი? იქნებ არც შემირიგდეს, ბევრი სიმწარე ახსოვთ ჩემგან“. — ტირილით გული მოიოხა პუპლიამ, დაგროვილი ნაღველი გაიქარვა და შინისკენ წავიდა.

გადიოდა დღეები. პუპლია სულ იმასაღოცნებობდა, მოსკოვიდან მისი ვახტანგი როდის დაბრუნდებოდა. რადიო იყო პუპლიას მეგობარი. საათობით უსმენდა გადმოცემებს.

ვარიჩკასაგან გაიგო პუპლიამ, რომ მაკა ცნობილი ქალი გამხდარიყო, თბილისში ბინა მიეღო და მანქანაც ეყიდა. ბებია დაუხატავს მაკას და ის სურათი თურმე თბილისში, დიდ დარბაზში არის გამოკიდებული. ცა და ქვეყანა დადის მის სანახავად. ახლა ვარიჩკას ხატავს მაკა. მაცია ამ ზამთარში არდადაგებზე თავისი ბავშვებიანად მაკასთან იყო თბილისში. მაკას ბიჭი ფრიადოსანია. რას არ ასწავლის — მუსიკას, ხატვას, ენებს, ბავშვი თიხიდან ისეთ რამეებს ძერწავს, გაგიკვირდებაო.

— მშვენიერი ბავშვი კი არის.

— ღმერთმა გაუზარდოს, — პუპლია ახლა მაკას ცუდად აღარ იხსენიებდა.

— არ გინდა, პუპლია, მისი ნახვა?

— ჩემმ ვარიჩკა, როგორ უნდა ვნახო, რა ვართ ერთმანეთის? შვილი და რძალი რას იტყვიან?

— იქნებ არც გეყოლოს მეტი შვილიშვილი!

— რად მწყევლი, მაგ იმედით ვცოცხლობ, ქალი!

— დიდი დრო გავიდა. თუ ეყოლებოდა, აქამდე უნდა ჰყოლოდა.

— აქამდე არ უნდოდა იმ ჩემი ცოდვით სავსეს, როდესმე ეყოლება, აბა რა იქნება?

— კაი დაგიმართოს!

მარტოდ დარჩენილი პუპლია დიდხანს ბუტბუტებდა უკმაყოფილოდ: „გაგიხმა ენა, ვითომ რატომ არ უნდა ეყოლოს, რა გადაყრუებული ბებერი ის არის? იმ ქალმა შვილი მართლა რომ არ იყოლიოს... ღმერთო, ნუ დამსჯი ასე!“

პუპლიამ წერილიდან გაიგო, ვახტანგს პროფესორის ხარისხი მიანიჭესო. მერე დეპეშა მიიღო, მოვდივარო, და სიხარულით ცას ეწია.

ვახტანგი მადონასთან ერთად ჩამოვიდა სოფელში. პუპლიას ბედნიერებას

საზღვარი არ ჰქონდა. ისევ გაამაყდა, გადიდგულდა, მთელი დღეები შვილისა და რძლის ქებაში იყო. ვახტანგი ეფერებოდა დედას. რძალიც უფრო ალერსიანად ექცეოდა.

— თქვენ გენაცვალეთ ჩემი გაბედნიერებისათვის, ერთი შვილიშვილითაც გამახარეთ, მერე თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს პუალია!

— მალე, დედა, მალე გაგახარებთ, — აიმედებდა მადონა.

— შენ გაიხარე, შვილო, შენი სახელის ჭირიმე, შენი იმედი ღმერთმა ნუ მომიშალოს.

— მაგის იმედი ნუ გექნება, დედა, იმდენი იძახა შენმა რძალმა, შვილი არ მინდაო, აწი მგონი მართლაც აღარ ეყოლება.

— ნუ გეშინია, დედა, ვიმკურნალებ.

— იმკურნალე, შვილო, იმკურნალე, ყველა პროფესორები ხართ, სხვებს მკურნალობთ და თქვენ თავს ვერ უშველით?

— დავიგვიანეთ, დედა, დავიგვიანეთ.

— რას ამბობ, შვილო, ახალგაზრდები ხართ!

დილით ქათმები დააპურა პუალიამ, აივანზე გამოსულ ვახტანგს შეეხმიანა:

— რამ აგაყენა, შვილო, ასე ადრე?

— არ დამეძინა, დედა. მინდოდა, ჩვენი სოფლის დილა მენახა.

— შენ გენაცვალოს დედა, ასე რომ გიყვარს სოფელი!

— გული მტკივა, აქაურობა რომ უნდა დავტოვოთ.

— რაზე ამბობ მაგას? — პუალიამ სიმინდიანი ჯამი ძირს დადგა და აივანზე ავიდა.

— გაგყიდოთ, დედა, აქაურობა, თბილისში დაგასახლებ.

— არა, დედა, არა, შვილო, მაგ მეორედ არ მითხრა. მამაშენის საფლავს ვერ დავტოვებ, მის სიტყვას ვერ ვუღალატებ.

— რას ამბობ, დედა, აგისრულდება ნატვრა, ქალაქში იცხოვრებ. შენ ხომ გიყვარს ქალაქი?

— რაც ქალაქმა შენი თავი წამართვა, აღარ მიყვარს.

— აქ მარტო ხარ, უპატრონოდ! რა-დემდე უნდა იყო ასე?

— არა, შვილო, სანამ ცოცხალი ვარ, აქაურობას ვერ დავტოვებ. მე რომ აღარ ვიქნები, თუ არ გაყიდი აქაურობას, ზაფხულობით მაინც გააღებ სახლის კარს და შენი დედ-მამის საფლავებს ინახულებ, კარგი იქნება, თუ არადა, შენი ნება იყოს. მე და მამაშენი მაინც ვეღარაფერს გავიგებთ.

თბილისში დაბრუნებულ ვახტანგს თან გამოჰყვა დედის სიტყვები, შენი საკუთარი ბინა გაიჩინეო. ამ დღიდან დაიწყო ვახტანგმა ზრუნვა საკუთარი კერისათვის. მადონა აქაც წინაღუდგა და გადაჭრით გამოუცხადა, მშობლებს მარტო ვერ დავტოვებო.

— რა უშავთ, ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. მაშ დედაჩემმა რა ქნას, მარტოდ-მარტო რომ აჩის?

— დედაშენი შეეჩვია მარტოობას, ჩვენები კი უჩვეწოდ ერთ დღეს ვერ გაძლებენ. დედაშენმა არ ისურვა შენთან წამოსვლა, ვერ შეეელია სოფელს.

— რომ ჩამოვიდეს, სად უნდა იცხოვროს?

— აჰ, მაშ ჩემი მშობლები იმიტომ უნდა მივატოვო, რომ დედაშენმა აქ ჩამობრძანება ისურვოს?

ვახტანგის გაჯიუტებამ მადონა გაამწარა, ახლად მიღებულ ბინას კარგახანს არ მიეკარა. ვახტანგი მარტო დაბორიალობდა ოთახებში და კაბინეტს იწყობდა. ბოლოს მადონაც გადმოვიდა, მაგრამ იქ არ ჩერდებოდა, სახლი მუდამ გამოკეტილი ჰქონდა. ვახტანგი ახალ კაბინეტში ღებულობდა ავადმყოფებს. მადონას სიჯიუტეს მაინც ვერ სძლია.

ავადმყოფების მიღების დამთავრების შემდეგ ვახტანგი საათობით იჯდა საგარძელში. ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებდა და თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა. რა აკლიათ ვახტანგსა და მადონას? თვითონ ცნობილი პროფესორია, მადონაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ კარგი ექიმია. პუპლია ამბობს, ოჯახს ფუძის გამმაგრებელი აკლიაო. ეს მართალია, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ: ვახტანგისა და მადონას ურთიერთობას სითბო აკლია. ვერ იქნა, ვერ გამონახეს საერთო ენა, მადონა გულვგრილი იყო თავისი ოჯახისადმი. არც შვილი ინდომა. „გვიყვარს კი ერთმანეთი?“ — ეკითხებოდა თავის თავს ვახტანგი და ამ დროს ყოველთვის მაკას სახე დაუდგებოდა თვალწინ, ფიქრი კი თავისთავად ბავშვობასა და სოფელს უბრუნდებოდა. რა ახლოგელი იყო მისთვის მაკა! რა იქნებოდა, საბოლოოდ ერთმანეთს რომ შერჩენოდნენ? ცხოვრების გზა უფრო ძნელი გასაკვლევი იქნებოდა. მიზანიც დაშორებული, ვახტანგს კი მუდამ იზიდავდა ცხოვრების იოლი გზა. საათს დახედა, საღამოს მოხსენება უნდა წაეკითხა. სარკეში ჩაიხედა, ხალათი ჭუჭყიანი ეჩვენა, ჰალსტუხიც დაშმუშვნილი, შარვალს ნაკეცი აღარ ეტყობოდა. გაახსენდა, სტუდენტობის დროს დედამ რომ მოამზადა პირველი მოხსენებისათვის.

საღამო იყო, თოვდა. მაკა გარეთ გამოვიდა, მოსასხამის საყელო აიწია, მანქანის კარი გამოაღო, საჭეს მიუჯდა და მანქანა ახლად ნაყარ თოვლზე გაასრიალა.

სამხატვრო გალერეის წინ შეაჩერა. ჩვეულებად გადაექცა ყოველ საღამოს საკუთარი გამოფენა ენახა. ვიწრო დერეფნით დირექტორის ოთახში შევიდა. ოთახში არავინ იყო. მეორე ოთახიდან საბეჭდი მანქანის ხმა ისმოდა. გამოფენას თვალი გადაავლო, ახალგაზრდები ხმაურით დადიოდნენ დარბაზში, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ზოგნი სურათის წინ ხანგრძლივად ჩერდებოდნენ და ხმამაღლა ბჭობდნენ.

შთაბეჭდილებათა წიგნში მაკამ ვახტანგის გვარსა და სახელს მოჰკრა თვალი. მაშ, ვახტანგი გამოფენაზე ყოფილა? მოსწონებია „რეველი“. გაახსენდა, რა უგულოდ დაიწყო ამ სურათის ხატვა; უინტერესოდ მუშაობდა, მაგრამ ჩანაფიქრმა თანდათან გაიტაცა. მთლიანად დაიპყრო მისი არსება. ამან ენერგია შემატა. მთელ დღეებს მოლტერტონთან ატარებდა. ყოველი ახალი სახე უფრო რბილი, ნაზი და გამოკვეთილი იყო.

გამოფენის დარბაზიდან გვიან გამოვიდა. გაზეთების ჯიხურთან რიგში იდგა. მაკამ გაზეთი იყიდა. მანქანაში ჩაჯდა და შინისკენ გაეშურა. გაზეთში წერილი მოეთავსებინათ გამოფენის გამო. ეს დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ამისათვის რამდენი შრომა დასჭირდა! საზოგადოების აზრმა დიდი სიხარული მოუტანა მაკას, თუმცა ამ სიხარულმა მაინც ვერ შეძლო დაეთრგუნა მარტოობის გრძნობა. გარეთ თოვდა. მაკა თვალს არ აშორებდა თოვლის ფანტელებს, ტრიალტრიალით რომ ეშვებოდნენ დედამიწაზე.

საღღაც წაუკითხავს მაკას, დღეები ერთმანეთს არასოდეს არ ჰგვანანო. მაშ ეს დღე რად აგონებს იმ დღეს, უკვე დავიწყებული რომ ეგონა? რამდენი დღე, რამდენი თვე, რამდენი წელი გავდა მას შემდეგ! თვალი გაახილა. მიმოიხედა. თოვდა. ისე თოვდა, ეგეგონებოდათ, ცა დედამიწაზე აპირებს ჩამოსკლასო. მაკა ქუჩაში გავიდა, ფეხით გაუყვა გზას. მაშინაც ასე მიჰყვებოდნენ ქუჩას, მაგრამ მაშინ მასთან ვახტანგი იყო, ახლა კი მარტოა. მაშინ მომავლიან ცხოვრობდა მაკა. ახლა მხოლოდ წარსულს იგონებს. ახლაც მოეჩვენა, თითქოს ვახტანგმა მხრეზზე ხელი მოხვია და უთხრა: „აიხედე ზევით, შეხე როგორ ირიბად ბარდნის!“ და ისინი დიდხანს იდგნენ ასე. მისჩერებოდნენ, როგორ ეშვებოდა ციდან თოვლის ფიფქები. ირგვლივ სიჩუმე იყო. ქუჩის პირას ჩამდწკრიცებული ხეები თოვლის სიმძიმით იზნინქებოდნენ, შეუჩერებლივ თოვდა.

მაკა შინ შებრუნდა. თვალს რული არ ეკარებოდა. ისევ მოლტერტს მიუჯდა, ერთ ხანს იმუშავა. მერე წამოდგა, შორიდან შეხედა თავის ნამუშევარს და კმაყოფილი დარჩა. ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გაიხედა. მიუხედავად ყინვისა, ქუჩაში აუარებელი ხალხი იერეოდა. „რად არის ქუჩაში ამდენი ხალ-

ხი?“ — გაიფიქრა მაკამ და გაახსენდა, რომ დღეს ახალი წელი იყო. მაკა ქუჩაში მოფფუფფუე ხალხს თვალს არ აცილებდა. მარტყოობის გრძნობა დაეუფლა, მიმოიხედა, მაგიდაზე სურათიდან ნუკრი უღიმოდა. თხილამურებზე იდგა ნუკრი, — ეს სურათი ამ დილით მიიღო მაკურაინიდან. გვერდით ოთახიდან ჩაქუჩის ხმა და ბავშვების ჭრიამელი ისმოდა. ალბათ მეზობლები ნაძვის ხეს დგამდნენ. ასევე რთავდა ნუკრისათვის ნაძვის ხეს მაკა, მაგრამ ახლა ბიჭს ნაძვის ხე აღარ სჭირდება. ახლა იგი ბაკურიანშია და თხილამურებით დასრანალებს. მაკა კი მარტო ზის თავის ოთახში. ლოგინი გაშალა, დაწვა და გალაკტიონის ლექსების წიგნი აიღო. „მე მასში მიყვარდა ოცნება ჩემი“, — ამოიკითხა და წიგნი ხელში შეაცივდა; თვალი სივრცეს მიაპყრო. ვახტანგიც ხომ მისი ოცნების ნაყოფი იყო? მაშ, ახლა რაღა უნდა მაკას, ვის ლანდს მისდევს, რა აშფოთებს? მის ფიქრში ვახტანგზე ოცნება მუდამ იმ სურათით თავდებოდა, ცირკის კიბეზე რომ ნახა. თვალწინ დაუდგებოდა შეშინებული, შემკრთალი ვახტანგი, დაფეთებული რომ იცქირებოდა აქეთ-იქით და გაქცევას ლამობდა, ვაკკაცობა არ ეყო, მისულიყო და გამოლაპარაკებოდა. ახლაც ცხადლივ დაინახა ვახტანგის შეშინებული სახე და გაეცინა. შემდეგ წიგნი ბალიშქვეშ ამოსდო, შუქი ჩააქრო და ჩაიძინა.

ვახტანგმა პირველად დაარღვია ოჯახის წესები და სოფელში წავიდა. უნდოდა, მადონაც წაეყვანა, მაგრამ მადონამ, როგორც ყოველთვის, ავადმყოფობა მოიმიზეზა. ვახტანგს უხაროდა კიდეც, მარტო რომ მიდიოდა. სერიდან გადახედა სოფელს. აი, პირველი სახლი, ეს ხომ მათი სახლია! სამზადიდან კვამლი ამოდის. ეტყობა, დედას ცეცხლი უნთია. ალბათ ვახტანგს მოელის. ის-ის იყო, წვიმამ გადაიღო, ახლად დაკვირტული ტყე პატარძალივით გამოიყურებოდა. აქედან მათ სახლამდე გზა თავქვე მიდიოდა. ჭიშკარი ჩამოვარდნილი იყო, ალაგეც მოღრეცილიყო. ვახტანგი ეზოში შევიდა. ეზო ხელით ნაქარგს ჰგავდა. მწვანე მოლში ენძელებს ამოეყოთ თავი და მოულოდნელ სტუმარს თვალებდაჭყეტილნი შესცქეროდნენ. მაგრამ აქაურობას პატრონს მზრუნველი ხელი აღარ ეტყობოდა.

სამზადის წინ გაწოლილმა ბროლიამ წამოდგომა სცადა, მაგრამ წელი ვეღარ აითრია და საწყალობლად შეჰყმუვლა. ვახტანგს ამ ხმაზე გული შეეკუმშა და ანგარიშმიუცემლად დედაო, წამოიძახა.

— დედა, რა დღეს მოვესწარი, რაგა გაიხარა ჩემმა ეზო-გარემომ! — გადაეხვია პუპლია შვილს, — მეკონა, ახლაც ტყესელად ჩაივლიდა შენი დანაპირები, არ ჩამოხვიდოდი.

— რას ამბობ, დედა!

— ისევ მარტო მოხვედი, შვილო, არც ცოლი გახლავს, არც შვილი? — დედამ ვახტანგს სახეზე ნაღველი შეამჩნია და განაგრძო, — შენ იყავი კარგად, შვილო, და არ დავეძებ! შენი მოსვლით გაიხაროს აქაურობამ, დედაშენისათვის ესეც კმარა.

პუპლიამ სუფრა გაშალა. ფუსფუსებდა, ყველაფერი შვილისათვის უნდოდა. ვახტანგიც თითქოს ბავშვად იქცა: უკან დასდევდა დედას, უსმენდა მის ლაპარაკს. დაპატარავებულიყო პუპლია, მხრებში მოხრილიყო, ხმაც შეცვლოდა. სუფრა აივანზე გააწყეს. ეზოში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. დედამ მაგიდაზე დოქით ღვინო შემოდგა. ვახტანგი მივიდა, დოქს ხელი მოჰკიდა, უნდოდა გულში ჩაეკრა, დაეკოცნა მამისეული დოქი, მაგრამ დედისა შერცხვა. ნაქურჩელი მოხადა და ტუჩზე მოიდგა, რომ ცრემლი დაეფარა.

— ოქროპირმა შენი ჭირი წაიღო, ვარიჩკა ძლივსღა დადის, ქარებმა დაადგდო, გულის ფრიალიც დასჩემდა. ესმაც დაბერდა. მაცია კარგი მეოჯახე ქალი დადგა, დედამთილის პატივისმცემელი. ეჰ, შენიანს არაფერი სჯობია თორმე, მაგრამ ახლა უკვე გვიან არის.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფოტო

ვახტანგი უსმენდა დედას. უნდოდა, შალვას ოჯახის ამბავიც ეკითხა, მაგრამ ენა არ უბრუნდებოდა. შესაღამოდა. საიდანღაც ახალგაზრდების ყიჟინა მოისმა. იცინოდნენ, მღეროდნენ, მხიარულობდნენ.

— ვინ არიან, დედი?

— ახალგაზრდებია, შვილო.

— ვისთან არიან?

— შალვასას. ქალიშვილი და შვილიშვილი ჩამოუვიდათ, — სთქვა პუპლიამ და უცბად ენაზე იკბინა, ეს რატომ ვთქვეო.

ვახტანგი ჩუმად იჯდა. პუპლია ადგა. ოთახში შევიდა, ლოგინი გაშალა.

— აივანზე დავწვები, დედა.

— არ შეეცივდეს, შვილო!

— არა, არა, აქ მირჩევნია.

ვახტანგი დაწვა. ღამე უკვე კარგახნის გადასული იყო, მაგრამ ახალგაზრდების ხმაური მაინც არ წყდებოდა. ასე იყო წინათაც, ვახტანგის ბავშვობაში: შუაღამისას დაიშლებოდნენ უფროსების ძახილით თავმობეზრებულნი. ვახტანგი საწოლზე გულაღმა იწვა, თვალები ჭერისათვის გაეშტერებინა და თავის ბავშვობას იგონებდა. სახლის წინ ხის ჩრდილები გაწოლილიყო. თამაშით დაღლილნი ოდესღაც ამ ხის ჩრდილში იყრიდნენ თავს, ზღაპრებს ყვებოდნენ, შაირობდნენ. ამ ხეებს საკუთარი შვილივით უვლიდა ლეკანი, ახლა ტოტები შეხმობიათ. ის დიდი ბლის ხეც გამხმარა. გამხმარ ხეს მაშინვე სჭრიდა მამა, ეზოში არ გააჩერებდა, ახლა კი რამდენი გამხმარი ხეა! შუაღამე გადავიდა, გარშემო სიჩუმეს აღარაფერი არღვევდა. სოფელს ეძინა.

ვახტანგი მადონასა და მაკას ერთმანეთს ადარებდა და ეს შედარება კიდევ უფრო მეტად აშორებდა ცოლთან. იგი ახლა უფრო მძაფრად გრძნობდა თავის შეცდომას. უკუღმართად მოეწყო მისი ცხოვრება, აქ არჩევანი არაფერ შუაში იყო, ყველაფერი მაკასა და ვახტანგის წინააღმდეგ მოქმედებდა. რაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება და უბედობა? ამაზე პასუხი ვერ გასცა ვახტანგმა. გრძნობდა მხოლოდ, რომ ცხოვრების თანამგზავრად მადონას არჩევამ ბედნიერება ვერ მოუტანა. ფეოდალიანი მსხლის ძირში ანწლი აშოშულა. საღდაა მოხასხასე მწვანე მოლი! იმ მოლივით მწვანე და ხასხასა იყო ერთ დროს მაკას და ვახტანგის ცხოვრება. ვახტანგმა სახეზე ხელი მოისვა, გაქრა ოცნება, მის წინ მხოლოდ ჩაბნელებული ეზო მოჩანს გამხმარი და ფუღეროიანი ხეებით.

„ვახტანგ!“ — გაისმა უცებ სიჩუმეში. ვახტანგი წამოხტა. თვალი სიბნელეს გაუშტერა. მაკა, მაკა ეძახის, ეს მაკას ხმაა. რამდენი ხანია არ სმენია მისი ხმა! ეზოში ჩავიდა, დააყურა. სიჩუმე იყო, მხოლოდ შორიდან ისმოდა წყაროს ლუკლუკი. ვახტანგი დადიოდა დაცარიელებულ ეზოში, სადაც ერთ დროს ის და მაკა ერთად თამაშობდნენ.

„მაკა, მაკა! ახლა ვგრძნობ, რა დიდი განძი დავკარგე! შენთან ერთად დაკარგე სიხარული, ოცნება, სიმაბუკის ნათელი დღეები. თუმრე რაც კარგი იყო ჩემში, ყველაფერი შენ გეკუთვნოდა“.

ცაზე ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ. ვახტანგი კვლავ ბოლთას სცემდა ეზოში. მის მეხსიერებაში თანდათანობით გაცოცხლდა წარსული, გაცოცხლდა ყველაფერი, რაც აქამდე დავიწყებული და დამარხული ეგონა.

ჭიშკარი გააღო და გზაზე გავიდა. მოასფალტებულ თემშარას სოფელი შუაზე გაეყო. აგერ ძველი ორღობე, ამ ორღობით დადიოდნენ ვახტანგი და მაკა სკოლაში. აქ ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ბავშვობას აგონებდა ვახტანგს.

ვახტანგი მადონაზე აღარ ფიქრობდა. ასე ეგონა, ახლაც თავისუფალი იყო. უნდოდა, ცხოვრება თავიდან დაეწყო. დაკარგულ ბედნიერებაზე ოცნებობდა და ცდილობდა როგორმე დაებრუნებინა იგი.

მეზობლები გააკვირვა ვახტანგის გადაწყვეტილებამ, ამიერიდან სოფელში უნდა ვიცხოვროო.

მადონას ამ ამბის გაგონებაზე ცეცხლი შემოენთო:

— ეს ჩემი დედამთილის ონინებია!

— ჩვენს ოჯახს წიხლი ჰკრა, იმ მიყრეულულ სოფელში ირჩია ცხოვრება, — აწუწუნდა მედეა.

— ვერ გამიგია, ასეთ სამუშაოს კაცმა ზურგი როგორ უნდა შეაქციოს, ყველა მაგის მდგომარეობას შენსატრის, — მხრები აიჩეჩა პროფესორმა.

— უნდა წავიდე, გავიგო, რამ გააგიჟა.

— წადი, შვილო, აუცილებლად წადი, — დაუდასტურა მედეამ.

— მე წამოგყვები, შვილო.

— არა, მამა, მე მგონია, მარტო სჯობია წასვლა.

— მარტომ რა უნდა გააწყო?

— თუ ვერაფერს გავაწყობ, მერე ჩამოდით.

— მოგვჭრა თავი და ისაა!

— მოიცა, დედა, ნუ დარდობ, არც ისეთი დაძაბუნებული ვარ, ვახტანგი ხელიდან წამიგიდეს. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის საქმეა! — ამაყად განაცხადა მადონამ.

მადონამ დეპეშა გაუგზავნა ვახტანგს, მოვდიავარ, დამხვდიო, და ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ახალ ბინას მიაკითხა, ვახტანგის საწერი მაგიდის უჯრები გადმოაქოთა. გაყვითლებული, ფერდაკარგული წერილები თარიღის მიხედვით იყო დაწყობილი. ქაღალდი, რომელშიც ისინი გაეხვია ვახტანგს, შემოცვეთილიყო. მადონას წლების მანძილზე ერთხელაც არ უფიქრია იმ ქალის მეტოქეობაზე, არასოდეს უგრძვნია მისადმი ეჭვი. მაგრამ ეს გაზეთებიდან ამონაჭერი რეცენზიები იმ ქალის ნამუშევრებზე, და ეს სურათიც ხომ ახალია?! ეჭვმა მოსაზრება დაუკარგა მადონას, ყველში უნდოდა სცემოდა მოღალატეს.

ვახტანგი გააოცა მადონას დეპეშამ. არ მოელოდა მის ჩამოსვლას, ფიქრობდა, წერილს გამომიგზავნისო. მაშ, მადონა მოდის? ცოლთან პირისპირ შეხვედრამ შეაფიქრინა. პირისპირ შეყრილ საშიშროებას ყოველთვის გაურბოდა ვახტანგი. რა ამოქმედებს მადონას—სიყვარული თუ შეურაცხყოფის გრძნობა? რა უნდა უთხრას, როგორ მოიქცეს? რა აზრი უნდა ექნეს მომავალში მათ ცხოვრებას. მათ ხომ საერთო აღარაფერი აქვთ?

„აქამდე თუ ვცხოვრობდით, ახლა რა მოხდა, ახლა გახდა მადონა შენთვის უცხო? — ჩასძახოდა რაღაც ხმა.—ახლა გგიან არის, ყმაწვილო. უნდა იმას დასჯერდე, რაც ცხოვრებამ გარგუნა“.

„ჩვენ ერთმანეთის არაფერი გვესმის!“

„აქამდე თუკი გესმოდათ, ახლა რაღა მოხდა? უნდა სძლიო გრძნობებს, ბედს დამორჩილდე. აკი დღემდე არც გიგრძვნია, როგორ თანდათან დაჰკარგე ყველაფერი, რასაც ახალგაზრდობაში ელტვოდი. შენ მხოლოდ ერთი სურვილი გქონდა, ცხოვრებაში წინ წაწეულიყავი და რაც შეიძლება მეტი ფული გქონოდა, რადგან მხოლოდ ამით გაახარებდი შენს ცოლსა და სიდედრს“.

მაგრამ ვახტანგს ახლა არ უნდოდა ბედს დამორჩილებოდა. წლების მანძილზე ცდილობდა მადონას ცხოვრებით ეცხოვრა. ცხოვრობდა კიდეც, მაგრამ დღეს მისი სული სხვას მოითხოვს.

ვახტანგმა გადაწყვიტა, უხეშად არ გაეთელა ფეხქვეშ მადონას გრძნობები. ჰქონდა კი რამე გრძნობა ამ ქალს? მისი სურვილები ხომ ძალზე ვიწრო ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა, — კარგი ქმარი, კარგად მოწყობილი ბინა, კარგი შემოსავალი...

„განა დღემდე შენი სურვილები მთლიანად არ ეთანხმებოდა მადონას სურვილებს? რა უფლება გაქვს დაუნგრიო მას ცხოვრება? განა შენ თვითონ ეს წლება საკუთარ თავზე ფიქრში არ გაატარე? არც კი გახსოვს, როდის ჩაჰკალ ახალგაზრდული ოცნებანი, როგორ ჩაიძირე ყოველდღიურ წვრილმანებში“. ფიქრი მატარებლის კივილმა შეაწყვეტინა.

— ვახტანგ! — შეჰყვირა მადონამ და ვახტანგს კისერზე ჩამოეკიდა. ერთი საყვედურიც კი არ დასცდენია. ვახტანგი ამას არ მოელოდა, მადონას საქციელმა იარაღი აჰყარა. მადონა პუპლიასაც სიყ-

---

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ვარულით შეხედა, მისი საყვედური მიიღო, აღუთქვა, მომავალში უთუოდ შვილიშვილს ჩამოგიყვანო.

— ვაი, შენ გენაცვალე, შვილო, როგორ მერცხალივით შემოფრინდი, გაამხიარულე აქაურობა, — სიხარულით ცას ეწია პუპლია.

— ვახტანგის სოფელში დარჩენას როგორ შეუურიგდე, რას მეტყვი? — აცრემლდა მადონა. პუპლია შეკრთა, მაშ ახლა მის აზრს და სურვილს ანგარიშს უწევენ? გაახსენდა ის წყენა, დედა-შვილის ლაპარაკმა რომ მიაყენა ოდესღაც. მაგრამ თავი ინუგეშა, — მაშინ ბავშვი იყოო.

— რას ამბობ, შვილო, სოფელში რა გინდათ? ის არ კმარა, ჩემი ახალგაზრდობა აქაურობას რომ შევალიე?

მადონა გააოცა დედამთილის პასუხმა, მაშ ეს ქალი არაფერ შუაშია?

— გამიჭირდება, დედა, აქ დარჩენა, — შეაბრალა თავი მადონამ.

— ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღეს, ჩემი შვილი და რძალი აქაურ ორღობეებში დათხლაშუნობდნენ.

— რა ვქნა, დედა, როგორ მოვიქცე?

— არაფერია, შვილო, დავაცადოთ, ნუ შევაწუხებთ, ეს ზაფხული აქ გაატაროს.

— მე რომ არ შემიძლია აქ დარჩენა? წყლებზე მინდა წავიდე, ვიმკურნალო! — დაუტკბა დედამთილს მადონა.

— სანამ დრო გაქვს, დარჩი, შვილო, შემოდგომაზე კი შენს ქმარს საღსალამათად გამოგიგზავნი.

მადონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გული დაიმშვიდა. ასეთი მოკავშირის შემდეგ დარდი არ მიჰყვებოდა. „მამასაც გამოვგზავნი, დედასაც, ვნახოთ, როგორ გაუძლებს მათ შეტევას“. კარგად იცნობს ვახტანგს. მალე გაუქრება ეს ვაჟაკაცური აფეთქება. რა ქნას, როგორ აფეშვინოს ხალხს, ქმარმა მიატოვაო, თორემ... მადონამ სიბრაზით მუშტები მოკუმა, თვალებში ცეცხლმა გაუელვა.

რძალმა და დედამთილმა ვახტანგის წინააღმდეგ პირი შეჰკრეს, მადონა მოხერხებულ დროს ეძებდა, რომ სოფლიდან წასულიყო. ვახტანგს აოცებდა დედისა და ცოლის ასეთი დამეგობრება, აშკარად ხედავდა, პუპლია რლის მხარეს იჭერდა.

— შვილო, მოწყინდა ქალს, წაიყვანე სადმე.

— რა იყო, დედა, სახლიდან მაგდებ?

— როგორ გაგდებ, შვილო, მაგრამ მეცოდება, სოფელში ცხოვრებას შეჩვეული არაა.

— შენ ხომ შეეჩვიე!

— მე სხვა ვარ, შვილო!

— თუ ვერ გაძლებს — წავიდეს.

— აგრე თავიდან უნდა დაგეყენებინა საქმე, ახლა რაღა დროსია?

— არც ახლაა გვიან.

— დაუკვირდი, შვილო, ქვეყნის სასაცილოდ ნუ გახდი საქმეს. სოფელმა მიიგიწყა შენი ამბავი, სალაპარაკოდ საბაბს ნუღა მისცემ.

დედის სიტყვებმა გული ატკინა ვახტანგს. თვალწინ დაუდგა მადონა. იგი ხომ ყველაფერს თავისათვის მოითხოვდა, სხვისთვის არასოდეს ზრუნავდა. გაახსენდა პირველი გატაცება ამ ქალით: სტუდენტთა საღამოზე იყო. კარი გაიღო და დარბაზში მადონა შემოვიდა. თავი მაღლა აეწია, სილამაზით, მდგომარეობით, ახალგაზრდობით გამამყეტული, მედიდურად მიაბიჯებდა. თითქოს ამბობდა, შემომხედეთ რა ლამაზი ვარო. როგორ უნდოდა ვახტანგს დაემსახურებია ამ ამაყი ქალის ყურადღება! საღამოზე მადონა პირველობდა: უკრავდა, ცეკვავდა და საერთო ყურადღებას იმსახურებდა. იმ ღამეს ვახტანგს წილად ხვდა ბედნიერება — გაეცილებინა მადონა. სახლის კართან გამოეთხოვა. მის პატარა ხელს ხელი მოუჭირა და ჩურჩულით უთხრა:

— ნახვამდის, მადონა! — მადონა მოხდენილად აღიოდა კიბეზე. ვახტანგი თვალს არ აცილებდა და ჩუმად ჩურჩულებდა: „მოიხედავს, მოიხედავს“, მაგრამ მადონას უკან არ მოუხედია. მაშინ გადაწყვიტა ვახტანგმა, ამ ქალის ყურადღება უნდა დავიმსახუროო. შინ დაღლილი მივიდა, მაგიდაზე კონვერტი იდო — ღილით გაამზადა მაკას წერილი-

სათვის. კონვერტს დახედა. წიგნში ჩასდო, დასაწოლად გაემზადა. თვალწინ ისევ მადონა დაუდგა, პირისფერ კაბაში ყელმოღერებული რომ იჯდა როიალთან. შემდეგ ზღვაზე წავიდნენ და იქ გადაწყდა ვახტანგის ბედი.

აივანზე მადონა შემოვიდა, ჯამით ახლად დაკრეფილი ბალი შემოტანა.

— მოდი, ვახტანგ, ბალი ვჭამოთ, გეყოფა ამდენი ფიქრი.

— დედა სად არის?

— ვენახშია.

— ვახტანგ, წავიდეთ შინ, როდემდე უნდა ვიჯდეთ აქ? — გაბედა მადონამ.

— შინ არა ვარ? ხომ იცი ჩემი აზრი, აქ ვაპირებ დარჩენას.

— ჰა, ჰა, ჰა, რა დიდი და სულელი ბავშვი ხარ, ვახტანგ!

— მე სერიოზულად გეუბნები.

— განა შენ აქ ცხოვრება შეგიძლია?

— შენ ყოველ ჩემს სურვილს ფეხქვეშ თელავდი.

— შენთვის ისევე უცხოა აქაურობა, როგორც ჩემთვის.

— რატომ ფიქრობ ასე?

— იმიტომ, რომ საკმაოდ გიცნობ.

— ცდები, მადონა, პირიქით, ჩვენ ერთმანეთის არასოდეს არ გვესმოდა, ახლა კი ყოველი დღე ერთმანეთს გვაშორებს.

— ჩვენს შორის არაფერი არ შეცვლილა, ვახტანგ, ყველაფერი ეს შენი ჭირვეულობის შედეგია. საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს იფიქრებ ასე.

— შენთვის, რა თქმა უნდა, ჩემი სურვილები ანგარიშგასაწევი არ არის.

— ვახტანგ, ვერ გამიგია, ნუთუ ჩვენს შორის სიყვარული არ არსებობდა, ნუთუ საერთო არაფერი გვქონდა?

— მადონა, ჭკვიანი ქალი ხარ, მაგრამ ვერა გრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთს ძალიან დავშორდით! ერთმანეთის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩვენი აზრები ვერასოდეს დაემთხვევა ერთმანეთს. წლების მანძილზე შენს ნება-სურვილზე ვცხოვრობდი. ახლა მეტი აღარ შემიძლია. შენ ბავშვობიდანვე შეეჩვიე, ყველა ვემორჩილებოდეს. ჩვენს შორის სიყვარული არ ყოფილა, იყო მხოლოდ ახალგაზრდული გატაცება. გატაცებამ გაიარა და ახლა ერთმანეთის აღარ გვესმის. შენ ყოველთვის ისე გეჭირა თავი, თითქოს დიდი მოწყალება მოიღე, როცა შენი ცხოვრება ჩემს ცხოვრებას დაუკავშირე. ახლა ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთს ბედნიერება ვერ მივნიჭეთ, არც შეგვეძლო მიგვენიჭებია. შვილები რომ გვყოლოდა, შეიძლება ჩვენი ცხოვრება უფრო სხვაგვარად წარმართულიყო.

მადონა თავჩაღუნული იჯდა, ხმას არ იღებდა. ვახტანგი განაგრძობდა:

— შენ არასოდეს არ გყვარებივარ, შენ არც შეგიძლო ვინმე გყვარებოდა. ის სიწრფელე, სიყვარულს რომ სჭირდება, არასოდეს არ გქონია. შენ ეგოისტი ხარ და მხოლოდ შენს ყოველდღიურ სიამოვნებაზე ფიქრობ. ეგოისტ ადამიანს არ შეუძლია სიყვარული.

— ვახტანგ, შენ მხატვრები გიზიდავს?

— მადონა, არ ახსენო მისი სახელი!— შეჰყვირა ვახტანგმა. იგი გაწითლდა და მადონა მაშინვე შეეცადა, უდიერად ნათქვამი სიტყვა შეერბილებინა:

— სხვა გიყვარს, ვახტანგ?

— არა, მადონა, ცდები, არავინ არ მიყვარს, არც არავის უნდა შენი ქმრის სიყვარული.

— რომ უნდოდეს?

— დამაცალე, მადონა, ერთხელ მაინც გაიგონე ჩემი. მე ახლა ვეღარავის შევიყვარებ. შენ კარგა ხანია დაანგრიე ჩემი შინაგანი სამყარო. ყოველი დღე იმის ცდაში გაატარე, რომ ჩემთვის საკუთარი „მე“ წაგერთმია და მარტო შენს ნება-სურვილზე გეტარებინე.

— როგორ ბავშვივით ლაპარაკობ, ვახტანგ. ნუთუ ფიქრობ, სხვისი შეყვარების ნებას დაგრთავდი?

— სხვა არაფერ შუაშია, მადონა. ჩემში აჯანყდა საკუთარი „მე“, თურმე იგი არ მომკვდარა და დღეს ისევ თავის უფლებებს მოითხოვს.

— მერე რა სურს მას, სხვისი შეყვა-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

რება? — დამცინავად აიჩეჩა მხრები მადონამ.

— არა, თავისუფლება!

— თუ ასე იყო, რად შემირთე?

— გამოუცდელობით მომივიდა, მადონა. პატივმოყვარეობამ მძლია.

მადონას ბრაზი მოერია:

— რაღა თქმა უნდა, შენთვის არც ისე ადვილი იყო ჩვენს ოჯახში შემოსვლა.

— აი, ესაა ჩვენი შეცდომა, შენ ყოველთვის ისე გეჭირა თავი, თითქოს დიდი მოწყალება მოიღე, შენი ცხოვრება ჩემსას რომ დაუკავშირე.

— ეს ასეც იყო, ვახტანგ, გაიხსენე, როგორ გაუკვირდა ყველას, როცა შენ გამოგყვები. შენ უფლება არა გაქვს, წიხლი ჰკრა ჩვენს ოჯახს. თუ ჩვენი ოჯახის განმტკიცებისათვის საჭიროა შვილი, დაე, ასე იყოს!

— მადონა, გვიან არის, შენ თვითონ მოსჭერი ის გზა, რომელსაც ჩვენი ოჯახის განმტკიცება შეეძლო.

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, არ ვიცოდი, როგორ გამეზარდა შვილი.

— დედობრივი გრძნობა ქალის თანდაყოლილი თვისებაა. როცა ქალი ამ გრძნობას ღალატობს, იგი ამახინჯებს თავის ბუნებას.

— რა უბედური ვარ! — მადონამ თავი მაგიდაზე დადო და აქვითინდა. იგი გრძნობდა, რომ ვახტანგს ადვილად ვეღარ დაიმორჩილებდა. მაგრამ ჯერჯერობით ძალას არ ატანდა. დედაც ასე სწერდა, მოფერებით და შეთანხმებით მოაგვარე საქმეო. მადონა დედას გულში ეთანხმებოდა, პუპლიას დაუსრულებლად ეჩურჩულებოდა. ისიც ანუგეშებდა.

— დაწყნარდი, შვილო, წადი, ნურაფრის დარდი ნუ გაქვს. აქ შენი მეტოქე არავინ არის. გაუვლის. როდის იყო, ადიდებული მდინარე კალაპოტს არ უბრუნდებოდა?

ვახტანგი სადგურის ბაქანზე იდგა, მისჩერებოდა მატარებლის ფანჯარაში გადმომდგარ მადონას. მადონა ხელს უქნევდა, გაბუტვით ეუბნებოდა:

— მალე ჩამოდი, ვახტანგ, აქ ნა[illegible] ჩერგებს?

სოფლის ორღობეში მომავალ ვახტანგს ფიქრი არ ასვენებდა. მართლა დედის თქმისა არ იყოს, როდემდე უნდა იყოს სოფელში? ბოლოს ხომ მაინც უნდა დაუბრუნდეს ოჯახს. როგორ აეწყო მისი ცხოვრება?

ვახტანგს ფიქრი ბიჭების ყიჟინამ დაუღვია. ბავშვები ორღობეში საქონელს მორეკავდნენ.

— რა ჰქენი, შვილო, გააცილე? — შეეგება ვახტანგს პუპლია.

— კი, დედა!

— მოუკვდა ჩემი თავი, როგორ არ უნდოდა მარტო წასვლა!

ვახტანგმა არაფერი უპასუხა.

— ან შენ აქ მარტო რა გაგაჩერებს, შვილო!

— რატომ, დედა, შენ აგერ არა ხარ?

— მე დედა ვარ, შვილო, დედის გული ყოველთვის გაგამართლებს, ბევრს გაპატიებს, ცოლი კი ამდენს ვერ მოითმენს.

— ვერ მოითმენს და გზა დამილოცნია.

— ვეღარა გცნობ, ბიჭო!

— გეჩვენება, დედა.

საღამოთი ვახტანგი დედის საწოლზე ჩამოჯდა.

— დედა, მინდა ისევ პატარა ვიყო.

— ეჰ, შვილო, წავიდა ის ბედნიერი დრო, შენს პატარა ფეხებს კალთაში რომ ჩავიწყობდი.

— დედა, ერთი რამ უნდა გკითხო.

— თქვი, შვილო.

— ჩემი და მაკას შვილი გინახავს? — პუპლია შეკრთა.

— არა, შვილო.

— დედა, უნდა ვნახო,

პუპლია ლოგინზე წამოჯდა.

— ეგ მეორედ აღარ მითხრა! — ისე სთქვა პუპლიამ, რომ ვახტანგი უმალ წამოდგა და აივანზე გავიდა. იმ ღამეს დედა-შვილს თვალი არ მოუხუჭავს.

მაკას ყურამდე მივიდა სოფელში დარხეული ხმა, ვახტანგი აქ აპირებს დარჩენასო. ამის გაგონებამ შეაშფოთა ქალი, ადგილს ვეღარ პოულობდა; მუდამ ნუკრის გვერდით ყოფნა უნდოდა, სულ ვიღაცას ედავებოდა:

„რად არ ვუთხარი ბიჭს, ვინ იყო მისი მამა? როგორ მეთქვა, როცა არ მიიღეს, არ შეითვისეს, გაკიცხეს. რომ მოითხოვოს მამამ თავის უფლება? ახლა გვიანაა. მშობლის უფლება ვინ განსაზღვრა! აქამდე თუ არ უფიქრია ბავშვზე? ეს არ არის შვილის წართმევის საფუძველი. მაშ, როგორ მოვიქცე? არა გაქვს უფლება მამას შვილთან მისვლა დაუშალო, მაგის მეტი არავინა მყავს ქვეყანაზე, ვერავის დავუთმობ. მამის უფლება ისეეე შეუვალია, როგორც დედის. შვილმა რომ გისაყვედუროს, რად მომატყუეთ?“ ნუკრის ყოველ შემოსვლაზე მაკა კრთებოდა, შვილს თვალს ვერ უსწორებდა. ყოველ წუთს ელოდა შეკითხვას:

„რად მომატყუე, დედა?!“ ფიქრმა მოსვენება დაუკარგა, გახდა, განერვიულდა, უძილობა და უგულებობა დასჩემდა. ზოგჯერ მთელ დღეს უსაქმოდ ატარებდა, მუდამ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა: „იქნებ არ მაპატიოს, წლების მანძილზე რომ ვატყუებდი, იქნებ ზურგი შემაქციოს და მამასთან ყოფნა ირჩიოს? არა, ყველაფერი უნდა უთხრას, ახლავე უნდა უთხრას. ვერ იქნა, ვერ მოახერხა საუბრის დაწყება. საღამოს ნუკრი არსად გაუშვა.

— საქმე მაქვს, შვილო, შენთან.

ნუკრი ელოდებოდა, რას ეტყოდა დედა. ხედავდა, როგორ ღელავდა მშობელი. უკვირდა, ნეტა რა საქმე უნდა ჰქონდესო. მაკამ რამდენჯერმე სცადა საუბრის დაწყება, მაგრამ სათქმელი ენის წვერზევე მიეყინა.

— დაწექი, შვილო, გვიან არის.

— საქმე რომ გქონდა, დედა?

— ხვალისათვის გადავდოთ, თავი მტკივა.

— რა დაგემართა, დედა, ცუდი ფერი გადევს. შენც დაწვები?

— კი, შვილო, დავიღალე.

ნუკრი აივანზე იწვა, გრძნობდა, რომ დედას არ ეძინა. მაგრამ დაღლილობაც სძლია და მალე მშვიდად ჩაეძინა. მაკა წამოდგა, შვილის საწოლთან მივიდა, დააჩერდა, როგორ მშვიდად, უდარდელად სუნთქავდა ნუკრი, როგორ ჰგავდა მამას. რა უფლება აქვს ვახტანგს ამ ორ ადამიანს ცხოვრება დაურღვიოს? ბიჭი წამოიზარდა. ვახტანგი ახლა ცდილობს შემოიჭრას მაკას ცხოვრებაში. ახალგაზრდობა ჩაუმწარა, ქალობაც უნდა გაუმწაროს? რა უსამართლო ყოფილხარ, ვახტანგ! რა გინდა სოფელში? ერთ დროს ვახტანგი წაართვეს მაკას, მაშინ ბავშვი იყო, გამოუცდელი. ახლა ბიჭს არავის დაანებებს, საკუთარ მამასაც კი. მაგიდასთან მივიდა, სანთელი აანთო, წერა დაიწყო:

„შვილო ნუკრი! დადგა დღე, როცა ანგარიში უნდა ჩაგაბარო. ყოველთვის მეშინოდა ამ დღის. ვფიქრობდი, ჩემი სიკვდილის შემდეგ მომხდარიყო ყველაფერი, მაგრამ ბედმა ასე არ განსაჯა. კარგად მომისმინე, შვილო. ვიცი, შვილები ზოგჯერ უყურადღებონი არიან, მაგრამ დედის მიმართ შენ მეტი სულგრძელობა უნდა გამოიჩინო.

ხომ გახსოვს, სიპისღელის გაღმა წამომდგარი კოხტა სახლი და დიდი ეზო? ის პუალიას ეკუთვნის. შენ არასოდეს არ დადიოდი იმ ეზოში. ერთხელ პატარა რომ იყავი, ატირებული მოხვედი იქიდან, შემომჩივე, პუალიამ გამომავდოო. მის შემდეგ იქ ფეხი აღარ დაგიდგამს, იქაურობას ავი ქალი ჰყავს ეზოს ეძახდი. იმ ავ ქალს ჰყავს ერთი შვილი. იგი თბილისში ცხოვრობს. ერთ დროს მე და ის ისეთივე მეგობრები ვიყავით, როგორც შენ და მაკიას მაიკო. ჩვენც თქვენსავით ერთად გავიზარდეთ — ერთად ვსწავლობდით, ერთად ვთამაშობდით. სოფლის სკოლა დავამთავრეთ, თბილისში წავედით. იმ წელიწადს მე ინსტიტუტში არ მიმიღეს, ის კი ჩარიცხეს. პუალია პატივმოყვარე

ქალი იყო, ალბათ შვილიც მას დაემსგავსა. თბილისში გაიცნო პროფესორის ქალიშვილი, მოიხიბლა მისი მდგომარეობით, დედამაც ხელი შეუწყო და ჩვენი მეგობრობა დავიწყებას მიეცა. მე კი ამ დროს მეტად უბედური ვიყავი, დამცირებული, აბუჩად აგდებული, პატარა ბავშვით ხელში. ამ ბავშვს თავისად არავინ ცნობდა. ახლაც მახსოვს მამაჩემის მაშინდელი სიტყვები: ეს ბავშვი ჩემი იყოს, შვილო, ჩემს სახელზე გამოვზრდიო. მამამ თავისი გვარი მოეცა. შენს წინაშე მხოლოდ ერთი დანაშაული მიმიძღვის, შვილო, მამა ცოცხალი გყავდა, მე კი გეუბნებოდი, მკვდარია-მეთქი. ეს დანაშაული უნდა მაპატიო. არ ფიქრო, ჩემი პირადი ბედნიერებისთვის ვიქცეოდი ასე. არ ფიქრო, იმდენად ეგოისტი ვიყავი, მამისათვის არ მემეტებოდი. არა, მინდოდა მისგან, უარყოფილი, ყოველგვარი დამცირებისაგან დამეფარე. მეშინოდა, შეურაცხყოფა არავის მოეყენებინა. რამდენი რამ მინდა გითხრა, მაგრამ ჩემი დანაშაული წინ მეღობება".

მაკა წამოდგა, ბარათი ნუკრის ბალიშქვეშ შეაცოცა იქ, სადაც ნუკრი საათს ინახავდა.

ნუკრი ადრიანად გავიდა სახლიდან. მთელი დღე აღარ დაბრუნებულა. მაკა ადგილს ვეღარ პოულობდა, ხან სამზადში ფუსფუსებდა, ხან ბოსტანსა და ვენახში.

— სად წავიდა ის ბიჭი? — რამდენჯერმე იკითხა შალვამ.

— მციასასა იქნება, — მიუგო მაკამ. თვითონ კი თვალი მთელი დღე ეზისაკენ ეჭირა. შალვა პენსიის ასაღებად წავიდა დაბაში. მარტო დარჩენილ მაკას ცეცხლი წაეკიდა. უნდოდა, მეზობლებში გადასულიყო და შვილის ამბავი ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა.

ჩამობნელდა. მაკა საწოლზე მიწვა. ბნელი ღამე იყო. კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. ელავდა, ანათებდა. გახშირებულ ქიქა-ქუხილს თითქოს დედამიწაზე ცის ჩამოტანა უნდოდა. წვიმა გზააბნეული მგზავრივით აკაკუნებდა ფანჯარაზე. მაკას, როგორც იყო, ჩაეძინა. არ გაუგია, ოთახში მტრედისფერი ნერგელი როგორ შემოიპარა. წვიმამ გადავიდა, მამლებმა ფრთები შეიბერტყეს. ... გვლივ მიწისა და გაზაფხულის სურნელი იდგა.

— აქ რად ხარ, დედა? — ჩაესმა მაკას შვილის ხმა. შეკრთა. — ხომ არ გაცივდი, დედი?

— შვილო! — წაიჩურჩულა მაკამ და სახე შვილის მკერდში ჩამალა.

— დაწყნარდი, ჩემო დედიკო! — შესთხოვდა დედას მის საწოლთან დაჩოქილი ნუკრი.

დედა-შვილი დიდხანს იჯდა ჩუმად. ნუკრი დედას ხელებს უკოცნიდა და ცრემლს ფრთხილად სწმენდდა.

— არა, ბებია, სხვაგვარად არ შემიძლია. წლების მანძილზე შევეჩვიე იმ აზრს, რომ მამა მკვდარია,—ეუბნებოდა ნუკრი მეზობლის ქალს და აღელვებული აივანზე დაბიჯვებდა.

— მამა თხოულობს, მხოლოდ მიცნობდესო.

— ახლა, როცა დიდი გავხდი? აქამდე სად იყო? მე ხომ აქვე, მის თვალწინ ვიზრდებოდი! ყოველ ზაფხულს აქ ვატარებდი. არა, ვინც მკვდარია, დე. მკვდრადვე დარჩეს!

— უგულო ხარ, ნუკრი!

— თუ აქამდე არ მკითხულობდა, თუ აქამდე მისთვის არაფერს წარმოვადგენდი, ახლა რა უნდა ჩემგან? შვილი არა ჰყავს და იმიტომ გავახსენდი? რატომ ერთხელ მაინც არ დაინტერესდა ჩემი ბედით? იქნებ მშიოდა, იქნებ მწყუროდა, იქნებ მციოდა! ჩემს გვარს მივცემო? გვარიც მაქვს და სახელიც. მაშინ რას ფიქრობდა, უპატრონნოდ რომ დამტოვა? მაშინ დედა თვრამეტი წლისა იყო. მე არ შემიძლია დედის სურვილი არ შევასრულო.

— განა მაკა თქვენი შერიგების წინააღმდეგია?

ნუკრიმ ენას კბილი დააჭირა, დედის წერილი გულის ჯიბეში ედო. იმ წერილ-

მა მთელი ღამე ტყე-ტყე ატარა გულის სიღრმემდე შეძრული ბიჭი.

— არა, ამის შესახებ დედა-ინ საუბარი არ მქონია, მაგრამ მე თვითონ არ მინდა ვიცნობდე მამას. მან ორივეენი უპატრონოდ მიგვატოვა.

— მაშინ მამაც ძალიან ახალგაზრდა იყო, ნუკრი.

— ამ წლების მანძილზე მუდამ ახალგაზრდა იყო?

— მართალია, შვილო, მაგრამ ახლა ჭრილობები მოშუშებულია.

— ბებია, თქვენ მირჩევთ, მოშუშებული ჭრილობები კვლავ ავუშალო დედას? რა უნდა ვუთხრა მამაჩემის მეუღლეს, რა საქმე მაქვს იმასთან. მამამ ხომ მისი გულისათვის უარყო დედის სიყვარული. თქვენ ხომ კარგად იცნობთ დედას?

— ის ქალი რა შუაშია, შვილო?

— არც ვადანაშაულებ. მან მაშინ არაფერი იცოდა... დედამ ჩემი გულისათვის საკმაოდ დიდი მწუხარება გადაიტანა. კმარა! — ნუკრი აივნის სვეტს მიეყრდნო და სიბნელეში დაიწყო ცქერა.

ვახტანგი და პუპლია ვახშამს შეექცეოდნენ, როცა მოხუცმა ქალმა მათი სახლის კარი შეაღო და ნუკრის სიტყვები გადასცა.

— მართალია, მართალი, ეზოდან გავაგდე, მე მიწადასაყრელმა! — პუპლიამ სახეზე თავშალი აიფარა, მის მწარე ქვითინში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა სიტყვები: — როგორ მინდოდა ხელი მომეკიდა, მოვფერებოდი, მაგრამ ეს დასამიწებელი გული გავიქცევი და ბიჭი ეზოდან გავაგდე. იმ დილით ჩამოვიდნენ ვახტანგი და მადონა, შემეშინდა, არ იცნონ-მეთქი.

ვახტანგმა აქვითინებულ პუპლიას ხელი მოხვია.

— რამდენი მწუხარება მოგაყენეთ შენცა და მამასაც. ხედავ, დედა, არ მაპატიე.

მთელი ღამე ბოლთას სცემდა ვახტანგი, ხანგამოშვებით შეჩერდებოდა, დედის წინ ტახტზე ჩამოჯდებოდა. პუპლია შვილს ნუგეშით ეტყოდა:

— არ გაჯიუტდე, შვილო, ხვალ შენი სიმამრი ჩამოდის, გაპყევი. შენ სოფელს ვეღარ შეეჩვევი. დედის ბუდიდან ამოფრენილი ბარტყი ბუდეს აღარ უბრუნდება. იქნებ ღმერთმა გადმოგვხედოს, შვილიც გაგიჩნდეთ.

— ჩემს ცხოვრებას მარტო შვილი აკლია ვითომ? — ყრუდ გაეპასუხა ვახტანგი.

ძლივს დაითანხმა ვახტანგმა, რომ დედა დაწოლილიყო. თვითონ ეზოში გავიდა და ისევ ფიქრს მისცა თავი. „დედა მართალია, ცხოვრების თავიდან დაწყება გვიან არის. ქვეყანა შემოგნატარსო, მითხრა. ეჰ, ვინ რა იცის, გულში რა ჯოჯოხეთი მიტრიალებს! ვახტანგი დაცვარულ ბალახში დაანბიჯებდა, ღობესთან ტურის კიენი მოისმა. ამ ხმამ გამოარკვია. დედა მართალია. ვახტანგს აღარ შეუძლია დიდხანს სოფლად ყოფნა. სოფელი მისთვის უცხოა. ხვალ მადონას მამა ჩამოვა და წვალენ. ვახტანგი სახლს უნდა დაუბრუნდეს, თავის სახლს. ისევ სამსახურში იკლის, საღამოს ავადმყოფებს მიილებს, ყოველდღე ანგარიშს ჩააბარებს მადონას, რამდენი ავადმყოფი იყო, რამდენი ფული შემოუვიდათ, შემდეგ დაიწყება ბჭობა, საკმისიო მაღაზიაში რა ახალი ნივთი მოიტანეს, რომელი მკერავი სჯობია და ასე ყოველ დღე...

ხვალ სიმამრი ჩამოვა, ეტყვის, მადონამ შემოგთვალა, უნდა დაბრუნდეო, და ვახტანგიც დაბრუნდება.

ვახტანგმა იგრძნო, რომ მისი იმედები საბოლოოდ დაიმსხვრა, ის კვლავ უნდა დაბრუნებოდა ოჯახს, უსიხარულო ცხოვრებას. „მართალია მაკა, სიყვარულს უკან დახევა არ უყვარს, არც ცხოვრება იხევს უკან. სიყვარული ისევე არ დაბრუნდება, როგორც სიჭაბუკი!“

ქალაქისკენ მიმავალმა ვახტანგმა და არჩილმა სერზე დაისვენეს. ვახტანგმა ერთხელ კიდევ გადახედა სოფელს. მათი ეზო ცარიელი იყო. დედა ალბათ თავის ოთახში შეიკეტა. პუპლიას არასოდეს

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უყვარდა სოფელი. მაშ, ახლა რად ჩაეჭიდა აქაურობას? არ უნდა ფუძე მოშალოს, მაგრამ ნუთუ ვერ ამჩნევს, რომ ყველაფერი დაინგრა და გაპარტახდა? ვახტანგი აქედან ხედავს ღობეშემორღვეულ ბოსტანს, გვერდზე გადახრილ სამზადს, აქა-იქ მონგრეულ ყორეს და კიბის ძირში მომრავლებულ ბიკაბიკასა და ანწლს.

ვახტანგის სოფლიდან წასვლის შემდეგ მაკას დარდი შეუმსუბუქდა, გამოცოცხლდა, გამხიარულდა, შორიდან ხედავს ვახტანგს, სოფლის აღმართზე მარტოდმარტო მიმავალს, — გაჯაღარავებულს, მხრებში მოხრილს, გატეხილს.

მაკა აივნიდან გადასცქერის ეზოში შეკრებილ ახალგაზრდებს. აგერ მაცია მაიკო მირბის, ნუკრი დასაჭერად მისდევს. გოგო მსხლის ირგვლივ დარბის. ოდესღაც მაკა და ვახტანგიც ასევე დარბოდნენ ამ ეზოში.

მაიკო კისკისებს. როგორ ჰგავს მაიკო დედას, მაციაც ასე კისკისებდა ოდესღაც. ლოყებზე ფოსოები უჩნდებოდა, აგერ ნუკრი დაეწია მაიკოს. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი გარბიან ჭიშკრისაკენ. მაიკო ცდილობს, ხელიდან დაუსხლტეს ნუკრის. ნუკრის მაგრად უჭირავს მაიკოს ხელი და არ უშვებს. ბედნიერი, კმაყოფილი სახე აქვს ნუკრის. მაიკოც უღიმის.

მაკა აივნის სვეტს ამოფარებია, აქედან ხედავს, ხელიხელჩაკიდებულმა მაიკომ და ნუკრიმ როგორ გადაირბინეს ეზო და გორაკისკენ გაიქცნენ. ახლა იქიდან ისმის მაიკოს კისკისი...

მაკას უნდოდა ახალგაზრდებს გაჰყოლოდა, მაგრამ შედგა. იგრძნო, იქ ზედმეტი იქნებოდა. მზერა კედელზე გაკრულ სურათზე შეაჩერა. მივიწყებულმა ტილომ წარსული მოაგონა — მისი მხიარული და მწუხარე დღეები.

მაკას სწამს — მხატვარმა ცხოვრება უნდა ასახოს, ის დიდი ცხოვრება, რომლითაც მისი ხალხი ცხოვრობს. ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ისე არ შეიქმნება, თუ ძლიერი სიყვარულით არ გიყვარს ცხოვრება. ნამდვილი ხელოვნება მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა მხატვარს ნაპოვნი აქვს თავისი ადგილი ცხოვრებაში. მაკას პალიტრა ნათელია. მრავალი წლის თავდადებულ მუშაობას ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. მაკას უყვარს მხატვრობა. უყვარს დიდი სიყვარულით, რადგან მან მოუშუშა ტკივილები. ყოველ ახალ ხაზს თავის გაუნელებელ მწუხარებას აქსოვდა მაკა და ყოველი ახალი სახე დიდ სიხარულს აგრძნობინებდა მას, დიდ იმედებს აღუძრავდა. აქ, მის მიერ შექმნილ სურათებს შორის, ზღაპარივით ეჩვენება გადატანილი მწუხარება და იმ წარსულთან მაკას თითქოს საუკუნე აშორებს. აი, მისი ფუნჯები, რამდენი ხანია, ხელი არ უხლია მათთვის. მღელვარე დღეებმა საქმეს ჩამოაცილეს... მაკა მოლბერტთან მივიდა, ფუნჯი ხელში აიღო, დააჭერდა თავისი ცხოვრების ერთადერთ გულწრფელ მეგობარს და მიმხმარი საღებავი მოაცილა.

ემანუილ ფეიგინი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაჭისკაცი, ეკვი ჯაჭისკაცი

მოთხრობა

3

ასეულში საბრძოლო ფურცელი ან კედლის გაზეთი რომ მზადდებოდა, ლენინის კუთხე, ჩვეულებრივ, ხალხით იყო გამოტენილი. რედაქტორებიც აქ იყვნენ, სამხედრო კორესპონდენტებიც. ცნობისმოყვარეებს ხომ ნუღარ იკითხავთ, ისინი ყველას სჭარბობდნენ. რედაქტორები და კორესპონდენტები გულზე სკდებოდნენ, სიბრაზისაგან იჭაჭებოდნენ, — ხელს ნუ გვიშლით! შემოქმედებითი ატმოსფერო შეგვიქმენითო. მაგრამ მეტი არ იქნა შენი მტერი, კაციშვილი ფეხს არ იცვლიდა, რა ექნათ, ყველას აინტერესებდა, როგორ კეთდებოდა კედლის გაზეთი. ყველაზე მეტი ცნობისმოყვარე ასეულის მხატვარს ვანო სეხნიაშვილს ეხვია. ისინი ფანქრის წვერს ისე მისჩერებოდნენ, იფიქრებდით, ესაა რაღაც საოცრება გამოჩნდება ქაღალდზეო.

საოცრება როგორ არ იყო! თითქოს ერთი-ორჯერ გაუსვ-გამოუსვა ვანომ ფანქარი და ქაღალდზე საკვირვლად ნაცნობი სახე გამოისახა. მაინც ვის აგონებთ ასე ძალიან? უცებ ვიღაცამ გაკვირვებისაგან წამოიძახა:

— ბიჭოს, ეს მე არა ვარ?

...იცინეს, მაგრამ რა იცინეს. მხატვრის გაანჩხლების მიუხედავად კარიკატურა ხელიდან ხელში გადადიოდა. კარიკატურა კი არა, მეგობრული შარჟი. მხატვარმა თავისი მეგობრის ხასიათში რაღაც სასაცილო მხარე შენიშნა. სასაცილო კი იყო... აბა როცა კაცი ასე გულიანად იცინის თავის ნაკლზე, განა ეს ხინჯი დიდხანს იბოგინებს?

ვანოს მეგობრული შარჟი რედკოლეგიამ ერთხმად მოიწონა. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ცნობისმოყვარეებმა, ან როგორც მათ კედლის გაზეთის რედაქტორმა სინტოგმა შეარქვა, — აქტივმა, რედაქციაზე აშკარად იქონია გავლენა. აქტივი უფრო ცხარედ მაშინ ჩაერია საქმეში, როცა კომკავშირული ორგანი-

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 9, 10, 11.

ზაცია მდივნის სტატიას არქმევდნენ სათაურს.

— მე მგონი, ყველას აჯობებს — „ჩვენი ჯარისკაცული საჩუქარი სამშობლოს", — წინადადება შემოიტანა სერგეი ბრაჟნიკოვმა.

ბევრს მოეწონა ეს სათაური. მაგრამ უცებ ყველაზე მშვიდმა და წყნარმა აქტივისტმა ანდრეი მიკეშინმა წამოყო თავი და სთქვა:

— არ გეთანხმებით.

— რაში არ გვეთანხმებით? — შეეკითხა სერგეი, თან გულში გაიფიქრა — „კუმ ფეი გამოყოო...".

— ახლაე მოგახსენებთ. ნეტავი რითი ვტრაბახობთ. ხალხი შრომობს და არ ბაქიბუქობს, ხმას არ იღებს, ჩვენ კი... აი, ჩვენს მეურნეობაში მოსავალი ზღვად გამსკდარა. ცოლი მწერს, ხორბლის გორები დავაყენეთო. ჩვენ კი კოვზით უფრო მაგრად ვმუშაობთ. სამაგიეროდ ტრაბახში კაცი ვერ გვაჯობებს...

— ეეე, ახლა კი ააფრინე, ჩემო ძმაო, ესე იგი, ჩვენ მუქთამჭამელები ვართ, არა? — გული მოუვიდა კატანჩიკს.

— ჩუმად იყავი, შენს ტყავში დაეტიე.

— რატომ უნდა გაჩუმდეს, — სთქვა სერგეიმ, — ძალიან სწორი გითხრა... შენ კი, ანდრეი... ცოტა უცნაური შეხედულება გაქვს სამხედრო სამსახურზე.

— შენზე ნაკლებად არ მესმის, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, მხოლოდ მე უფრო შორს ვიხედები.

— მაინც სად იხედები და რას ხედავ ასეთ არაჩვეულებრივს? — ჰკითხა სერგეიმ.

— არაჩვეულებრივი რა შუაშია. მე ეს არ მითქვამს. შენ გგონია არ ვიცი, ჩვენი სამსახური გაჭირვებისა რომ არის? ერთი არ ყაკვდეს მდინარისგაღმელი მეგობრები...

— ოკეანისგაღმელი, — შეუსწორა გეორგმა.

— ჰო, საერთოდ ოკეანისგაღმელები არიან, — დაეთანხმა მიკეშინი, — ჩვენ კი აგერ, მდინარის გაღმა ჩამოგვისახლდნენ... ჰოდა, იმას ვამბობდი, ვითომ სხვა საქმე არა გვქონდეს. მაგრამ რა მეტი გზა გვაქვს. რაკი საჭიროა, ვზიავართ აქ და გასრულებთ ჩვენს მოვალეობას. მოვალეობა კი მხოლოდ მოვალეობაა და მეტი არაფერი. თქვენ კი იძახით, საჩუქარიო. მართალს არ ვამბობ, ბიუბეო?

— უნდა დავფიქრდეთ. შეიძლება მართალსაც ამბობ, შეიძლება არა, — სთქვა გეორგმა.—აი, არმიაში რომ მოგდიოდი, მამაჩემმა მითხრა, ისე კეთილსინდისიერად იმსახურე, როგორც მე ვმსახურობდი. ეს იქნება ჩემთვის ძვირფასი საჩუქარიო, სწორედ ასე სთქვა, — საჩუქარიო.

— დიახ, საჩუქარი და თანაც რა საჩუქარი. მამის გულს იმაზე მეტად რა გაუხარდება, მისი კვიცი რომ გვარზე იხტუნებს, — დაუდასტურა კატანჩიკმა.

— არიქა, ბიჭო, ყოველთვის შენ ჩამოდექი კრიჭაში, — მრავალმნიშვნელოვნად წაილაპარაკა მიკეშინმა. გულის სიღრმეში იგრძნო, რომ სადღაც სტყუოდა და ამიტომაც ბრაზობდა. ამხანაგებზე განაწყენებულმა კი ჯოხი კატანჩიზე გადაამტვრია. რაც დრო გადიოდა, თანისდა უნებურად კატანჩიკის სიძულვილით იმსჭვალებოდა.

— არ ვიცი, კატანჩიკ, რით ჰგავხარ მამაშენს. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მაგრამ ისიც თუ შენისთანა ხვითო იყო, მაშინ ბევრი არაფერი გქონიათ საამაყო.

ეს ვერ იყო მთლად ვაკაცურად ნათქვამი. მიკეშინის საქციელი არავის მოსწონებია. ყველამ კარგად იცოდა, კატანჩიკის მშობლებს ყველაფერი ვერ ჰქონდათ რიგზე. ჰოდა, კაცს რატომ უნდა დააბიჯო ფეხი მტკივნეულ ადგილზე?

„ხანდახან ბოროტია ხოლმე მიკეშინი... საღღაც წვრილმანიცაა", — გაიფიქრა სერგეიმ. იგი მზად იყო კატანჩიკს გამოჰქრმაგებოდა.

კატანჩიკს წყენისაგან ტუჩები გაუფითრდა და ლაშქრობაში გადაღლილ გამხდარ სახეზე ყვრიმალები მკვეთრად გამოეკვეთა. მიკეშინის სიტყვებმა ვასიას გული ატკინა. საცოდავად მოიბუზა, დაიბნა და იმის მაგივრად, რომ საკადრისი პასუხი გაეცა, საცოდავად წაიბუტბუტა:

— მამაჩემთან რა ხელი გაქვს... მე შენს მამას ხომ არ ვეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ერთი სცადე!—მუქარით სთქვა მიკეშინმა. — მამაჩემის აუფს არავის შეეფწევ, წიწილასავით თავს წავაცლი. მამაჩემი იოლად ხელწამოსაკრავი არავის გეგონოთ. სამამულო ომის გმირი გახლავთ, ვარშავასთან დაკარგა ფეხი, მაგრამ ისე მუშაობს, ყველას რომ გაეხარდება. ჩვენი ოჯახი მშრომელი კაცის ოჯახია. შრომაა მათი სიხარული და ბედნიერება. დედაჩემი საცაა სამოცს მოუკაკუნებს, მაგრამ, აბა თუ ბიჭები ხართ, მთელი ყირიმის ოლქში მასზე უკეთესი მეხბორე მიპოვეთ. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, გაზეთს მივაფენ შუბლზე. ძმებია და მარჯვენა აქვთ დალოცული. კომბაინსაც მართავენ და ტრაქტორსაც. გაჭირვების დროს მექანიკოსებადაც გამოდგებიან. რა გინდა, რომ ხელიდან არ გამოუვიდეთ. ჩემს უფროს ძმაზე ერთი ვიღაც მოსკოველი დოცენტი ქალი საშეცნიერო შრომას წერს. ასე რომ, ჩემო კატანჩიკ, გირჩევნია ენას კბილი დააჭირო, შენი გასამასხარავებელი ჩემს გვარში არავინ მეგულება.

— ყველა ცნობილი მიკეშინი ჩამომთვალე. დაგრჩა კიდევ ვინმე? — ხუმრობით ჰკითხა ვიღაცამ. ამ ხუმრობას არავინ აპყოლია. მიკეშინმა მაინც არ დაუთმო და სერიოზულად მიუგო:

— მართალი გითხრა, ზუსტად ვერც კი გეტყვი. მიკეშინები, ღმერთმა გვამრავლოს და, კაი ბლომათა ვართ.

კატანჩიკი, როგორც იქნა, გამოერკვა, ძალაც მოიკრიბა და მზად იყო მიკეშინისათვის პასუხი გაეცა:

— მე როგორც ვხედავ, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველანან მიკეშინს წაანყდები. ასე გეგონება, მთელი დედამიწა მიკეშინებითაა დასახლებულიო.

— მართალი ბრძანდები, არც შემცდარხარ, ჩემო კატანჩიკ, — აუღელვებლად დაეთანხმა მიკეშინი, — მთელი დედამიწაო, რომ სთქვი, ცოტა მეტი მოგიგიდა. ისე, ყირიმის სტეპებზე რომ გადავსახლდეთ, კი ვფიქრობთ. თავისუფალი მიწა, იქ, იცოცხლე, ბევრი იყოს. არც მიკეშინები ვართ ცოტანი. ღვთის წყალობით ბავშვები ბევრი გვიტირია. ოჯახს ვერ ნახავ, ათ ბავშვზე ნაკლები ჰყავდეს, ასეთი გვაქვს ნორმა.

— შენ რომ ერთი ქალიშვილი გყავს, ამაზე რაღას იტყვი? — შენიშნა გეგორქმა.

— აქ მთელი ჩემი სიცოცხლე კი არ ვაპირებ დარჩენას. დამითხოვენ და მერე მე ვიცი!

გეგორქ კაზანჯიანმა აღტაცებისაგან თავი ვეღარ შეიკავა და მიკეშინს ბეჭზე ხელი მოუტყაპუნა:

— აი, მესმის კაცი! ნამდვილი ვაჟკაცობაც ამას ჰქვია!

ყველას გაეცინა. თითქოს ამ სიცილით მიკეშინის გრძელვადიან გეგმებს იწონებდნენ. ამ სიცილში ცოტა მიტეგებაც იგრძნობოდა. ადამიანს, რომელსაც ასე მუხასავითა აქვს მიწაში ფესვები გადგმული, შეიძლება რაღაც-რაღაცეები ეპატიოს. მაგრამ ამ წუთში კატანჩიკი დიდსულოვნების ხასიათზე როდი გახლდათ. მოგეხსენებათ, განაწყენება და შურისძიების წყურვილი დიდსულოვნების მტერია. მართალია, ვასიამ სხვებთან ერთად გაიცინა, მაგრამ მის სიცილს დიდსულოვნებისა არაფერი ეცხო. იგი ახალი დარტყმისათვის ემზადებოდა.

— ფოსტა, აბხანაგებო, ფოსტა!

კატანჩიკს უეცრად გაუქრა მიკეშინთან კინკლაობის სურვილი. ახლა მისთვის კაპიკის ფასი ჰქონდა, მეომრები ვის ჩათვლიდნენ გამარჯვებულად. კატანჩიკი საოცარმა სურვილმა შეიპყრო, ვინმე ახლობელი, საყვარელი ადამიანისაგან სულ პატარა წერილი მაინც მიეღო. სამწუხაროდ, იგი არავის ახსოვდა, არავინ სწერდა. კატანჩიკმა მშვენივრად იცოდა, ვინ იყო ამაში დამნაშავე. თუმცა დიდი ხანია ყველაფერი ეპოქას გადაბარალა. ამით თითქოს მძიმე იარას იშუშებდა. დიდი ომი იყო, საშინელი ომი. ბევრ ადამიანს მოეშალა ბუდე, ბევრი ნათესაური კავშირი დაირღვა. ახალი მეგობრების შეძენა კი არც ისე იოლი საქმეა.

კატანჩიკს ძველი ფიქრები აეშალა და

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ვეღარ დაწყნარდა. ცუდად იყო კატანჩიკი, ძალიან ცუდად. ახლა ძნელი იყო მისი დამშვიდება.

4

მიკეშინს კვლავ რამდენიმე წერილი მიუტანეს. პირდაპირ გასაკვირი იყო, რამდენ ვინმეს ახსოვდა ეს კაცი. სახელგანთქმულ მსახიობებს და ფეხბურთელებსაც კი არ სწერენ ამდენს. თქვენ გგონიათ მიკეშინს რამეთი გაკვირვებთ? ალბათ ეს ამბავი სავსებით ჩვეულებრივად მიაჩნია.

ვასიამ თავს ძალა დაატანა, რომ არ ამოეხვნეშა და ოთახიდან შეუმჩნევლად გაიძურწა. არ უნდოდა ამხანაგების ბედნიერი სახეები დაენახა; არც ის უნდოდა, მისი დაძმარული სიფათი შეემჩნიათ.

სერგეი ბრაჟნიკოვი დღეს წერილს არ მოელოდა. ამხანაგებზე საყვედური არ ეთქმის. ხან მთელი კოლექტივი ერთად წერს, ხან კი ცალ-ცალკე აცნობებენ ხოლმე მაღაროს ამბებს. კეთილ სურვილებს, მოკითხვას და პირზე კოცნას ხომ სათვალავი აღარა აქვს. ერთი სიტყვით, არ ივიწყებენ ძველი ძმაკაცები. ისე ვერავის დაავალდებულებ, საფონოვის დედასავით ყოველდღე გწერონ წერილები. საშამ დღესაც მიიღო წერილი. რაღაც უკმაყოფილება მაინც ეტყობოდა.

— საშა, ცხვირი რას ჩამოგიშვია, მოხდა რამე? — ჰკითხა სერგეიმ.

— აჰა, გაიხარე! — საშამ სერგეის ფულის მისაღები უწყვება გაუწოდა. — ხუთმეტი მანეთი გამოუუზავნია. რამდენჯერ მივწერე, კაპიკი არ გამომგზავნომეთქი, მაინც ვერაფერი შევასმინე.

სახლში საშა დედას დაუფიქრებლად ართმევდა ფულს. მაგრამ ახლა, ჯარისკაცმა, მოზრდილმა ადამიანმა კარგად იცის ოჯახური ბიუჯეტის ამბავი.

— რა თავში ვიხლი ამ ფულს? სასმელი არ მაკლია და საჭმელი. მაცვია და მახურავს. დედა კი ალბათ თავისი ხელმომჭირნეობით მამასაც აწუხებს და ალიონასაც. სერგეი, შენ მაინც მასწავლე, რა ვიღონო?

— კიდევ მისწერე, — ურჩია სერგეიმ.

— სერგეი ბრაჟნიკოვ, შენ [illegible] ლია!

— ჩემი?!

სერგეი ერთ ხანს უაზროდ ათვალიერებდა მომცრო ცისფერ კონვერტს.

უცნობი ხელია, ნეტავ ვისგან იქნება? უცებ სერგეის ლიდას ლამაზი სახე წარმოუდგა. სერგეი მალე გამოერკვა, გაჯავრებულმა თავი გააქნია და მოჩვენებაც გაქრა.

„ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, არ მინდა. მაინც რა უნდა მომწეროს“.

სერგეიმ კონვერტი გახსნა. თვალი მოკლე წერილს გადაავლო.

„პატივცემულო სერგეი! კომბინატელ ქალიშვილებს და ლიდა კაზაროვას ტექნიკუმელ მეგობრებს ძალზე გვაშფოთებს ჩვენი მეკობრის უღირსი საქციელი. საკადრისი პასუხი პირშიც მივახალეთ. ძალიან კარგი ქნა, თავის კუდაბზიკა დასთან რომ გაემეზავრა. ვერ აღზარდეს რიგიანი ქალიშვილები, მაგრამ მოხეცი კაზაროვები მაინც გვეცოდებიან. თქვენ კი, ლიდაზე გაბრაზებულმა, ჩვენი კულტურის სასახლე სრულებით დაივიწყეთ. ძალიან გთხოვთ, ასე ნუ გაგვინაწყენდებით. მობრძანდით, გელით. თქვენი ნახვა ყველას გაგვეხარდება“.

წერილს ხელს ოთხი ქალიშვილი აწერდა. ოთხი ქალიშვილი! სერგეი არც ერთს არ იცნობდა. შეიძლება იცნობდა კიდეც, მაგრამ არც ერთის სახე არ ახსოვდა.

„ეჰ, სერგეი, სერგეი, კაი ბაიყუში კი ხარ, — შეუწყარა თავს ბრაჟნიკოვი, — ოქროსავით გოგოები ყოფილან, შენ კი არც ერთი არ გაგონდება. ეს როგორ დაგემართა?“

სერგეი ცდილობდა ქალიშვილები გაეხსენებინა, არა, ოთხივე კი არა, ერთი მათგანი. ოთხივეს რა თავში ახლიდა? ესეც არ იყოს, ოთხი სახის ერთად წარმოდგენას კი ფანტაზია და უნარი სჭირდება. ნეტავ ის მაინც წარმოადგენია, ვინც ამ წერილს სწერდა, ვის ხელსაც გამოჰყავდა ეს ლამაზი, ჩაჭიკჭიკებული ასოები.

„არაფერი არ გამოდის. ვინ მითხრა, უფანტაზიო კაცი ხარო? მგონი საშამ. მართალი უთქვამს. თავს ზემოთ ვერ ახ-ტები. ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“.

და უცებ სერგეის თვალწინ წარმოუდგა ქალიშვილის ხატება. მასაც ლიდასავით ხშირი, ხვეული თმა ჰქონდა, მაგრამ ეს ლიდა როდი იყო. დიდი შავი თვალები საყვარლად უელავდა. ნაზი ტუჩები საამოდ უთრთოდა. ვინ იცის, იქნებ ესაა ამ წერილის ავტორი? არა, ამ ქალიშვილს სერგეი არ იცნობს. ეს ის არის, ვისაც სერგეი ეძებს, ვისზეც დღედაღამ ოცნებობს. ესაა მისი მომავალი მეგზური და მეგობარი. განა შეიძლება ოცი წლის ცეცხლივით ჭაბუკი ასეთი ლამაზი ოცნების გარეშე ცოცხლობდეს?

თავი მეთორმეტე

ზემდეგი ხუთი დღე არ ყოფილა თავის ოთახში და გეგონებოდათ, დიდი ხანია აქ არავის უცხოვრიაო. გამოცვებული ოთახი ნაღვლიანად გამოიყურებოდა. მაინც რა სწრაფად უკაცრიელდება ყველაფერი.

„არცაა გასაკვირი, — ნაღვლიანად ჩაეცინა გრიგორი ივანოვიჩს, — არც ადრე ყოფილა ჩემი ოთახი მყუდრო და მოწესრიგებული, მარტოხელა კაცის ბინა ბებერი დათვის ბუნაგივითაა, აბა რა სიმყუდროვეზე შეიძლება ლაპარაკი“.

ზემდეგი ვერასდროს ვერ იფიქრებდა, რომ სიბერეს მიღწეული ასე მარტოხელა დარჩებოდა. ბუნებით ოჯახის-მოყვარულ კაცს თავისი ცხოვრების ეს ხანა სულ სხვანაირად წარმოედგინა.

„რას იზამ, არ გამოვდა. იქნებ ბედმა არ გამიღიმა. იქნებ...“ მაინც რა სევდიანი ფიქრები არ შემოხვევა კაცს, თავის გაყინულ, კი ხნის მიტოვებულ ოთახს რომ დაუბრუნდება.

„ახლა მთავარია, დარდი არ მოგვრიოს, თორემ გულზე ხელი თუ დაიკრიფე, ისეთი სევდა მოგაწვება, მგელივით დაიწყებ ყმუილს.“

— სევდა ჩასაფრებულივით გელოდება, როდის დანებდები. მაგრამ ვერ მიართვეს! ჯერ ფანჯრებს ფართოდ გამოვაღებ. შემოვიდეს ოთახში სუფთა ჰაერი. ჩაგუბებული სუნი ერთ წუთში განიავდება.

ზემდეგმა ელექტროქურა ჩართო და ზედ ფრონტზე ნთრეგი, გვერდებშეჭყლეტილი ჩაიდანი შემოდგა. შემდეგ ტანსაცმელი გაიხადა და შალიფად გამოეწყო. ფეხი რბილ საშინაო ფოსტლებში წაჰყო, ტანზე ფანელის მოსაცმელი მოიხურა. გრიგორი ივანოვიჩი სრულებით აღარ ჰგავდა წკიპზე შემდგარ ჭაღარა ზემდეგს. ახლა ის მხოლოდ ხანშიშესული, მოღლილი კაცი იყო, მეტისმეტად მოღლილი. ჩექმები გაიხადა თუ არა, ფეხებმა ტეხა დაუწყო.

„ვითომ რევმატიზმია? წინათ... თუმცა რა შეღავათია იმის მოგონება, რა იყო წინათ.“

ზემდეგმა ოთახს თვალი მოავლო და საქმეს შეუდგა. ავეჯიდან მტვრის გადაფერთხვა ძნელი საქმე არაა. მადლობა ღმერთს, ბევრი არაფერი უდგას: არმიული რკინის საწოლი, სტანდარტული ვიწრო დივანი, ყაზარმული პატარა ტუმბო, ოთხკუთხა, მუშამბაგადაფარებული მაგიდა და ორი სკამი. აბა მეტი რა უნდა დატეულიყო ამ ერთი ციცქნა ოთახში.

სანამ შვილი დაოჯახდებოდა და გაემგზავრებოდა, მეთაურთა სახლში დიდი ოთახი ეჭირა. როცა ზემდეგი მარტო დარჩა, აქ გადმოსახლდა. საშსახურისთვისაც ასე სჯობდა და თავისთვისაც. გამოვედეგიძება ღამე და იცი, რომ ტიხარს იქით ჯანსაღი ძილით სძინავთ შენს ჯარისკაცებს. გულზე ისე

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

მოგვშვება, თავს შინ იგრძნობ. აბა ამას სჯობია რამე?

ჩაიდანი გამოცოცხლდა, ერთი-ორჯერ თითქოს ხმა მოსინჯაო, ნელა დაიქშინა, ყელი ჩაიწმინდა და სასიამოვნოდ აღიღინდა. ოთახში ყველაფერი შეიცვალა. მყუდროებამ დაისადგურა. ახლა ეს უბრალო. ღამისსათვეი კი არ იყო, ადამიანის თბილი კერა გახდა. თურმე ბევრი რამე როდი სჭირდება ამ სასიამოვნო ფერიცვალების.

ზემდეგს სახეზე თავისთავად გაესხნა ნაოჭები. თავის ძველისძველ მეგობარს— ჩაიდანს კეთილი ღიმილით შეხედა.

გრიგორი ივანოვიჩი დარწმუნებული იყო, რომ ჩაის ნამდვილი გემო ქვეყნად ძალიან ოოტამ იცოდა. სმთ, ოოცხლე, ჩაის ბევრი სვამს, მაგრამ განა ყველამ იცის მისი გემო?

ზემდეგი ჯერ კიდევ ფრონტზე მიეკედლა ჩაის სურნელების მესაიდუმლეთა რჩეულ წრეს. მაშინ პოლკში ერთი აზერბაიჯანელი, მხიარული და ულაზარი ლეიტენანტი მსახურობდა, მეხტი ყულიევი. სწორედ მან გაანდო ზემდეგს ჩაის დაყენების საიდუმლოება.

— რომ იცოდე, ზემდეგო, ახლა მე შენ უკვდავების საიდუმლოებას განდობ, — სიცილით უთხრა ლეიტენანტმა.

უკვდავებაო, რომ სთქვა, რა თქმა უნდა, გადაეჭარბა ლეიტენანტმა. მაგრამ, რაც მართალია, მართალია, ცხოვრებას კი ნამდვილად მიადგილებს ეს დალოცვილი სასმელი.

ზემდეგი მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ხალხში. საღამოს საარის შემდეგ კი სულ მარტო რჩება. ყველა ადამიანს, მით უმეტეს გრიგორი ივანოვიჩის ასაკის კაცს, ძილის წინ სჭირდება რაღაც დრო დასვენებისათვის, განსჯისათვის, ფიქრისათვის. უკიდურეს შემთხვევაში ადამიანს შეუძლია ავტომატურად იმოქმედოს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ავტომატურად ფიქრი კი არავის არ ძალუძს.

ასეთ დროს ჩაი მისწრებაა. ერთი ჭიქა ცხელი, სურნელოვანი ჩაი მოხუც ზემდეგს თითქოს სიცოცხლეს უბრუნებს. გრიგორი ივანოვიჩი ჩაის ნელ-ნელა წრუპავს და თან ფიქრობს. ეს ფიქრალი კი, იცოცხლე, ბევრი იქნებ. ჩაის წყალობით ახლაც ისე გამოცოცხლდა, თითქოს ასეთი მძიმე, მომქანცველი დღე არ გადაეტანოს.

როცა ჩაის სვამ, შენს სულიერ მეგობართან — ჭკვიანურ წიგნთან საუბარსაც არაფერი სჯობია. აი, ისეთთან, გულსაც რომ ეფონება და სულსაც.

ეს წიგნი კი რა უბედურებაა. გულზე ლოდივით აწევს, ტვინსაც უფორიაქებს. ზემდეგმა ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. მოკალი და ვერ გაუგო.

შეხედავ, წიგნი წიგნია. ყდაც უბრალო აქვს და სათაურიც — „ბუნების კანონები.“ ცოტა რამ, ცოტა კი არა, საკმაოდ ბევრი რამ გაიგო და დაიმახსოვრა, ბევრი ადგილი კი ზემდეგისათვის გაუგებარი დარჩა. აი, თუნდაც ეს...

ზემდეგმა ჭიქა გვერდზე მისწია, საფეთქლებზე ხელისგულები მიიჭირა და ხმამაღლა, ჩამარცვლით დაიწყო კითხვა. იქნებ ასე უფრო გაიგო რამეო.

„...რადგან ელექტრონს გააჩნია სპინი, წყალბადის ატომს მოძრაობის რაოდენობის მომენტი ექნება, ხოლო ჰელიუმისას არა, რადგან ელექტრონებს, მოძრაობენ რა ერთნაირად, პაულის პრინციპის თანახმად გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული სპინები, — ამიტომ მათი მომენტები ურთიერთს გააბათილებს.

გადავიდეთ ლითიუმზე. ორ შიგა ელექტრონს წინანდებურად ურთიერთსაწინააღმდეგო სპინები ექნება. ამჯერად მომენტი მთლიანად დამოკიდებული იქნება იმაზე, ოთხი შესაძლო ორბიტიდან რომელი რიცხვით n-2 შევარჩიოთ მესამე ელექტრონისათვის. თუმცა წყალბადისათვის ყველა ოთხივე მდგომარეობას რიცხვი n-2 გააჩნია ერთი და იგივე ენერგია. ეს არ არის მართებული ლითიუმისათვის ან ნებისმიერი სხვა ელემენტისათვის“.

„რატომ არ არის მართებული? ეშმაკმა იცის მაგის თავი, რატომ!“

ზემდეგმა წიგნი კიდევ გადაფურც-

ლა. იქნებ იქ მაინც გაიგოს რამე? მაგრამ... მეტი არ იქნა შენი მტერი.

ზემდგომა გაუგებარი ადგილები ბეერჯერ გადაიკითხა, რედაქტორის რჩევას დაუჯერა. რედაქტორი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „თუ მკითხველი ზოგიერთ ადგილს ვერ გაიგებს, ნუ შეშფოთდება. ჩვენ მას ვურჩევთ წიგნის წაკითხვის შემდეგ იმ ადგილებს ისევ დაუბრუნდეს."

იქნებ ეს რჩევა ბევრს გამოადგა. გრიგორი ივანოვიჩისა კი რა მოგახსენოთ. მეორედ კი არა, ორი ადგილი ბარე ათჯერაც გადაიკითხა, მაინც არაფერი გამოუვიდა.

„სჯობდა სულ არ გადავწყდომოდი ამ წიგნს, — ფიქრობდა სასოწარკვეთილი ზემდგომი, — მაგრამ ახლა უკვე ვგიანაა ამაზე ფიქრი. არ ვიცი, მე გადავეკიდე ამ წიგნს თუ თვითონ გადამეკიდა. ერთი რამ კი ეხადია — ერთმანეთს კეთილად ვერ დავშორდებით."

მე მგონი, ღირს მოგიყვეთ როგორ და რატომ მოხვდა ზემდგომთან ეს მისი სულისამომხდელი წიგნი.

2

...ეს ამბავი ორიოდე კვირის წინ, ერთ მშვენიერ უქმე დღეს მოხდა: ზემდგომ ძალიან ეუცვარს „ქალაქობანას" თამაში. სპორტის სხვა სახეებს უკვე აღარ მისდევს. „ქალაქობანაში" კი პოლკში ბადალი არ ჰყავდა. და უცებ ყველას თვალწინ ისეთი დამარცხება იწვნია, რომ „გულშემატკივრები" პირდაღებულნი დარჩნენ.

ზემდგომი თავის ძველ პარტნიორებთან — მეკავშირე ჯარისკაც პეტუხოვთან და კაპიტან ანდროსოვთან თამაშობდა, მაგრამ რადგან თამაში გაჯლაზე იყო, მისი მორიგი მოწინააღმდეგე ვიღაც ყმაწვილი ლეიტენანტი აღმოჩნდა. ლეიტენანტს კეთილი, ჭორფლიანი სახე ჰქონდა. ისეთ ლამაზ, ახალთახალ ქრომის ჩექმებში იყო გამოწყობილი, ძალაუნებურად იფიქრებდი, ამ ცოდვიან მიწაზე ასეთი ჩექმებით სიარული ცოდვააო. ლეიტენანტი კი ჩექმებს სრულებით არ უფრთხილდებოდა. ჩექმები ისე გულისგამაწვრილებლად ჭრაჭუნებდნენ, გეგონებოდა, ლეიტენანტს აფრთხილებდნენ — „ხომ არ დაგავიწყდით, ახლები რომ ვართო". ეშხში შესული ლეიტენანტი თავდავიწყებით თამაშობდა. ძალაუნებურად იფიქრებდი, ახლა მისთვის მიზნისა და დარტყმის მეტი ქეიფანაზე არაფერი არსებობსო. დარტყმა რომ გაუმართლებდა, ბალღივით უხაროდა, იცინოდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ მალაყებზე არ გადასულიყო. გამართლებით კი მართალაც რომ უმართლებდა. გრიგორი ივანოვიჩს სამჯერ ეთამაშა და სამჯერვე დააყრევინა ფარ-ხმალი.

— დიდი ხანია ამ თამაშით ხართ გატაცებული? — ჰკითხა ზემდგომმა.

— ბავშვობიდან, — მიუგო ლეიტენანტმა.

— ჰოო, მაშ არც თუ ისე დიდი ხანი ყოფილა, — თავიაზიანად გაიღიმა გრიგორი ივანოვიჩმა, — ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ აქ უნდა იმსახუროთ, თუ...

— მივლინებში გახლავართ.

ამ პასუხმა ზემდგომ ეოტათი შეუმსუბუქა დამარცხების სიმწარე. ასეთი მეტოქე რომ გვერდით გეყოლება, მაშინ სულ უნდა დაანებო თამაშს თავი და ისაა. კაცს თუ გულში ცოტა მაინც არ გეექნა მოგების იმედი, ისე თამაშს რა ფასი აქვს. რაკი მივლინებაში ყოფილა, ჯანდაბას, დღეს თუ ხვალ ჩიტივით გაფრინდება. მისი კვალიც კი არსად დარჩება.

აი, აქ კი შეცდა გრიგორი ივანოვიჩი. ლეიტენანტმა უნებურად ღრმა კვალი დაამჩნია ზემდგომის ცხოვრებას. მაგრამ „ქალაქობანას" თამაშით კი არა.

ორშაბათს გრიგორი ივანოვიჩი ოფიცრთა სახლში ლექციის მოსასმენად მივიდა. ტრიბუნაზე თავისი გუშინდელი მოწინააღმდეგე დაინახა. ლეიტენანტს ისევ ბიჭური, უბრალო სახე ჰქონდა. რაღაც ცვლილება კი მაინც ემჩნეოდა.

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

„ჰმ, სათვალე დაუკოსებია ცხვირზე, — მიხვდა გრიგორი ივანოვიჩი, — ნეტავ რაში სჭირდება? თვალს რომ არ აკლია, ამაში გუშინ დავრწმუნდი. ალბათ ფიქრობს, ასე უფრო დარბაისელი და განსწავლული ვჩანვარო, ბავშვობაა და მეტი არაფერი“.

ერთი გუშინ არ წაეგო, გრიგორი ივანოვიჩი ლეიტენანტს სულ სხვანაირად მიუდგებოდა.

„არა, მთლად სამართლიანად არ ვიქმევი. მაგრამ რა ვქნა. არსად არ წამიკითხავს და არც გამიგონია, შენი მძლეველი და დამმარცხებელი უნდა გიყვარდესო. ამას ვერსად ნახავ დაწერილს. აი, პატივისცემა კი სხვა საქმეა. მაგრამ ამასაც განსაკუთრებული მუხლი ითვალისწინებს, პატივისცემა უნდა დაიმსახურო“.

ამდენი ხნის სამხედრო სამსახურის შემდეგ გრიგორი ივანოვიჩს უფროსების პატივისცემა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. მაგრამ ეს პატივისცემა გაანა ბრმა იყო. გრიგორი ივანოვიჩს სწამდა — ჩვენს არმიაში უფროსი იმიტომ არის უფროსი, რომ საქმისა უმცროსზე მეტი გაეგებაო. ცხოვრებაში ერთხელ და ორჯერ კი არ დადასტურებულა, რომ ლეიტენანტმა სერჟანტზე უკეთ იცის საქმე, კაპიტანმა კი ლეიტენანტზე უკეთესად. მაიორმა კიდევ უკეთესად და ასე შემდეგ. არა, გამონაკლისებიც არიან, გრიგორი ივანოვიჩსაც შეხვედრიან შემოხვევით დაწინაურებული უღირსი ვაჯბატონები. მერე რა? გამონაკლისი გამონაკლისად რჩება — ოფიცრის სახელებს მემკვიდრეობით როდი აკერებენ. თუ ვინმეს დაუმსახურებლად მიანიჭეს წოდება ან თანამდებობა, ხელს მაინც აუღებენ — ასეთია სამხედრო თავაზიანობა. მაგრამ პატივისცემა... კაცმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, პატივისცემის ღირსი რომ არის. ჰოდა, პროფესორივით სათვალიანმა ლეიტენანტმაც კეთილი ინებოს და დაამტკიცოს, რომ პატივისცემის ღირსია. ატომური მეცნიერება მაგას ქალაქობასას თამაში ხომ არ ჰგონია? აქ მარტო გამჭრიახი თვალი ვერას გიშველის!

ლეიტენანტმა თითქოს მიიღო ზემდგომის უსიტყვო გამოწვევა. მიიღო და ეს-ეს წუთსაც არ გაეკლო, რომ ზემდგომ პატივისცემით განიმსჭვალა.

„აი, მესმის კაცი“, — ამბობდა იგი გულში.

კიდევ ორი წუთი და პატივისცემა თაყვანისცემაში გადაიზარდა.

„კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, ამან უნდა დაიკვეხოს. ჯერ ტუზზე რძე არ შეშრობია და, ერთი უყურე, როდის მოასწრო ატომზე ამოდენა ცოდნის შეძენა?“

კიდევ რამდენიმე წუთი და გრიგორი ივანოვიჩი დარწმუნდა, რომ ლეიტენანტის ნალაპარაკევიდან ინჩი-ბინჩი აღარ გაეგებოდა. საოცარია; თავიდან ხომ ყველაფერი ნათელი იყო?

საქმე ისე წავიდა, კაცს ეკონებოდა, რუსულად კი არა, ლექციას ჩინურად კითხულობსო. ზემდგეს თანდათან მოგზრდად გაუგებარი ლექციის მოსმენა.

„აი, ახლა კი ჩაამწნილეს ყველას“, — გაიფიქრა გულში და ირგვლივ მიმოიხედა. ბიჭოს, დანარჩენებს ყველაფერი ესმით, ლეიტენანტს გატაცებით უსმენენ, ყოველ სიტყვას ყლაპავენ, რაღაცას ინიშნავენ. მაიორ ფოროსოვს რაღაცაზე ეღიმება კიდეც.

„ვითომ ასე მოსწონთ ეს ბრახაბრუხი? თუმცა ბრახაბრუხი რას მიქვია. ხალხს ყველაფერი ესმის. მარტო მე ვზივარ ტყემალზე.“

ვერაფერი სასიამოვნოა ასეთი აღმოჩენა. თავმოყვარეობის საქმე არ არის?

ზემდგომა თავის დამშვიდება სცადა.

„რა მოხდა მერე, უნდა ვაიგონ, აბარის ოფიცრები არიან. სასწავლებელი მაგათ არ დაჰკლებია და აკადემია. მე კი ერთი უბრალო ზემდგომი ვარ. ოთხი კლასი ძლივს დავამთავრე“.

თავი მაინც ვერ დაიმშვიდა. გულში რაღაც მაინც ჩაჰყვა ხინჯად.

3

საღამოს ზემდგემა ბიბლიოთეკაში შეიარა. ბიბლიოთეკარმა მშვენივრად იცოდა გრიგორი ივანოვიჩის გემოვნების ამბავი და ჰკითხა:

— იქნებ იაროსლავ შიშკოვის „უგრიუმ-მდინარე“ წაიღოთ? საინტერესო რომანია, ჩაგწერო?

— არა, ეკატერინა ონისიმოვნა, ახლა სხვა წიგნისკენ მიმიწევს გული. ატომზე გაქვთ რამე?

— მაინც რა, გრიგორი ივანოვიჩ?

— აი, რაც შეიძლება მარტივი რამე.

— მესმის, მაგრამ ასეთი წიგნები სულ გაცემული გვაქვს. თუმცა... მაპატიეთ, სულ გადამავიწყდა, სწორედ გუშინ დამიბრუნეს ერთი ასეთი წიგნი. აი, პაიერსლის „ბუნების კანონები“. მე თვითონ არ წამიკითხავს, მაგრამ ამბობენ, ძალიან საინტერესო წიგნიაო. რატომღაც ყველაზე უფრო თქვენი ასეულის მეომრებს მიაქვთ.

ზემდეგს ეგონა ყურმა მომატყუაო.

— ვისაო, რა სთქვიათ?

— თქვენი ასეულის ჯარისკაცებს, გრიგორი ივანოვიჩ. სინდისს გეფიცებით, ხანდახან მგონია, თქვენ ქვეგანაყოფი კი არა, ცნობისმოყვარეთა კლუბი გაქვთ.

სხვა დროს ასეთი ხოტბა ძალზე გაახარებდა მოხუც ზემდეგს. იგი ყოველთვის იჭვნეულად ეკიდებოდა თავისი ასეულის დიდებას. მაგრამ დღეს ეს შექება გულზე ისე მოხვდა, თითქოს მკერდში ბასრი დანა გაუყარესო.

— იქნებ უფრო კონკრეტულად მითხრათ, ეკატერინა ონისიმოვნა, ჩვენი ასეულიდან კიდევ ვინ წაიღო ეს წიგნი?

ბიბლიოთეკარი გააოცა ზემდეგის მღელვარებამ.

„ხმა როგორ შეეცვალა, ნეტავ რამ აიღელვა? ჩემგან ხომ არაფერი ეწყინა, ამა რა უნდა სწყენოდა?“

— ბოდიში, გრიგორი ივანოვიჩ, მაგრამ ყველა როდი მახსოვს. ხომ იცით ჩემი სამუშაოს ამბავი. ეს წიგნი კი ბევრმა წაიღო. ასე ოციოდე კაცმა მაინც. არტემოვმა წაიღო, ვიცი, თქვენი ასეულიდანაა. საფონოვმა, ლეონიდ ივანოვიჩმა, პეტრე ივანოვმა, კატანჩიკმა, ეგოროვმა, აგაჯანიანმა. კიდევ მაღლევმა, აი, გაწკეპილი ულვაშები რომა აქვს, იმან. მაგრამ ის მგონი თქვენი არ უნდა იყოს. მე მგონია...

— გასაგებია, — შეაწყვეტინა ზემდეგმა, — ჩამიწერეთ ეს წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნეტავ რა არის ბასაგები? — გაკვიფიერა ბიბლიოთეკარმა და ზემდეგის ბარათს ჩააჩერდა, — რაიმე ხომ არ შეემთხვა?“

გრიგორი ივანოვიჩმა ლექციის შემდეგ მთელი დღე ვერ მოისვენა. და აი, უცებ ყველაფერი გაირკვა, დღესვითა ნათელი გახდა. როგორც იქნა, მიხვდა: მისი მშობლიური არმია, რომელსაც მან თავისი საუკეთესო წლები ანაცვალა, თუმცა წლები რა სათქმელია, სიცოცხლე შესწირა, — შეიცვალა, გაიზარდა, წინ წავიდა. ის კი ნელ-ნელა ჩამორჩა ცხოვრებას, ჩამორჩა უიმედოდ.

აი, რა მკაცრი სიმართლე შეიცნო ბიბლიოთეკარის ხარიხასთან არმიაში დაბერებულმა ზემდეგმა. შეიცნო კი არა, დაინახა კიდეც... გრიგორი ივანოვიჩმა გზა დაინახა, შემდეგ ამ გზაზე გაჭიმული მეომართა კოლონა. თვითონაც ამხანაგებთან ერთად მიაბიჯებდა, ჯერ პირველ რიგებში; მერე შუაში, ბოლოს საკუთარი თავი უკანასკნელ რიგში დაინახა, მომცრო ტანის ჩამეტი ჯარისკაცის გვერდით. უცებ გავიხედოთ და რაღაც ძალამ ზემდეგი კოლონასაც მოსწყვიტა, პირველად სულ რამდენიმე ნაბიჯით. გრიგორი ივანოვიჩი არ შეშფოთებულა. აბა ეს რა ჩამორჩენა იყო, კოლონას ხელად წამოეწეოდა. მაგრამ შეხედეთ, კოლონამ თანდათან უფრო და უფრო აუჩქარა ნაბიჯს, ის კი... თითქოს ვიღაცას ებრძანებინოს — ადგილზე ნაბიჯით იარო, ერთ ადგილს ტკეპნიდა. მართალია, ასეთი ბრძანებაც არსებობს, მაგრამ აბა ახლა ამ ბრძანებას რა თავში ისლიდა ნირწყმხდარი ზემდეგი? კოლონა მიდის, შენ კი ადგილზე დაბორიალობ. მძიმე სიზმარს ჰგავდა ყველაფერი. მაგრამ ეს რომ სიზმარიც არაა? შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს კაცი. აგერ კოლონა თვალს მიეფარა, წუთის წინ, შენც იქ იყავი, მეგობრების მხარდამხარ მიან-

---

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ბიჯებდი, ახლა კი გავლილ გზაზე ეულად დარჩი. ეს გავლილი გზა კი აღარავის სჭირდება — ეს გზა ახლა კალენდრის ფურცლებს თუ შერჩება და სიბერეში პატარა შვილიშვილებთან მოსაყოლად თუ გამოადგება კაცს.

ჩამორჩა!

მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? წინ რომ წავიდნენ, ისინი? არა, გრიგორი ივანოვიჩმა კარგად იცის — თვითონაა დამნაშავე. მაგრამ ეს მდგომარეობას როდი უმსუბუქებს. მოიკალი თუ გინდა თავი. რაც ხელიდან გაუშვი, ვეღარაფერს ვერ დაიწვეი. მაინც გულსატკენია, არ იყო სწავლის საშუალება, თუ რა? ომამდეც შეეძლო ესწავლა, მაგრამ მაშინ ფიქრობდა — რა მეჩქარება, მოვესწრებიო. ომის შემდეგ კი მას, დიდების ორდენის კავალერს, ფარეოდ გაეღო სასწავლებლის კარი, მაგრამ ოჯახური სიობოს მოწყურებული კაცი ცოლ-შვილს ვერ შეელია. ჰქონდა ამის უფლება? ალბათ ჰქონდა. მერე იყო და უეცრად ცოლი გარდაეცვალა. პატარა ბიჭს სხვის კარზე ხომ არ დატოვებდა? ამასობაში ასაკმა თავისი გიტანა და მისთვის სამუდამოდ დაიხურა სასწავლებლის კარი. ასაკს რაღას მოუხერხებდა, მაგრამ ხელის ჩაქნევის უფლება მაინც არ ჰქონდა. ამით იგი ჯვარს უსვამდა მომავალ ცხოვრებას. ახლა კი მიხვდა, მაგრამ რაღა დროს.

ზემდეგს შიშისაგან შეაკრჭოლა. ცრუობენ, რომ ამბობენ, ჯარისკაცს სიკვდილისა არ ეშინიაო. როგორ არ ეშინია. მაგრამ მწყობრიდან გამოსვლა, შენიანებს ჩამორჩენა — ეს...

გრიგორი ივანოვიჩმა კბილი კბილს დააჭირა, კვნესა არ ამომდგესო. ბიბლიოთეკარის თანაგრძნობაც დიდად როდი ეპიტნავა. ნუთუ შენიშნა რამე? ალბათ. მერე რა. გრიგორი ივანოვიჩი გულს როდი გიტეხს, კიდევ იბრძოლებს, აგერ ნახავთ თუ არა...

ზემდეგმა ბიბლიოთეკარს თავი უსიტყვოდ დაუქნია, წიგნი იღლიაში ამოიჩარა და გარეთ გავიდა.

ბედზე მალე მთებში მეცადინეობაც დაიწყო. აღმოჩნდა. რომ უზემდეგოდ ვერავინ მიდიოდა იოლად. ამ ორმა-ტრიალში ზემდეგს თავის მოსაფარებლადაც აღარ ეცალა, თორემ ფიქრისა და განსჯის დრო სადღა იყო. საქმეშ ტკივილი მიეყუჩა. მხოლოდ ერთხელ, სამეთაურო პუნქტში ლეკტორ ლეიტენანტს რომ მოპკრა თვალი, უბოროტოდ ჩაიცინა: „არ ამიფორიაქე სული და გული, შე სათვალიანო ბიჭო? ქალაქობანაში ასჯერ რომ დაგემარცხებინე, ამ უბედურებას ნამდვილად ის მერჩივნა.“

4

მაგრამ აი, გრიგორი ივანოვიჩი „ბუნების კანონებთან“ ისევ მარტო დარჩა. ისევ დაიწყო ტანჯვა-წამებაც. ვერ იტყვით, რომ ზემდეგს ბუნების კანონების არაფერი გაეგებოდა. რადაც-რაღაცეები იცოდა, ამ წიგნებიდან თუ არა, პირადი გამოცდილებიდან მაინც. სამხედრო სამსახურის დროს იშვიათად როდი უხდებოდა ბუნებასთან შეჯიდება. რა თქმა უნდა, ადამიანური კანონები გაცილებით უკეთ ესმოდა. არცაა გასაკვირი. ის ხომ ახალი — საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მშენებელი იყო და ახალი, წინათ არგაგონილი კანონების შექმნაში ასე თუ ისე ისიც ხომ იღებდა მონაწილეობას.

...წიგნი იმ თავზე ჰქონდა გადაშლილი, „ატომის თვისებები“ რომ აწერია. აქამდე ზემდეგ პეტროვისათვის ატომი იყო ახალი იარაღი. ეს მრისხანე იარაღი ჩვენც გვაქვს და ჩვენს მტრებსაც. ზემდეგმა ამ იარაღზე იმდენი იცოდა, რამდენიც სამსახურით მოეთხოვებოდა: მსროლელთა ასეული ფარგლებში, — არც მეტი და არც ნაკლები.

თუ საჭირო გახდება, ინსტრუქციისა და წესდების შემწეობით, მტერზე ატომური დარტყმის შემდეგ შეუძლია მოწამლულ ზონაზე გადაიაროს. ასეული შეტევაზე გადაიყვანოს. ანდა პირიქით: დაცვაში თუ მოხვდება, შეუძლია ყველა ატომსაწინააღმდეგო ზომა მიიღოს.

მაგრამ ახლა ატომი სულ სხვა მხრიდან წარმოუდგა ზემდეგ პეტროვს. ეს მარტო იარაღი კი არა, თურმე მთელი

სამყარო ყოფილა. თანაც გრიგორი ივანოვიჩისათვის მიუწვდომელი სამყარო. ნეტავ დაცინვით ხომ არ აწერია ამ წიგნს — ბუნების კანონები, ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმებით გადმოცემულიო. ხელმიუწვდომელი რომ დაეწერათ, უფრო სწორი იქნებოდა. ამ კანონებში გზა ისე აგებნევა, როგორც ულრან ტყეში. რაც უფრო შორს მიდიხარ, მით უფრო ბნელდება და ბნელდება.

„არაფერიც, უფრო კი არ ბნელდება, ნათლდება. მაგრამ იმ სინათლემდე გზა ხომ უნდა გაიკვლიო. ჰმ, გაიკვლიო! არ ვიდილობ თუ რა? მივიკვლევ გზას, მინდა სინათლემდე მივაღწიო. მინდა...“

გაიკვლევ კი გზას, გრიგორი ივანოვიჩ?

ვინ იცის, მოხუცი პეტროვი იქნებ ისე წავიდეს არმიიდან, მერე ამ ქვეყნიდან, რომ ვერ გაიგოს, რისი გაგებაც უნდოდა. შეიძლება ასეც მოხდეს. გაქცეულ წლებს ვეღარ დაეწევი. აქ უკვე აღარ გამოგადგება ბრძნული ანდაზა — სწავლა სიბერემდეო. ვვიანაა. გრიგორი ივანოვიჩისთვის უკვე ძალზე ვგიანაა და, საუბედუროდ, მარტო მისთვის კი არა...“

ზამდეგმა დაღლილი თვალები მოისრისა და საათს შეხედა. საცაა გათენდება. ჰოდა, მომზადებაა საჭირო. ზემდეგმ ჩვეულებად ჰქონდა, ძილის წინ საათში მოემზადა და ხვალისათვის გასაკეთებელი საქმეები ფურცელზე ჩამოეწერა. საქმეების სია კაიხელა გამოუვიდა. ზემდეგი მოიღუშა, დაფიქრდა და რაღაც-რაღაცეები ამოშალა, ღუნ ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და ფურცელს კიდეზე მიაწერა — „პარტიული დავალება, გრომოვთან მოლაპარაკება“.

— არა უშავს, ბებერო, ცხვირი რას ჩამოგიშვია! — თავის თავს შემოუძახა ზემდეგმა და ქაღალდი ფაქიზად დაკეცა, — სანამ პარტიულ დავალებას გაძლევენ, მწყობრში დგახარ. გაქვს ხვალინდელი დღე, გაქვს მომავალი. აბა, ბებერო, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

...საყვირმა პოლკს ადგომის დრო ამცნო. დადგა ახალი დღე. ზემდეგის ჩამოწერილ საქმეებს რაღაც-რაღაცეები წაემატა, ზოგი რამ კი მომავლისათვის გადაიდო. ყველაფერს ხომ ვერ გაითვალისწინებ კაცი. მაგალითად, გენდი გრომოვთან ლაპარაკი მთელი ათი დღით გადაიდო. აღმოჩნდა, რომ ლეიტენანტს პოლკის მეთაურისათვის ათდღიანი შვებულება უთხოვია „ოჯახური მდგომარეობის“ მოსაწესრიგებლად და ღამის მატარებლით გამგზავრებულა.

თავი მეცამეტე

ჯერ კიდევ გუშინ დილას, ასეულის მეცადინეობიდან დაბრუნებისას გენდი გრომოვისთვის რომ გეთქვათ, შეიძლება რაიმე ოჯახური საქმე გამოვიჩნდესო, სიცილით მოკვდებოდა, — რას ამბობთ, რომელ ოჯახურ საქმეებზე მელაპარაკებითო. და მართლაც იგი არასოდეს არ ფიქრობდა ოჯახურ საქმეებზე. ანდა რა ჰქონდა საფიქრალი. უბედურება არაფერი მომხდარა. ვარია კი რაც დრო გადიოდა, მით უფრო იშვიათად აჯონდებოდა, და ეს მოგონებაც გულს ძველებურად აღარ უფორიაქებდა.

„ვარია რომ მშვენიერი გოგოა, ამას წყალი არ გაუვა. მერე რა, ქვეყანაზე ლამაზ ქალიშვილებს რა გამოლევს. ოცდაორი წლის კაცმა, ისიც ლეიტენანტმა, კისერზე რომ უღელი დაიდგა, განა ჭკვიანური იქნება? ტყუილად ხათაბალაში უნდა გაეხვიო“. ცოლიანი ლეიტენანტებიც უნახავს. ისინი არმიისათვის მკვდრები არიან. თითქოს ბავშვის საფენების სუნი უდიან. პირზე სულ რძე და ფაფა აკერიათ. ოთახის მისაღებადაც თავს იკლავენ, ესაა მათი ოცნების საზღვარი: ოღონდ როგორმე თბილი ბუდე შეუკოწიწონ ცოლსა და

ემანუელ ფეიერინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარტყებს. იმათაც თუ ოფიცრები ჰქვიათ! ახალგაზრდა ოფიცერი თავისუფალი უნდა იყოს. ოჯახს მაშინ უნდა მოეკიდო, როცა რაღაცას მიაღწევ და შენსას გაინაღდებ. მაშინ ბინაც შენი გექნება და არც უცოლო ამხანაგებისაგან დაგეშვრდება ფულის სესხება მომავალ ხელფასამდე: „ხომ იცი, ოჯახიანი კაცის ამბავი, ამ ბოლო დროს რძეც რატომღაც გაძვირდა ბაზარზე, თანაც „შემთხვევით“ საბავშვო ეტლიც ვიყიდეთ, ისეთი მოხერხებულია, ვერ ავიწერ“.

არა, გენადი ამისათვის არაა გაჩენილი, მისი საცოლე ჯერ ალბათ საბავშვო ბაღში დაცუნცულებს. მერე რა, გაიზარდოს, ამასობაში გენადიც გაიზრდება. ოცეულის მეთაურად ხომ არ დაამტკიცებენ, ასეულს ჩაამბარებენ. მერე რამდენიმე წლით აკადემიაში უკრავენ თავს. აი, მერე, პოლკის მეთაურად რომ დანიშნავენ, უკვე შეიძლება დაოჯახებაზე იფიქროს კაცმა. ასეა ტრადიციულად, პოლკის მეთაური დაოჯახებული უნდა იყოს. გენადის ანგარიშით ეს ამბავი ოცდაათ-ოცდათხუთმეტ წლამდე უნდა მოესწროს. აბა რა გეგონათ, ბერად შედგომას კი არ აპირებს. ვერაფერი სასიამოვნოა, კაცი უცოლშვილოდ დაბერდე და უძიროდ გადაეგო.

გენადის თავისი გეგმა ბრძნულად მიაჩნდა. მხოლოდ ერთ რამეს ვერ ამჩნევდა, — გულმავიწყობის თუ უმეცრების გამო თავის არსებაში სიყვარულისათვის ადგილს აღარ ტოვებდა.

დასასანი კი იყო!

2

გენადიმ ფეხოსანთა სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და პირველი თანრიგი მიიღო. ეს უფლებას ანიჭებდა სამხედრო სამსახურისათვის ოლქი თვითონ ამოერჩია. გენადიმ მაინც მამის რჩევას დაუჯერა და ამიერკავკასიაში გამოემგზავრა.

— ან შორეული აღმოსავლეთის ტაიგაში, ან კავკასიის მთებში, — ურჩია მამამ, — შტაბში ყიალს ნუ მოჰყვები, პირდაპირ ოცეულის მეთაურობიდან უნდა დაიწყო.

სხვანაირად არც მიფიქრია, — კვერი დაუკრა გენადიმ მამას.

ყველაფერი თავიდანვე ისე როდი მოეწყო, როგორც გენადის უნდოდა. ოცეული მაშინვე ვერ ჩააბარეს — ადგილი არ იყო თავისუფალი. სამაგიეროდ, დროებით დივიზიის შტაბში შესთავაზეს სამუშაო. აი, სწორედ მაშინ გაიცნო ვარია იგნატოვა, თავისი დიასახლისის ქალიშვილი.

„უცხო ხალხში“ რომ ისტუმრებდა, გენადის დედას არც ეს „საშიშროება“ გამორჩენია. კერძო ბინა ახალგაზრდა ოფიცრის მახეაო, — გააფრთხილა დედამ. ყველა დიასახლისსა ჰყავს გაუთხოვარი ქალიშვილი. ზოგს ერთი კი არა, ბარე ორი-სამი შინაბერა უზის სახლში. ასეთ ოჯახში მდგმურს თავს ევლებიან, ციე ნიავს არ აკარებენ, მისი სიყვარულით ვერ ძღებიან, მის სამხრეებზე ლოცულობენ. ისარგებლებენ შენი გამოუცდელობით და ყოველ ნაბიჯზე მახეს დაგიგებენ. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ და კისერზე ცოლთან ერთად სიდედრი და ცოლის დებიც წამოგასკუპდებიან. დაუმატე ახლა ამას უმადური და მუდამ რაღაცით უკმაყოფილო ნათესავების მთელი ჯოგი!

— შენ მე ძალიან ცუდად მიცნობ, დედა, — უთხრა მაშინ გენადიმ დედას.

ანტონინა მირონოვნამ თავი გაიქნია:

— ნუ ვაკკაცობ, შვილო. თქვენს ასაკში ყველა სიტყვითა ხართ მამაცი. საქმე საქმეზე რომ მიდგება... სჯობია ცოტა გაიჭირვო და სანამ ოთახს მოგცემენ, საერთო საცხოვრებელში იცხოვრო.

• ასეთი რჩევა-დარიგება, იცოცხლე, არ დაკლებია გენადის. ამდენ გაფრთხილებას რომ ყური უგდო, გამოდის, რომ თუ მთელი შენი სიცოცხლე დედის კალთას არ ამოეფარე, დალუპვა არ აგცდება.

მაგრამ ნურას უკაცრავად, გენადი გრომოვი განებივრებული და ლაყე ყმაწვილი როდი გახლავთ. ცხოვრებაშიც ვაკკაცურად შედგა ფეხი. ქალის რჩევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიგებას, თუნდაც დედისეულს მისთვის რა ფასი ჰქონდა. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, თუ საერთო საცხოვრებელში „საწამლავად“ თავი არ ემეტებოდა. გენადი გულში ფიქრობდა, სერიოზული მუშაობისთვის საჭირო პირობები შეექმნა. სახლიდან წიგნებიც წამოიღო. დამოუკიდებელი მუშაობის გეგმაც გვარიანი შეიმუშავა. უნდოდა შეესწავლა ინგლისური და არაბული ენა, რამდენიმე ისეთი სამხედრო დისციპლინაც, რომელიც სასწავლებელში სხვადასხვა მიზეზების გამო შეკვეცილად ისწავლება. ამას ზედ ფიზიკა და ქიმიაც დუმბატეთ. აბა რა გგონიათ, ნამდვილი ოფიცერი ეპოქას ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს. რაც მთავარია — მოსალოდნელი მოწინააღმდეგეც არ უნდა დაგრჩეს შეუსწავლელი. კარგი ქნა მამამ, საინტერესო ლიტერატურა რომ გამოატანა.

ერთი სიტყვით, გენადის ოთახი სჭირდებოდა და ერთმა თანამოსამსახურემ, კაპიტანმა ბლიუშკინმა თავის ყოფილ დიასახლისთან პრასკოვია იგნატოვასთან სარეკომენდაციო ბარათი გაატანა.

— შესანიშნავი ქალია, — არწმუნებდა გენადის კაპიტანი, — მე და ჩემს ცოლს პირდაპირ დედაშვილურად გვექცეოდა.

გენადიმ გაიფიქრა, მშობლიურ დამოკიდებულებას რა თავში ვიხლიო. ასეთ საქმეში მე მხოლოდ ერთი პრინციპი ვიცი — მე გიხდით ფულს, თქვენ მაძლევთ ოთახს და მიწევთ წინასწარ შეთანხმებულ სამსახურს. მორჩა და გათავდა.

გენადის უნდოდა თავისი პრინციპი დიასახლისისათვის თავიდანვე გაეცნო, მერე რომ არავითარი გაუგებრობა არ მომხდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ იყო საჭირო.

— ოთახი დღემდე თავისუფალია, — უთხრა პრასკოვია კუზმინიშნამ, როცა კაპიტან ბლიუშკინის ბარათი წაიკითხა, — რაც გრიშამ და სონიამ (დიასახლისი კაპიტანსა და მის ცოლს გულისხმობდა) ბინა მიიღეს, ვერ იქნა და მდგმური ვერ ვიშოვე. აი, თქვენისთანები კი მოდიოდნენ, მაგრამ უარით ვისტუმრებდი.

— ჩემისთანებს ვის უძახით? — გულში მოუვიდა გროშოვს.

— მარტოხელებს, უცოლოებს, — მშვიდად განუმარტა დიასახლისმა, — მე ჩემი ანგარიში მაქვს, ოჯახიანი მდგმური მინდა. აი, ბლიუშკინებივით ახალგაზრდა წყვილი, თუნდაც ბავშვიც ჰყავდეთ, ამასაც არ დაგიდევთ.

გენადიმ ქუდს ხელი წამოავლო:

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

ქალმა ამოიოხრა.

— მოიცათ, რაც არ უნდა იყოს, გრიშას გამოგზავნილი ბრძანდებით, გრიშას ვერ ვაწყენინებ. წამოდით, ოთახი ნახეთ, იქნებ არც კი მოგეწონოთ.

ქალს ალბათ იმედი ჰქონდა, არასასურველი მდგმური ოთახს დაიწუნებსო. გულღიად რომ არ შეხედა, ესეც ზედ დაემატებაო, მაგრამ გენადიმ ცივი წყალი გადასახა. ოთახი თვალში მოუვიდა, ნათელი, სუფთა, პატარა ფანჯარა ბაღჩას გადაჰყურებდა. ბაღჩაც ლამაზი მოეჩვენა. ცოტა ხელმიშვებული კი იყო. ალბათ ამასაც ჰქონდა თვისებური სილამაზე.

— ბაღს ვეღარ გავწვდი, — თითქოს გენადის ფიქრებს კითხულობსო, შესჩივლა დიასახლისმა, — როცა ჯანმერჩოდა, კომბინატში ვმუშაობდი, ბაღჩისათვის სად მეცალა. ახლა კი... ამაზეც მადლობა უნდა ვთქვა, ოთახებს რომ ვართმევ თავს. ბაღისათვის აღარა მცხელა, სულ მივუშვი ხელი. ეჰ, ვერავა სასიამოვნო ამბავი, მაგრამ რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არაა. ერთი იხონებული მამაჩემის დროს უნდა გენახათ ეს ბაღჩა, როგორ ჰყვაოდა, თავი ედემის ბაღში გეგონებოდათ.

— ძალიან ცუდია, როცა კაცი ავადმყოფობს.

— ცუდია, ძალიან ცუდი, — დაუდასტურა დიასახლისმა, — ამ ასაკში კაცი ჯარასავით უნდა ტრიალებდე.

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ორმოცი წლისა ვარ და საპენსიოდ გამიხდა საქმე.

„ნუთუ მეტის არაა? — გაიფიქრა გენადიმ, — სამოცზე ნაკლებს არაფრით არ მივცემდი. ალბათ მართლა მძიმე ავადმყოფია, სახეც რა მოტეხილი აქვს, თვალები ამოღამებული... დედაჩემი ორმოცდაორისაა და აბა რა შედარებაა.“

გენადის დიასახლისი მოეწონა, ჩემი გეგმებისათვის ნამდვილად ზედგამოჭრილია, ხმაც სასიამოვნო და წყნარი აქვსო.

„ხშირად გამიგონია, ღმერთმა დაგიფაროს მყვირალა და ქაქანა ქალებისაგანო, მე მგონი ბედმა გამიღიმა.“

— თუ ნებას მომცემთ, დღესვე გადმოვალ.

— კი, ბატონო, გადმობრძანდით.

„აქ ნამდვილად კარგად მოვეწყობი“, — ფიქრობდა გენადი, როცა ბარგის გადმოსატანად მიდიოდა. არც შემცდარა. თავს შესანშნავად გრძნობდა. დიასახლისი თავისი მზრუნველობით თავს როდი აბეზრებდა. თავაზიანობაც არ აკლდა. შეიძლება კაცს შორიდან სჩვენებოდა, რომ მის თავაზიანობას რაღაც სიცივეც ახლდა თან. გენადის ეს სულაც არ აწუხებდა. გულჩახვეულ და თავისი ასაკისათვის შეუფერებლად მკაცრ ლეიტენანტს უფრო თბილი და მეგობრული ურთიერთობა გულშიაც არ გაუვლია. რაც შეეხება დიასახლისის ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს (როგორც ხედავთ, ახდა დედის წინასწარმეტყველება), ის თითქოს ახალ მდგმურს აინუნშიაც არ აგდებდა. ვერ იტყოდით, რომ ვარია გენადის გაურბოდა, ან განზრახ ეთამაშებოდა კუკუმალობიან. პირიქით, ხალისიანი გოგონა ხანდახან პირველი გამოელაპარაკებოდა ხოლმე გენადის. ახალგაზრდა ოფიცრის გაპრანჭული მისალმებას ყოველთვის თავაზიანი ღიმილით პასუხობდა. ეს ღიმილი მარტო გენადის როდი ეკუთვნოდა. ასეთი მომხიბვლელი, სუფთა ღიმილი ახალგაზრდობას სჩვევია. ისინი ამ ღიმილოს აფრქვევენ ყველგან და ყველასთან.

და მაინც, ვიმეორებ, ეს ახალგაზრდა კაცი იმ დროს არ არსებობდა ქალიშვილისათვის, იმიტომ რომ ვარიას ცხოვრებასთან გენადი გრომრეწ ჯერ საერთო არა ჰქონდა რა.

გენადის მაინცადამაინც არ სიამოვნებდა ქალიშვილის გულცივობა.

„ისე მექცევა, თითქოს უსულო საგანი ვიყო“.

ცოტა არ იყოს თავმოყვარეობა შეელახა. ერთი ამას დამიხედეთ, როგორ შეიძლება გენადი არ შეამჩნიო? გულს ცოტათი ისიც უმშვიდებდა, რომ გოგონას თვითონაც არაფრად აგდებდა. ვარია რახან „ის“ არ იყო, არც ღირდა იმაზე ფიქრი. „ის“ არც შეიძლება ასეთი ჩვეულებრივი გოგონა ყოფილიყო.

ისე, კაცმა რომ სთქვას, გენადის ძალიან ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორი იქნებოდა ქალი, რომელსაც თავის დროზე მეუღლეს უწოდებდა. დიახ, — თავის დროზე. აბა ახლა რად უნდა აიტაკივოს აუტაკივარი თავი? დადგება დრო და გენადი ყველაფერს მოაგვარებს, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გაითვალისწინებს.

ახლა ერთი რამ სასვენით ნათელია— სრულებით არ აინტერესებს ეს ჭორფლიანი, ჩითისკაბიანი გოგო, არც ავად და არც კარგად.

„ისე იყოს, როგორც მოეხასიათება, მე რაში მესაქმება.

3

ერთხელ ვარია კრეპდეშინის თეთრ კაბაში გამოწყობილი გამოეცხადა.

„ეს რაღა მასკარადია? — დაეინვით გაიფიქრა გენადიმ, — ჩვენს სახლს საღამოს კაბებიღა აკლდა.“

გენადიმ ქალიშვილს თვალი შეავლო და სახტად დარჩა. აქამდე როგორ ვერ შეამჩნია მისი წითელი, ფუნჩრული ტუჩები და ნაზი ღაწვები. ჭორფლიც რომ აღარ აჭყივა! გულით რომ გინდოდეს, წამლადაც ვერ იპოვი. გუშინ არ იყო, სახე რომ გადაჭორფლილი ჰქონდა? საოცრება თუ გინდათ ეს არის.

გუშინ ვარიას ყურადღებასაც არ მიაქცევდა კაცი, დღეს კი მზეთუნახავად მოეცლინა.

„არა, მზეთუნახავისა რა მოგახსენო, მზეთუნახაობამდე ბევრი აკლია. ისე კი ნამდვილად კარგი და მიმზიდველი გოგონაა.“

თავის ფიქრებს ქალიშვილს როდი გაანდობს. ეგდა აკლია. თავში აუვარდება.

— ასე რას გამოწყობილხართ, დღეს განა დღესასწაულია? — განგებ გულგრილად ჰკითხა გენადიმ.

ვარიამ მხრები აიჩეჩა.

— განა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— კარგი ახლა, ნუ ვიჩხუბებთ, — უბრალოდ და გულწრფელად შესთავაზა გენადიმ.

— კარგი, ნუ ვიჩხუბებთ, — დაეთანხმა ვარია, — დღეს არც მე მინდა ვიჩხუბო და ვინმე გავანაწყენო.

— მაინც დღეს რა დღეა ასეთი? განსაკუთრებულია?

— დიახ, განსაკუთრებულია, დღეს სკოლაში გამოსაშვები საღამო გვაქვს. წამოხვალთ? მე გპატიჟებთ.

ეჰ, გენადის როგორ უნდოდა ეთქვა— წავიდეთ, სიამოვნებით წამოვალო. მაგრამ...

— სამწუხაროდ, დღეს არა მცალია.

— სამწუხაროდ, ხვალ გამოსაშვები საღამო აღარ იქნება, — გამოაჯავრა ვარიამ.

— ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ პოლკოვნიკს შევპირდი და ხომ ვერ დავაღალატებ, — უგუნებოდ წაიბურტყუნა გენადიმ. მას საერთოდ არ უყვარდა და არც ეხერხებოდა ტყუილის თქმა. ამ საღამოს გენადის არაფერი საქმე არა ჰქონდა.

ვარიას გაეცინა.

— რა გაცინებთ? — ეწყინა გენადის.

— ჰო, თქვენც მართალი ხართ. სასაცილო კი არა, უფრო სატირალია.

— სატირალსაც ვერაფერს ვხედავ.

— მე კი ვხედავ. ვიცი, კეთილი და რბილი ბუნების ჭაბუკი ბრძანდებით. ისე კი იქცევით, თითქოს რკინის ხასიათის კაცი იყოთ. პირველად გულუბრყვილოდ მეგონა, ალბათ იმიტომაა ასეთი მიუკარებელი, ძველი მეომარივით ჯავშანშია ჩასმული-მეთქი. მერე დაგაკვირდით და მივხვდი, ჯავშანში კი არა, კორსეტში ხართ ჩაჭედილი. ჩვენ სადღაც ვგვიდა კიდეც სახლში ბებიაჩემის ნაქონი კორსეტი.

— აბა, აბა, ცოტა მოუკელით! თქვენს ბიჭებუტებს კი არ ელაპარაკებით.

— ჩვენი ბიჭები რა შუაში არიან. ისინი ყველანი უბრალოები და კარგები არიან. თქვენისთანა...—ის ერთი წამით შეჩერდა და სათქმელი მშვიდობიანად დაამთავრა: — დღეს მაინც არ ვიჩხუბებ. კარგად იყავით.

...შტაბის მორიგემ გრომოვს დაუფარავი სიბრალულით შეავლო თვალი:

„ასეთი ახალგაზრდა კაცია და ქაღალდებს ვერ მოსწყვეტ, ისეა უკვე შიგ თავჩარგული“.

— ასეთი სასწრაფოა ეს საქმე? — შეეკითხა მორიგე.

გრომოვმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ახლა ქაღალდების დანახვაზე მასაც ეგუბებოდა სული. მერე საჩქაროც რომ არაფერი იყო! მაგრამ გენადის არ უნდოდა ცრუპენტელა ყოფილიყო. ვარიას ხომ უთხრა, საქმეები მაქვს, არ მცალიაო. ჰოდა, აკეთებს კიდეც საქმეს! აბა თავმომწონე ქალიშვილს იმას ხომ არ ეტყოდა, გამოსაშვებ საღამოზე შენთან წამოსვლა არ მინდაო.

ნეტავ მართლა არ უნდოდა?

„დიახ, არ მინდოდა.“

თერთმეტი საათი რომ დაიწყო, მორიგემ მაშინ ძლივს გამოისტუმრა შტაბიდან ბეჯითი ლეიტენანტი.

4

გამოსაშვებ საღამოზე სწორედ ახლა იწყება დიდი ზეიმი. სკოლის ყველა ფანჯარა ფართოდ გაფიჩად. სასულე ორკესტრს გრიალი გააქვს, ირგვლივ ისმის წკრიალა, ახალგაზრდული ხმები, მხიარული, გადამდები სიცილი. ერთი საკლასო ოთახის ფანჯრის რაფაზე ორი თმაქოჩორა ბიჭი დაყრდნობი-

ლა და გენადისათვის უცნობ მხიარულ სიმღერას მღერიან. ალბათ თვითონვე თუ შეთხზეს სადღესასწაულოდ.

თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები ვალსს ცეკვავენ. გენადიმ ამოიოხრა. ახალგაზრდას ყოველთვის იზიდავს ასეთი საღამოები, თუნდაც იგი ლეიტენანტ გრომოვივით სერიოზული და მკაცრი იყოს.

ერთბაშად თვალწინ წარმოუდგა თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები და მათ შორის ვარია.

„ეჰ, რა კარგი იქნება ვარიასთანა მშვენიერ არსებასთან ვალსის ცეკვა. მაგრამ თუ სურვილები არ შეზღუდე, ისე ნებისყოფას ვერ გამოიწვრთობ. ამოოხვრა კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ლაგამის მიშვება არაფრით არ შეიძლება. კაცს რა არ გაგიტაცებს, მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა ასწონ-დასწონონ, შეიძლება თუ არა, შეგვეფერება თუ არა. ხომ გაგიგონია, ასჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო. აბა რა დიდი ცოდვაა, რომ ვარიასთან ცეკვა მომინდეს. მაგრამ ერთიც ენახოთ და ქალიშვილს გულში ჩავუვარდე, მე ხომ ჯერ ცოლის თხოვას არ ვაპირებ?“

ისეთი გასართობი რომანები კი ამხანაგებისაგან რომ გაუგონია, გენადის ზიზღს ჰგრძნობ.

„ამაზე საძაგლობა რა უნდა იყოს. კაცი, რომელსაც ცხოვრებაში მაღალი მიზნები დაგისახავს, განა ასეთ სისულელეებზე დახარდავდები?“

გენადის შესწევს თავის დაჭერის უნარი. იგი ყველასთან და ყოველთვის ნებისყოფიანი კაცი იქნება. დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზიდან ადვილად არ გადაუხვევს. ამიტომაც იყო, რომ ასე ადვილად გამოტრიალდა, მოშორდა მხიარულებას, მუსიკას, თეთრკაბიან გოგონებს. გაეცალა ვარიასაც... და მოულოდნელად, როცა ეგონა, ყველაფერი გადამავიწყდაო, ისევ ვარიას გადაეყარა. ამაზე იტყვიან, ბედიაო. შეიძლება ასეც იყო.

სახლში მისვლამდე გენადის უკაცრიელი ადგილი უნდა გაევლო. რუსეთში ასეთი ადგილები ამწვანებულია. აქაურობა კი წვიმისაგან გაშალაშინებული, ლიპი, უცნაურფორმებიანი ლოდებით დაფარული. ღამით, მთვარის შუქზე, ეს ლოდები ციდან ჩამოცვენილი, სულ სხვა სამყაროს ნატეხებად მოეჩვენებოდა კაცს. მაგრამ ამას რომ კაცი წარმოიდგენს, იგი ცოტას მაინც უნდა წაიპოეტებდეს, ცოტა ფანტაზიორიც უნდა იყოს. ამ თვისებებზე კი გენადი ცოტა უკაცრავად გახლდათ. გრომოვმა იცოდა, რომ ეს ლოდები გამყინვარების პერიოდიდან ეყარა აქ და გული მოსდიოდა.

„ამ წინაისტორიულ ლოდებს რა უნდა ქალაქის ცენტრში. კაცი კისერს მოიტეხს“.

ის კი არა, გენადის ადგილობრივ გაზეთშიც უნდოდა ამაზე რამე დაეწერა. რედაქციაში უთხრეს, მალე ამ ადგილზე სახლების მშენებლობა დაიწყებაო. და აი, ამ ლოდებს შორის გენადიმ უეცრად ვარია დაინახა. რატომ დაასკვნა სანე დარწმუნებით, რომ ეს ქალიშვილი ნამდვილად ვარია იყო? გულმა ხომ არ უგრძნო? ალბათ მკაცრ, პოეზიისადმი გულგრილად განწყობილ ლეიტენანტ გრომოვს უფრო ასეთი რამის თქმა შეეფერებოდა: „რა სისულელეა, გული რა შუაშიაო.“ მაგრამ მსგავსიც კი არაფერი უთქვამს. ანდა ამის სათქმელად ენა როგორ მოუბრუნდებოდა, როცა თეთრკაბიანი ქალიშვილი ფრენისაგან დაღლილ და ქვაზე დასასვენებლად ჩამომჯდარ ღრუბლის ქულად მოეჩვენა.

გენადიმ სწორედ ასე უთხრა ვარიას.

— გამარჯობა, ღრუბლის ქულავ! — გენადი მიხვდა, რომ ქალიშვილი ტირიოდა, მაინც მხიარულად დაუმატა, — თურმე წვიმის ღრუბელი ყოფილხართ.

ქალიშვილმა ამოისლუკუნა და გვერდზე შეტრიალდა. გენადის უცქი თავისთავზეც მოუვიდა გული და ვარიაზეც. თავის თავზე იმიტომ გაბრაზდა, ამ სულელურ სიტყვებს რა მალაპარაკებდა, თანაც ასეთ ყალბ კილოზეო. ვარიაზე კი... თუმცა თვითონაც ვერ მიხვდა, ვარიაზე რატომ ჯავრობდა. მისთვის ხომ სულ ერთი იყო ვარიას

ჩითის კაბაში გამოწყობილს ნახავდა თუ აბრეშუმის კაბაში, მომცინარს ნახავდა თუ მომტირალს!

გენადის რომ ქალიშვილი მოეწონება, ცაში ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდეს. ამას კი დაუღია პირი და ბღავის... არა, მოიცა, რაკი მღელვარე, საზეიმო დღეს ტირის, მის თავს რაღაც ამბავია. ალბათ ვინმემ აწყენინა. ეს უკვე სხვა საქმეა. გენადი გრომოვი ოფიცერია და აბა ოფიცერი რისი ოფიცერია, თუ რაინდი არ იქნება?

— გაწყენინათ ვინმემ? ვინ, მითხარით, ყველას თავებს წავაგლეჯ!

დაუჯერეთ ლეიტენანტ გრომოვს. ერთი ხელში მოხვედროდა ის თავხედი და მაშინ განახეშდათ მის სერის. ისეთ დღეს დააყრიდა, კუდით ქვას ასროლინებდა.

— არა, არავის არ უწყენინებია, მე თვითონ... სჯობია წახვიდეთ, — ამოისლუკუნა ვარიამ და უფრო მწარედ ატირდა.

გენადი დაიბნა. აღარ იცოდა, რა ექნა. ამაზე ცუდი არაფერია — გინდა ადამიანს დაეხმარო და არ იცი როგორ.

გენადის ყოველთვის ეგონა, ადამიანს მხოლოდ იმისი გაკეთება ძალუძს, რაც ასწავლეს ან რაც თვითონ ისწავლაო. მაგრამ განა სასწავლებლიდან ტყვიის სათამაშო ოფიცრად გამოგიშვეს? განა იქ ადამიანობას არ გასწავლიდნენ? გასწავლიდნენ, რა თქმა უნდა გასწავლიდნენ. ადამიანებიც ამას გასწავლიდნენ, მთელი ჩვენი ცხოვრება ამას გასწავლიდა. მხოლოდ შენ ძალიან ცუდად იცნობ საკუთარ თავს, ჩემო გენადი.

შენ აზრადაც კი არ გაგივლია, რომ შეიძლება სათუთი და ალერსიანი იყო, რომ სიბრალული და თანაგრძნობაც ისევე გახასიათებდეს, როგორც სიმკაცრე და ქედმოუხრელობა. ატირებული ქალიშვილი არც ერთ წესდებაში, არცერთ სასწავლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული. ლეიტენანტმა გრომოვმა მაინც დაძლია დაბნეულობისა და უხერხულობის გრძნობა და როგორც იქნა მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა. იგი ქალიშვილს გვერდით მიუჯდა და ხელზე ფრთხილად მიეალერსა. სინამდვილეში ეს სინაზის შეუცნობელი გამოვლინება იყო, რამაც მთელი მისი არსება შეარყია. ქალიშვილის ხელი ცივი ეწვნა და გასათბობად ლოყაზე მიიდო. ვარიას ხელი არ წაერთმეცია. არც ლეიტენანტის ასეთი უეცარი ცვლილება გაჰკვირვებია, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ მან იცოდა, რა კეთილი და სათნო გული ჰქონდა გენადი გრომოვს. მას შეეძლება სიცოცხლეც კი ანდო. ამიტომაც გაანდო ლეიტენანტს თავისი დარდი:

— მე საზიზღარი, ცუდი ადამიანი ვარ. ნუ მამშვიდებთ, ამდენად არა ვღირვარ, — მან გენადის მოულოდნელად გამოგლიჯა ხელი და ტირილი შეწყვიტა,— ჩემს სიცოცხლეში ეგოისტ ადამიანზე უფრო არაფერი მეჯავრებოდა და მგონი, მე ყველაზე უარესი ვყოფილვარ. დედა მთელი დღე ცუდად იყო. მშვენივრად ვხედავდი და საღამოზე მაინც გავიქეცი. ცეკვა არ დამიკლია და გართობა, საზიზღარი არა ვარ? ქარაფშუტა ვარ და მეტი არაფერი. ისე ვმხიარულობდი... ირგვლივ ყველა ახალგაზრდა იყო, ჯანსაღი და ხალისით სავსე... და უცებ დედა დავინახე, გესმით, კი არ მომაგონდა, დავინახე მისი დიდრონნი თვალები, ჩათეთქვილი სახე. ისე შემეშინდა, ვერც კი წარმოიდგენთ. თქვენ არც კი იცით, სულ ერთი წლის წინ დედა ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იყო. ამ დაწყეულლმა ავადმყოფობამ...

— დედათქვენი მალე მორჩება, ტყუილად ჯავრობთ, — დაამშვიდა გენადიმ.

მას ორთავე გულწრფელად ეცოდებოდა. ასე ახლოს. გენადი პირველად შეეჯახა ადამიანურ ნაღველს და მოთხოვნილება გაუჩნდა ამ ადამიანეს დახმარებოდა, მხარში ამოსდგომოდა, მაგრამ მგონი მას დახმარებას არავინ სთხოვდა. გენადიმ ისევ მოჰკიდა ხელზე ხელი. მაგრამ კი არ მოფერებია, მაგრად, ვაჟკაცურად მოუჭირა მარჯვენა.

— ნუ გიშინიათ, ვარია, ყველაფერი კარგად იქნება, ყოველთვის გქონდეთ

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ჩემი მეგობრული დახმარების იმედი. მე ყოველთვის...

— დიახ, დიახ, გმადლობთ, — შეაწყვეტინა ვარიან, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, ლეიტენანტო, ეჭვიც არ მეპარება, რომ მძიმე წუთებში თამამად შემიძლია თქვენი იმედი ვიქონიო.“

ღილით კი... ღილით ისე შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს და აქ არაფერიაო. ნუთუ ქალიშვილი დარღობდა, გენადის რომ მიენდო და გული გადაუშალა? ან იქნება გენადი ნანობდა, გულკეთილობა რომ გამოიჩინა და ქალიშვილს დახმარება აღუთქვა? არა, აქ სადღაც სხვაგან იყო ძაღლის თავი დამარხული. ისე ჩანდა, თითქოს ახალგაზრდები რაღაცას შეეშინდნენ. ორთავემ არჩია წინანდელი დამოკიდებულება შეენარჩუნებინათ. თავს კვლავ ძველებურად იჭერდნენ, თითქოს და ერთმანეთი სრულებით არ აინტერესებდათ. გენადი ამას უკეთ ახერხებდა. ქალიშვილისა კი რა მოგახსენოთ... ერთხელ მან გენადი ჭიშკართან გააჩერა და თვალებგაალმასებულმა უთხრა:

— თქვენ რაღაც კარგად არ მიყურებთ, თითქოს ყოველ წუთს მახსენებთ, რომ ერთხელ ატირებული მნახეთ და რომ... მე ამას არ მოვითმენ, გესმით!

გენადი გაიცინცხლა.

— თქვენ კი... თუ შეიძლება ნუ მექაქანებით. მართალი თუ ვინდათ იცოდეთ, მე არც არაფერი მინახავს, არც არაფერი მახსოვს და არც არაფერი ვიცი.

და მართლაც, გენადისათვის რა დიდი საქმე იყო იმ საღამოს დავიწყება, როცა ქალიშვილის გაყინული თითების გათბობას საკუთარი გაგარვარებული ლოყით ლამობდა. არ არის საჭირო ამაზე ფიქრი ხომ? არც იფიქრებს. მორჩა და გათავდა. აი, რას ნიშნავს მტკიცე ნებისყოფა.

გენადის დღითიდღე მოსწონდა იგანტოგების სახლში ცხოვრება. მას მიაჩნდა, რომ ოფიცრის ცხოვრება საათის მექანიზმივით უნდა იყოს აწყობილი. სხვანაირად ვერაფერს მოასწრებ, ისე ხანმოკლეა ეს წუთისოფელი. გენადის არასოდეს არ უმუშავნია ასე ნაყოფიერადაი, თურმე რას ნიშნავს კარგი პირობები. ხარ შენთვის წყნარად და მშვიდად. კაციშვილი არ გაწუხებს.

ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დაინგრა. დიასახლისმა სთხოვა, ოთახი დამიცალეო.

— გენადი პავლოვიჩ, უნდა მოგელაპარაკოთ, — უთხრა მან.

— თუ შეიძლება ცოტა გვიან, ახლა საუზმეზე მაგვიანდება, მერე შეიძლება სასადილო დაკეტონ.

— დაბრძანდით, მე გასაუზმებთ.

გენადი ასეთ მიპატიჟებაზე ჩვეულებრივ უარს ამბობდა ხოლმე. ხალხი მცირე პენსიით ცხოვრობს, რა ჩემი სტუმრობა ეშვრვებათო, — ფიქრობდა იგი. მაგრამ დღეს კვირა იყო და სასადილოში წაჩაჩხალება სიკვდილივით ეზარებოდა, დაზოგილ დროსაც ინგლისურს მოანდომებდა.

გენადი მაგიდას მიუჯდა. პრასკოვია კუზმინიშნამ ჩაი დაუსხა.

— მიირთვით კარაქი და ყველი. თუ გნებავთ ერბოკვერცხსაც გაგიკეთებთ.

— გმადლობთ, ღილით ბეერს არა ვეჭამ.

— გენადი პავლოვიჩ, — დაიწყო პრასკოვიამ, — ნუ გეწყინებათ და ალბათ გეხსომებათ პირველად რომ გითხარით, ცოლშვილიან მდგომრეს ვიქნებ-მეთქი. ახლა გამოჩნდა ასეთი ცოლ-ქმარი. უკვე ხანშიშესულები არიან, კაცი ჯერ კიდევ მოშაობს, ოღლი პენსიონერია, სულ შინ იქნება. მე ავადა ვარ, ვინ იცის რა მოხდება.

გენადიმ ჭიქა მისწია.

— ძალიან საწყინია. მე უკვე ისე მივეჩვევ თქვენს სახლს...

— თქვენი საწინააღმდეგო მე პირადად არაფერი მაქვს, — ამოიოხრა პრასკოვიამ.

გენადის რაღაც არ მოეწონა მისი ნათქვამი, უფრო სწორად ლაპარაკის კილო არ ეგესმნიკა.

— პრასკოვია კუზმინიშნა, ვიცი, პირდაპირი და სიმართლისმოყვარული ადამიანი ბრძანდებით. ვხედავ, რომ

საქმე მარტო ოჯახიან მდგმურებში არაა. მაშ რა მოხდა?

— მე ვარია მაფიქრებს. გუშინ ცხვირ-მოუხოცელი გოგო იყო, დღეს კი მოზრდილი ქალიშვილია. ჰოდა, ვიფიქრე, არ არის კარგი სახლში უცხო, ახალგაზრდა კაცი რომ ცხოვრობს-მეთქი.

— კი მაგრამ, ქალბატონო, მათქმევინეთ... თქვენ შეგიძლიათ ეჭვი არ შეგეპაროთ ჩემს წესიერებაში, ქალიშვილიც თავდაჭერილი გყავთ.

— მე ეჭვიც არ მეპარება, — დიასახლისს ავადმყოფობისაგან ფერდაკარგულ, გაცრეცილ ტუჩებზე მწარე ღიმილმა გადაუბრბინა, — რა უფლება მაქვს თქვენს წესიერებაში ეჭვი შევიტანო, ან ჩემი გოგონას თავდაჭერილობა არ დავიჯერო? მაინც სჯობია, რომ წახვიდეთ. გულახდილად გეტყვით, ჩემო შვილო, თქვენ არაფერ შუაში ხართ. ჩემს ქალიშვილს კი შევატყვე, რომ ცოტა ვერაა ხასიათზე. ამ ბოლო დროს უმძიმს თქვენს მეზობლად ცხოვრება. ასე რომ, სჯობია დაგვტოვოთ, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გაგვიცხავთ.

— გასაკიცხი რა გვქირთ, დედა ხართ...

— მარტო დედა არა ვარ. მარტოხელა დედა ვარ. ასე ამბობენ ახლა. თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ, რომ ვარიაც კუზმინინშნაა. ეს მამაჩემის სახელია. ვარიას მამა არა ჰყავს და არცა ჰყოლია. ჩემი დანაშაულია, გამოუსწორებელი დანაშაული. არ მინდა ვარიაც ჩემს ბედში ჩაგარდეს.

გენადი ამ აღსარებამ შეარყია. ღიმი მიხვდა, რომ პრასკოვია კუზმინინშნა განწირულია, სასიცოცხლო პირი აღარ უჩანს და ასე გულახდილად იმიტომ ილაპარაკა. ახლა პრასკოვიასათვის სულ ერთი იყო, ეს ახალგაზრდა კაცი მის წარსულზე რას იფიქრებდა.

გენადი სხვა ბინაში გადავიდა. ერთ ხანს შფოთავდა, რაღაც აუნაზღაურებელ დანაკლისსა გრძნობდა. ეს ერთ ხანს. მერე კი... ვარია იშვიათად ახსენდებოდა, ხოლო როცა გაახსენდებოდა, რატომღაც ბუნდოვნად წარმოიდგენდა ხოლმე. უფრო ხშირად ისე, იმ თბილ, უვარსკვლავო ღამეში ქვებს შორის რომ მოჰკრა თვალი, ღრუბლის ქულასავით ფუმფუღლას, თეთრსა და მსუბუქს.

ღრუბელმა თავზე გადაგიფრინა, შენ-თვალი გააყოლე, რატომღაც ამოიოხრე და მერე ყველაფერი დავიწყეს. იყო თეთრად გაპენტული ღრუბელი და აღარ არის. ღრუ კაცმა ამაზე დარდით იმტვრიოს თავი?

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არაფერი დავიწყებია. ნაღვერდალი მხოლოდ დროებით ყოფილა გულის სიღრმეში მიჩქმალული.

— ამხანაგო გრომოვ, უბედურება დაგვატყდა თავს. გუშინ დავასაფლავეთ პრასკოვია იგნატოვა, — უთხრა კაპიტანმა ბლიუშკინმა.

გენადი ის-ის იყო მეცადინეობიდან დაბრუნდა. ყაზარმის დერეფანში შეეჩეხნენ ერთმანეთს. ამ ორმამტრიალში გენადი ვერც კი მიხვდა, კაპიტანი რას ეუბნებოდა.

— გოგონა მეცოდება, — გააგრძელა კაპიტანმა, — დარდითაა გულმოკლული. სახლში შესვლა ეშინია. თავი მეზობლებთან შეაფარა. თითქოს ჯინნენი ჩემი ცოლიც აქ არ არის. დაეშინთ გამოვიძახე, როგორც კი ჩამოვა, ვარიას ჩვენთან გადავიყვანთ.

ვარია?!

გენადიმ დაინახა მისი სევდიანი სახე, ცრემლით სავსე თვალები, ტკივილისაგან გაფითრებული ტუჩები. არასოდეს, არასოდეს არ ამოუღია გულიდან ვარია. განა შეეძლო მისი დავიწყება? ვარიას უჭირს. საბრალო ჩემი გოგონა! უბედურებაში როგორ მიგატოვეს! მოვდივარ, მოვდივარ, ჩემო სიცოცხლევ...

როგორც ჩანდა, გენადი დროზე მოვიდა, როგორც ჩანდა, მას ელოდნენ. ვარიამ ვაჟისკენ გაიწია და თავი მკერდზე მიაყრდნო.

5

და აი, ლეიტენანტი გრომოვი და მისი საცოლე მშობლიურ სახლში არიან.

— დედა, ვარია ჩამოვიყვანე. იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ, სულ მარტო დარჩა. სულ მარტო,— სთქვა გენადიმ, — გესმის, დედა, სულ მარტო! სანამ მგლოვიარედ იქნება, აქ იცხოვროს, მერე წავიყვან და დავკორწინდებით. დედა, მე მინდა ჩემი საცოლე შენც შეიყვარო.

ანტონინა მირონოვნას პირველად შიშისაგან კინაღამ გული გაუსკდა. მერე ტონს მოეგო და დამშვიდდა.

„საცოლე — ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ არის იმედის ნაპერწკალი. ფრთხილად თუ მივუდგები, საქმე შეიძლება სულ სხვანაირად შეტრიალდეს“.

ანტონინა მირონოვნა ქალიშვილს კარგად შეხვდა. მასთან ერთად იტირა კიდეც. გული მოიოხა. ვარიას ნამდვილად გულწრფელად თანაუგრძობდა. გარეგნულადაც მოსწონდა შვილის არჩეული.

„შესახედავად მშვენიერია, ხასიათიც კარგი აქვს. ეტყობა, თავდაჭერილი და დამჯერე გოგოა. არა, ცოდვას ვერ ვიტყვი, ნამდვილად კარგი გოგოა. მაგრამ, ერთი მითხარით, გენაცვალეთ, რა გენადის შესაფერისია. ოქროსი რომ იყოს, ბრილიანტისაც რომ იყოს, საჩვენო მაინც არ იქნება. გენადის სულ სხვანირი ცოლი სჭირდება.“

გენადი კმაყოფილი იყო.

„ყველაფერი კარგად მოეწყო, დედა-ჩემი ოქრო ქალია. უხმოდ მოიწონა ჩემი არჩეული. ტყუილად მეშინოდა, ვაითუ არ მოეწონოს-მეთქი. შიშმა [illegible] დამშვიდდა, იცის, რომ მისი ჭკვიანი შვილი არაფერში არ შეცდება. მამას კი (მამამისი ჩვეულებისამებრ შორეულ მივლინებაში იმყოფებოდა) ვარია აუცილებლად მოეწონება. ვარია ისეთი სუფთა და ნათელი ბუნებისაა, მთის ხელუხლებელი ყვავილივითაა პირდაპირ. სულ მაღალ, მაღალ მთებში ამოსული ყვავილია, მიუვალ მთებში, სადაც მხოლოდ ქარი და ღრუბლები დანავარდობს, სადაც მხოლოდ ვარსკვლავების სამეუფოა...“

როცა გენადი ამას ფიქრობდა, ისეთი გრძნობა შემოაწვებოდა ხოლმე, მზად იყო ვარიას წინაშე მუხლებზე დაცემულიყო და ქალიშვილისათვის ხელები დაეკოცნა. გენადი თავს ძლივს იკავებდა.

„ქალი მგლოვიარედაა, განა ახლა შეიძლება თავი სულელური ალერსით მოაბეზრო?“ და გენადი ვარიას ისე ექცეოდა, თითქოს სატრფო კი არა, მეგობარი ყოფილიყოს. რასაკვირველია, ხანდახან მფარველურ კილოსაც გამოურევდა ხოლმე. მაგრამ რა ვუყოთ, გენადის აზრით, ამაში არაფერი არ იყო ცუდი. პირიქით, თვითონ ცხოვრებამ დააკისრა ვარიას მფარველობა. გენადი ძლიერია, ვარია კი — სუსტი. ასეა და ამას აღარაფერი ეშველება.

თარგმნა დალი კოკაიამ

გაგრძელება იქნება

იუსტინას მაჩიცინკიავიჩუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური პოემა

სიტყვები ჩვენი სხეულებია.
უ. უიტმენი

თუ სიტყვა მართლა სხეულია ადამიანის,
ადამიანის სული ეთქმის მეტი უფლებით,
მე მესმის, როგორ ლაპარაკობ,
და ვიცი, ვინ ხარ.
სიტყვები, როგორც ნივთები და საგნები,
ისე
ცვდებიან ხოლმე, ჩლუნგდებიან, იფიტებიან...

აი ამიტომ,
ვიდრე სიტყვას წარმოთქვამ, იგი
უნდა აღესო,
მოაშორო მტვერი მიყრილი,
როგორც სურათებს.
მაშ, მოდით,მუდამ ვილაპარაკოთ
მხოლოდ და მხოლოდ დიდი სიტყვებით,
მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სიტყვებით!

1. გავშვობა

დედა

მე ალბათ უკვე აღარც კი მახსოვს,
თუ როგორ ითქმის ეს წმინდა სიტყვა,
რადგან ჩვიდმეტი წელიწადია,
ვერავის ვუხმობ ხმამაღლა: — დედა!

ჩვიდმეტი წელი!
დღე გავიდოდა?
დღე გავიდოდა განა იმგვარად,
არ წარმომეთქვა ასჯერ და მეტად:
— დედა, მე მშია!

— დედა, მწყურია!
— დედა, მე მცივა!
— დედა, მე მტკივა
და მეშინია!

არა, მე როდი დამიწყებია,
თუ როგორ ითქმის ეს წმინდა სიტყვა, —
უკვდავი, როგორც ადამიანი,
და უძველესი, როგორც სიცოცხლე, —
რადგან არ დამრჩა აწ არაფერი
მოგონების და ამ სიტყვის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ხელებმა, დაქანცულებმა,
მომცეს ყოველი, რისი მიღებაც
მე მოვასწარი:
ზნე, ხასიათი,
თვალები მისი და რწმენა ზეცის.

ვერ ჰპოვა დედამ ტაძარში ღმერთი,
თუმც ეძიებდა მას ყოველკერძა,
და ქოხში, როგორც იმედის თვალი,
როდი გვეკიდა ხატება ღვთისა.

სხვა ღმერთს ხედავდა დედა კეთილი,
თავისი ლოცვით გაბრუებული,
სურდა, ყველასთვის ეწვენებინა
და, უწინარეს ყოველისა, ძისთვის.

და უცებ: ვაი, მიკვდება დედა!
მიშველე, ღმერთო, ყოველადძლიერო,
ყოველადძლიერო, მას ააშორე
შავი სიკვდილის მსახვრალი ხელი!

თუ ხარ მეუფე მთათა მაღალთა,
ვარსკვლავთა, ზღვათა, ოკეანეთა, —
ჰქმენ ისე, მოკვდეს თვით სიძულვილი
და სიყვარული ცოცხლობდეს ქვეყნად.

თუ ხარ მეუფე მზეცთა, ფრთოსანთა,
სიკეთისა და ბოროტებისა, —
ჰქმენ ისე, მოკვდეს უსამართლობა
და სამართალი ცოცხლობდეს ირგვლივ.

თუ ხარ მეუფე ცის, ჯოჯოხეთის,
ადამიანის და დედამიწის, —
ჰქმენ ისე, მოკვდეს თვითონ სიკვდილი
და დღეგრძელობდეს სიცოცხლე დედი!

და ვლოცულობდი ისე მხურვალედ,
და ვლოცულობდი ისე გულწრფელად,
რომ ყოველ მზაკვარს გულს მოულბობდა
ეს ჩემი ლოცვა!

დედა კი მაინც გარდაიცვალა.

გამოვეძეცი ჩემს ციწრო სენაკს,
სადაც ყოველი —
ბაერი, შუქი,
საგანი ყველა —
იყო სიკვდილი.
და გამოიცა, როცა ვიხილე:
მზე ჩადიოდა ფუნინდებურად,
შეუშფოთველად და საზეიმოდ.
დამშრიალებდნენ თავზე ღრუბლები,
ქვეულ-ხვეული გაპქონდათ ჩიტებს,
მღეროდა მწყემსი — მეზობლის ბიჭი.

ნუთუ ამქვეყნად არა მოხდა რა?

მაგრამ ხომ თვითონ ენახე სიკვდილი,
ხომ სავსე არის ჩემი სენაკი
სიკვდილის ცივი საკვირველებით!
სიკვდილი, როგორც უზარმაზარი
შავი ფრინველი, მოვლის გარშემო.
მზეო, იჩქარე და შეეფარე
იმ ღრეჩოებს,
თორემ შავი ფრთა შავი სიკვდილის
შეეეხება ოდა... დაიღუპები!
ჩიტებო, გასწით და დაიმალეთ
თქვენს ბუდეებში ან სადმე სხვენზე, —
წამოგიქრილები წამით სიკვდილი,
ყველანი ერთად დაიხოცებით!
შენი სიმღერაც დამალე, მწყემსო, —
თორემ სიკვდილი სერონობს ქვეყნად.

მაგრამ ნელ-ნელა ჩადიოდა მზე.
მაგრამ ფრთოსნები მღეროდნენ ისევ.
მაგრამ მღეროდა მეზობლის ბიჭი.
ნუთუ ამქვეყნად არა მოხდა რა?!

და, აი მაშინ გამახსენდა მე
ღმერთი მაღალი:

თუ სიყვარული შენ გააჩინე,
მაშ, სიძულვილი რადღა გინდოდა?
თუკი სიმართლე შენ გააჩინე,
რად მოიგონე სიცრუე, ღმერთო!
თუ შემოქმედი ხარ სიცოცხლისა,
რად არ შეგახმა ხელები მაშინ,
როცა სიკვდილი გამოიგონე?
თუკი შენ მართლა არსებობ სადმე,
ყოველადძლიერი, ყოვლისმპყრობელი, —
მე გთხოვ სასწაულს და აღმისრულე:
სიკვდილის ცივი სარეცელიდან
წამოაყენე დედა ამაღამ!
და თუ მოხდება ეს სასწაული,
აწ და მარადის, უკუნისამდე
ვიძენები შენი მონა-მორჩილი,
მადიდებელი სახელის შენის!

დავბრუნდი შინ და კვლავ ჩემთან ერთად
სახლში დაბრუნდნენ:
მხურვალე რწმენა, დიდი იმედი.
იქ კი მეზობლის სათნო ქალები
უკანასკნელი გზისათვის რთავდნენ
საწყალ დედაჩემს.
მიეჩერებოდი სახეს დედისას —
ისე მშობლიურს და ისე უცხოს,
გადაფითრებულს და გაშამებულს.

და იმ სასწაულს ველოდებოდი.

მიეჩერებოდი სხეულს დედისას:
ნაძვის ფიცარზე იწვა კეთილი
და მკერდზე წყნარად ეწყო ხელები.
კვლავ სასწაულის იმედი მქონდა.
ველოდი თრთოლვით.
დაღამდა კიდევ
და მეზობლებიც წავიდნენ უკვე.
ჩემი დები კი, ნამტირალევნი,
უთუოდ სიზმრებს ხედავდნენ მაშინ.
დედასთან დავრჩით მე და სიკვდილი,
და კიდევ,
კიდევ ორი სანთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადნა და ჩაქრა ერთი მათგანი.
მაინც სასწაულს ველოდებოდი.
თუ არ მოხდება ეს სასწაული,
ვიდრე მეორე არ დაშრეტილა,
მაშინ... ო, მაშინ...
მე შევყურებდი მეორე სანთელს,
ვით უკანასკნელ ელვარე იმედს.
მსოფლა სანთელი ნელა, სულ ნელა
დაფერფლილიყო,
რომ ღმერთს მეტი დრო ჰქონოდა უფრო
ჩემი ვედრების აღსასრულებლად.

უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა
და თითქოს ყველა დამაწყდა ძარღვი.
არა, არ მოხდა ის სასწაული,
მე რომ ველოდი.
და განა დედა,
გარდაიცვალა იმ წუთში ღმერთი!
როცა სარკმლიდან გადავიხედე,
ცას განთიადი აჩაბჩახებედა.

... დედა!
ახლახან გავიგე მხოლოდ
მისი სიკვდილის ნამდვილი აზრი:
თავისი ლოცვით ატაცებული
როდესაც დედა ღმერთსა ხედავდა
და სურდა ყველას ეხილა იგი, —
მე დამანახვა ღმერთი თავისი.
ეს ღმერთი სწორედ დედაჩემს მხოლოდ
და ლოცულობდა მის წინ მუხლმოყრით,
და აშინებდა იგივე ღმერთი.
და თავისივე სიკვდილით დედამ
მყის განმარიდა მონობას ღვთისას.

ო, იქნებ სჯობდა, რომ არ მოხდა ის **სასწაული.**

მ ი წ ა

ახლა მსურს გითხრათ,
რა ძალას გვაძლევს ჩვენ დედამიწა.
ის ხომ სავსეა
ზრდის იდუმალი, მძლავრი უნარით.
ფიქრ შენ დაახარ დედამიწაზე,
ვალდებული ხარ, რომ გაიზარდო,
რადგანაც იგი, ვინც არ იზრდება,
ლპება.
მე ბავშვობაში მსურდა დიდობა,
ძალიან მსურდა.
როცა კი მამა ხვნას დაიწყებდა,
დაუკითხავად ხნულში ვდგებოდი.
სახნისი გვერდით ჩამიქროლებდა
და მომაყრიდა თითქმის მუხლამდე
მიწას თბილსა და ნამიანს ოდნავ.

ამგვარად ვიდექ.
ძლიერ ეგრძნობდი ფეხებს,
ხოლო თითები, როგორც ფესვები,
არ შორდებოდნენ მშობლიურ მიწას.
მეჩვენებოდა: თითქოსდა ხე ვარ
და ღრეჭეულად ჩქარა ვიზრდები.
ცეწურეოებით ღრუბლებსაც ვწვდები
და ფრინველები ჩემს ხშირ ტოტებში
ბუდეებს წნავენ
ო, რა კარგია, როცა იზრდები,
როცა ღიდი და ტოტებგაშლილი
ყველაფერს იცავ წვიმისგან, მზისგან.
მაგრამ თუ მართლა მიწას ხესავით
ჩაეფფესვები და სამოდამოდ
ამ სახნავებში დაერჩები?

მაშინ
ვერ ავალ მთაზე,
რომ ჩასვლას მზისას შეეხედო თრთოლვით,
ცხელ რძესაც არვინ შემომთავაზებს ..

არ მინდა!
არ მსურს, რომ ვიყო დიდი
და მეთვალყურე სხვათა და სხვათა...
სჯობს დარჩე ბავშვად, შენზე უფროსებს
ქკერდზე მიეკრა!
მიწიდან ვიღებ
დაპეტებულ და გაკინულ ფეხებს,
მერე მინდვრისკენ სწრაფად გავრბივარ,
ვიცინი, რადგან ძალმიძს სირბილი,
და ხეებისა არა მშურს უკვე.

შემდეგ კი, შემდეგ, —
ო, სასწაულო! —
მე გავიზარდე საოცრად ჩქარა
და მამაჩემი შეეცალე მალე
ხვნაში, თესვაში, თიბვაში, მკაში.
სოფლად ამბობდნენ:
„ადამიანი
გაჭირვებაში ეაკეცდებაო“...
მე კი მინდოდა მეცვირა:
— ხალხო,
ადამიანი იზრდება მიწით!
ის ხომ სავსეა ზრდის, ამაღლების
საიდუმლო და მძლავრი უნარით.
და ვინც მიწასთან უფრო ახლოა,
იზრდება ჩქარა.
თუ მიწოდება არსებობს ქვეყნად,
ყველაზე წმინდა მიწოდებაა
შრომა, რომელსაც გვასწავლის მიწა.
დედამიწაზე შრომისმოყვარე,
არა, არ არის არსად პლანეტა.
მან ადამიანს ასწავლა შრომა
და ამისათვის მართლაც ღირსია
უზენაესი თაყვანისცემის!

ხომ არ გგონიათ, იოლი იყოს
ამ მზესუმზრისას. ციცქნა თესლიდან
უზარმაზარი ხე რომ გაზარდოს,
ან ერთი მარცვლით

ქეება ბელღების აუცხოს პირი?
პატარობისას გამიგონია:
ცვარ-ნამი მიწის ოფლი არისო.
არა მჯეროდა მაშინ, ახლა კი
ნამდვილად მჯერა.

თუმცა პირველი კაცი არა ვარ,
ვინც მიწას ჩვენსას უწოდებს „დედას“,
და მაინც ასე ვეძახი მედამ.
ვეძახი, რადგან დედის ხელთაგან,
უპირველესად ყოველისა, ყველა
მის ხელში ვცავივით.
გვეხვევა ტკბილად
მარადი დედა —
მიწა მშობელი.

ვერსად, ვერასდროს ვერ გავექცევით,
ვითარცა ძველი თავისი ფეხით
ვეღარ ჩამოვა იმ კვარცხლბეკიდან,
სადაც დგას ახლა.
კარგ ხელებს მიმცა მე დედაჩემმა.

ო, როგორ მიყვარს პირველი წვიმა
გაზაფხულისა,
როდესაც ზეცა, ძირს დაშვებულა
მიწას ჰკოცნის და ეალერსება.
ამ ალერსს მალე მოსდევს სიმწვანე,
ნაზი და ჩვილი, ვითარცა ბავშვი.
იგი ახარებს თვალსაც და გულსაც,
მომხიბლავია და მშვენიერი,
რადგან ყოველთვის მშვენიერია
შვილი პირველი სიყვარულისა.

ამბობენ ხოლმე: საკმარისია
გაზაფხულისპირ წვიმაში გასვლა,
რომ იგრძნო უმალ,
შენივე გული
ეით აღიფეთა მწველ სიყვარულით.
(ეს იმას ნიშნავს,
რომ სიყვარულიც მიწიდან მოდის).

მოდით, გავიდეთ გაზაფხულის
ამგვარ წვიმაში.

პური

რომ წესიერად დაწერო პურზე,
უნდა მოგაკლდეს პურის ნატები.
ან იქნება სჯობდეს, დაწერო ცუდად,
ოღონდ ეს პური საკმაო გქონდეს?
თითო ლექსი რომ თითო ლუკმა პურს
უდრიდეს,
მაშინ რამდენ მშიერ კაცს
დააპურებდნენ ლექსის კაცები!
ჩვენი ლექსები იქცევა პურად?
თქვით, პოეტებო!

მზე და მიწა ხომ
სისხლი და ხორცი არის პურისა.
ადამიანი პურის ფესვებით
მიჯაჭვულია დედამიწასთან.
თავაწეული მზეს უმზერს იგი,
ტორლები კი, თითქოს ცოცხალი
რაკეტებია დედამიწისა,
ხნულთა სურნელით გაბრუებულნი
მიჰქრიან ცისკენ.
მიჰქრიან ცისკენ,
თან მიაქვთ დიდი ოცნება მიწის —
მზესთან, დიდ მზესთან შეერთებისა.
ამ ოცნებითვე არ ფეთქავს განა
ქვავის მარცვალი,
მიწას ჩაკრული,
როცა მზისაკენ აიშვერს ღეროს.
ამ ოცნებითვე არ არის სავსე
ქვავის თავთავი, როდესაც უცემ
მზის შუქს მცირე ხნით დაეწაფება
და მზედ იქცევა მაშინვე თვითონ?
თითოეული თავთავი მწიფე
არ არის განა
ძნა სხივებისა,
მიწის მკერდიდან ზეატყორცნილი?

პური მზესა ჰგავს.
პური სავსებით
უცოდველია
და... ყველაფერი
სწორიც არის და სამართლიანიც,
რაც კი პურისთვის გაკეთებულა,
რაც იყო დღემდე
და რაც იქნება.

მაგრამ რამდენი პურია ქვეყნად
დაჩაგრული და დამონებული —
თეთრი და შავი, თავთუხის, ქვავის!
მაგრამ რამდენი არის ჯერ კიდევ
ჩაგრული ხალხი —
ყვითელი კანის,
წითელი კანის,
თეთრი კანის და შავი კანისა!

ხალხო, პურს მიეც თავისუფლება
და პური მოგცემს თავისუფლებას!
რადგანაც იგი ყოვლისშემძლეა,
ყოვლისშემძლეა, როდესაც არის
თავისუფალი.
ის გაგხდის ამაყს და ძლევამოსილს,
გაჩუქებს კერას, ლოგინს და სამოსს,
წიგნს და სიმღერას,
სამუშაოს და დასვენებასაც.
თუ ჭირნახულმა არ გიღალატა,
მოგცემს სიყვარულს, მოგიძღვნის ბავშვებს.
რადგან ყოველი, რაც კი ყოფილა
და რაც იქნება ამიერიდან,
არ არის პური?
ფარნოდ ვახსნილან ახლა კარები
ჩვენი ბელღების.

და მზეს კი — ქვეყნის დიად შუქურას —
ბეღლებისაკენ მიაყავს ზეიმით
პურის გეშები,
მიფრტყლებებენ ცხენები მშვიდად
და სახიდრები
ბრიალ-ბრიალით მისდევენ ცხენებს.
კაცი თვალებზე ხელს აიფარებს
და მზეს გაჰხედავს.
ქალი, შრომით და პურით დამთვრალი,
თავს დასდებს ძნაზე. როგორც ქმრის მკერდზე,
მიწა სახნიერს არწევს და არწევს,
ვით ბავშვის აკვანს,
და ქალი იწყებს ტკბილ იავნანას.
უსმენს სიმღერას კაცი და... ცხენებს
მიერეკება ბეღლებისაკენ.
ბეღლები ისე განათებულან,
პური კი არა, თითქოს მზე შედის
გრილ სიჩუმეში.
მაღლა, სულ მაღლა, სათივის თავზე,
ფრიალებს კაბა ქალის
და კაცი
ძნას ძნაზე აწევდის გამოწვდილ ხელებს.
სევდით აღსავსე იმ იავნანას
იგონებს ტკბილად და ხედავს ფეხებს,
მზით განათებულს,
და ჩქარობს, ჩქარობს ..
უკანასკნელი ძნით ხელში მალე
აძერება კაცი სათივის თავზე
და მომლოდინე ხელებს ქალისას
ძნას კი არ აწვდის —
აწვდის თავის თავს.

შემდეგ აიღებს ხორბალს პეშვებით,
სულს შეუბერავს ისე. ვით ოქროს,
და მიაქვს თრთოლვით ქალის ტუჩებთან.
და იგი, ვისაც არავინ იცნობს,
პირველად იგრძნობს ვემოს პურისას.
იქნება მშობლები არიან ჩემი,
იქნებ მშობლები არიან შენი,
იქნებ იმისი,
ვინც ხვალ და ან ზეგ დაიბადება.
რადგან, რაც არის და რაც იქნება,
არ არის პური?
არ არის კაცი?
პური, ჩემო და სხვათა მშობელო!
მე ვუზიარებ შენს თავს სულ ყველას;
როგორ არ უნდა გავუზიარო
მზეს, ცას, ვარსკვლავებს?
თუ კალკუტაში მშიერი ვინმე,
ძირს დაცემული, ვერ დგება ზეზე, —
მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი მისი
ვერ მისწვდა შენს ხელს,
ვერ მისწვდა ჩემს ხელს.
ხოლო ის ხელი, ახლოს რომ იყო
და პური ეპყრა,
ვერ იმტკბებდა ნატეხს პურისას.

დამონებულო პური არსობის!
კაცთა შვილები აქცევ მტრებად.
სხვა რომ არ იყოს,
მხოლოდ ამისთვის
შენ უნდა გახდე თავისუფალი...

შენ, ჩვენო პურო თავისუფალო!
ყველანი ძმებად გადაგვაქციე,
და ეს ყველაზე მთავარი არის
მათ შორის, რასაც შეძლებდი ქვეყნად!

2. სიმღაბუკე

მზე

მზე! — ნუ წარმოთქვამ დაუფიქრებლად
ამ სიტყვას
და თუ წარმოთქვი მაინც,
უსმინე, როგორ ყღერს და ხმიანობს!
ეამსა ბავშვობის — ათინათია,
ქოხის ედელებზე აელვებული;
იგივე სიტყვა ქალის ბაგეზე
სიყვარულია დიდი, რომელსაც
ეძებს და ნატრობს,
თუმცა კი იცის,
ამ სიყვარულის დაიწვის ალში.
ჩემი დროც დადგა და, აი, ეამბობ:
— მზე!
კორდებს, მინდვრებს, ქალაქებს, სოფლებს
მზე მოეფინა და გაცისკროვნდა.
ნამძინარევი კაცი საწოლში
წამოიწევა, მკერდზე ხელს ირტყამს
და ძილის ნარჩენს ყლაპავს მთქნარებით,
როგორც ვეება, ნოყიერ ლუკმას.
შემდეგ თვალთ იფშვნეტს, მზეს რომ შეხედოს,
და ხელებს იბანს,
რომ იმ ხელებით შეუდგეს შრომას.
მზე კი შემოდის უკვე სარკმელში
და მაგიდაზე ვარდის ქოთანი
სავსეა მზითა.
კაცი მაგიდის კიდესთან ჯდება
და მზეს მიირთმევს აუჩქარებლად,
რომ შემდეგ თვითონ,
დღითა და ღამით,
შეძლოს ვათბობაც და განათებაც!
ადამიანიც მზე რომ არ იყოს,
რას გაავწყობდა ერთი მზე ცაში?
აი, მე ვხედავ, კაცი მხრებიდან
ცელს როგორ იღებს,
ხერხსა და ნაჯახს ვით აიტაცებს,
ან როგორ უშვებს სახნისს მიწაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეუბნება ცხენს:
— აბა, ეთესოთ!
აი, მე ვხედავ: ტრაქტორზე ჯდება;
ექსკავატორის კაბინას აღებს;
დაზგასთან მიდის დაფიქრებული;
მაღაროელის ქუდს დაიხურავს
და მეგობრებთან ხუმრობის შემდეგ
მიწის გულისკენ მიეშურება, —
ეს ყველაფერი ჩემთვის, მერწმუნეთ,
მზის ამოსვლაზე მშვენერია!
აგერ, ამ სახლის მშენებლობაზე
უსტვენს ჯაბუკი და ისე შრომობს,
რომ სახლთან ერთად იზრდება იგი.
ბოლოს თავისი გაშლილი მხრებით
მზეს ამომავალს დფარავს კიდეც.
მზეს ვეღარ ვხედავ,
ვხედავ მშენებელს
და მე ვამტკიცებ, რომ იგი ახლა
მზეზე დიდია!
შენ სულ ამაოდ მარწმუნებ ახლა
მზის და ვარსკვლავთა სიდიადეში, —
შეგრძნებრას ჩემსას ვენდობი უფრო,
ვენდობი, რასაც თვითონვე ვხედავ.
განა არ ვიცი, მზე რომ დიდია,
მაგრამ ასჯერ და ათასჯერ მეტად
დიდია მზისკენ სწრაფვა კაცისა.
მისისწრაფოდნენ, მისისწრაფიან,
შემდეგშიც წავლენ მილიონები —
მშვენიერი და ლამაზი ხალხი —
რომ მზე აჩუქონ მშობლიურ მიწას.
მაგრამ, როგორც კი მიზანს აღწევენ,
აენთებიან კოცონებივით
და მზედ იქცევა ყველა მთგანი.
მზეო, ამიტომ ხარ ასე დიდი,
ვითარცა ჩვენი ლტოლვა შენდამი.
მზეო ნაქებო, სახელოვანო,
შენ საკუთარი შუქით იკ არა,
მათი სინათლით ანათებ, ბრწყინავ,
ვინც მოაღწია ბრძოლით შენამდე.
ეს, მე მგონია, შენც კარგად გესმის
და არ ქედმაღლობ ტყუილუბრალოდ.
იყო დრო, როცა მიაკოვსკიმ
მიგიპატიჟა ფინჯან ჩაიზე.
მყის ჩამოხვედი ცის ტატნობიდან
და ისაუბრე მთელი საათი
ჩაიზე, დიახ,
მაგარ ჩაიზე.

იქნებ ვლადიმერ ვლადიმერის ძე
სხვა რამე უფრო მაგარ სასმელით
გაგიმასპინძლდა სასურველ სტუმარს!
როგორც ამბობენ ამის მოწმენი,
იმ დღეს შენ აღრე დაწექი თურმე.
მეც მომისმენე და უფრო კარგად
დაიმახსოვრე,
ნაქებო მზეო,
თუ მშენებელი ჩამოვა დაბლა,
თავის კირიან ხელს გადაიბანს
და შინ სადილად მიგიპატიჟებს,
არ გაჯიუტდე.
გნებავს, იცოდე? — ყოველი კაცი
ჩვენთან უთუოდ პოეტი არის!
მშენებელი კი, რომელიც აგურს
აგურთან რითმავს,
ავტორი არის
ურიცხვი სახლის და უბნისაგან
შემდგარი ვრცელი, დიდი პოემის.
მას რომ მე და შენ გავესაუბროთ,
სასარგებლოა...
იგემე მისი ტური მაგარი,
პატიოსანი შრომით ნაშოვნი.
თუ საუბარი მშენებლობაზე
გაგიძნელდება,
იგი მზესა და მზის სინათლეზე
ილაპარაკებს იოლად, მშვიდად.
და აი, უკვე წარმოვიდგინე:
სხედხართ აგურის გრეთაზე ერთად
და ყოველ ლუკმას ცივ წყალს აყოლებთ.
გიმზერთ და არა, სულაც არ გჩქარობ,
ვთქვა, რომელი ხართ უფრო ნაიელი.
კაცი სიგარას იღებს უეცრად,
შენს მელოტ თავზე ცეცხლს მოუკიდებს
და გეუბნება:
— დრონი იცვალნენ, ამხანაგო მზეო,
თქვენს სასარგებლოდ როდი იცვალნენ!
დღეს ადამიანს ეკუთვნის მხოლოდ
ყურადღება და ფიქრი მთავარი.
თუ პოეტები ახლაც ხანდახან
გიძღვნიან ლექსებს, მხოლოდ იმიტომ,
ადამიანი რომ განადიდონ.
თქვენ ხართ საზომი სითბოს, სინათლის
და სიმაღლისა.
მხოლოდ საზომი და არა ზღვარი!
მზეო კეთილო, ნუ გეწყინებათ,
ხშირად შეხედვებით ადამიანებს,
რომელთაც მკერდში უფეთქავთ გული
ათასი მზისა.
გესმით, თუ არა,
რაცა მსურს გითხრათ?

და, მართლაც, მზეო,
ადამიანთა შორის მრავალი
თუ არ იქნება მზე მოკიაფე,
რა იქნებოდი მაღლა, ზეცაში,
მხოლოდ ერთი მზე?

თარგმნა ხუტა ბერულავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

ქართული პოეზიის სიახლენი

კრიტიკული წერილი თავისებური დიალოგია კრიტიკოსისა მწერალთან. თუ კრიტიკა მეგობრულია, ან როგორც იტყვიან, „კეთილმოსურნეობის პოზიციებიდან წარმოებს“, მაშინ კრიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს მწერლის ყველა მოსალოდნელი კონტრარგუმენტი.

როდესაც კრიტიკოსის დასკვნები წინასწარალებული თვალსაზრისით არის გაპირობებული და არა ლიტერატურული ფაქტის ობიექტური ანალიზით, მას ელის ერთი საფრთხე.

ტენდენციური განზოგადება ჩვეულებრივ ბადებს უნდობლობას, რაც თავის მხრივ ფსიქოლოგიურად გამორიცხავს მწერლის მიერ ზოგჯერ თავისთავად სწორი კრიტიკული შენიშვნის მიღების შესაძლებლობასაც კი.

კრიტიკულ აზროვნებაში განზოგადება აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, მაგრამ ლიტერატურულ ცხოვრებას აქვს ისეთი სტადიები, როდესაც ნაწარმოების ანალიტიკური განხილვა კიდევ უფრო მეტ აუცილებლობად იქცევა.

ამ წერილში, ჩვენ, ცხადია, მიზნად არ ვისახავთ საბოლოო მსჯავრის გამოტანას, ეს არის მხოლოდ კონკრეტული შენიშვნები ორი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ პოეტურ ნაწარმოებებზე. მისი მიზანია პირველ რიგში ავტორებთან გულწრფელი გასაუბრება.

„მნათობსა“ და „ცისკარში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებები მხოლოდ ნაწილია ჩვენი საერთო ლიტერატურული ცხოვრებისა. ამის გამო ჩვენ მოგვიხდება ზოგიერთ, შედარებით ფართო ხასიათის პრობლემაზე შეჩერებაც.

„მნათობში“ 1963-64 წლებში ხშირად იბეჭდებოდნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები: გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე, კარლო კალაძე. ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ტიციან ტაბიძის გამოუქვეყნებელი ლექსები, რომელთაც დართული აქვს პოეტის მეუღლის მიერ მოწოდებული საინტერესო ბიოგრაფიული ცნობა.

სიმონ ჩიქოვანს გასულ წელს არ დაუბეჭდავს არც ეოთი ლექსი „მნათობში“, არც „ცისკარში“. მხოლოდ პოეტის იუბილისთან დაკავშირებით „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა მისი რამდენიმე ახალი შესანიშნავი ლექსი. შეუძლებელია აქვე არ

აღინიშნოს, რომ შარშან ცალკე წიგნად გამოვიდა ს. ჩიქოვანის ლიტერატურული წერილების უაღრესად საინტერესო კრებული. ეს არის ნამდვილად ღირსშესანიშნავი ფაქტი თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში.

სასიხარულოა, რომ „ნნათობის“ ფურცლებზე ვხვდებით ქართული პოეზიის უფროსი თაობის სხვა წარმომადგენელთა სახელებსაც. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აწ განსვენებული პოეტის ვიქტორ გაბესკირიას კეთილშობილებით აღსავსე რამდენიმე ლექსი, რომლებიც გასულ წელს გამოქვეყნდა ჟურნალის ფურცლებზე. ყურადღების ღირსია აგრეთვე გრიგოლ ცეცხლაძის ლექსები, განსაკუთრებით „არხეინი კაცი“.

„ნნათობში“ თანამშრომლობენ ქართველი მკითხველისათვის ცნობილი პოეტები: ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ხუტა ბერულავა, მ. ლებანიძე, ო. ჭელიძე, ლ. სულაბერიძე; უფრო ახალგაზრდებიდან: თ. ჭილაძე, შ. ნიშნიანიძე, ჯ. ჩარკვიანი, ო. ჭილაძე, ტ. ჭანტერია და სხვ.

საერთოდ ჟურნალის 1963-64 წ. წ. ნომრებში საკმაოდ დიდი რაოდენობით არის გამოქვეყნებული ლექსები და პოემები. ამ წერილში ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ნაწარმოებს განვიხილავთ.

გიორგი ლეონიძის ყოველ ახალ ლექსს ქართველი მკითხველი განსაკუთრებული იმედით ელოდება.

დიდი პოეტის ცხოვრებაში არის მომენტები, როდესაც მისი შთაგონება, სულიერი აღმაფრენის ძალა ჩვეულებრივ საზღვრებს სცილდება და ახალ ხარისხში გადადის.

ასეთი სიახლე და ამაღლება იგრძნობა გიორგი ლეონიძის იმ ლირიკულ შედევრებში, რომლებიც მან თავის მწერლური ბიოგრაფიის მჭეხარე გაზაფხულზე შექმნა. ჩვენ გვიხარია, რომ პოეტის დღევანდელ შემოქმედებაშიც, მის „მინდვრის ყვავილებში“ და სხვა ახალ ლექსებში ხშირად ნათელი სხივივით აელვარდება ხოლმე ბარაქიანი ქართული სიტყვა. მართალია, ყველაფერი ეს იმ ლექსებზე შედარებით დაბალია დგას, რომლებიც მან თავის ნაშრომებზე შექმნა და რითაც ქართველი მკითხველის გული სამუდამოდ მოინადირა, მაგრამ აქაც ცალკეული სტრიქონები, სახეები, პოეტური ხილვები ზოგჯერ ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებენ.

კარგი ლირიკული ლექსი დაბეჭდა კოლაუ ნადირაძემ „ნნათობის“ № 2 ნომერში: „შენ ხარ ვენახი“. კ. ნადირაძე საერთოდ იშვიათად აქვეყნებს ლექსებს, მაგრამ მისი ლექსი გამოირჩევა როგორც შინაარსის ამაღლებული, ღრმად განცდილი პოეტურობით, ისე დახვეწილი ფორმითაც.

გასული წლის ქართულ პოეზიაში უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსები.

„ხმა თეთრ სენაკში“ ერთ-ერთი უკანასკნელ ლექსთაგანია, რომლითაც პოეტის ცნობილი ლირიკული ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ მთავრდება.

ამ ციკლმა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში უკვე მიიღო მაღალი შეფასება და, რაც მთავარია, მან დაიმსახურა ქართველი მკითხველის სიყვარული და აღიარება.

ირაკლი აბაშიძის მიერ „ნნათობში“ გამოქვეყნებული უკანასკნელი პოეტური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს „ხმა თეთრ სენაკში“. აქ რუსთაველის სამყარო — არა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სახეები, არამედ მისი ავტორის სულიერი, ინტიმური სამყარო, რომელიც თანამედროვე პოეტის თვალით არის დანახული, საოცარი ძალით ცოცხლდება ჩვენს თვალწინ და რეალურ, ცხად, თითქოს ხელშესახებ ელფერს იძენს.

ირაკლი აბაშიძის პოეტური ენა, სტილი, მეტყველების მანერა ნამდვილად გვხიბლავს თავისი ტკბილი, კეთილხმოვანი „ლექსქართულობით“. მისი პოეტური სახეები გვიქმნიან უაღრესად ჰარმონიული, მწყობრი მსოფლგაგების, კეთილშობილურ, ამაღლებულ განწყობილებას:

ჭეშმარიტების არვინ უწყის ნავთსაყუდარი,
მისი მიწური, სრა-სასახლე, ოდა ყვარული,
ჭეშმარიტების დასაფრენი, დასაბუდარი —
ჩემთვის სულ იყო სიყვარული, სულ
სიყვარული.
ახლა რაღა ვარ, ხე დამზრალი გაბმულ
ქარებით,
ვარ კლდე დაშლილი, მე დაცლილი ვარ
საწყაული,
რითა სცემს მაჯა, რა განგებით,
რა მანქანებით,
რით სუნთქავს სული, რა ბუნებით,
რა სასწაულით?..

ასევე ბრწყინვალე ლირიკული ლექსია „ოქვის აპრილი.“

ლექსი „ბილიკიც მღერის“, ჩვენი აზრით, ოდნავ გადატვირთულია პოეტური მეტყველების სამკაულებით, ე. წ. მეტაფორული პლეონაზმებით. მთავარი ლირიკული სახე ამ ლექსისა — გრძნეული პოეტის ლირიკული პორტრეტი დახატულია ნამდვილი შთაგონებით. ამ ლექსში არის ერთი ფრაზა, რომელიც მთელი პოეტური ცხოვრების ეპიგრაფად შეიძლება გამოდგეს.

მშობლიურ ენას მან უპოვა
თვისება სიმის...

ეს სტრიქონი ემოციურად იმდენად ტევადი და ამავე დროს იმდენად ლაპიდარულია, ისეთი კლასიკური სიზუსტით გამოხატავს ლექსის დედააზრს, რომ მას თითქოს უფრო სადა პოეტური ჩარჩო ესაჭიროება.

ირაკლი აბაშიძემ თავისი უკანასკნელი ლექსებით (პირველ რიგში რუსთაველისადმი მიძღვნილი ციკლით) თანამედროვე ქართულ პოეზიაში შემოტანა არა მხოლოდ ახალი თემატური რკალი, მან შეძლო განსაკუთრებული, შინაგანად მთლიანი პოეტური სტილის დამკვიდრებაც.

ჩვენ გვინდა ერთი მოსაზრება გამოვთქვათ, რომელიც ამ ლექსების მხატვრულ თავისებურებას შეეხება.

ლიტერატურული პარალელები საერთოდ ოდნავ სახიფათოა, განსაკუთრებით შორეული პარალელები. მაგრამ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართულ ლირიკაში ნამდვილად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა გარკვეული ხასიათის პოეტური სტილი, რომელიც, რასაკვირველია, სრულიად ახალ ისტორიულ ეპოქაში, ეროვნულ ეროვნულ ვითარებაში, სრულიად განსხვავებულ ტრადიციათა ნიადაგზე ერთგვარად მოგვაგონებს იტალიურ პოეზიაში თავის დროზე აღმოცენებულ ე. წ. „Dolce stil nuovo“-ს. როგორც ცნობილია, ეს სტილი, რომელიც დანტესა და მისი თანამედროვე პოეტების სახელებთან არის დაკავშირებული, წარმოდგენდა ადრინდელი შუასუკუნეების ტრადიციული პოეტური სამყაროს აღორძინების შედეგს, იგი მოასწავებდა პოეზიის ფილოსოფიური შინაარსის გაღრმავებას, რაც თავის მხრივ არა თუ არ გამორიცხავდა, არამედ გულისხმობდა ლირიკული ემოციის სიწრფელეს და უშუალობას, და თუ ეს სტილი თავის დროზე უაღრესად ორგანული და სოციოლისუნარიანი აღმოჩნდა იტალიური პოეზიისათვის, ეს იმის გამო, რომ მას გაეჩნდა თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი.

თანამედროვე ქართულ ლირიკაშიც, თუ შეიძლება პირობითად მაინც ასე ითქვას, ამ „ახალი ტკბილი სტილის“ აღმოცენება სწორედ ჩვენი ეროვნული კლასიკური ტრადიციების, უფრო ზუსტად, მათი გარკვეული ნაკადის თავისებური აღორძინების ცდას მოასწავებს. ასეთი ცდები შეინიშნება უკვე გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში: „ნიკორწმინდა“ და „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირას“, ე. ი. იმ ლექსებში, რომელთაც თვით გალაკტიონის ლირიკაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით ეს ეხება ანა კალანდაძის ზოგიერთ ლექსსაც.

ირაკლი აბაშიძემ თავის ახალ ციკლში ეს სტილი პოეტური აზროვნებისა და გამოხატვის თანმიმდევრულ, შინაგანად მთლიან სისტემად აქცია. და რაც მთავარია, მან, როგორც ნამდვილმა შემოქმედმა, ამ სტილს საკუთარი

გურამ ასათიანი
ქართული პოეზიის სიახლენი

პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი ორიგინალური თვისებები შესძინა.

ამ სტილის აღმოცენება თანამედროვე ქართულ ლირიკაში შესაძლებელია ერთის შეხედვით ანაქრონიზმად გვეჩვენოს, მაგრამ ეს არის ლიტერატურული ფაქტი და მას თავისი კანონზომიერებაც აქვს. იგი გამართლებულია რთული ფსიქოლოგიური პროცესებით, რომლებიც სწორედ ჩვენი დროისსთვის არის ნიშანდობლივი. კერძოდ, ეს იხსნება ჩვენი კულტურის მყარი ნაციონალური საყრდენების დადგენისა და განმტკიცების ცხოველი მოთხოვნილებით, რაც საერთოდ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებაც არის.

ეს სტილი ღირსია იმისა, რომ იგი დაკვირვებით იქნას შესწავლილი ჩვენი კრიტიკის მიერ. მას გააჩნია თავისი მაღალი ღირსებები. ქართული სიტყვა აქ ლაღად, თავისუფლად სუნთქავს, რადგანაც იგი მოქცეულია მკვიდრ კონტექსტში, მეტაფორული აზროვნების ორგანულ ჩარჩოში.

აღსანიშნავია, რომ მიდრეკილება პოეტური გამოხატვის კლასიკური ფორმებისაკენ — მეტაფორული სახეთა მთლიანობა და სიცხადე, ნათელი ლირიკული კომპოზიცია, მყარი ვერსიფიკაციული კონსტრუქციები, რიტმული იდენტურობა, ზუსტი, ზოგჯერ მაჯამური რითმები აქ აშკარად უპირისპირდება თანამედროვე ვერსიფიკაციისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ „რღვევად“ ტენდენციებს — თავისუფალ ლექსს, ასონანსურ და დისონანსურ რითმებს, თეთრ ლექსს და სხვ.

ლექსის ტექნიკა აქ სრულ თანხმობაშია პოეტური აზროვნების არსებით თავისებურებასთან.

ცხადია, ირაკლი აბაშიძის პოეტური სტილის ძლიერი მხარეები მხოლოდ განყენებული შემოქმედებითი პრინციპებით არ იხსნება. აქ მთავარია შესრულება, ბრწყინვალე მხატვრული რეალიზაცია ამ პრინციპებისა. ირაკლი აბაშიძის ლექსს თან ახლავს სინათლე, სიხარული, საოცარი პოეტური სიფაფეელ, რაც ძირითადად გამორჩეულად ეგრეთ წოდებული, მწიგნობრული ელემენტების რეციდივებს. და თუ ამ სტილს გამოუჩნდება თავისი მიმდევრები, მათ აქედან უნდა აიღონ არა ნაჭუჭი, არამედ ცოცხალი სული, ის უტყუარი გზნება და მაღალი არტისტიზმი პოეტური განცდისა, რომელიც ასე ახლობელი აღმოჩნდა თანამედროვე ქართველი მკითხველის გულისთვის.

შარშან „მნათობის“ სხვადასხვა ნომრებში დაიბეჭდა კარლო კალაძის პოემა „შედინადი“ და ლექსები.

კარლო კალაძის ლექსი „მზემ დამადევნა ლანდი ჩუმჩუმად“ პუბლიცისტური ხასიათის ლექსია და ამავე დროს, შეიძლება თქვას, რომ ინტიმური ლირიკის მკვეთრად გამოხატული ნიშნებიც ახასიათებს. ეს ლექსი ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხს ეხმაურება:

> გაზაფხულს როგორ არ აკვირდებით,
> სოფლიდან სოფელს სწვდება გზა-შარა.
> ხედავთ? ბერმუხამ ჩვილი კვირტები
> ამ ახალშენთან ერთად გაშალა!
> ჩასთვალეთ მათი გულისთქმა სითო
> და ამწვანებულ ფერდობზე ასულთ —
> თავს თქვენი ფიქრი არ მოახეთინო,
> ისინი თვითონ იტყვიან რა სურთ...
> ნდობით უცქირეთ და არა შიშით,
> ხმა მიაშველეთო და აღტაცება,
> ეს ახალშენიც ჩვენია ჯიშით,
> ოღონდ ეღირსოს დავაკაცება.

საინტერესო პოეტური ნაწარმოებია „მნათობის“ მე-11 ნომერში დაბეჭდილი ლექსი „ვუმღეროთ თბილისს“. აქ იგრძნობა პოეტის თავისებური მხატვრული მანერა, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორიგინალური ინტონაცია და პოეტური წარმოსახვის განსაკუთრებული ხერხები.

რაც შეეხება კარლო კალაძის პოემას „შედინადს“, რომელიც „მნათობის“ 1963 წლის პირველ ორ ნომერში დაიბეჭდა, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ იგი გაცილებით დაბლა დგას პოეტის შემოქმედებით შესაძლებლობებზე.

შეიძლება ამ ნაწარმოების ერთგვარი მხატვრული სისუსტე გამოწვეულია

იმითაც, რომ საერთოდ ჩვენს დროში ძალიან მწვავედ დგას პოეტური ეპოსის პრობლემა. ამას სხვადასხვა მიზეზები აქვს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც არსებობს რომანი, დოკუმენტური პროზა, კინემატოგრაფია, არსებობს თხრობის, მოყოლის მთელი რიგი სრულყოფილი საშუალებანი. ასეთ პირობებში ზოგჯერ საოცრად პირობით, ხელოვნურ შეაბეჭდილებას ტოვებს ლექსად დაწერილი წმინდა ეპიკური ნაწარმოები.

საერთოდ სუსტი ნაწარმოების მიხედვით რაიმე თეორიის აგება თავისთავად არ არის მიზაწშეწონილი, თუნდაც იმიტომ რომ, შეიძლება მოხდეს „სასწაული“ და ჩვენ ხვალ წავიკითხოთ წმინდა ეპიკური ხასიათის კლასიკური ქართული პოემა, მაგრამ ამ თვალსაზრისით მაინც სიმპტომატურია „მნათობში“ დაბეჭდილი ლადო სულაბერიძის „მარცხიანი დღე“. ამ ნაწარმოებს აქვს ლირიკული წინათქმა, რომელიც ნამდვილად ღრმა პოეტური განცდით, დიდი ადამიანური გულისტკივილითა და ადამიანური სითბოთი არის დაწერილი.

აი, ერთი ნაწყვეტი პოემის წინათქმიდან:

გავჭაღარავდით?
გავჭაღარავდით.
პაემანებზე აღარ გველიან.
გაყვიოლდა ყრმობის თეთრი ბარათი
და თითქოს რაღაც გამოგველია.
გამოგვეერია? გამოგვეერია,
კი არ დავბერდით, აღრე გავფთერდით,
ჩვენი ჭაღარა თოვლის ფერია,
ობში ღამეებს თეთრად ვათევდით.
სიკვდილმა, როგორც ობობამ, ქსელი
დახლართა...
ეს დღე მაინც ჩვენია.
ის აბლაბუდა გამოვარღვიეთ,
თეთრი ძაფები თმას შერჩენია.
მანდ მერხზე ზოგის გვარი წერია,
ისინი მზეზე აღარ თბებიან,
ჭაღარა აღარ გამოერიათ,
მიწაში თმები არ თეთრდებიან.
ჩვენ მათ სახელებს წავაწერთ კლდეზე,
ჩვენ მათ მაგიერ ვიტყვით „აქა ვარ“.
არ გავიმტკიცთ ჩვენ მათ იმედებს
და მათ ოცნებებს დასაკარგავად.

და აი, ამ კარგი წინათქმის შემდეგ იწყება პოემა, ეპიკური ნაწილი ამ ნაწარმოებისა და ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ღარიბდება ნაწარმოები. როგორც ჩანს, აქ თვით მასალა, თემა სულ სხვაგვარად გამოხატვას მოითხოვს, ხოლო ტრადიციული ეპიკური თხრობის ფორმა თითქოს რაღაც სწორხაზოვან, უხეშ არტახებად გადაქცეულა.

ლადო სულაბერიძის „მარცხიანი დღე“ ნამდვილად დამაფიქრებელი ნაწარმოებია თავისი ღირსებითაც და ნაკლითაც. როდესაც ჩვენი კრიტიკოსები თანამედროვე პოეტებისაგან მოითხოვენ „დიდი ეპიკური ტილოების“ შექმნას, ასეთი პრეტენზია მართებულია მხოლოდ ზოგადად, რადგან ხშირად ივიწყებენ ამ მოთხოვნილების სირთულეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ითქვა: „Век миновал эпических поэм“ და ეს სიტყვები „მწირისა“ და „დემონის“ ავტორს ეკუთვნის.

ნიშანდობლივია, რომ როდესაც ჩვენი დროის გამოჩენილმა პოეტებმა სიმონ ჩიქოვანმა და ირაკლი აბაშიძემ ეპიკურ თემას მიმართეს, მათ თავიანთი „პოემების“ შესაფერის ფორმად ლირიკული ჟანრი მიიჩნიეს და სწორედ ამ გზით შექმნეს ნამდვილად დიდი პოეტური ტილოები.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა დღეს განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს სწორედ ლირიკული პოემისაკენ. მხედველობაში გვაქვს ოთარ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიას, ჯანსუღ ჩარკვიანისა და გივი გეგეჭკორის შარშან გამოქვეყნებული ნაწარმოებები. რომ ეს პრობლემა სქოლასტური კამათის საგნად არ იქცეს, აუცილებელია, კრიტიკის მოთხოვნები ყოველთვის შეეფაროდოთ მწერლობაში მიმდინარე ცოცხალ პროცესებს, განვითარების არსებით ტენდენციას.

რამდენიმე სიტყვა რევაზ მარგიანის შარშან გამოქვეყნებულ ლექსებზე.

უკანასკნელ დროს მის პოეზიაში სა-

ერთად იგრძნობა ერთგვარი სიმკაცრე საკუთარი თავისადმი, საკუთარი სულის სიღრმეში ჩაკვირვება და თავისებური ეთიკური პასოსი. ეს არის დაახლოებით ის სულიერი მდგომარეობა, რომელზეც სიმონ ჩიქოვანს აქვს ნათქვამი: „არის სიყრმის და სიბერის შორის, დაეჭვების და შეკრთომის ჟამი“ — როდესაც ადამიანი თითქოს მარტო რჩება თავის თავთან და თავის სულს უკვირდება.

შეიძლება საერთოდ ეს არის ბუნებრივი რეაქცია იმის შემდეგ, როდესაც ზოგიერთი ჩვენი პოეტი, მიუხედავად მისი პირადი ხასიათისა და ტემპერამენტისა, იძულებული იყო მხოლოდ დითირამბები ეწერა.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს რ. მარგიანის ორი ლექსი „ზნეობის“ მე-12 ნომერში. მათი ავტორი ჩვენ წარმოგვიდგება ფრფელ, მიმნდობ თანამოსაუბრედ, რომელიც არ ცდილობს თავისი სუბიექტური აზრი თავს მოგახვიოს, მორიდებულად გთავაზობს თავის ნადაქრს და ნააზრევს:

როგორც გლეხს ღვინო, ჩემი ფიქრები
მაქვს სიბერისთვის შემონახული.

საერთოდ, პოეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების პირად გამოცდილებას. მეორე მსოფლიო ომმა მძიმე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იმ პოეტების ფსიქიკაზე, რომლებიც მისი მონაწილენი იყვნენ, მაგრამ ამავე დროს მან უაღრესად გაამდიდრა მათი პოეტური ბიოგრაფია. ეს იგრძნობა რევაზ მარგიანის თითქმის ყველა ლექსში. ომის მოგონება თან სდევს პოეტს, ძველ, მოუშუშებელ ჭრილობასავით არ ასვენებს, გამუდმებით აშფოთებს მის სულს — რადგან:

— განა ომს სძინავს მხოლოდ ხსოვნაში,
ძველსა და რბილში არის გამჯდარი...

პოეზიის მიმზიდველი ძალა მხოლოდ მშვენიერი ხილვები და მუსიკა როდია. პოეტს შეუძლია მკითხველის თანაგრძნობა დაიმსახუროს თავისი გულკეთილობით, ეთიკური სიფაქიზით, ჭუმანურობით. ჩვენი ფიქრით, ოქტავ მარგიანი თავის უკანასკნელ ლექსებში განსაკუთრებით ძლიერია სწორედ იქ, სადაც ამ შესანიშნავ თვისებებს ავლენს.

„ზნეობის“ 1963-64 წლების ნომრებში დაბეჭდილია ხუტა ბერულავას რამდენიმე ლექსი.

ამ ლექსებს არა აქვთ ერთიანი პოეტური თემა, ეს არის თითქოს პოეტის ბიოგრაფიაში ერთმანეთთან მხოლოდ გარეგნულად დაკავშირებული ფაქტებით ნაკარნახევი, „შემოხვევაზე დაწერილი“ ლექსები, ან შესაძლებელია, ნაწყვეტები სხვადასხვა პოეტური ციკლიდან.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ პოეტის პირველი უსათაურო ლექსი „ზნეობის“ 1964 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნებული სამი ლექსიდან. ეს ლექსი ნამდვილად ღრმა განცდით არის დაწერილი. აქ გაშიშვლებულია პოეტის სულში შენახული ძველი, ღრმა ჭრილობა. ამ ლექსში იგრძნობა დიდი მოკრძალება, თავისებური ტაქტი ამ პირადი ტკივილის გამხელისას.

პოეტის ნამდვილი კონტაქტი მკითხველის გულთან იწყება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც იგი სრული სიწრფელით ხსნის თავის შინაგან სამყაროს, როდესაც მისი სულის მოძძრაობა, მისი სევდა და სიხარული უშუალოდ, ადამიანურად გასაგები ხდება ჩვენთვის.

ხუტა ბერულავას ეს ლექსი სავსეა სევდითა და წრფელი გულისტკივილით. მაგრამ მასში არის ორი სტრიქონი, რომლებიც განსაკუთრებით მკვეთრად, პოეზიის ზუსტ ენაზე გამოხატავენ პოეტის განწყობილებას „ოცდაჩვიდმეტში გადაკარგულ, უღვთოდ ნაწყენ და დაჩაგრულ“ მშობლის აჩრდილთან შეხვედრისას:

... არ გამიმეღავნებს თავის იარას
და ჩემს სიხარულს გაიზიარებს.

აქ გადმოცემულია ის ზუსტი შინაგანი ნიუანსი განცდისა, რომელიც ლირიკაში ბევრად უფრო ძვირფასია,

ვიდრე ყოველგვარი გარეგნული ეფექტები და მაღალფარფოვანი რიტორიკა.

თითო ლექსი გამოაქვეყნეს შარშან „მნათობში“ მურმან ლებანიძემ და ოთარ ჭელიძემ. ო. ჭელიძის „ისფერი ცეცხლის ბალადა“ ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს უპირველეს ყოვლისა მძაფრი ემოციურობით. ეს არის ლირიკული პუბლიცისტიკის უთუოდ საინტერესო ნიმუში. გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მ. ლებანიძის ლექსი, ჩვენი ფიქრით, სადავოა, რადგან იგი ნაკლებად შეეფერება გალაკტიონის შემოქმედებით ბუნებას და უფრო თვით მ. ლებანიძის ორიგინალური პოეტური ინდივიდუალობისათვის არის დამახასიათებელი.

გვინდა შევეხოთ იმ რამდენიმე ლექსს, რომელიც „მნათობში“ დაბეჭდა ჯანსუღ ჩარკვიანმა, შევეხოთ საერთოდ მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ტენდენციას. ჯანსუღ ჩარკვიანი ძნელად ეგუება პოეტურ შტამპებს. იშვიათად ფიქრობს ლექსის დახვეწაზე. მისი მთავარი საყრდენი შთაგონება, ტემპერამენტი. ზოგიერთ ლექსში განწყობილება მთლიანად ერთ პოეტურად შთამბეჭდავ ფრაზაზე არის აგებული:

> რადგან ცეცხლივით ერთი ბეწო,
> სიცოცხლეს სული უნდა უბერო...

ასეთი პოეტურად ხატოვანი სტრიქონები მკითხველში ბადებენ ბუნებრივ მოთხოვნილებას, რომ ისინი მთელი ლექსის კომპოზიციით, ნაწარმოების მთელი მხატვრული შინაარსით იყვნენ დამტკიცებულნი. მაგრამ ყველა ლექსზე ამის თქმა არ შეიძლება. ჯ. ჩარკვიანის ზოგიერთ საუკეთესო ლექსშიც კი ლირიკული კომპოზიცია ხშირად მერყეულ. ამორფულ შთაბეჭდილებას ტოვებს. საერთოდ იგი ძალზე არათანაბრად წერს. მშვენიერი, მკაფიო სახეების გვერდით დაუშუშავებელი, მხატვრულად ბოლომდე გაუაზრებელი სტრიქონები განსაკუთრებით თვალს ჭრის მკითხველს. ეს თვალშისაცემი უთანაბრობა შეიძლებოდა პოეტის უბრალო დაუდევრობით აგვეხსნა, მაგრამ ეს სხვა თვისებაც იგრძნობა. ჯ. ჩარკვიანს საბოლოოდ არ დაუდგენია თავისი სიტყვიერ ქმელის შესაფერისი ფორმა. იგი ჯერ კიდევ შორს არის დამშვიდებისაგან. არასერიოზული იქნებოდა პოეტისათვის გვერჩია უბრალოდ ლექსის დახვეწა, შალაშინისა და რანდის უფრო ხშირი ხმარება. რაფინირებული ფორმა სრულიად წარმოუდგენელია ასეთი ბუნების პოეტისთვის. ჯ. ჩარკვიანისგან ჩვენ მოველოთ მისი ნამდვილად ორიგინალური ნიჭისა და ძლიერი ტემპერამენტის შესაფერის სრულქმნილ პოეტურ ნაყოფს.

თ. ჭილაძემ შარშან „მნათობში“ და „ცისკარში“ 30-მდე ლექსი დაბეჭდა. ერთი პოეტის ბიოგრაფიაში ეს მთელი პერიოდია. მინდა აღვნიშნო აგრეთვე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული „ნავები სენტმარინში“ და „ალერ, მყინვარი“...

თამაზ ჭილაძის უკანასკნელი ლექსები, მხედველობაში გვაქვს მისი მეორე და მომდევნო კრებულები, გამოირჩევა არა მხოლოდ ცალკეული პოეტური ხილვებით, არა მხოლოდ მდიდარი ფერწერით, არამედ პოეტური ნააზრევის შესამჩნევი სიმწიფითაც.

პირადად ჩვენ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში უფრო მეტად წმინდა ემოციონალური ლირიკა გვხიბლავს, ის ლექსები, რომლებიც შინაარსად ამდერებულია და პოეტის განწყობილებას თითქოს ქვეცნობიერი იმპულსების საშუალებით გადმოგვცემს:

> რამდენი შუქი ჰქონია ასკილს,
> რამდენი შუქი, მთები მღერიან.
> ჩემი გული ინ ულოს ნასვი,
> შენ რომ სხეულზე შემოგბეგეია.
> სიცოცხლე მიდის, მე შენთან ერჩები,
> და ჩემი სუნთქვა ქარში გადადის.
> თვალი გავაღე: შენი ვარ, შენი
> აწ და მარადის! ...

მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავის უკანასკნელ ლექსებში თამაზ ჭილაძე

არ ერიდება პირდაპირ, შესაძლებელია რიტორიკული ფორმით გამოხატულ განზოგადებასაც:

ადამიანურ ყველა ენებას
ჩრდილავს ტკივილი,
ტკივილი სხვისთვის თავგანწირვის.
ამ ტკივილიდან
იწყება ძალა და სინათლე — ადამიანი.

თამაზ ჭილაძე ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომლებიც დღეს დაჟინებით ცდილობენ თანამედროვეს ქართული პოეტიკის შინაგანი შესაძლებლობის გაღრმავებას და გიფაროოვებს.

ამ თვალსაზრისით მის უკანასკნელ ლექსებში აქცენტი გამახვილებულია მეტაფორულ აზროვნებაზე. თამაზ ჭილაძის სადავო ლექსებიც კი ყოველთვის თავისებურად, ორიგინალურად არის გააზრებული.

ასეთ პოეტს მით უმატეს არ ეპატიება არც ერთი ტრაფარეტული დეტალი, არც ერთი ლიტერატურული ინერციის ძალით შემონახული ეპითეტიც კი. მაგალითად ასეთი:

და რა ციური მიუწვდომლობით
მიიჩქარიან სადღაც ღრუბლები.

ეს „ციური მიუწვდომლობა“ თითქოს უფრო მიუღებელია, ვიდრე ძნელად წარმოსადგენი, მაგრამ მაინც ნამდვილად მოულოდნელი და ორიგინალურია სტრიქონები „ბეთჰოვენიდან“:

პატარა ბიჭი უკრავს გამებს,
ხავსით დფარულ საფეხურებს
ჰგვანან გამები.

რამდენიმე სიტყვა ტარიელ ჭანტურიას პოემა „ლტოლვა“-ზე. ჩვენი აზრით, ეს პოემა დაწერილია ცნობილი ფრანგი მწერლის სენტ ეკზიუპერის ერთგვარი გავლენით. მე მხედველობაში მაქვს ავტორის პოზიცია, მისი „ხედვის წერტილი“ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით: თუ წარმოვიდგენთ, რომ ეკზიუპერის ცნობილი მოთხრობის გმირი იმყოფება არა ვითომფრინაფში, არამედ კოსმოსურ ხომალდში. ეს არის ლირიკული სტენოგრამა პოეტის ფანტაზიით წარმოსახული კოსმოსური მოგზაურობისა. აქ არის საინტერესო ცდა, რომლის მთავარი მიზანია პოეზიის ენაზე გამოიხატოს ის, რასაც ადამიანი უწყდა განიცდიდეს, როდესაც მიწას სცილდება და თავისთვის უჩვეულო, ახალ გარემოში მოექცევა.

უნდა ითქვას, რომ თვითონ ამ თემის არჩევანი გამოხატვის ხერხების ერთგვარი „აბსტრაქტულობისაკენ“ უბიძგებდა ავტორს. მართალია, მისი ფიქრები და განცდები არსებითად მაინც „მიწიერია“. ისინი არ წყდებიან ჩვენს რეალურ ყოფას, იმას, რაც მარადყამს აწვალებდა ადამიანს და დღესაც აწვალებს. პოემაში არის მშვენიერად მოფიქრებული და შესრულებული პასაჟები, შესანიშნავად არის აღწერილი, მაგალითად, მზის სურათი, რომელიც არ ჩადის და რაღაც უჩვეულო, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს მოგზაურზე. მაგრამ მთლიანად პოემის ფორმა, გამოხატვის მანერა, რომელიც პოეტს აქვს არჩეული, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს ჩვენში. აქ თითქოს ყოველ წუთს ხელიდან გისლტება არსი, ასოციაციების შემაერთებელი ძაფი. შეიძლებოდა ეს გაგვმართლებინა როგორც ხერხი, მაგალითად, კოსმოსური „პეიზაჟების“ აღწერისას. მაგრამ ასეთი მანერითაა აქ დაწერილი ის ადგილებიც, სადაც ლაპარაკია ჩვეულებრივ, ყოფით ამბებზეც. პოეტის „მიწიერ“ ენებებზე და ინტერესებზე.

პოემაში არის არაზუსტი სახეებიც, მაგალითად:

ვეფერები და ვეფშავნი კოცნას
სამყაროსაკენ ვრცელს და ძლიერს.

საერთოდ ჩვენს დღევანდელ პოეზიაში, განსაკუთრებით ახალგაზრდების შემოქმედებაში, ადგილი აქვს ფორმის ერთგვარ „გაუცხოებას“, უცნაურად გიპერტროფირებული მსატვრული ხერხებით გატაცებას, რის შედეგადაც ხანდახან ჩვენ გვეკარგება ავტორის რეალური პიროვნება და თითქოს გამოგონილ ნიღაბთან გვაქვს საქმე.

„ნიღაბი“ ზოგჯერ აუცილებელია პოეზიაში. შეიძლება მწერალმა შექმ-

ნას სახე, მასკა, რომელიც მის ჩვეულებრივ „გარეგნობაზე“ უფრო სწორად გამოხატავს მის პიროვნებას, მის ჭეშმარიტ სულიერ სამყაროს. მაგრამ აქ საჭიროა დიდი ტაქტი და ზომიერების გრძნობა, რომელიც პოეტს ხელოვნურობისა და ბუტაფორულობისაგან დაიცავს. ასეთია არსებითად ჩვენი შეხედულება ტ. ჭანტურიას ამ პოემაზე, რომლის გულახდილად გამოთქმას არ მოვერიდეთ, რადგან ამ ნაწარმოებსაც ეტყობა, რომ იგი დაწერილია არა უბრალოდ ნიჭიერი პოეტის, არამედ ისეთი შემოქმედის მიერ, რომელიც საგნებს, მოვლენებს განიცდის არა ზერელედ, არამედ სულს მათში ფარულად არსებული აზრი დაინახოს და გამოააშკარავოს.

ტარიელ ჭანტურიასთან გარკვეული შემოქმედებითი ნათესაობით არის დაკავშირებული გივი გეგეჭკორი.

თუმცა ის, რაც გივი გეგეჭკორმა დღემდე გააკეთა: მისი ლექსები, მისი ლირიკული პოემები, უფრო სწორად, ლირიკული აღსარებები, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ამ პოეტის ინდივიდუალურ სტილზე, მის დამოუკიდებელ შემოქმედებით წინსვლაზე.

თუ პოეზია არის თავისებური დამოკიდებულება სამყაროსთან, აქ ჩვენ ნამდვილ პოეტთან გვაქვს საქმე. თუმცა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში ბევრი რამ ლიტერატურული გავლენებითაც არის გაპირობებული.

გივი გეგეჭკორის ახალი პოემა „მზიანი დღე“ („ცისკარი“, № 1) გამსჭვალულია სიცოცხლის, არსებობის ნამდვილად პოეტური განცდით. ეს არის მზისგან დამსკდარი მიწის მწველი, თავბრუდამხვევი სიყვარული:

მე უკვე ვიცი: ეს მიწა მე ვარ
ჯერ დაუფშნელი ცოცხალი ბელტი.
გაჩენის დღიდან ამ მიწაქცევას
მე სიჯიუტით ვებრძვი და ვეღტვი...
ვარ, მე ასე ვერ დავებრუნგბ
მოუქანცავ და უბრძოველ სხეულს,
ასე უეცრად, ასე უბრალოდ
ვერ მივატოვებ ცარიელ რვეულს.
გაურჯელ მკლავებს, მოუღლელ სხეულს
ვერ დავებრუნებ ასე უდროოდ.

ჩემი სიცოცხლის მზიანი დღეა,
ისევ მამშვიდებს ეს სიმყუდროვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ნაწარმოები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რასაც იგი უშუალოდ ასახავს და ამტკიცებს, არამედ იმითაც, რასაც იგი აღძრავს ჩვენში. გ. გეგეჭკორის პოემა მკითხველში აღვიძებს ბევრ ფიქრს, იგი აღვივებს და აცხოველებს ბევრ მკრთალ, ან ბუნდოვან წარმოდგენას ჩვენს შეგნებაში, იგი ახალი კუთხით აშუქებს და თავისებურად ამდიდრებს ჩვენს სიყვარულს და თაყვანისცემას საქართველოსადმი, ქართველი ხალხის შემოქმედი გენიისადმი.

წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ამ ნაწარმოებში ბევრი რამ არის ნამდვილად მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული. შეიძლება ცალკეული სტრიქონების, მთელი რიგი ადგილების მთლიანად მოტანა.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ამ პოეტური ნაწარმოების ერთგვარი მონოტონურობა, როგორც სერიოზული მხატვრული ნაკლი.

პოემა თავიდანვე ისეთ მაღალ რეგისტრში არის დაწყებული, ისე ამაღლებულია, ისე მდიდარია ფერადოვანი ხილვებით და სახეებით, რომ ავტორს შემდეგ უკვე აღარ შეუძლია უკან დახევა, მაგრამ ამასთან ერთად მას თითქოს აღარ ყოფნის აღმოფრენის ძალაც. ალბათ ამის გამო აქ გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც ხელოვნური პათეტიურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როდესაც პოეტი წარსულს სურათებს ხატავს, როდესაც ჩვენ მასთან ერთად წინა აზიის ტრამალებზე და ანთებულ ბოსფორზე ვმოგზაურობთ, აქ იგი ხშირად გვხიბლავს ამ სურათების გარეგნული ფერადოვნებით, მათი ცოცხალი წარმოსახვის უნარით. აქ ფანტაზია, პოეტური გატაცების პათეტიკა ერთგვაროვად ფარავს ამ ნაწარმობის ერთ სუსტ მხარეს, სახელდობრ იმას,

რომ ამ პოემაში დრო, სინამდვილე დანახულია გარედან, უკვე ამ ნაწილში ჩვენ ბუნდოვნად ვგრძნობთ, რომ რაღაც გვაკლია და მხოლოდ ნაწარმოების ფინალურ ნაწილში ცხადი ხდება, თუ რა იწვევდა ამ გრძნობას.

როდესაც პოეტი თანამედროვეობაზე წერს, როდესაც იგი თანამედროვე ქართველი ადამიანის სულს ეხება. ჩვენ უკვე აშკარად არ გვაქმაყოფილებს პოემის სტილის დამახასიათებელი ეს სტრიქონები:

> მე გავიზარდე ძალიან სწრაფად, ბუნებამ
> მომცა
> მე რაც მოვთხოვე.
> ეს მე დავეკერი ურანის ქვაბებს, წყვდიადში
> ძმინარ აღროდრომებს.
> მე ჩავიდინე სამმე საზღაპრო, რადგან
> ვიცოდი:
> სივრცის შემართა
> და წაიშალა ახალ საზღვარი ადამიანის
> მისწრაფებათა.

ეს არაზუსტი სტრიქონებია. რადგან აქ პოეტურად გამოხატულია მხოლოდ გარეგანი ნიშნები დროისა, მხოლოდ ის, რაც ზედაპირზე დევს.

„ცისკრის“ შარშანდელ ნომრებში დაბეჭდილია შოთა ნიშნიანიძის რამდენიმე ახალი ლექსი. მათ შორის გვხვდება ნამდვილად კარგი პოეტური ქმნილებები და შედარებით უფერული ან უბრალოდ სუსტი ლექსებიც. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსები: „... მიყვარს სიჩუმე ჩრდილის და ტყისა“ და „პოეტი“. აქ გვხვდება ღრმა ადამიანური სიყვარული, კეთილშობილური გრძნობით გამთბარი სტრიქონები:

> მიყვარს სიჩუმე ჩრდილის და ტყისა,
> სიჩუმე მზისა,
> ფრესკის და
> ხავსის.
> ბედნიერია ძე ადამისა,
> ვინც იცის დიდი სიჩუმის ფასი.
> სულს მინდოლებს და მიაბრეშუმებს
> და მიასკეცებს, რაც რამ მებადა,
> ეკლესიათა, ქანდაკებათა
> მრავლისმტყველი დიდი სიჩუმე.

შოთა ნიშნიანიძის ლექსს მართალია ესაჭიროება ეს სიჩუმე — „ფიქრებგადებილი“. მას სჭირდება იგი დაკვირვებისათვის, შინაგანი წონასწორობისათვის. თავისი ჩუმი და გულითადი ლექსის სათქმელად.

სიამოვნებით იკითხება შოთა ნიშნიანიძის დიდი ლექსი „პოეტი“. ეს არის დედაბუნებაში, ქართულ პოეზიაში, მის კეთილშობილურ სულში შეყვარებული ადამიანის ლირიკული აღსარება. აქ იგრძნობა დიდი სითბო, დიდი რწმენა და ნდობა, დიდი სიხარული იმ განდიდნა, რომ თვითონ ავტორიც განუყოფელი ნაწილია ამ მშვენიერი, შინაგანად ჰარმონიული სამყაროსი.

> არ ვარ უბრალო დედაფლის ღერი,
> შთამბერე სული და ამამღერე.
> სახსრებს მიღეწავს, სანამ სუფეილი,
> სანამ მეუფრო მაქეს საჩრდილობელი,
> დე, ღვთაებრივი სალამურივით
> შეიდგან გამეხსნას ნაჭრილობეეი.

შეიძლება კიდევ არაერთი ასეთი მკაფიო, პოეტური სახის მოყვანა ამ ლექსებიდან.

შედარებით სუსტია შოთა ნიშნიანიძის „ცისკრის“ მე-10 ნომერში დაბეჭდილი ლექსები, რომელთა შორის მაინც გამოირჩევა „წერილების გადაფრენა“.

კარგ პოეტს შეიძლება ჰქონდეს სუსტი ლექსებიც. მაგრამ აქ იგრძნობა ზოგიერთი სახიფათო ტენდენციაც, რომელსაც ახალგაზრდა პოეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ლექსში „მზე და ჩრდილი“, რომელიც კარგად, ბუნებრივად იწყება, შეინიშნება ზოგიერთი იოლი პოეტური ხერხით გატაცება. ეს არის უპირველეს ყოვლისა თავისებური სემანტიკური ფოკუსები:

> მე დასჯილი ვარ ამ დასვენებით,
> და უფრო მეტად მოუსვენრობით;
> მე დასჯილი ვარ შენი ღიმილით,
> და უფრო მეტად ეღიმილობით;
> მე დასჯილი ვარ ჩემი მოთმენით,
> და უფრო მეტად მოუთმენლობით...

აი ტრივიალური აფორისტიკის ნიმუშიც:

თუ სიყვარული ჭეშმარიტია
მეასეე იყოს —
არის პირველი.

სხვათაშორის, კრიტიკოსისათვის ხანდახან ძალზე ძნელია პოეტის დარწმუნება ასეთი ხერხების გაუმართლებლობაში, რადგან გარკვეული კატეგორიის მკითხველს სწორედ ასეთი იაფფასიანი სამკაულები მოწონს ლექსში და ზოგჯერ თავისი აღტაცებით შეიძლება პოეტი შეაცდინოს კიდეც.

სიტყვიერი ეფექტებით თვითმიზნური გატაცება იწყება იქ, სადაც პოეტს სინამდვილეში მნიშვნელოვანი არაფერი აქვს სათქმელი.

1963-64 წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ოთარ ჭილაძისათვის. მხედველობაში გვაქვს „ცისკარში", „მნათობში" და „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი მისი ხუთი ლირიკული პოემა.

დრო, ისტორიული სინამდვილე, საზოგადოებრივი ყოფა მწერლობაში აირეკლება არა მხოლოდ ობიექტური მოვლენების უშუალო ასახვით. ყოველ ისტორიულ ხანას გააჩნდა თავისი საკუთარი „აღსარება საუკუნის შვილისა".

ადამიანის ინტიმური სამყარო უცვლელი არ რჩება ყამთა მსვლელობაში. მას აქვს განვითარების საკუთარი კანონები, საკუთარი დიალექტიკა. ლირიკა არის ის სფერო სინამდვილის მხატვრული ათვისებისა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს ამ რთულ კავშირს ადამიანის სულიერ სამყაროსა და მის არსებობის რეალურ პირობებს შორის.

ოთარ ჭილაძე არ განეკუთვნება ისეთი პოეტების რიცხვს, რომლებიც ადვილად, პირველი გამოსვლისთანავე იმსახურებენ საყოველთაო აღიარებას. საერთოდ იგი უკომპრომისო გემოვნების პოეტია.

ბევრი რამ სადავოდ მიმაჩნია მის პოეზიაში. მაგალითად, მის ლექსს ხშირად აკლია სიმსუბუქე და გულითადობა.

ოთარ ჭილაძის ახალ პოემებში ამაოდ დავეწყვიტეთ ძებნას კლასიკურად ნატიფ პოეტურ სახეებს, გამოხატვის ჰარმონიულ, დახვეწილ ფორმას. ეს მაგალითად, მისი პოეტური აზროვნება ყოველთვის გამჭვირვალე არ არის, ან კლასიკური სიმეტრიების პრინციპებშ არ ეთანხმება, ეს სწორედ იმის გამო, რომ აღნიშნული თვისებები პრინციპიალურად მიუღებელია მისთვის; მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი შინაგანი დრამატიზმი მოითხოვს სწორედ იმ მანერას, იმ გარეგნულად „დისჰარმონიულ" ფორმას, რომლითაც ეს პოემები არის დაწერილი.

თავისი პოეტური სახეების ძერწვასა ო. ჭილაძე იშვიათად ხელმძღვანელობს გარეგნული სილამაზის, თვალის მაამებელ პლასტიკურობისა და ფერადოვნების პრინციპით. მისი სახეები ხშირად „არასრულყოფილი" რეალობიდან უშუალოდ არის აღებული. აქ გაბედულად არის შემოტანილი სინამდვილის შეულამაზებელი დეტალები, ყოფის „პროზაული მადანი". მაგრამ ყველაფერი ეს შთაგონების მაღალ ტემპერატურაზე არის გადადნობილი.

ოთარ ჭილაძე როგორც ლირიკოსი არ ჩამოყალიბებულა გავლენების გარეშე. მის ზოგიერთ უკანასკნელი დროის ნაწარმოებებშიც არის ასეთი ცალკეული სტრიქონები:

და საიდუმლო როგორც სერობა
ტრამვაის ხაზი წყდებოდა უცებ...

ასეთ სახეებს ოდნავ ნაძალადევი ლიტერატურული ელფერი დაჰკრავთ. მაგრამ მათ ადგილს სულ უფრო ხშირად იკავებს უშუალო, ღრმად განცდილი პოეტური ხილვები, რომელთა არსებით ნიშანს მკაცრი უბრალოება და აზრის სიზუსტე წარმოადგენს.

ოთარ ჭილაძის სტრიქონში ყოველთვის იგრძნობა პოეტის ძლიერი ვნება, სწორედ ამ თვისების გამო მის ლექსში მოულოდნელი სახეებიც კი დამაჯერებლად, ორგანულად ჟღერენ.

გურამ ასათიანი

ის, რაც სხვა ბუნების პოეტთან ხელოვნურად შეიძლება მოგვეჩვენოს, აქ გამართლებულია პოეტურად, რადგან განცდის უტყუარი სიწრფელით არის დამტკიცებული.

როგორც მისი თანატოლი პოეტების უმრავლესობა, ოთარ ჭილაძეც ცხოვრობს ჩვენი დროით. შემთხვევითი არ არის, რომ „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი ორივე პოემა „შესავალი“ და „ადამიანი გაზეთის სვეტში“ მიძღვნილია ჩვენი დროის უდიდესი, უპირველესი თემისადმი.

მშვიდობისათვის ბრძოლა დღეს არის ბრძოლა სიცოცხლისათვის, ადამიანისათვის, ჰუმანური იდეალების გადარჩენისათვის. ამიტომ იგი ასეთი სიმწვავით იჭრება და ასე ღრმად მოიცავს თანამედროვე პოეტის შეგნებას.

განსაკუთრებით მძაფრად ჟღერს ეს თემა „შესავალში“.

ამ პოემას აქვს თავისი ხარვეზები. მაგალითად, მისი დასაწყისი აშკარად გაჭიანურებულია. მე ვფიქრობ, რომ საერთოდ წმინდა ფორმალური, ვერსიფიკაციული ოსტატობის თვალსაზრისით ეს ნაწარმოები ერთგვარად ჩამოუვარდება კიდევაც ოთარ ჭილაძის ზოგიერთ ადრინდელ პოემას და ლექსს.

მაგრამ ის მთავარი, რაზედაც „შესავალ“ არის დაწერილი, რაც მასში არსებითია და რის გარშემოც აგებულია მთელი ეს პოეტური ნაწარმოები, მკითხველზე ნამდვილად დიდი ძალით მოქმედებს.

პოეტი გვიყვება ბავშვობაში აკვიატებულ სიზმარს, რომელიც მას ომის წლებში ესიზმრებოდა. იგი ყოველღამ ხედავდა უცნაურ საფლავს ზღვის ფსკერზე და როდესაც ბოლოს ახლოს მივიდა მასთან, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ზღვაში დაღუპული უცნობი ჯარისკაცის სამარე. მაგრამ ჯარისკაცი კი არ იწვა საფლავზე, არამედ, ფეხზე მდგარი, თავის საბრძოლო რკინის ქუდში პურს უფშვნიდა პატარა თევზებს.

ჯარისკაცს ეცვა მწვანე ხალათი
და კი არ იწვა სამარის ფსკერზე,
არამედ იდგა და მეზობლადში
პურის ნარჩენებს უფშვნიდა თევზებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება სთქვან, რომ ეს არის კოშმარი, რომ ეს არის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი.

შეიძლება და ალბათ ასეცაა, მაგრამ ეს არის სწორედ ისეთი კოშმარი, რომელიც მაშინ მთელი დედამიწის ბავშვებს ესიზმრებოდათ. ეს არის სწორედ იმ ფანტაზიის ნაყოფი, რომელიც ჩვენ ბავშვობაში მოგვიწყალა ყველაზე მძვინვარე და სასტიკი ომის სუნთქვამ.

და რაც მთავარია, პატარა ბავშვის ამ შემაძრწუნებელ სიზმარში არის რაღაც საოცრად ნათელი, საოცრად ბავშეური, საოცრად ადამიანური. აქ ეგრძნობა ის დაუძლეველი ძალა, რომლის წყალობითაც ადამიანები იმ საშინელი, ყველა მითოლოგიურ კოშმარებზე უფრო მახინჯი და შემზარავი ჯოჯოხეთის შემდეგ კიდევ არსებობენ, სიხარულით უყურებენ მზეს, კიდევ სჯერათ ერთმანეთის.

„შესავლის“ ენა უკიდურესად სადა და ნათელია. და ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან აქ პოეტი ლაპარაკობს ყველაზე უბრალო და ამავე დროს ყველაზე არსებით ამბებზე, რადგან არ შეიძლება სხვანაირად ითქვას ის, რასაც ვკითხულობთ, მაგალითად, პოემის ერთ-ერთ ფინალურ სტროფში:

დანაკარგს მალე ივსებს ბუნება,
მაგრამ უშვილოდ დარჩენილ დედას
ქარი სხვა ხმაზე ეიუარჩულება
და ჩრდილშიც სულ სხვა რაღაცას ხედავს.

„ზნათობის“ მე-12 ნომერში დაბეჭდილი პოემა „რკინის საწოლი“ გ. ტაბიძისადმი არის მიძღვნილი. აქ პოეტურად არის ჩამოყალიბებული თვით ავტორის შეხედულება შემოქმედზე, მის დანიშნულებაზე, მის დამოკიდებულებაზე თანამედროვე სინამდვილისადმი.

ოთარ ჭილაძის პოეტური ენა აქ საოცრად მძაფრია. მისი პოეტური ხილვები წარმოადგენენ უაღრესად დაძაბული, აღგზნებული მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს:

მაგრამ პოეტი მაინც ეძებდა
მარადიულობის კვალსა და მიზეზს
და როგორც ბავშვი მშიერ მხეცებთან
ფიქრებთან მარტო რჩებოდა ისევ.
მაინც ეტრფოდა პეპელა სანთელს,
მაინც ეძახდა სიკვდილი მოკვდავს,
და ქვესკნელიდან ამოსული დანტეს
შემკრთალი ხალხი სიმართლეს თხოვდა.
სიმართლე იყო მკაცრი და ბასრი
და ხალხს, რომელსაც ცოტა ესმოდა,
ძლივს გამოქონდა სიტყვიდან აზრი,
როგორც ძვირფასი კუბო ეზოდან.

ეს არის ნათქვამი საერთოდ პოეტზე, ყველა დროის ნამდვილ პოეტზე და ამის ასე თქმა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც თვითონ გაუვლია ასეთი ცეცხლი: შემოქმედების, დაფიქრების, შთაგონების მკაცრი სალხინებელი.

დასასრულს გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სამ პოეტურ ნაწარმოებს: ოთარ ჭილაძის, ჯანსუფ ჩარკვიანისა და ტარიელ ჭანტურიას სამ ახალ პოემას, რომლებიც უკვე წლეულს გამოქვეყნდა ჩვენს ლიტერატურულ პრესაში. მხედველობაში მაქვს „თაკო და ზაზა“, „მუქღვერი“ და „მიწის ძახილი“.

მხატვრული თვალსაზრისით ეს არის სამი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პოეტური ნაწარმოები.

ჯანსუფ ჩარკვიანის პოემაში განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოკვეთილი მისი მანერისათვის დამახასიათებელი თვისებები: პოეტური წარმოსახვის თავისებური ეკსპრესია, მძაფრი, ენერგიული სტილი. განსაკუთრებით ეს ეხება პოემის დასაწყისს:

მუქღვერ, მზე მიდის, მუქღვერ, დრო მიდის!
დაჯიმფლია მსხვილი თოკები...

ჯ. ჩარკვიანის ეს პოემა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი წარმოადგენს ხალხური პოეზიის სახეთა თავისებური გააზრების ცდას.

ტ. ჭანტურიას „მიწის ძახილი“ ახალი კუთხით გვიხსნის პოეტის შემოქმედებას. პოემის თემა ორიგინალური მხატვრული ხერხებით არის გადაწყვეტილი. ამ ნაწარმოებში ძირითადად დაძლეულია პოეტური სტილის ის სადავო ტენდენციებიც, რომლებიც „ლტოლვაში“ შეინიშნებოდა. უფრო სწორად, ის, რაც მანერულობის შთაბეჭდილებას ტოვებდა პირველ პოემაში, აქ მხატვრულად გამართლებულია და პოეტური სტილის ორგანულ თვისებად წარმოგვიდგება.

ასევე ორიგინალური პოემაა ოთარ ჭილაძის „თაკო და ზაზა“, დიდი გატაცებით, პოეტური თრთოლვით დაწერილი ლირიკული აღსარება. თვით პოეტის შემოქმედებაში (განსაკუთრებით მის უკანასკნელ პოემათა შორის) მხატვრული თვალსაზრისით, ამ ნაწარმოებს უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უკავია.

მაგრამ სამივე ამ პოემას აერთებს და ანათესავებს ერთი სულისკვეთება. ეს პოეტური ნაწარმოებები მკაფიოდ გამოხატავს თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი კაცის პატრიოტულ გრძნობასა და შეგნებას. ეს არის აშკარა საბუთი იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდების ლიტერატურამ არ დაკარგა ქართული მწერლობის ოდითგან გასულდგმულებული მაღალი პატრიოტული იდეალები.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე „მნათობისა“ და „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშძის, კარლო კალაძის, რევაზ მარგიანის, ხუტა ბერულავის და სხვა პოეტების ლექსებთან ერთად ქართველმა მკითხველმა წაიკითხა ჩვენი ლიტერატურული ახალთაობის წარმომადგენელთა ეს პატრიოტული ნაწარმოებებიც.

უკანასკნელ დროს ჩვენ ძალიან შეგვიყვარდა (და ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდებს) ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ზოგადაცაბრიული“, „ზოგადადამიანური“, „უნივერსალური“ და სხვ. წარმოიშვა ყალბი შეხედულება, თითქოს ნამდვილად მნიშვნელოვანი, მასშტაბური პოეტური ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ასეთ

განყენებულ თემებზე. საბედნიეროდ, ჩვენ ხელთა გვაქვს ეროვნული მოძღვრების უკვდავი საგალობელი, ნამდვილი „ქებათა-ქება“ ქართული პატრიოტიზმისა — XIX საუკუნის კლასიკური პოეტური მემკვიდრეობა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ ქართულ პოეზიას და, კერძოდ, ჩვენი პოეტების ახალთაობას აღარაფერი დარჩათ ამ მხრივ გასაკეთებელი.

სამშობლოს სიყვარული არის ჩვენი ჰუმანიზმის, ჩვენი მოქალაქეობრივი სინდისის, ჩვენი ვაჟკაცობის, ჩვენი გონიერების გამოხატულება.

ახალგაზრდა ქართველი პოეტების დიდ ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ქართველი კაცის იმ ახალი პატრიოტული სულისკვეთების გამოხატვა, რომელიც ყოველდღიურად ვლინდება ჩვენი დროის მოწინავე იდეალებისადმი თავდადებულ, რთულ, მაგრამ ნამდვილად კეთილშობილურ სამსახურში.

როგორც ვხედავთ, გასული წლები უნაყოფო არ ყოფილა ქართული პოეზიისათვის. ცხადია, ჩვენი შენიშვნები ძალზე არასრულად გამოხატავენ მრავალფეროვნებას, იმ ნამდვილად შინაარსიან, რთულ პროცესს, რომელიც მას ამ დროის მანძილზე ახასიათებდა.

ამ წერილის დასაწყისში ლაპარაკი იყო ე. წ. „კრიტიკულ დიალოგზე“. შეიძლება სთქვან, რომ ეს წერილი უფრო მეტად ჰგავს ერთდროულ სეანსს რამდენიმე დაფაზე.

როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევებში გამოცდილ ოსტატებსაც ერთ-ორ ყოფნით დრო საუკეთესო სელების მოსაფიქრებლად. ამის გამო ხშირია ყაიმები. ყაიმი კრიტიკოსისთვის წაგებას ნიშნავს.

ჩემი მიზანი იყო მკითხველის ყურადღება გამემახვილებინა იმ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც ჩვენს პოეზიაში მოხდა უკანასკნელ დროს. ამასთან ერთად თითო შენიშვნით მაინც გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ.

ჩვენი პოეზიის დღევანდელი დღე შესაძლებელს ხდის მის შესახებ დიდი ანგარიშით საუბარს. აქ შეიძლება ლაპარაკი ნამდვილი ოსტატობით აღბეჭდილ ნაწარმოებებზე, სერიოზული ძიების ნიშნებზე, მსატვრულ თავისებურებათა სიმდიდრეზე. განსაკუთრებით მისასალმებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მთელი რიგი პოეტების შემოქმედებამ უკანასკნელ დროს შეიძინა მეტი ადამიანური თრთოლვა, განცდისა და ფიქრის მეტი სიღრმე და სიწრფელე.

თანამედროვე პოეზიაში დღესაც ბევრი რამ არის სადავო, დასაძლეული, .გადასალახავი. მაგრამ ცხადია, რომ პოეზიის ძარღვი დღესაც ფეთქავს ჩვენში და რაც უფრო სასიხარულოა, მისი ახლანდელი ყოფა, მისი განვითარების უშუალო პერსპექტივები შესაძლებელს ხდიან, ახალი იმედებით შევხედოთ ქართული პოეზიის ხვალინდელ დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მერკვილაძე

მებრძოლი სულის უკვდავება

თანამედროვე ქართული რომანისტიკის ერთ მკვეთრად გამოვლენილ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ მისი შეუნელებელი ინტერესი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისადმი. იგი ბუნებრივად ექვემდებარება საერთოდ რომანის იმ საყოველთაო კანონზომიერ თავისებურებას, რომ ხატოვნად წარმოსახოს გარკვეული ეპოქის ადამიანთა ნამდვილი ცხოვრება მისი დიდი სიმართლით.

ამიტომაც ასე ფართოა ის პრობლემატიკა, რომელიც თანამედროვე ქართული რომანის რკალში ექცევა.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ სამამულო ომის დღეებისა და პატრიოტიზმის დიდი პრობლემების ასახვას ქართველი საბჭოთა რომანისტების ზოგიერთ ნაწარმოებში. ამ პრობლემათა ასახვა ბევრ თანამედროვე ქართულ რომანში იქცა ხალხის მებრძოლი სულის, მისი გმირობისა და სიმამაცის უკვდავების თავისებურ ღაღადისად.

მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც საეკუნოდ წარუშლელი კვალი დატოვა მრავალი ხალხის ცხოვრებაში და რომლის ხატოვან ასახვასაც მიეძღვნა მსოფლიო ლიტერატურის ბევრი შესანიშნავი ქმნილება, დღემდე რჩება ქართული რომანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად.

საბჭოთა ხალხების პატრიოტიზმი განსაკუთრებით ძლიერ გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში. პატრიოტიზმი იყო ამ ომში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და მან, ისევე როგორც სხვა ფაქტორებმა, მკაფიო ასახვა ჰპოვა საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, თანამედროვე საბჭოთა რომანში. პატრიოტიზმი მასში გამოჩნდა არა მარტო როგორც მხატვრული ასახვის საგანი, არამედ ამასთანავე როგორც უშუალო პოეტური განცდისა და გამოვლინების კატეგორია. ომის თემაზე დაწერილი რომანებისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივი გახდა მოქალაქეობრივი მაღალი სულისა და ხატოვანი ემოციურობის ურთიერთშერწყმა, როგორც განხატების მთლიანი პროცესი.

სამშობლოს დაცვის მოტივი ომის წლების მხატვრული ლიტერატურის ძირითად მოტივად იქცა. მაგრამ სამშობ-

ლოსათვის თავდადების მოტივი, რომელიც ასე გაძლიერდა ომის წლებში, ჩვენს ლიტერატურას თან ახლდა მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

სამშობლოს დაცვისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა განსაკუთრებულ და დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარული იმ სინამდვილისადმი, რაც მისი მონაწილეობით არის შექმნილი. მასში იგი ხედავს თავისი და ყველას არსებობის აზრს. ბედნიერების იმ მიზნის პერსპექტიულ და თანმიმდევრულ განხორციელებას, რომლისთვისაც ხალხს თავისი ძალა და ცოდნა შეუწირავს.

ამასთან, საბჭოთა ადამიანი — პატრიოტი — სამამულო ომის პერიოდის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში წარმოდგენილია, როგორც მებრძოლი და როგორც მშენებელი. ბრძოლისა და შრომის პათოსის გრანდიოზული სინთეზი ბადებს ხალხის მებრძოლი სულის უკვდავებას.

უკვდავების მოტივი მკვიდრად შემოვიდა სამამულო ომის დროის თუ უფრო გვიანდელ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. პატრიოტი, რომელიც ხალხის სახელით სიცოცხლეს სწირავს მტერზე გამარჯვებას, უკვდავყოფს თავის სახელს.

გმირობა გამოხატავს ხალხის მაღალ სულიერსა და ფიზიკურ მშვენებას, ადამიანის ფუძემიე შემართებას ახლის ქიბისათვის, ადამიანის ტრიუმფს მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში;

გმირობა ადამიანის სულის აუცილებელი მოთხოვნილებაა, მაგრამ იგი იბადება და ცოცხლობს მხოლოდ იქ, სადაც ღვივის შრომისა და ბრძოლის პათოსი;

გმირული სულის აღორძინება განსაკუთრებით ჩვენი ახალი ეპოქის დამსახურებაა, რადგან სოციალისტური ყოფა იძლევა პიროვნებისა და კოლექტივის უნარის, მათი დიდი ძალის მაქსიმალური გამოვლინება-გაშლის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.

ხალხის სპორუპოვარი გმირობა, რომლის მაღალმხატვრულ ასახვას მიეძღვნა ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ქართულ რომანში წარმოდგენილია გამარჯვების აუცილებელ პირობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რომანის პათოსი ამ მხრივ გაცილებით მაღალია. მასში ახალ განვითარებას პოულობს ოპტიმიზმის, რწმენის ის შესანიშნავი ტენდენცია, რომელიც ასე მძაფრად იყო გამოვლენილი რევოლუციასა და სამოქალაქო ომზე დაწერილ პირველ საუკეთესო საბჭოთა რომანებში.

ომის თემაზე ბევრი კარგი რომანი დაიწერა საზღვარგარეთაც. მაგრამ ბევრ მათგანში ძირითადად აღქმულია მხოლოდ ომის საშინელებანი, კაცობრიობის ბედი დანახულია ადამიანის ვიწრო-პირადული ტრაგედიის ასპექტით (ჩვენ აღარას ვამბობთ დეკადენტურ-ამორფული „რომანების“ წყებაზე, რომლებიც პიროვნების „დაშლის“ ქადაგებაა!).

ბევრი საზღვარგარეთული, ომის თემაზე დაწერილი რომანის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თანამედროვე ეგზისტენციალიზმის მოძღვრება; განსაკუთრებით მისი ის ტენდენცია, რომ უარყოს ისტორიული განვითარების ობიექტური კანონები, დაინახოს და აღიაროს ადამიანის შინაგანი მარტოობა და „შიში სიკვდილისადმი“, დაამკვიდროს ბედისწერის ფატალური გარდუვალობა.

რასაკვირველია, ამგვარი შემეცნება ნაწილობრივ მაინც აღძრავს გმობის ერთგვარ განწყობილებებს. მაგრამ სულ სხვაა გმირის სულის აქტიური საწყისის გამძაფრება, ხილვა პერსპექტივისა, ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების შეგნება, მისი აზრებისა და განცდების ოპტიმისტური აღქმა, რაც ასე ნიშანდობლივია ომის თემაზე შექმნილ საუკეთესო საბჭოთა რომანებში და ასევე საზღვარგარეთის პროგრესულად მოაზროვნე მთელი რიგი მხატვრების შემოქმედებაში (მრავალთაგან აქ უნდა დავასახელოთ ეკზიუპერის რომანი „სამხეერი მფრინავი“, რომელმაც ყურადღება მიიქცია აზრის განსაკუთრებული დაძაბულობით და რომელშიაც ადამიანის რთული განცდები ემყარება მის მაღალ კეთილშობილურ აზრებს, საკუ-

თარი მოვალეობის შეცნობის გრძნობასა და ოპტიმიზმს).

ასეთი რომანები წარმოადგენენ, როგორც სტენდალი იტყოდა, ცხოვრების თავისებურ დიდ „სარკეს, გამოტანილს ფართო გზაზე“. ეს მაშინ, როდესაც ინდივიდუმთა პირადული, მიკროსამყაროსადმი მიძღვნილი ნაწარმოებები მოკლებული არიან ფართო სოციალურ ყურადღებას და ხატოვანი განზოგადოების ძალას. მათში დავიწყებულია განზოგადოების ის აუცილებელი კრიტერიუმი, რომ მოვლენის კანონზომიერება, მისი სიცოცხლისუნარიანობა ნათელყოფილია მისი ძლიერი გავრცელებით, საყოველთაო ან ფართო სახალხო ხასიათით; რომ ცალკე მოვლენის მთავარ არსს, როგორც წესი, დაგვანახებს ის, რაც ყველაზე მეტად გავრცელებულს ხასიათს იღებს ამ მოვლენაში.

ამა თუ იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური სინამდვილის უარყოფას, რასაც ბევრ თანამედროვე საზღვარგარეთულ რომაწში ვხვდებით, მართალია, თავისი დადებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოველგვარი უარყოფა რიდი განაწყობს ადამიანებს აქტიური მოქმებისათვის. თუ ამ უარყოფის მიღმა არ ჩანს გარკვეული იდეალი, იგი ფუჭია. „ყოველი უარყოფა, — მიუთითებდა ბელინსკი, — ცოცხალი და პოეტური რომ იყოს, იგი იდეალის გულისათვის უნდა ხდებოდეს“.

ომის თემაზე დაწერილი ქართული რომანების მთავარი პათოსი არის მტერთან სასტიკ შეჯახებაში ჩვენი ხალხის აქტიური მონაწილეობის ჩვენება. მათში გადმოცემულია ქვეყნის, ხალხის მიერ განცდილ-გადატანილი დიდი უბედურება, სასტიკი ომის მიერ დატოვებული ღრმა ანაბეჭდი ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ომისა, რომელმაც მოიცვა ჩვენი ხალხის მთელი ცხოვრება, სამშობლოს ყველა კუთხე, ყველა ოჯახი.

ორმოციანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ქართულ რომაწში ამ თემის მხატვრული გადაწყვეტა ორ ძირითად ასპექტს ემყარება: ა) აჩვენოს ქართველი ადამიანის უშუალო მონაწილეობა წმ-ქართველოს დაშორებულ ადგილებსა თუ მის ახლო მისადგომებზე გამართულ სასტიკ ბრძოლებში; ბ) გახსნას, აღიქვას მთელი სირთულე ზურგში დარჩენილი ადამიანების მძიმე ხვედრისა.

პირველი ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერად გამოვლინდა ისეთ რომანებში, როგორიცაა ლ. ქიაჩელის „მთის კაცი“, დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, ა. ბელიაშვილის „უღელტეხილი“ და სხვ. და ამან ომის ხილვის ასპექტის ერთგვარად ძლიერი ტრადიციული ხაზი შექმნა კიდეც.

ძირითადი ამ ასპექტში არის ფრონტის ამბების აღწერა, ბრძოლების უშუალო მონაწილე ადამიანის ჩვენება მისი მამაცური სულით, მაღალი რწმენითა და უკვდავებით.

აღნიშნულ რომანებში მოქმედებენ ზურგში მცხოვრები ადამიანებიც, დახატული მკაფიო ფერებით, მაგრამ ხილვის ფოკუსში აქ, ძირითადად, მაინც ფრონტი ექცევა და თემისათვის შუქმიფენაც აქედან ხდება.

ერთგვარად სხვაა შედარებით გვიან შექმნილი რომანების მხატვრული ხილვის ასპექტი. რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ო. იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ და სხვ. ჰქმნიან მეორე ხაზს, ხსნიან ზურგში დარჩენილი ადამიანების სულიერ სამყაროს. ომის სუნთქვა, სისასტიკე და ყოვლისმომცველი ხასიათი აქ დანახულია სწორედ ამ ადამიანთა მძიმე მდგომარეობის, მათი რთული განცდების შუქზე.

ორივე ასპექტისათვის დამახასიათებელია მთელი იმ სიმძიმის ხილვა, რომლის გადატანაც ამ ომში, სხვა ხალხებთან ერთად, მოუხდა ქართველ ხალხსაც.

ამ ნაწარმოებთა პათოსი ერთია: მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფილა, ომმა მაინც წარუშალელი დალი დაასვა მთელ მის ცხოვრებას. ყველა ოჯახში, თითქმის ყველა ადამიანის სულში მან დატოვა შეუხორცებელი იარა.

მეორე მსოფლიო ომმა წაშალა საზღვრები ფრონტსა და ზურგს შორის; ენერგიისა და გონების ერთნაირი დაძაბვა მოსთხოვა როგორც ლევან ნადიბაიძეს და ასტამურ მატახერიას, ისე ვახტანგ კორინთელს; ერთნაირად დაატეხა უბედურება თავს როგორც ბათუ ქარდუას, ისე ძნელი ცხოვრებისათვის ნაადრევად მომწიფებულ გოგიტასა და სოსოიას.

„მთის კაცით“ ლეო ქიაჩელმა ძირითადად გაგრძელა მისი რომანების — „ტარიელ გოლუას“, „სისხლის“, „გვადი ბიგვას“ რეალისტური ხაზი. აღნიშნულ რომანებში ასახვა ჰპოვა ქართველი ხალხის ცხოვრებამ მისი განვითარების თვალსაჩინო ისტორიულ ეტაპებზე.

მართალია, „მთის კაცის“ გმირები უკვე სხვა ისტორიული ვითარების ადამიანებს წარმოადგენენ, ისევე როგორც თავის მხრივ „გვადის“ პერსონაჟები — „გოლუასა“ და „სისხლის“ გმირებთან შედარებით, მაგრამ ყველა ისინი ერთი მაგისტრალური ხაზის ადამიანები არიან. ის, რასაც ეწირება „ტარიელ გოლუას“ და „სისხლის“ გმირთა მთელი სიცოცხლე, თავის ბუნებრივ დაგვირგვინებას პოულობს ოცდაათიან წლებში ახალი ყოფის გამარჯვებით, ახალი ფსიქოლოგიის ადამიანთა დამკვიდრებით, რაც „გვადი ბიგვას“ მთავარ პათოსს შეადგენს. „მთის კაცში“ კი ოცდაათიანი წლების გმირი-მშენებელი ორმოციანი წლების რთულ სამხედრო ვითარებაში ექცევა და მისი შემართების პათოსიც ახალ ვითარებას ექვემდებარება.

მაგრამ ეს თავდადების, ბრძოლის თუ შრომის იგივე ხაზის გაგრძელებაა, ადამიანის სულიერ სამყაროში განუწყვეტელი ცვლილებებისა და გარდაქმნების, იგივე პროცესის ახალი განვითარება. თუ ოცდაათიან წლებში გერა, გიორგი, ნაია და სხვები ამყარებდნენ თვისობრივად ახალ ურთიერთობებს, ახლა — ორმოციან წლებში მათ უნდა დაიცვან იგი, რაც ძალის უდიდესი დაძაბვით შეუქმნიათ. ეს დაცვა ამავე დროს არის კვლავ განვითარების, კვლავ დამკვიდრების, ახალი თვისობრივი ცვლილებების პროცესიც.

აქ უსათუოდ იქცევს ყურადღებას ტარიელ გოლუასა და ბათუ ქარდუას სახეთა ერთგვარი ნათესაობაც, მათი ინდივიდუალური ტიპიური ნიშანთვისებურებების დიდი მსგავსება. მაგრამ, ცხადია, ეს ხატოვანი სახის განმეორება არ არის. აქ ფიგურის მონუმენტური ხატვის ნაცნობი ხერხი ახლებურად არის გამოყენებული.

„მთის კაცში“ ლეო ქიაჩელმა ერთერთმა პირველთაგანმა ქართულ ლიტერატურაში ოსტატურად წარმოქმნა და გაიაზრა უკანასკნელი დიდი ომის ტოტალური ხასიათი, ის ისტორიული სიმართლე, რომ ამ ომის ხანძრისათვის არ არსებობდა საზღვრები; იგი ბობოქრობდა მეომარი ქვეყნების ყველა კუთხეში და თავდაყირა დააყენა ძველი ცნებები ფრონტისა და ზურგისა. ეს იყო ომი არა მარტო სამხედრო იარაღით აღჭურვილი არმიებისა, არამედ მთელი ხალხებისა.

„არ დარჩენილიყო სოფელი, რომლის გალებულ წვლილს — სისხლით, ოფლით თუ დოვლათით — თავდაცვის საქმე არ განემტკიცებინა და სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობისათვის ძალა არ შეემატებინა“, — ამბობს ერთ ადგილას რომანის ავტორი. მის რომანს მნიშვნელოვანწილად გამსჭვალავს სწორედ ეს აზრი.

ომს ეწირება მთის პატარა სოფლის დოვლათი და მისი მაღალი სულის ადამიანებიც — ბათუ ქარდუა და მანუჩა მწყემსი; ომი ულმობლად სპობს იულონ გარსიას მთელს ოჯახს; მას თან მიაქვს სიყვარულითა და სიცოცხლით

სავსე ლიას და თემურის სიცოცხლე, ისევე როგორც ბევრი სხვა ადამიანისა.

რომანის მთავარი გმირის ბათუ ქარდუას სახეში მხატვარი ახორციელებს ხალხის ტიპიური ნიშნების კონცენტრირებულ აღქმას. მრავალი წლის გამოცდილებას დამყარებული მისი სიბრძნე და სიდინჯე, მშრომელი კაცის მახვილი ვონება, მშობლიური მიწის სიყვარული, მშობელისა და მეგობრის დიდი გული, უშიშარობა და თავგანწირვა — ყველა ეს თვისება მას აქცევს ხალხის სულის გამომხატველ მონუმენტურ ფიგურად.

თავისი რომანის გმირს მწერალი მრავალი სიტუაციის მონაწილედ წარმოსახავს. რომანის ექსპოზიციურ ნაწილში მოხაზული ადრინდელი წლებით დაწყებული უკანასკნელ ჩუმ და ფრთხილ ამოოხვრამდე, მთის კაცი გაიელის გრძელსა და რთულ გზას. ამ გზაზე მოსჩანან ლაკადელი დაობლებული ღარიბი მწყემსის შორეული ქოხიც და სოფს სახელმოხვეჭილი მონადირის მგლური ნაბიჯებიც, — აჭაჭარის ეულელტეხილზე მოსიარულე ახალგაზრდა მწყემსიც და სოფს კოლმეურნეობის ერთ-ერთი თავკაციც, უცნობი ბილიკების მესაიდუმლეც და თავის შვილთან ქვეყნის ამბებზე მოსაუბრე მოხუციც; ბუმისთის ქარაფებს დაკიდებული მხედარიც და გერმანელთა ტყვეობიდან გამოქცეული უშიშარი ადამიანიც; გაუვალ ადგილებში საბჭოთა ნაწილების მეგზურიც და უკანასკნელ ბრძოლაში წაქცეული დეგვმირიც, ვისაც მკერდზე მიჰკვრია გაცივებული სარძლო და ვინი ოდნავ მფეთქავი ცნობიერება უკანასკნელად ებაასება შორეული ფრონტიდან წარმოსახვით მოახლოებულ გმირ შვილს.

შესანიშნავი წარსულის მქონე და უტეხი ნების კაცი კირილე გორაკოვი, სოფლის რჩეული მაცი ზურუბაია, პარტიული მუშაკი ბუბუტ აშბა, დიდი სულის ადამიანი მანუჩა მწყემსი, რომლის გარეგნობასთან ასე კონტრასტულად დაპირისპირებულ შინაგან სულიერ მშვენიერებას დაუმარცხებია ფიზიკური სიმახინჯე, შვილების ბედნიერებით გაჩარებული იულონ გარსია, კდემამოსილი მაკინე და რუსუდანი, ახალი ყოფის ჰირმშონი: ჯოტო, ლია, თემური, ბატაჯრეჯიბი, თადე — ასეთია მთის კაცის გარემოცვალი წრე.

ამ გარემოცვაში ტრიალებს მისი გმირული სული, რომელიც მას ყოველთვის აძლევს ამტანობისა და შემართების უქრობ ძალას: მაშინაც, როდესაც მეხად დაატყდება თავს ომის დაწყების ამბავი ან მოულოდნელად წინ შეეჩეხება მტერს; მაშინაც, როდესაც გაოცებული მისჩერებია ნაძვის ტოტზე ჩამოკიდებულ მანუჩას გვამს ან თავს აღწევს მოღალატე სამსონის ტყვეობას და მაშინაც, როდესაც შემოჭრილი მტრის ზურგში საიდუმლო ბილიკებით შეიყვანს საბჭოთა ჯარის ნაწილებს და თვითონაც უშუალოდ ჩაებმება ბრძოლაში.

მეტად სიმბოლურია რომანის ბოლო თავის მთელი ის რომანტიკული სურათი, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ბათუ ქარდუა ებაასება წარმოსახვაში მოახლებულ საამაყო შვილს—სამამული ომის გმირს ჯოტოს. ეს არის თაობათა ბულია და გულთბილი სუბარი, დიდი შინაარსითა და განსაკუთრებული უშუალობით გამსჭვალული. და იგი როგორღაც უპირისპირდება „მამა-შვილთა“ ტრადიციულ, ძალიან ხშირად განგებ გაზვიადებულ „წინააღმდეგობათა“ ტენდენციებს.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მოუხმობს სულთმობრძავი მამა თავის შვილს და მას ეჩვენება, რომ სულ მაღლა მართლაც მოფრინავს დიდების შარავანდედით მოსილი შვილის თვითმფრინავი; იგი ცეცხლისმფრქვევი სამფეხა რაშივით ეშვება ძირს. აი, მოდის დაჭრილ მამასთან შვილი, რომელიც საკუთარ ორეულად ელანდება მთის კაცს. „გავიგონე შენი ძახილი, მამა, და აჰა, მოველი“, — ეუბნება იგი ბათუს. საშველად მოსული პირმშოს ხილვით გახარებული ბედნიერი მთის კაცი ლიას გადარჩენას, მაცი ზურუბაიას შვე-

---

გიორგი მერკვილაძე

ლას, მტრის ტყვეებისაგან დაცხრილულთა დახსნას სთხოვს შვილს, მანუჩას ღირსეულად დაკრძალვას, მტრების შემუსვრას ავალებს მას. გმირი შვილი მზად არის შეასრულოს მოთხოვნა მამისა, ვისი სიტყვებითაც გაცხადებულია მშობელი ხალხის დავალება.

ამგვარად მიდის ამ ცხოვრებიდან ვალმოხდილი მამა და ასე ენაცვლება მას გმირი შვილი, რომელმაც უნდა გაგრძელოს დიდი საქმე, დაიკავოს თავისი მშობლის საპატიო ადგილი.

„მთის კაცი“ ომში გამოვლენილი სახალხო გმირობის თავისებური ღაღადისია. ამავე დროს, თავისი ბუნებით იგი მიმართულია ომის წინააღმდეგ. მეტად მნიშვნელოვანია ბათუ ქარდუას უბრალო სიტყვები: „ნუთუ განათლებულ კაცობრიობას იმის ძალა არ შესწევს... რომ ომი არ იქნას?“

„მთის კაცში“ ლ. ქიაჩელმა გამოიყენა რომანტიკული ხილვის მანერა. ამ მხრივ მან „ტარიელ გოლუას“ ხაზი გააგრძელა, სადაც მოვლენების რეალისტურ-რომანტიკული დანახვა მას საშუალებას აძლევდა უფრო მონუმენტურად წარმოექმნა ცხოვრებისეული სიმართლე მისი შინაარსითა და ტენდენციით. თავის უკანასკნელ რომანში მან კვლავ მიმართა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სახეების ხატვის ხერხს და ძირითადად მისი საშუალებით შექმნა ფსიქოლოგიზმის თავისებური გაღრმავებისა და დრამატიზმის გამძაფრების ხაზი.

ეს მანერა ლ. ქიაჩელს ყოველთვის უწყობდა ხელს (მკვეთრად ვლინდება იგი მის ნოველებშიც — „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“, „ჰაკი ანბა“ და სხვ.) მეტი დრამატიზმით, მეტი შინაგანი სირთულით განვმსჭვალა მოვლენები, რომელთა არსის გახსნას ემსახურებიან მისი რელიეფურად გამოკვეთილი მხატვრული სახეები. სხვათა შორის, დიდრო აუცილებლად მიიჩნევდა მდგომარეობის ასეთს დრამატულსა და რთულ განხატოვნებას სწორედ ხასიათების საშუალებით: „ხასიათები შექმნილია კარგად, თუ მდგომარეობა მათი საშუალებით უფრო რთული და დრამატიული ხდებაო“, — აღნიშნავდა იგი.

მაგრამ „მთის კაცში“ ლ. ქიაჩელმა ასეთი ხასიათების ძიების პროცესში შეცდომაც დაუშვა. ამ შეცდომამ თავისი გამოხატულება ჰპოვა „სრულყოფილი“, „იდეალური“ გმირის, რაღაც ახალი რანგის „წმინდანების“ ძიების ერთგვარად მკაფიოდ გამოვლენილი ტენდენციით.

ამიტომაც რომანში არა მარტო მისი მთავარი გმირი, არამედ ბევრი სხვა პერსონაჟიც ხშირად შორდება ცხოვრების რეალური საყრდენს.

ჩვენ გვესმის რომანისტის მისწრაფება — დახატოს მაღალი იდეალის, რწმენისა და მისწრაფების ადამიანები, მაგრამ ისინი სინამდვილეში უფრო რთულნი და მრავალმხრივნი არიან. მათი მაღალი პრინციპულობა თუ რწმენა, როგორც წესი, აბსოლუტურად რიდი გამორიცხავს ნაკლს თუ შეცდომებს მათს მოქმედებაში.

ხასიათს უნდა ჰქონდეს შინაგანი დინამიკა, როგორც ცხოვრების ცვალებადი პირობების ანარეკლი; ეს დინამიკა ხასიათის შინაგან ლოგიკურ სიმართლეს უნდა ეყრდნობოდეს. ტიპი ყოველთვის თვით უშუალოდ ცხოვრებიდან უნდა ავიღოთ, ამ ცხოვრებაშივე ვამოქმედოთ, როგორც მისი ბუნებრივი მონაწილე, მისი გარდაქმნელი, მაგრამ ამავე დროს ძირითადად მის გავლენას დაქვემდებარებული ადამიანი.

ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის დროზე მიუთითა აგრეთვე „მთის კაცის“ ისეთ სერიოზულ ნაკლზე, როგორიცაა პარტიული ორგანიზაციების როლის სუსტი ჩვენება სამამული ომის დღეებში, ცალკეულ პასაჟთა ნაძალადევობა და ნაკლები დამაჯერებლობა, სიუჟეტის გადატვირთვა „დამამუხრუჭებელი“ დეტალებით და ა. შ.

რომანის მთავარი ნაკლი მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი შექმნის პერიოდის ვითარებამაც, რაც ხელს უშლიდა მხატვარს უფრო რეალისტურად გაეაზრებინა როგორც რომანის ტიპები, ასევე ომის პირველი წლების მდგომა-

რეობა და ჩვენი დროითი წარუმატებლობის მიზეზები.

ომის თემამ, სამამულო ომში თავდადებისა და გმირობის ფაქტმა თავისებური ასახვა ჰპოვა დემნა შენგელაიას რომაწში „წითელი ყაყაჩო“. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მათ შორის, რაც კი სამამულო ომის თემაზე დაიწერა საქართველოში.

რომანის დასაწყისში მწერალი ორიგინალურად იყენებს პირდაპირი ექსპოზიციის ხერხს. მას გადაყვავრთ უშუალო მოქმედებაში, ხოლო შემდეგ უკან იხვეს, რომ ამბავის ისტორიას ფეხდაფეხ მიჰყვეს.

ჩვენ ვეცნობით პროფესორ სოლომონ დარაშელიძის ოჯახს, მის შვილებს არჩილსა და მაიკოს, მათს მეგობარს ბეჟან დავლაძეს და თბილისში მშვიდობის პერიოდის მეცნიერულ-შემოქმედებითი შრომის გარემოკცას.

იწყება ომი და ფრონტი მოითხოვს ყველაფერს. საბრძოლოდ მიეშურებიან მეგობრებიც — არჩილი და ბეჟანი.

ფრონტზე ისინი ეცნობიან და უახლოვდებიან სამშობლოსათვის თავდადებულ პატრიოტებს, მათსავით მგზნებარე მებრძოლებს, რომელთაგან რომანისტს განსაკუთრებით გამოუკვეთია არმიელი სამსონა ბახტურიძე, ოფიცერი ასტამურ მატახერია, მედიცინის და მაშა. თვითეულ მათგანში განსახიერებულია გარკვეული წრის ადამიანთა მთელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებით თუ სირთულით. ამავე დროს ყველა ისინი, ერთად აღებულნი, წარმოადგენენ სამშობლოსათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანების უდიდესი სიმამაცის სიმბოლურ გამოხატულებას.

აი, ისინიც: სამსონა ბახტურიძე, რიგითი მებრძოლი, ცხოვრების თავისი დიდი გამოცდილებით და ურყევი რწმენით; ასტამურ მატახერია, რომლის სულშიც ერთმანეთს შეერთებია სიცოცხლისა და სიყვარულის, სიმამაცისა და თავგანწირვის საწყისები, რომელთაც შეუქმნიათ ერთი მკვეთრად გამოვლენილი და ჩამოყალიბებული ხასიათი; არჩილ დარაშელიძე, რომელიც ასე რომანტიკულად გატაცებულია ცხოვრების, სიცოცხლის სიყვარულით და გმირულად ეწირება სამშობლოს, ხალხს; მუდამ მოუსვენარი და მოსიყვარულე მაშა, რომელსაც ყოველთვის სჯერა სიცოცხლის ძალა და რომელსაც გადარჩენას უნდა უმადლოდეს ბევრი მებრძოლი. მატახერიას უმწიკვლო სიყვარული მისადმი უდიდეს განსაცდელში მოქცეულ ადამიანთა გულწრფელი ურთიერთობის მეტად მკაფიო სიმბოლოა.

ომს იგებენ მამაცი და თავისი საქმის სამართლიანობაში დარწმუნებული ადამიანები. რასაკვირველია, ბევრი მათგანი ეწირება გამარჯვებას. იღუპება მატახერიაც ისევე, როგორც მრავალი მისი თანამებრძოლი. მაგრამ მათ მოიპოვეს უკვდავება, გადაარჩინეს სამშობლო, დაუბრუნეს სიხარული ადამიანებს. გავიხსენოთ, როგორ უყვება რომანის გმირი მაშენკა ჰოსპიტალში მწოლიარე დავლაძესა და პოლიპენკოს შეხვედრას გაზაფხულთან:

„— ორი დღეა, რაც დათბა! კვირტებს ყლორტებში თავი გამოუყვიათ! ერთ მათგანს ხელი მოვკიდე, ქორფა იყო, სველი და ოდნავ ნებიერი. გამიხარდა, გამეცინა, თვითონაც არ ვიცი რად გამეცინა. ირგვლივ სიჩუმე იყო. მხოლოდ ხეები ჭრაჭუნობდნენ. ასე მეგონა, გაზაფხულის წვენი ხეს შიგნიდან აწვებოდა და ის აჭრაჭუნებდა. სადღაც წვრილიანში თურმე რაღაც ფრინველი თვლემდა. ჩემმა ხმაურმა თუ დაადგა-თხო? ფრთების ფათქუნით ისე ერთბაშად და ისე ტლანქად აფრინდა, რომ გული გადამიტრიალდა. ჩემ თავზე მევე გამეცინა. ვიცინოდი, თან თოვლში მივაბიჯებდი. თვითონაც არ ვიცი, სად მივდიოდი... ვხედავ — თოვლში ენძელას თავი ამოუყვია. აა, შე ეშმაკო, შე გაზაფხულის მაუწყებელო, სალამი-მეთქი, აქ რა გინდა-მეთქი? ის კი, თითქოს

ვინა გდიხარო, სანთელივით თავისთვის ენთო“.

ჩვენ ამ პასაჟში დავინახეთ სხვა რამეც. მასში სიმბოლურად შესანიშნავად არის გადმოცემული ხალხის დიდი გაზაფხულის — მოსალოდნელი გამარჯვების — განწყობილება და, ამასთან ისიც, თუ როგორ უბრუნდება სინაზე ომით გაუხეშებულ სულს.

თვით ყაყაჩოს ალეგორიულ სახედ წარმოქმნაც თავისებური ოსტატური ხერხია. წითელ ყაყაჩოს ეძახის არჩილი თავის დას მაიკოს. ყაყაჩოდ მოუნათლავს მაშინკაც მის პირველ სიყვარულს (სიკვდილის წინ პარტიზანი ვასია, აბრეშუმის საკაბეს რომ აჩუქებს მას, „გაზაფხულზე ჩაიცვი, ყაყაჩოსავით აყვავდიო“, — ეუბნება). ყაყაჩო აგონდება სიკვდილის წინ არჩილ დარაშელიასაც. და ბოლოს, ომიდან დაბრუნებულ ბეჟან დავლაძესაც ხომ ამ სახით წაროოუდგება არჩილის და მაიკო!

რომანში ჩვენი ხალხები წარმოდგენილია როგორც ერთიანი ოჯახი, რომელიც ურღვევი ძალით შეუკავშირებია მეგობრობას და განსაცდელს, ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულს. მათი ძალა წარმართულია ერთი მიზნისაკენ. ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები ურყევნი არიან.

„წითელმა ყაყაჩომ“ აზრთა თვალსაჩინო სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც საერთოდ დამახასიათებელია დ. შენგელაიას შემოქმედების შეფასებისას. ბევრი სამართლიანი შენიშვნაც გამოითქვა.

მართლაც, რომანში ბევრი სიტუაცია არაბუნებრივია, არატიპიური. ტენდენცია ალაგ-ალაგ ისე შიშვლად არის გამოცემული, რომ სავსებით ჰკარგავს დამაჯერებლობას. მხატვრული პირობითობა აქ ზოგჯერ რეალურის მიღმა რჩება.

რასაკვირველია, პირობითობა, ე. წ. „შემთხვევითობა“ ყოველთვის დასაშვებია მხატვრულ ნაწარმოებში, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: მკითხველი მას უნდა აღიქვამდეს, როგორც ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენის, ფენომენის განულ კომპონენტს. ლოგიკურ ფუნქციას მოკლებული, ნაკლებად დამაჯერებელი პირობითობა საერთოდ გავრცელებული ნაკლია ომის თემაზე შექმნილი ბევრი ნაწარმოებისა. ავიღოთ, მაგალითად, ა. ბელიაშვილის „უფელტეხილი“, რომელშიც მწერალი შეეცადა ეჩვენებინა სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავგანწირვის პათოსის განსაკუთრებული ძალა.

სამამულო ომის თავისებურება — ერთნაირი დაძაბული შემართება როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში — ამ რომანის ძირითად მოტივს შეადგენს. ცხადია, მასში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც ჩინებულად არის გახსნილი ჭეშმარიტი ბუნება ამა თუ იმ მოვლენისა, ფაქტისა; ცალკეული სცენები თუ პასაჟები (ვარდენ ღუღუნაშვილის დაღუპვა ფრონტზე და მისი ანდერძის შესრულება დავით ბექაიას მიერ, ბექაიას დაბრუნება ახალშენში და ა. შ.) მეტად ოსტატურად არის გააზრებული; რომანის დადებითი გმირების (დავითი, თომა, ნადია და სხვ.) მოქმედებით გახსნილია საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებები საერთოდ. მაგრამ რომანი მთლიანად ვერ არის მხატვრულად შეკრული ნაწარმოები და მისი იდეური კონცეფცია თავიდან ბოლომდე სათანადოდ გამართული რიდია.

რომანის მთავარი გმირი დავით ბექაია მწერალმა მოაქცია განგებ გართულებულ შინაგან წინააღმდეგობათა რკალში; ეგონა ამით „სრულყოფილ“ ტიპს შექმნიდა მისი „დადებითი“ და „უარყოფითი“ საწყისებით. ფაქტიურად კი ნასიათის ამკვარ გართულებას შედეგად მოჰყვა გმირის არაკონცენტრირებული ძალით გამოხატვა.

გარდა ამისა, რომაწში დისონანსი შეაქვს იმასაც, რომ ზურგის მანკიერ ადამიანთა მხილების პათოსი აქ გადაჯარბებამდე მივიდა. როცა ამ მანკიერებებს ამხელდა მწერალი, ნაწილობრივ, ცხოვრების ცალმხრივი შემეცნების გზით წავიდა.

ზურგის ცხოვრებაში მისი ყურადღება უფრო მეტად მიიპყრო უარყოფითმა მოვლენებმა, ხოლო დადებითი მოვლენები შედარებით ფერმკრთალი და უსიცოცხლო გამოვიდა. ამან მნიშვნელოვნად გაანელა დადებითის მთელი ის პათოსი, რომლის ასახვაც რომანისტმა სცადა ფრონტზე თუ ზურგში მყოფ ადამიანთა თავდადების ჩვენებით.

როგორც ცნობილია, უშუალო შთაბეჭდილება, რაც ცხოვრებისადმი დაკვირვების, ცხოვრების დანახვის შედეგია, მხატვრულად ათვისებულ უნდა იქნას გარკვეული მსოფლმხედველობით. იგი გაზრებული უნდა იყოს ნათლად წარმოდგენილი იდეების თვალსაზრისით და ამგვარად განზოგადებული. აქ აუცილებელია ფაქტების ლოგიკური შესატყვისობა ხასიათთან. „თუ ფაქტები არ შეესაბამებიან ხასიათის ლოგიკას, ისინი გაბედულად უნდა უკუაგდოთ“.

ა. ბელიაშვილი ბევრ შემთხვევაში არღვევს ფაქტების შერჩევის ამ პრინციპს. ამიტომაც „ულელტეხილში“ მისი მისწრაფება — ასახოს ზურგის ცხოვრება და გაბედულად გამოვიდეს მანკიერების, ნაძირალების წინააღმდეგ — ლოგიკურად ვერ არის გამართლებული.

პოლემიკური ტონი, რომელიც ოტია იოსელიანმა თავიდანვე აიღო „ეარსკვლავთცვენაში“, ახალი, უფრო მკვეთრი გაგრძელებაა ომისშემდგომი ქართული რომანის საერთო ხაზისა — აღიქვას 1941—45 წლების ომის ის განსაკუთრებული სიმძიმე, რომელიც ქართველმა ხალხმა გადაიტანა თავის მომე სხვა ხალხებთან ერთად.

„შენ ჩემთან პირად საუბარში, სხვათა შორის, გითქვამს: თქვენ, ქართველებს ომი არ გინახავთო“, — წერს თავის ერთ-ერთ შორეულ მეგობარს ავტორი რომანისათვის ეპიგრაფად წამძღვარებულ ბარათში.

რომანი, რომელშიც ასახულია ის დიდი უბედურება, რომელიც ომმა ქართველ ადამიანსაც მოუტანა, წარმოადგენს თავისებურ პასუხს ამ კაცის თუ სხვათა გულუბრყვილო შენიშვნაზე.

„ეარსკვლავთცვენა“ — ეს არის ადამანი ომი უდროოდ დაჭაკაცებულ ახალგაზრდებზე, ომის წლებში განცდილ უდიდეს სულიერ ტრავმაზე, ქართული სოფლის იმდროინდელ სასტიკ გაჭირვებაზე, უმამოდ, უშვილოდ, უქმოდ დარჩენილი ადამიანების აუტანლად მძიმე ხვედრზე, ქართველი ვაჟკაცების მიერ დაღვრილ სისხლზე. და ყოველივე ეს გაცხადებულია სოფელი ბიჭის გოგიტას ოთხი წლის ისტორიაში, მისი გარემომცველი ადამიანების ცხოვრებასა და მდგომარეობაში.

ალბათ ბევრი რამ არის ავტობიოგრაფიულიც ამ რომანში, რადგან მისი მრავალი სცენა უშუალო განცდის მკვეთრი ნიშნით არის აღბეჭდილი. უთუოდ ეს განაპირობებს მრავალწლიად იმ დიდ უშუალობას, რასაც რომანის ავტორი იჩენს სიმართლის ხატოვან წარმოსახვაში. ეს სიმართლე მის ძირითადს ტენდენციაში ბუნებრივი, თავისთავადი და საყოველთაოა: რომანის ქარგაზე მოხვედრილი თვითეული ადამიანის ცხოვრება, მდგომარეობა, მოქმედება, ძირითადად, ამ სიმართლის ასპექტით არის დანახული და მხატვრულად მოტივირებული.

რომანი იწყება რიკ-ტაფელას თამაშის სცენით, იმ უშუალო უდარდელობის გაწყვეტილებით, რაც დამახასიათებელია დედებისა და მამების „ფრთებს“ შეფარებული ბავშვებისათვის. ამ თამაშს, ამ გაწყვეტილებას უეცრად წყვეტს გოგონას მიერ სლუკუნით მოტანილი სიტყვა — „ომი“. ბავშვების გონებას ჯერ კიდევ ვერ აღუქვამს მისი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ მოხდა რაღაც საშინელი, რომელიც უბედურებად დაატყდა მათ თავს.

„ომი... რაღაცნაირი იყო ეს სიტყვა, რაღაც იდუმალი, რაღაც ამაზრზენი, რომელიც არც ერთმა ჩვენთაგანმა არ

იცოდა, მაგრამ ვიგრძენით კი. ვიგრძენი მე, იგრძნო ბუდუმ, ტუხუმ, გოჩამ; ერთბანს ვერც ადგილიდან დავიძვრით, ვერც ხმა ამოვიღეთ...", — გვეუბნება რომანის მთავარი გმირი.

შეწყვეტილი თამაში აღარ განახლებულა მთელი ოთხი წლის განმავლობაში. და მხოლოდ ფინალში, ომის დამთავრების შემდეგ რომანის ავტორი კვლავ გაიხსენებს გოგიტას, ბუდუს, გოჩას, ტუხუს მიერ დაგდებული რიკა და ტაფელს, ფეხით გათელილ მწვანე ბალახსა და ყვითელ ბაიებს, ერთ ადგილას მუქის ოდენა ამოღრეტტნულ მიწას და მოთამაშე ბავშვების ყურთასმენის წამებ ერიალმულს.

ეს უკვე მომდევნო „თაობაა" — გოგიტას, ტუხუს და სხვათა უმცროსი ძმები. ომის წლებში უდროოდ დავაკაცებული გოგიტასათვის კი, რომელიც ახლა აქ მოსულა და განახლებულ თამაშს შესცქერის, ყოველივე ეს წარსულია; ოთხი წლის წინანდელ განცდებს იგი აღარასოდეს დაუბრუნდება!

მძიმე იყო გოგიტას ასაკის ბიჭების ხვედრი. ისინი სავსებით უეცრად, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ცხოვრების პირისპირ.

ომში მიმავალი მამა ანდერძივით უბარებს თავის ვაჟს, როგორ მოიქცეს და თუმცა ბოლოს გაახსენდება, რომ გოგიტამ „რიკ-ტაფელს თამაშის მეტი არაფერი იცის", მაგრამ თითქოს ინსტინქტით გრძნობს შვილის მომავალ დავაკაცებას, მაინც იმედით ჩააბარებს მას ხარებს, კაცს... ჩვენ მალე ვიხილავთ კიდეც ყამრის შეჭიდებულ ამ ცეროდენა ყმაწვილს, რომელსაც კაცი დაუნდობლად აბურთავებს, სანამ მისი დაკინება და სიმტკიცე თავისას არ გაიტანს. აქაც კვლავ წინა პლანზე გამოდის პრობლემა ადგილის ძიებისა „დაცარიელებულ" ცხოვრებაში, სადაც აღარ არიან არც მამა, არც თავმჯდომარე, არც აგრონომი, არც ბრიგადირი, არც მასწავლებელი, არც შოფერი... ყველანი ისე შორს წაუყვანია ომს, რომ მათი ხმაც ვეღარ აღწევს სოფლამდე.

ტანჯვის გზა უნდა განვლოს გოგიტამ თავის მეგობრებთან ერთად, ცხოვრებამ იგი სოფლის დაწყებითი სკოლიდან გამოიყვანა, რომ თავის ფიდ სკოლაში აზიაროს სიბრძნეს და გამოცდილებას. კაცს შეჭიდებული, ახლა იგი სკოლის ზარის წკრიალით იმას ანგარიშობს, თუ რამდენი მოხნა და კიდევ რამდენს მოასწრებს დალმეგბამდე.

ცხოვრებამ ახლა მას მისცა გამბედაობაც (იგი გადაჭრით წინაღუდგება კლიმენტია ცენტრაძის მზაკვრობას); ასწავლა სისასტიკეც (მოვიგონოთ, როგორ იყრის იგი ჯავრს ბუდუზე ან როგორ შეუწყალებლად ხედნის ფეხტბეკვან საყვარელ ხარს!). ასე გაუხეშა მისი ბუნება სასტიკმა სინამდვილემ. მანვე ჩაადენინა მას დიდი ცოდვა.

მკვლევარმა გ. ლომიძემ მეტად გონებამახვილურად მიუთითა ტრაგიზმის პათოსზე, რომლითაც გამსჭვალულია „ვარსკვლავთცვენა". მან სავსებით სამართლიანად დაინახა ამ პათოსის თავისებურება ადამიანის მიერ ომის სისასტიკისა და სიმძიმის დამარცხებაში. სწორედ ტრაგიზმის ასეთი ასპექტით არის დანახული გოგიტას სოფლის ბედი ძნელად გადასატანი ოთხი წლის მანძილზე. ეს ის ფოკუსია, საიდანაც შესანიშნავად ვხედავთ: თავის კერას საბოლოოდ მოწყვეტილ, შორ გზაზე წასული და ომის ხანძარში ჩაფერფლილი დავითის — გოგიტას მამის — მწარე ხვედრს; ამირანის, ფატის, ეზიკას — ერთი კერის ამ სამი ადამიანის უდიდეს ტრაგედიას; ხეიბრებად ქცეული თუ შინმოუსულელი ბიძინას, ამბაკოს, სოსიკას თუ ბევრი სხვისი ბედით განაწამები შშობლებისა და მახლობელი ადამიანების უსაზღვრო ნაღველს; ხალხის მძიმე გაჭირვებას, როცა მთელი სოფლის საფქვავი ერთ ურემსაც კი არ ტვირთავს. აი, ეს არის ომის მასშტაბების ორიგინალური ხილვა, მისი გლობალური ხასიათის თავისებური გახსნა, რაც კარგად მოახერხა „ვარსკვლავთცვენაში" ო. იოსელიანმა.

ზედმეტ სისასტიკეს ხომ არ იჩენს რომანისტი რეალისტური სინამდვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსჭვალავ ნებისას? ლიტერატურულ კრიტიკაში (ბ. ჟღენტი, გ. ლომიძე, ვ. ზამბახიძე, გ. ასათიანი, კ. იმედაშვილი და სხვ.) ზრდა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგალითად, ფატისა და გოგიტას ურთიერთობის ამბავმა და ავტორის მისწრაფებამ — სამსჯავროზე გამოიყვანოს მოვლენა და არა რომანის მთავარი გმირი, რომლის აღსარებაშიც დაბეჯითებით გაისმის „დარწმუნებული“ კაცის თავის მართლება: „დამთავრდა ომი, რომელიც ოთხი წლის წინ თამაშით დავიწყე. დავიწყე თამაშით და წარბშეკრულმა დავამთავრე. ვნახე ყველაფერი: ვნახე ზღვა ცრემლი და მწუხარება, მოვაბწარი დიდი სიყვარული და ღალატი, გავხდი მამა და...

სიკეთის დრო უნდა! მე დრო არ მეყო და უნებურად ბოროტებაც ჩავიდინე.

მე ხომ წმინდა სიყვარულს ვუღალატე! მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი წლის მანძილზე დაბადებული ერთადერთი ბავშვისა. . მე ბევრი და მძიმე ცოდვა მაწევს ჩემს სუსტ მხრებზე, ჯერ ჩვიდმეტი წელი არც შემსრულებია! და მაინც ვიტყვი, მაინც ვამბობ: არა, ჩემი ბრალი არ არის!

არ არის ჩემი ბრალი!“

თავის მართლების ეს დაკონებული, ვრთგვარად გამშვლებული ცდა უკვე თავისთავად მეტყველებს რომანის გმირის დაეჭვებას მის სიმართლეში. რასაკვირველია, ტრაგიზმის იმ გამძაფრებულმა ხაზმა, რომელზეც ზევით იყო ლაპარაკი, განაპირობა რომანის ფინალიც და კიდევ ერთი დიდი მსჯელობი მოითხოვა.

თუ დადებითად მივიჩნევთ რომანში გამოვლენილ „ტრაგიზმის პათოსს“, აქაც სადავო თითქოს აღარა უნდა იყოს რა. მაგრამ ჩვენ ხომ იმაზე არ ვდავობთ, შეიძლება თუ არა მოხდეს მსგავსი რამ. ჩვენ ეს დასაშვებად მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ რომანის ავტორი არ უნდა ანთავისუფლებდეს მორალური პასუხისმგებლობისაგან თავის გმირს, მართალია, ომის მძიმე შედეგებით გამოწვეული, მაგრამ მაინც მის მიერ განხორციელებული ს

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში — „მე ვხედავ მზეს“ სხვადასხვა მდგომარეობისა და თაობის ადამიანებთან გვაქვს საქმე. მაგრამ მაინც, ძირითადად, ეს არის მოთხრობა ომის მიერ ახალგაზრდობისათვის წართმეულ ბედნიერებასა და სიხარულზე, იმ მძიმე სულიერ დაძაბულობაზე, რაც ჩვენმა ახალგაზრდობამ განიცადა სამამულო ომის წლებში.

აქაც, ნაწარმოების მთავარი იდეა ომის საყოველთაო ხასიათია და იმ მრისხანე, გამანადგურებელი ძალის ხილვა, რომელიც ერთნაირ მძიმე ხვედრს აკისრებს როგორც ფრონტის, ისე ზურგის ადამიანებს.

მაგრამ ასპექტი ამ ხილვისა განსხვავდება ომის თემაზე დაწერილი სხვა ქართული რომანებისაგან. ტრაგიკულის პათოსს აქ უპირისპირდება თავისებურად გაგაზრებული, ჰუმორნარევი, მკვეთრად გამორჩეული ხაზი ოპტიმიზმისა.

ტრაგიკულ-ოპტიმისტური ხაზი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ომის თემაზე დაწერილი მთელი რიგი რომანებისათვის აქ თავისებურ ელფერს იძენს — ჰუმორულის ორიგინალური შეხამებით ტრაგიკულთან. ჰუმორული განწყობილება გმირებისა, გადმოცემული ოსტატურად დანახული სიტუაციებითა და ჩინებულად გამართული დიალოგებით, ეხმარება მათ მძიმე სულიერი განცდების, ომით მიყენებულ ფსიქიკური ტრამვის დაძლევაში.

„მე ვხედავ მზეს“ ორიგინალურად დაწერილი რეალისტური სურათია საერთოდ ქართული სოფლის ადამიანების ცხოვრებისა ომის წლებში. მისი შეზღუდვა ცალკე კუთხის კოლორიტით, როგორც ამას ზოგიერთი ცდილობს, შეცდომაა. მასში გამოვლენილია საერთოდ ქართველი ადამიანების ეროვნული ხასიათი. რომაწში ადამიანთა ხასიათების მკაფიოდ გახსნას მიი ავტორი უქვემდებარებს იმ ამოცანას, რომ აჩვენოს ერთ გასაჭირს შეჭიდებული ქართველების დიდი ჰუმანიზმი.

აქ ადამიანთა სულის ჩვენების ორი ძირითადი ტენდენციური ხაზია გამართული: პირველი და ძირითადი ხაზი ეს არის ადამიანთა უკვდავი ჰუმანურობა, სულის მარადისი გამძლეობის ნიშანი. ოთვით ომის სისტიკე და აუტანელი პირადი გაჭირვება, რომელიც ხშირად აშიშვლებს და აძლიერებს ხოლმე ეგოისტურ ინსტინქტებს, ვერ იმორჩილებს ამ სულს. გავიხსენოთ, რა შესანიშნავად, როგორ ამალელვებლად არის აღწერილი მთელი ის სცენა, სადაც ნაჩვენებია ერთი ტომარა სიმინდის საშოვნელად სხვა სოფელში გადახვეწილი სოსოიას და ხატიას შეხვედრა გულკეთილ ბაბილოსთან, რომელიც უკანასკნელ სარჩოს უნაწილებს დამშეულთ. ან ავიღოთ ხატიას ბედი და ხალხის დამოკიდებულება ამ ბედისადმი, დაჭრილი ანატოლისადმი დამოკიდებულების, ბეჟანას თავდადების სცენები და სხვა მსგავსი სიტუაციები, რომლებშიც ასე შთამბეჭდავად ისახება ქართველი კაცის სულის სილიღე, ლირიკული ბუნება და მგრძნობიარე სათუთი ხასიათი.

მეორე ხაზია ამ ჰუმანიზმის მიღმა დარჩენილ, ომის მიერ გაბოროტებულ ადამიანთა ხილვა. აქ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ბრიგადირ დათიკოს სახე. უთუოდ მკვეთრი და შთამბეჭდავია ამ სახის ნახაზი, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია ის შემწყალებლობა, რასაც ხალხი თითქოს მის მიმართ იჩენს. საერთოდ, ხალხის ჰუმანური სულის ჩინებულად ჩვენების პროცესში, რაც უკვე აღვნიშნეთ, ამ შთაბეჭდვაში რომანისტმა დაუშვა ისტორიული სინამდვილის ერთგვარი გაყალბებაც.

ყოველივე ამის ახსნა ჰუმანიზმის რაღაც „ახლებური“ თუ „ფართო“ გაგებით, რასაკვირველია, გაუმართლებელია.

მთავარია აქ არა ავტორის სუბიექტური სურვილი, არამედ სინამდვილე. ჩვენ ვიცით, როგორ ეპყრობოდა სწორედ ჰუმანიზმის სახელით და მის დასაცავად ხალხი ისეთ ბორორტ მოღალატეებს, როგორიც არის დათიკო, რომლის ცხოვრებაც განსაკუთრებით არის დამძიმებული მიუტევებელი დანაშაულით. სურს თუ არ სურს ეს მხატვარს, თუ რეალიზმის პრინციპს აღიარებს, იგი გვერდს ვერ

აუვლის ამ ისტორიულ სინამდვილეს. ჩვენ აქ უნდა დავეთანხმოთ ბეგრთა იმ სწორ მოსაზრებას, რომ სოციალისტური რეალიზმის ჰუმანიზმს სხვაგვარი რევოლუციური ყოველდღიურობა და შინაარსი აქვს; მასში სხვაგვარად, გაცილებით უფრო ღრმად არის გახსნილი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა. ეს არის სოციალისტური ჰუმანიზმის დიდი შინაარსი.

ნაწარმოების მთელ რეალისტურ მიმართებას ერთგვარად ვნებს ავრეთვე ტენდენცია ზოგიერთ სახეთა „ამაღლებისა“, მათი გაუცნაურების, ზედმეტად გაკეთილშობილებისა (ხატია და სხვ.).

ომმა დაავაყაცა სოსოია და მისი თანატოლნი. გათავდა მათი ბავშვობა, რომელმაც თავისებური სიხარული იგემა, მაგრამ სიმწარე მეტი გამოსცადა. ომის დროს ცხოვრება მათთვის უდიდესი სკოლა იყო, ადამიანობის და ამტანობის მასწავლებელი.

და აი, ნაწარმოების დასასრულს, სასაფლაოზე მოსული მისი მთავარი გმირი ფიქრით ესაუბრება ბეჟანას ყველაფერზე, რაც მისი დაღუპვის შემდეგ მოხდა: ესაუბრება ომის დამთავრებაზე, ფრონტიდან დაბრუნებულებსა თუ შინმოუსვლელებზე, სოფლის ცხოვრებაზე, ათ გადასდილ ქორწილზე, ცამეტ ახალ სიცოცხლეზე, მინაღორას გამწარებულ წუთისოფელზე, ხატიას მომავალ ბედნიერებაზე. ასე დავაყაცებული შედის იგი ახალ ცხოვრებაში, რომელმაც უნდა მისცეს მას და მის ამხანაგებს სრული ბედნიერება, შეუჯსოს ბავშვობის წლების დანაკლისი: **„სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარაგზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს: ერთ დღეს შენ წამათვი ყველაფერი, რაც გამანძნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვდ მაშინ, შარაგზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო. და მე მადლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წაგვიყვანო — მე და ხატია, წაგვიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ. ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული. შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებითა და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით ბაჯაღლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამაღლა: ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ...“**

ეს არის განსაკუთრებული ძალის ოპტიმიზმი, მომავალი ბედნიერების დიდი რწმენა, რომელიც მუდამ გამსჭვალავს ნაწარმოების მთავარი გმირების მოქმედებას და რომელიც მისი ძირითადი პათოსია.

ქართველი მკითხველი იცნობს აგრეთვე რომანის ჟანრის ბევრ სხვა ნაწარმოებსაც, რომლებშიც ცხოველი გამოხატავა, თავისებური მხატვრული გადაწყვეტა ჰპოვა ქართველი ხალხის სიმამაცემ უდიდესი ისტორიული გამოცდის წლებში.

და არა მარტო რომანში, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ყველა ჟანრში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა პათოსი ხალხის ჰეროიკული სულის უკვდავებისა, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი თემა.

გიორგი მერკვილაძე
მებრძოლი სულის უკვდავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲝᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲠᲣᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘ

„მარუხის თეთრი ღამეები“ 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში კავკასიონის ყინულოვან მაღლობებზე მომხდარი სისხლისღვრის ნამდვილ ისტორიას მოგვითხრობს და ახლა ქართველი მკითხველი მარუხის ტრაგედიას ბრესტის ციხე-სიმაგრის ლეგენდარულ დიცვას ადარებს.

რევაზ ჯაფარიძის მოთხრობის გმირები ნამდვილი ადამიანები, ჩვეულებრივი, როგორც იტყვიან, „სიკვდილის შვილები“ არიან და ამ შთაბეჭდილებას ის ქმნის, რომ მწერალი გაბედულად, პირუთვნელად ასახავს თითოეული მათგანის მწუხარებას, დაღონებას, ასახავს მარცხს, მთელი პოლკის განადგურებას, უმოწყალო სიკვდილის ცელის ტრიალს მარუხის ულელტეხილზე. „მარუხის თეთრი ღამეების“ პერსონაჟები არ ჰგვანან ჯავშნოსნებს, რომელთაც არ აშინებთ არც მტერი, არც ტყვია, არც სიკვდილი. „სიკვდილის ყველას ეშინია“, გულახდილად ამბობს ნაწარმოების მთავარი გმირი ვასილ რუხაძე. სიკვდილის ეშინია მარუხის ბრძოლების ყველა მონაწილეს, მაგრამ ამის გამო ისინი მტერს როდი გაურბიან. სამშობლოს დაცვის დიდი მოვალეობა მათი მამაცობისა და თავგანწირვის საწინდარია.

მოთხრობის სიუჟეტთან ერთად ვითარდება მარუხის გმირთა ადამიანური ტკივილების საბედისწერო განცდა, 808-ე პოლკის მე-3 ბატალიონმა მთის გზაწვრილებზე მოძრაობისას დაკარგა ყველაფერი: მებრძოლებს შემოელიათ სურსათი, შემოაცვდათ სამოსი, ფეხსაცმელი, — იქამდეც კი მივიდნენ, რომ კამეჩის დაუმუშავებელი ტყავისაგან მამაპაპური ქალამნების გაწყობას მიჰყვეს ხელი. მიუხედავად ამისა, ჯარისკაცები შეუჩერებლად მიიწევენ წინ იმ იმედით, რომ ადგილზე მისვლისას თავს დაადწევენ ძნელი გზით გამოწვეულ წამებას, მიიღებენ სურსათს, ტანსაცმელს... უღელტეხილთან მოახლოებისას მდგომარეობა მართლაც შეიცვალა, მაგრამ კი არ გაუმჯობესდა, პირიქით გაუარესდა. განადგურებული აღმოჩნდა უღელტეხილზე წინადღეებში გამოგზავნილი ნაწილები. 808-ე პოლკს, კერძოდ ამ პოლკის მე-3 ბატალიონს, მაღლობებზე გამაგრებულმა მოწინააღმდეგემ ამოსუნთქვაც კი არ აცალა, ისე ჩაითრია ბრძოლაში.

მარუხის დამცველთა გამოუვალ მდგომარეობას უშუალოდ მოსდევს

ახალი, ნამდვილად გმირული შემართება. ისე რომ, რამდენადაც უფრო მოულოდნელია მოთხრობის გმირთა მდგომარეობის ამა თუ იმ სახით გაუარესება, იმდენად უფრო ძლიერი ხდებიან ეს გმირები, იმდენად უფრო შეუპოვრები ხდებიან ისინი. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლევა რ. ჯაფარიძის მოთხრობის თითქმის ყოველი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სიუჟეტური დეტალი. გავიხსენოთ, თუნდაც, ერთი ასეთი ეპიზოდი: მძიმედ დაიჭრა ასეულის მეთაური ლეიტენანტი ნიკო სხირტლაძე. ჯარისკაცებმა მშვენიერაძემ და ჭავჭავაძემ იგი უფლეტეხილიდან მოშორებით — ზურგში მდგომ სანიტარულ ნაწილში წამოიყვანეს. ეს მოხდა მაშინ, როცა მე-3 ბატალიონი საბედისწერო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მტერი სულ უფრო და უფრო ავიწროვებდა და საბოლოო განადგურებას უქადდა მას. სწორედ ასეთი ავბედობის ჟამს დაბრუნდნენ ისინი, ვინც სხირტლაძე სანანწილოში გაიყვანეს. „საკუთარ თვალსა და ყურს ვერავინ უჯერებდა. მშვენიერაძე და ჭავჭავაძე? ამ ცეცხლის წვიმაში მშვიდობიანად გაიარეს, თვითონაც გადარჩნენ, მძიმედ დაჭრილი მეთაურიც გადაარჩინეს და ისევ აქ არიან? თვითონ რუხაძე ერთხანს გაოგნებული იდგა. ეგონა, ყოველივე ეს მელანდებაო. მერე ახალმოსულებისაკენ ნაბიჯი გადადგა და როდესაც დარწმუნდა მის წინაშე მოჩვენება კი არა, მართლა ცოცხალი ადამიანები — საღსალამათ ლეუშა მშვენიერაძე და გოგი ჭავჭავაძე იდგნენ, გული უცნაურად შეუჭანდა.

— რამ მოგიყვანათ, ბიჭო, აქ? იცით სად მოხვედით? — ბატალიონის მეთაური აღტაცებას ვეღარ მალავდა. — ყინმამმა გაგიჭრათ, გახვედით და უკან დაბრუნდით ისევ? მეც აგრე ვიზამდი თქვენს ადგილზე, შერცხვენილი კაცი დამიძახეთ, თუ არ მექნა! სადაც სხვები კვდებიან, მეც იქ მოკვდე, თუ არა და, ყველა ერთად გადავრჩებით“ (გვ. 107).

მოთხრობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საბჭოთა არმიის მებრძოლთა მდგომარეობის ყოველი გართულება, რასაც ზემოთ საგანგებოდ გავუსვით ხაზი, სულ ახალი და ახალი, თვისობრივად განსხვავებული ფორმით არის აღბეჭდილი ნაწარმოებში და შესაბამისი ხასიათის ემოციებს იწვევს, ერთი მხრივ ქლუხორის გზაწვრილებში მოძრაობის დროს მე-3 ბატალიონის მიერ გადატანილი განსაცდელი, და, მეორე მხრივ, ყარა-ყაის მაღლობზე გაჩაღებული სისხლისღვრა. „მარუხის თეთრი ღამეები“ ბატალური მოთხრობაა. უფრო მეტი ადგილი მასში დათმობილი აქვს ბრძოლების აღწერას, აქ მკრთალად ჩანან გერმანელები, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ჩანს ომი.

მოთხრობის ბევრი გმირი იღუპება. „მარუხის თეთრი ღამეების“ გმირების სიკვდილი თითქმის ერთნაირია, რადგან ისინი მტრის ტყვიით კვდებიან, მაგრამ მოთხრობის ავტორი ყოველი მათგანისთვის თავისებურ, განმასხვავებელ დეტალს პოულობს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს ავლეს ავტორი თავისი გმირების ხასიათის თვისებებს, ტემპერამენტს. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილს მწერალი სხვადასხვა მანძილიდან და სხვადასხვა კუთხიდან, განსხვავებულად აღწერს. დათვებზე სანადიროდ წასული ლეიტენანტ იუსიბოვის მოულოდნელი დაოუპვის ამბავი, მაგალითად, მან მომამბის პირით დადმოგვცა. შორიდანაა დანახული, მაგრამ უაღრესად ემოციურად არის მოთხრობილი პოლკის ფორმა გადასარჩენად ჯვრილი მიქაძის, ჩორგოლაშვილის, შემდეგ კიდევ ერთი უცნობი ჯარისკაცის სიკვდილი. სნაპერი ბარათელი ბატალიონის მეთაურის რუხაძის გვერდით იღუპება.

„— მიშველეთო, მეთაურო!

გამხეცებული რუხაძე ქუსლზე შემოტრიალდა. მიწაზე სისხლში მოსვრილი

ბარათელი ფართხალებდა. აყლაყუდა გერმანელ ეგერს სწორედ წამის წინ გაეგმირა საწყალი ბიჭი. ტკივილისაგან მოკრუნჩხული და სახეარეული ბარათელი თოფის ლულას ორივე ხელით ჩაჰფრენნდა და შიგ მუცელში გატარებულ ხიშტს არც წინ უშვებდა, არც უკან.

სულით ხორცამდე შეძრულმა რუხაძემ ანგარიშმიუცემლად დაიღმუვლა და შემობრუნებული შაშხანა გერმანელს სიბრტყეთ ჩასცხო თავში...“ ბარათელის სიკვდილის ამბავში მოჩანს მთელი ბატალიონის საყვარელი სნაპერის ადამიანური ბუნება, მისი მტკიცე ხასიათი. ბარათელი თითქმის უკვე მკვდარია და მაინც მაგრად უჭირავს თოფის ლული, რომელზეც მისსავე მუცელში გაყოლილი ხიშტია წამოგებული, და შესაძლებლობას არ აძლევს ფაშისტს სხვა საბჭოთა მებრძოლებს მიუღეროს იარაღი. თითქოს ბარათელისა და მისი თანამებრძოლების ასეთი საარაკო თავგანწირვის შედეგად, სიკვდილთან შეეპოვარი ჭიდილის გამო არის ნათქვამი ვასილ რუხაძის სიტყვები „—...აჰ სიკვდილი გაუბრალოებული და დამცირებულია, შემოხეულ-შემოგლეჯილი, ტახტიდან ჩამოგდებული...“ (გვ. 99).

რ. ჯაფარიძის მოთხრობაში ნათლად ჩანს მტრისადმი სიძულვილი, ამით ხასიათდება მოთხრობის ატმოსფერო, ადამიანური გაწყობილებანი. ეს სიძულვილი ალაპარაკებს მოხუც სოხუმელ დედას, უფროს ლეიტენანტ ვასილ რუხაძეს, გენერალ ლესელიძეს.. მაგრამ „მარუხის თეთრ ღამეებში“ უფრო მნიშვნელოვანია იმ სიყვარულის გამოხატვა, რითაც ჩვენი ადამიანები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. სწორედ სიყვარული და მეგობრობა განსაზღვრავს მოთხრობის პათოსს.

მაინც რა სახით წარმოგვიდგება ეს მეომრული სიყვარული და მეგობრობა „მარუხის თეთრ ღამეებში“? ვისაც ფრონტული ცხოვრების ჭირ-ვარამი გამოუცდია, დაგვემოწმება, რომ ცეცხლის ხაზზე ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. ყველგან სუფევს პატრიოტული შეგნებაგაჟღენთილი მეგობრული, ძმური გულითადობის ატმოსფერო. ამ გარემოებას მწერალი დიდი იდეური განზოგადებით გამოხატავს „მარუხის თეთრ ღამეებში“. მოთხრობის მე-20 თავში ყურადღებას იქცევს ბატალიონის მეთაურის რუხაძის და შტაბის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელ როგავას შემდეგი დიალოგი:

„— შენ რამდენი წლისა ხარ, შალვა? — ეკითხება რუხაძე როგავას.

— მე? ბევრის, — სიბნელეში ჭაბუკის თეთრმა კბილებმა გამოანათა. — ოცდასამის გავდი ამ გამოზაფხულზე. თქვენ რამდენის ბრძანდებით?

— ეგ სიტყვები არ გეხამუშება?

— რომელი?

— აი, ბრძანდებითო და... ომში ყოველგვარ „ბრძანდებითს“ აზრი ეკარგება. ბუნება პირველდელ სახეს იღებს სიკვდილის სიახლოვეს, ეს ოხერი, ასე სცოდნია“.

თავისი შინაარსითა და მიზნის ხასიათით ეს დიალოგი გვაგონებს ერთ კაცს ა. ალოვისა და ვ. ნაუმოვის კინოფილმიდან „შვიდობა ახალმოსულს!“ ოფიცერთა სკოლის ახლად კურსდამთავრებული უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლაი ივლევი ცხადდება მოქმედი არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურთან, ომის ქარცეცხლში გამოვლილ მაიორთან.

— შენ რა გქვიან? — ეკითხება მაიორი.

ასე უბრალო, მამაშვილური შეხვედრით, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული ახალგაზრდა ოფიცერი უპასუხებს:

— უმცროსი ლეიტენანტი ივლევი.

მაიორი არ დაკმაყოფილა ასეთმა პასუხმა და მან კითხვა გაიმეორა. სმენაზე გაჭიმულმა უმცროსმა ლეიტენანტმა კვლავ უპასუხა სამწყობრო წესდების შესაბამისად.

— რა გქვია? — ისევ და ისევ მშვიდად იკითხა მაიორმა და ამით ანშნა თანამესაუბრეს — თავი გაანებოს სამხედრო ოფიციალობას, იყოს უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლად. მაინორმა იცის, რომ ფრონტზე ასეა საჭირო. ეს იცის რუხადემაც. ისიც ანიშნებს და აქეზებს ახალგაზრდა თანამესაუბრეს თავი გაანებოს ზედმეტ ოფიციალობას. ამგვარი დამოკიდებულების შედეგია, რომ უბრალო მებრძოლი და ასეულის ან ათასეულის მეთაური ერთმანეთის მხარდამხარ მოქმედებენ ხელჩართულ ბრძოლაში, ომის ჭირსაც და ლხინსაც მარუხის გმირები. მათი სამხედრო წოდებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, თანაბრად იზიარებენ და ამის გამო ისინი ერთმანეთის მოყვარულ, ერთმანეთისადმი ყველაზე ახლობელ ადამიანებად გვესახებიან.

„მარუხის თეორი ღამეები“ დოკუმენტური მოთხრობაა. ავტორი ნამდვილად მომხდარ ამბებს აგვიწერს. წიგნის ყოველი პერსონაჟი რეალური პიროვნებაა. ასეთი „მასალის დამუშავება მეტად თავისებურ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. როცა მწერალი გამოგონებასა და გამონაგონს მიმართავს, იგი ერთდროულად და ერთნაირად ფიქრობს მომავალი ნაწარმოების როგორც იდეური, ისე მხატვრულ-სიუჟეტური მხარეების შესახებ, ის ადვილად ახერხებს შეუფარდოს ეს მხარეები ერთმანეთს და თითოეული მოვლენა იმ ოდენობით აიღოს და ისეთ ასპექტში დახატოს, რამდენადაც და რა ასპექტშიც ის ხელს შეუწყობს გარკვეული იდეური აზრის გაცხადებას. დოკუმენტური ნაწარმოების ავტორის მდგომარეობა ამ შემთხვევაში ნაკლებ ხელსაყრელია. მას წინასწარ ეძლევა გამოუგონებელი ამბავი, გარკვეული ხასიათისა და ბიოგრაფიის მქონე ადამიანები. ასეთი ამბავი შეიძლება გიამბოს ჩვეულებრივმა, მწერლობის უნარს მოკლებულმა ადამიანმა და თქვენ მოგეჩვენებათ, რომ ამბავი საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ იგრძნოთ, რომ ის მოკლებულია რაღაც მნიშვნელოვანს, მოკლებულია ერთიანობის პრინციპით მოვლენათა განლაგებას, რის შემდეგაც ეს ამბავი გარკვეული იდეის გამომხატველი ხდება და ეხმაურება ცხოვრების განვითარებას. დადებითი ან უარყოფითი მხრით. მწერალს ბევრი მუშაობა სჭირია, რომ მრავალრიცხოვანი დეტალებით სავსე და გადატვირთულ ფაქტებში შეარჩიოს მთავარი, ერთიანი იდეური აზრის გამომხატველი ვითარებები და მხოლოდ ისინი მოაქციოს სიუჟეტში.

„მარუხის თეორი ღამეების“ დიდი ღირსება ის არის, რომ მასში ასახული ცოცხალი მოვლენები, მოთხრობა თავიდან ბოლომდე ცხოვრებისეული უშუალობით ხასიათდება.

განსაკუთრებული ხაზგასმით გვინდა მივუთითოთ „მარუხის თეორი ღამეების“ ერთ მეტად საგულისხმო თვისებაზე. ეს ნაწარმოები თავისი პათოსით არის საბრალდებელო დოკუმენტი არა მარტო გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, რომელთაც მთელს ქვეყნიერებას მწუხარება მოჰფინეს, არა მარტო ომისა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.. „მარუხის თეორი ღამეები“ არის თავისებურად გამქაღაგნებული ბრალდება კიდევ ვიღაც პიროვნების, „შინაური დიდი კაცის“ მიმართ, რომელმაც თავისი თვითნებური მოქმედებით აშკარად დაპირისპირებულ მოწინააღმდეგეზე ნაკლები ვნება როდი მოუტანა ჩვენს ხალხს. ეს მისი დანაშაულებრივი ხელები ჩანს ყველგან, როცა ჩვენი ჯარი ასე მოუმზადებელი, ჩაუცმელ-დაუხურავი, საზრდოს მოკლებული მიემართება კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან შესაჭიდებლად, როცა ტებერდიდან ლტოლვილი ბავშვები ასე ულუმპაპუროდ, თითქოს იძულებით დამდგარან სიკვდილის გზაზე. მისი ბრალია „თავდაცვის ძველი გეგმის დაშლა და ახალი გეგმის სასწრაფო შეკოწწეა“, რომელმაც „მთელი პოლკი და უპირველეს ყოვლისა მე-3 ბატალიონი დიდი სიძნელეების“ წინაშე დააყენა. მწერალი ზოგჯერ თავს ვერ

იკავებს და მოთმინებადაკარგული ესხმის თავს ამ უჩინარ დამნაშავეს: „ყველა გრძნობდა, რომ სადღაც ვიღაცას რაღაც შეეშალა და რომ ახლა სწორედ მათ და არა სხვა ვინმეს მოუხდებოდა ამ საბედისწერო შეცდომის გამოსწორება“, ამბობს იგი ერთგან; „ვინ ჰქნა ეს, ვინ შვრება ამას, ცოდვამადლი მართლა აღარაა ქვეყანაზე?“ კითხულობს მეორეგან და ყველა ამგვარ ბრალმდებლურ კითხვა-პასუხში მწერალი ერთსა და იგივე დიდი უფლებით მოსილ კაცს გულისხმობს. არცთუ დიდი ხნის წინათ „ამ კაცს“ უმართებულოდ მიაწერდნენ კავკასიის დაცვის ყველა წარმატებას. ნამდვილად კი იგი იყო დამნაშავე ასობით და ათასობით ჩვენნ ადამიანის განწირვაში.

„მარუხის თეთრი ღამეები“ მდიდარია ოსტატურად მოხაზული რეალისტური ფრონტული პეიზაჟებით. ერთ-ერთ ასეთ ემოციურად ძლიერ პეიზაჟს ვხედებით მოთხრობის ფინალში: **„მზე იწურებოდა. ლურჯად ჩამუქებულ ხევ-ხუვებში ჩრდილმა მოიკიდა ფეხი და შემპარავად ზღვით-ზღვით წამოვიდა. ულელტეხილი სისხლისფრად შეიღება. კლდოვანმა თხემებმა ბინდ-ბუნდის ენაზე პირო ზღვაში იწყეს შეცურება. მჭრქალ ცაზე პირველი ვარსკვლავი აციმციმდა. მერე მთლად ჩამობნელდა. კლდეებსა და ტაფობებში ძვალ-რბილის გამთოშავმა ქარმა იწივლა და გაყინულ ჰაერში ბუქი დაიყენა.**

თავპირახვეული გერმანელი ეგერები შიშნეულად დაბიჯებდნენ უსახელო მაღლობის ციცაბო-კლდეებზე, დროდადრო. თავის გასამხნევებლად, ჰაერში ავტომატის ჯერებს უშვებდნენ, მაგრამ ამაოდ ირჯებოდნენ. ულელტეხილის დამცველთაგან იქ ცოცხალი აღარავინ იყო, იყვნენ მხოლოდ თავბოლოშეკცევით დაყრილი უპატრონო მკვდრები, რომელთაც სუსხიანი ქარი თოვლს აყრიდა და ღრუბლებს ზემოთ ატყორცნილ ყინულებში უკვდავებისათვის ამზადებდა“.

ასე უწინასწარმეტყველა მწერალმა უკვდავება თავისი მოთხრობის გმირებს, და ღირსიც არიან უკვდავებისა. მარუხის ტრაგედიის მონაწილენი.



დამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

ცხოვრება და შემოქმედება

სიკვდილმა ადრე, 33 წლის ასაკში, შესწყვიტა შესანიშნავი ამერიკელი მწერლისა და რევოლუციონერის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არცთუ ისე ხანგრძლივმა შემოქმედებითმა მუშაობამ სიცოცხლეშივე მოუპოვა მას საყოველთაო სიყვარული და აღიარება.

ჯონ რიდს გალაკტიონმა „რევოლუციის პოეტი“ უწოდა. და მართლაც, იგი იყო პირველი უცხოელი მწერალი, რომელმაც ოქტომბრის დიდ რევოლუციას არა მარტო გულწრფელად უმღერა, არამედ მთელი თავისი შემოქმედება და ცხოვრებაც ამ რევოლუციის ბედს დაუკავშირა.

ჯონ რიდის წიგნი „ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“ იყო ოქტომბრის რევოლუციის ჰიმნი, პროზად ნათქვამი შესანიშნავი პოემა ოქტომბრის სიდიადეზე, მის საკაცობრიო მნიშვნელობაზე და ამ უდიდესი რევოლუციის შემოქმედთა გმირობაზე.

ჯონ რიდის „ათი დღე...“ იყო ახალი სიტყვა მსოფლიო ლიტერატურაში და მან თავის დროზე უდიდესი როლი ითამაშა, მან მსოფლიოს დაანახა ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი გაქანება, ლენინის იდეების ძლევამოსილება და აჯანყებული მასების სიმართლე.

ამ წიგნმა უცხოეთში ბევრს აუხილა თვალი რუსეთში მომხდარ უდიდეს მოვლენებზე. ჯონ რიდის უადრესად მომხიბლავ რომანტიკულ პიროვნებაზე, თავგადასავლებით სავსე მის ცხოვრებაზე, ბრძოლაზე და, ბოლოს, მისი შემოქმედების ამ მწვერვალზე — „ათ დღეზე“ — ბევრი დაიწერა. 1924 წელს ჯონ რიდის პიროვნებითა და მისი „ათი დღით...“ შთაგონებულმა ჩვენმა უდიდესმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა პოემა „ჯონ რიდი“.

გალაკტიონ ტაბიძის ეს პოემა წარმოადგენს ჯონ რიდის „ათი დღის...“ ერთგვარ პოეტურ გამოძახილს, ამ შესანიშნავი წიგნის თავისებურ პოეტურ ექოსაც და მის ქებათა-ქებასაც.

მე არ მელოდნენ,
როცა სისწრაფით
ვეშურებოდი საკრთველოდან.
იგი წამოვიდა ნიუ-იორკიდან —
ნამდვილი ჯონი!
ჩვენ შეეხვდით
როცა იგრძნეს ბორკილი
და ნგრევის დრონი.
როცა მასსვნი
გადავარდნენ
ცხარე ბრძოლაში,
ჩვენ ერთად ვიყავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი მოგვითხრობს არა უბრალო შეხვედრაზე „ათი დღის“ ავტორთან, არამედ რევოლუციის იმ საერთო განცდაზე, რამაც ორი მწერალი ერთიმეორეს სულიერად დაუნათესავა:

ჯონ რიდი —
პოეტი რევოლუციის,
. . . . . .
პიროვნება,
რომელთან ერთად განვიცადე
რევოლუცია...
მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტკბო,
რომ ეს სტიქია
უჩემოდ არ ჩატარებულა.

წყნარი ოკეანის ნაპირას, ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდში, 1887 წელს დაიბადა მომავალი პოეტი, დრამატურგი, პატარა მოთხრობებისა და დიდი რევოლუციური ეპოპეების ავტორი — ჯონ რიდი.

შესანიშნავი მწერლისა და ამერიკის კომუნისტური პარტიის ამ ერთ-ერთი ლიდერის წინაპარი ამერიკაში 1607 წელს ჩასულა. ჯონ რიდის ერთ წინაპარს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე მოუწერია ხელი, მეორე — გეორგ ვაშინგტონის არმიის გენერალი ყოფილა, ხოლო მესამე, ავრეთვე სამხედრო პირი — ჩრდილოეთის არმიის მხარეზე იბრძოდა.

ჯონის მამა ფედერალური სასამართლოს აღმასრულებელი იყო. იგი გონებამახვილი, პირდაპირი და მტკიცე ხასიათის კაცი ყოფილა, საშინლად სძულებია პირმოთნეობა და ფლიდობა, მთელი სიცოცხლე კაპიტალისტური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაუტარებია.

ამ მხრივ ჯონს მაშის ხასიათი ფლობია ყოლია. სამწერლო ნიჭი ჯონ რიდმა ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოამჟღავნა, როცა ცხრა წლის ბიჭუნამ დაიწყო „შეერთებული შტატების კომიკური ისტორიის“ წერა.

1906 წელს რიდი შედის ამერიკის უძველეს უმაღლეს სასწავლებელში — ჰარვარდის უნივერსიტეტში. ჯონ რიდი სტუდენტობის პერიოდში ახლო იყო სტუდენტურ არისტოკრატიასთან, თუმცა, ამავე დროს, ანტიბურჟუაზიულად განწყობილ სტუდენტობასთანაც მეგობრობდა.

რიდი პირველი იყო სტუდენტთა ლიტერატურულ თუ სასპორტო წრეებში. იგი ხდება წყალბურთელთა გუნდის კაპიტანი და მომდერალთა გუნდის იელმძღვანელი. ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტთა ჟურნალებში. სწერს ლექსებს. მისი სტუდენტობისდროინდელი ლექსები მაინცადამაინც ორიგინალობით არ გამოირჩევა და უფრო ვიქტორიანელი პოეტების გავლენა იგრძნობა.

სამაგიეროდ რიდის იმდროინდელ სატირულ ნაწარმოებებში ჩვენ უკვე ვგრძნობთ სტილის იმ სიმსუბუქესა და ბრწყინვალებას, რითაც შემდგომში მან მკითხველთა სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

ჰარვარდის უნივერსიტეტი ჯონ რიდმა 1910 წელს დაამთავრა.

ერთ ხანს რიდმა ევროპაში იმოგზაურა. ეს მოგზაურობა ინგლისსა, საფრანგეთსა და ესპანეთში სავსე იყო ფათერაკეებითა და სახიფათო თავგადასავლებით. უკვე ამ პირველ მოგზაურობაში გამომჟღავნდა რიდის ხასიათი: მისი დაუდგრომლობა და ვაჟკაცობა. ამ თვისებებმა კიდევ უფრო იჩინა თავი, როცა რიდი თავზეხელაღებული დაჰქროდა ფრონტიდან ფრონტზე.

მოგზაურობიდან დაბრუნებული რიდი ნიუ-იორკში მკვიდრდება. იგი ხარბად აკვირდება და ღრმად სწავლობს ამ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრებას.

„ინ ადგილიდან, სადაც ჩემი სახლი იდგა, კვარტალის გავლაც არ იყო საჭირო, რომ მთელი ქვეყნის ცხოვრება განგეცადა, ხოლო მილის ფარგლებში გაიცნობდი ყველა ქვეყანასა და ხალხს. ნიუ-იორკში მე პირველად ვიგრძენი სიყვარული, პირველად დავწერე მასზე, რაც ვნახე, განვიცადე შემოქმედების მღელვარე სიხარული და გავიგე საბოლოოდ, რომ შემიძლია წერა. მე იქ მივიღე პირველი წარმოდგენა ჩემი დროის ცხოვრებაზე. ქალაქი და მისი ცხოვრებლები ჩემთვის გაშლილ წიგნად იქცნენ; ყველას ჰქონდა თავისი ისტორია, დრამატული, ტრაგიკული ირონიითა და საშინელი კომიზმით აღსავსე. მე იქ პირველად გავიგე, რომ სინამდვილეს შეუძლია გადააჭარბოს შუა საუკუნეების ნატიფი რომანისტების ყველაზე აწყვეტილ პოეტურ ფანტაზიასაც კი“.

რომანტიკულად განწყობილ რიდზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა უზარმაზარი ქალაქის ცხოვრებამ. მან დაინახა ნიუ-იორკის კონტრასტები — ერთის მხრივ, მოსახლეობის უმცირესობის უსაზღვრო ფუფუნება და უზრუნველობა, ხოლო მეორეს მხრივ, მშრომელი მასების საშინელი სიღატაკე და უპერსპექტივობა.

„ამ დროისათვის, — წერს რიდი თავის ავტობიოგრაფიულ ესეიზში, — მე წავიკითხე უამრავი რადიკალური ლიტერატურა, ვესწრებოდი ყოველგვარ კრებებს, ვხვდებოდი სოციალისტებს... მაინტერესებდა ადამიანის ბუნების სხვადასხვანაირობა, გავიგე თეორიის მნიშვნელობა. მარტო განყენებულ იდეებს არ ჰქონდა ჩემს თვალში დიდი ფასი. მე ყველაფერი ჩემი თვალით უნდა მენახა“.

ეს მოთხოვნილება — ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვისა — რიდის ხასიათის თვისებად იქცა და იგი წარმართავდა მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ამ დროისათვის რიდი უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი ხდება. მისი ლექსები, მოთხრობები და წერილები ხშირად იბეჭდება. რიდს აბრუებს წარმატება და დროდადრო ისევ ოცნებობს სიმდიდრესა და სახელზე. მაგრამ ჯონ მტკიცე ნებისყოფა აქვს, იგი ძლევს თავის თავში ამ სულმოკლე მიდრეკილებას, უარს ამბობს იმ გზით სიარულზე, რომელსაც ადვილად მოაქვს იაფფასიანი პოპულარობა და უზრუნველი ცხოვრება.

ეს წლები რიდის ბიოგრაფიაში მისი თანდათან გამემარცხენების პერიოდი იყო. მწერლის გამემარცხენებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჟურნალ „The masses“-ის დაარსებამ. ამ ჟურნალის დამაარსებლებმა თანამშრომლებად პროგრესულად მოაზროვნე მწერლები მიიწვიეს და მათ შორის აღმოჩნდა ჯონ რიდიც. თუმცა ბურჟუაზიულ ჟურნალებში რიდისათვის უკვე უზრუნველყოფილი იყო მაქსიმალური ჰონორარი, მწერალმა მადალი წრეების ყოფის დეტალებითა და სენსაციური შემთხვევებით აჭრელებულ ჟურნალებს „მასებში“ თანამშრომლობა არჩია.

ჯონ რიდი „მასების“ ერთ-ერთი რედაქტორი გახდა.

1912—1916 წლებში ჯონ რიდმა გამოაქვეყნა რამდენიმე პატარა მოთხრობა. ეს მოთხრობები იმითაც არის საინტერესო, რომ მათში ავტორი ამერიკის ცხოვრების სურათებს გვიხატავს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ რიდის მოთხრობები გამონაკლისს შეადგენენ— მისი სხვა ნაწარმოებების თემა უცხოეთია).

ჯონ რიდის პროზა ტიპიური ამერიკული პროზაა. იგი თავის მოთხრობებში თავისებურად აგრძელებს ამერიკის ლიტერატურის შესანიშნავ ჰუმანისტურ ტრადიციებს. უბრალო, პატარა ადამიანები, დაბალი ფენების „უმნიშვნელო“ წარმომადგენლები არიან რიდის რეალისტური მოთხრობების გმირები. ამ მოთხრობებში ნაჩვენებია კაპიტალისტური ამერიკის შემზარავი სინამდვილე,

ამ სინამდვილის მსხვერპლთა საშინელი ბედი. ცხოვრებისაგან დაჩაგრულ რიდის გმირებს ბოლომდე შერჩენილთ მომხიბლავი ადამიანობა, გულწრფელობა და ალალმართლობა. ისინი გასრესილნი არიან კაპიტალისტური სისტემის უსამართლობით, მაგრამ უკიდურეს განსაცდელშიაც არ კარგავენ სიცოცხლის სიყვარულსა და სულიერ კეთილშობილებას.

რიდი თავის მოთხრობებს მარტივ სიუჟეტებზე აგებს. ცხოვრებისეული კონტრასტები რიდის მოთხრობებში პირველ პლანზე დგება. იგი ხაზს უსვამს არა მარტო სოციალურ დაპირისპირებას, არამედ იმ კონტრასტებსაც, რომლებიც უბრალო ადამიანების გულუბრყვილო წარმოდგენებსა და სინამდვილეს შორის გაჩენილა.

1913 წელს დაწერილი მოთხრობა „ხედავდე, ნიშნავს გწამდეს“ სწორედ ასეთ კონტრასტებზეა აგებული: ნიუიორკში შორეული შტატიდან ჩამოდის ღარიბი, უსატრონო გოგონა. მას ყველაფერი სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი და როცა ყოველივეს ნახვის სურვილს იკმაყოფილებს, გული უტყდება. გამოუცდელი, გაურყვნელი გოგონას წარმოდგენა ძალიან შორს ყოფილა სინამდვილისაგან.

ასეთსავე კონტრასტზეა აგებული რიდის შესანიშნავი მოთხრობა „ღამე ბროდვეიზე“. მოთხრობის გმირი ყიდის ალქორწინო განცხადებების გაზეთს. იგი გამვლელებს სთავაზობს გაზეთს და მიმზიდველად უხატავს მათ იმ ბედნიერებას, რომელსაც ქორწინება მოუტანთ. „ბედნიერების“ ამ გამყიდველს თავად არა გაიჩნია რა, მას არც ცოლშვილი ჰყავს, არც სახლ-კარი აქვს და არც რამე საარსებო საშუალება, რომ საკუთარი ბედნიერების შექმნაზე იფიქროს.

რაც უფრო ღრმად აკვირდებოდა ცხოვრებას, მით უფრო პირდაპირი და შეუპოვარი ხდებოდა ჯონ რიდი, როგორც ნოველისტი. რიდის პრიტესტი არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ თანდათან მწვავე და შეუერიგებელია. იგი ხედავს და აშიშვლებს კაპიტალისტური სამყაროს მანკიერებას.

მოთხრობაში „მაკი — ამერიკელი“ რიდმა ამერიკის ცხოვრების სამარცხვინო სურათი დაგვიხატა. რასისტებისაგან ზანგების არაადამიანური ჩაგრის საშინელება რიდმა დიდი მხატვრული ორიგინალობითა და ძალით აჩვენა.

რასისტი მხეცი, ამერიკელი მაკი მოწყენილი ზის მექსიკის ტრაქტირში. აქ მის მხეცურ სურვილსა და მოთხოვნილებებს ასპარეზი არა აქვს და იგი სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როცა ამერიკაში ერთ-ერთ პლანტატორთან ზედამხედველად მსახურობდა. ერთხელ პლანტაციიდან მონური შრომისაგან გაქცეულ ზანგს ძაღლებით დაედევნენ. მაკი აღფრთოვანებით ჰყვება, თუ როგორ უწყალოდ დაგლეჯეს ძაღლებმა გაქცეული ზანგი. ამერიკელი მაკი მოწყენილია. მექსიკელები მას უსულგულო ადამიანებად ეჩვენებენ. **„მე არ მომწონს მექსიკაში ცხოვრება,** — აქ **ადამიანები უგულონი არიან. მე კი მიყვარს ამერიკელებივით კეთილი, გულითადი ადამიანები“**,—უსინდისოდ აცხადებს იგი და არც კი გრძნობს, რა სასაცილოდ გაისმის მისი ტირადა ამერიკელი რასისტების „გულითადობაზე“.

აქვე უნდა დავასახელოთ რიდის კიდევ ერთი მოთხრობა — „რევოლუციის ასული“. ეს მოთხრობა რიდმა ომის დროს პარიზში მიღებული შთაბეჭდილებებით დაწერა. ამ შესანიშნავი მოთხრობის გმირი პარიზელი პროლეტარი ქალია. მას ამქვეყნად ერთადერთი თავისუფლება გააჩნია — ეს არის თავისუფლება პროსტიტუციისა. მოთხრობა ღრმა ფსიქოლოგიზმითაა აღბეჭდილი და მიმართულია კაპიტალისტური ყოფის საშინელებათა წინააღმდეგ.

ჯონ რიდის ცხოვრების სტიქიად დიდი ბრძოლების შუაგულში ტრიალი იქცა. მისი შემოქმედების უმთავრესი თემა და მისი მაღალი ნიჭის ყველაზე დიდი გამოვლენა ბრძოლების ჩვენება იყო.

თვითონ ჯონ რიდის ადამიანური

ბუნება ისევე, როგორც მისი შემოქმედების ხასიათი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შუაგულში ყოფნას მოითხოვდა. მასების შფოთსა და ამბოხებაში, რევოლუციასა და ნგრევაში იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. დიდი სოციალური ძვრები და გარდატეხები ასაზრდოებდა მის შთაგონებას, ფრთებს ასხამდა მის სიტყვას, უდიდეს გაჭანებასა და ზემოქმედების ძალას აძლევდა მის შემოქმედებას.

არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენა ამერიკაში ან უცხოეთში, რომლის აქტიური მონაწილე არ გამხდარიყოს ჯონ რიდი.

მუშათა გაფიცვები, სახალხო რევოლუციები, მსოფლიო ომის ფრონტები იქცნენ იმ ასპარეზებად, სადაც ჯონ რიდი თავს ყველაზე კარგად გრძნობდა, ხოლო მის ნიჭს ფართო გზა ეხსნებოდა.

ამ დიდ ბრძოლებსა და დაპირისპირებაში ჯონ რიდი არასოდეს არ რჩებოდა მხოლოდ ობიექტურ დამკვირვებლად, იგი ყოველთვის აჯანყებულთა მხარეზე იდგა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ჯონ რიდმა პეტერსონში მიიღო.

1913 წელს პეტერსონში აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების მუშები გაიფიცნენ. გაფიცვის მეთაურებმა მდგომარეობის გასაცნობად და სიმართლის გასაგებად რადიალურად განწყობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და ჟურნალისტები მიიწვიეს. მათ შორის იყო ჯონ რიდიც.

პირველად რიდი პეტერსონის გაფიცვას სერიოზულ ამბად არ თვლიდა, მაგრამ გაფიცვის მასშტაბმა და გაქანებამ იგი დაარწმუნა, რომ პეტერსონი დიდი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზი გამხდარიყო და ამ ბრძოლის ნეიტრალურ მეთვალყურედ დარჩენა არ შეიძლებოდა.

„პეტერსონში, ნიუჯერსის შტატში, ომმა იფეთქა, მაგრამ თავისებურმა ომმა, — წერდა რიდი თავის ნარკვევში „ომი პეტერსონში“, — ძალმომრეობას მიმართავს მხოლოდ ერთი მხარე — ფაბრიკების პატრონები. მათი მსახური პოლიციელები ხელკეტებით სცემენ უმწეო კაცებსა და ქალებს. ცხენზე ფლოქვებით თელავენ მორჩილ მოქალაქეებს“...

რიდი გადაჭრით დადგა გაფიცულთა მხარეზე. იგი ესწრებოდა მათ შეკრებებს. ერთხელ თვითონაც იწვნია პოლიციის თვითნებობა: იგი უდანაშაულოდ დააპატიმრეს და ოთხი დღე იჯდა ციხეში.

ჯონ რიდი გაფიცულთა აუტანელ ცხოვრებას აკვირდებოდა. მათთან საუბარში გაიგო საქმის ნამდვილი არსი და პეტერსონელ მუშებთან ერთად დაიწყო უსულგულო ფაბრიკანტებისა და მათი ქომაგების — კანონისა და პოლიციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

მწერალი უფრო გვიან წერდა, მე მუდამ რომანტიკოსი ვიყავიო. ეს რომანტიკა პეტერსონის დღეებშიაც არ ტოვებდა რიდს და მან თავისი სტუდენტობისდროინდელი გამოცდილება გაიხსენა: 25.000 გაფიცული ერთად შეკრიბა და სიმღერა ასწავლა. ოცდახუთი ათასი გაფიცული ჯონ რიდის დირიჟორობით ერთხმად გუგუნებდა: „ძირს, ძირს, ძირს!“

ჯონ რიდი უფრო შორს წავიდა. ის გაფიცულთა ამ მასას ნიუ-იორკისაკენ წაუძღვა და მედისონ-სკვერ-გარდენის დარბაზში მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე პეტერსონელი მუშების არაადამიანური ცხოვრების სცენები წარმოადგინა. წარმოდგენა „ინტერნაციონალის“ სიმღერით დასრულდა.

ეს იყო ნამდვილი სახალხო თეატრი თავისი შინაარსით, შესრულებითა და მასშტაბით. ჯონ რიდს ეკუთვნოდა არა მარტო იდეა ამ წარმოდგენისა, იგი იყო სანახაობის დამდგმელი-რეჟისორი და წარმოდგენის სცენარის ავტორიც.

1913 წლის ბოლოს მექსიკაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ჯონ რიდი მიემ-

გზავრება მექსიკაში გაზეთ „ეორლდის“ კორესპონდენტად. რიდის კორესპონდენციებმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ფართო წრის ყურადღება; ამ კორესპონდენციებმა შეადგინა მთელი წიგნი და ამ წიგნს რიდმა „აჯანყებული მექსიკა“ უწოდა.

რიდის გამჭრიახი თვალი კარგად ამჩნევს უმთავრესსა და ყველაზე დამახასიათებელს. რიდის წიგნი უშუალო შთაბეჭდილებითაა დაწერილი. მწერალი აჯანყებულებთან ერთად იყო ბრძოლებისა და დასვენების დროს. იგი თვითონ ებმებოდა აჯანყებული პეონების გულუბრყვილო კამათში, გულითად საუბარში არკვევდა მათი აჯანყების მიზეზებსა და მიზნებს და რაც უფრო უახლოვდებოდა მათ, მით უფრო იმსჭვალებოდა სიმპათიით აჯანყებულთა მიმართ.

მექსიკის აჯანყება ნამდვილი სახალხო რევოლუცია იყო. შინაური მტარვალებისა და უცხოელი იმპერიალისტებისაგან გაშწარებული გლეხები აღსდგნენ ელემენტარული უფლებების მოსაპოვებლად.

სიმართლე ღატაკი პეონების მხარეზე იყო და რიდს არ შეეძლო ამ სიმართლის თავგამოდებულ დამცველად არ გამოსულიყო. რიდი არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდა, აჯანყებულებთან ერთად ზეიმობდა გამარჯვების სიხარულს და ამათთან ერთად განიცდიდა დამარცხების სიმწარეს. აჯანყებული მექსიკელები ხედავდნენ და აფასებდნენ ამერიკელი მწერლის გულწრფელობას, მასთან ერთად ინაწილებდნენ სალაშქრო ულუფას და მთავრიან ღამეებში მღეროდნენ ბალადებს, რომლებსაც რიდი იქვე იწერდა და შემდეგ ინგლისურად თარგმნიდა. რიდი მაშინ 26 წლისა იყო.

„— ოთხი თვის განმავლობაში, — წერდა რიდი, — მე ცხენდაცხენ ასეუული მილი გავიქრილე მზით გადაბუგულ უდაბნოში. მიწაზე მეძინა ჯარისკაცებთან ერთად, მთელი დღის ცხენზე ჯდომით დაღლილი ღამეებს ვათენებდი მათთან ერთად ცეკვასა და ლხინში. მე ყველგან მათთან ვიყავი თამაშშიც და ბრძოლაშიც და იქნება ჩემი ცხოვრების სწორედ ამ პერიოდმა მომანიჭა ყველაზე მეტი კმაყოფილება. მე მადლიერი ვიყავი ამ ველური მეომარი ხალხისა და საკუთარი თავის. მე შევიყვარე ისინი და მათი ცხოვრება“.

„აჯანყებული მექსიკა“ სავსეა ბუნების შესანიშნავი სურათებით. რიდის პალიტრა ანალი ფერებით გამდიდრდა. მან ჰპოვა რომანტიკა არა მარტო ამბოხებულ ადამიანებში, მათ დეკორატიულ ჩაცმულობასა და გარეგნობაში, არამედ იმ ჭაცრსა და მწირ ბუნებაშიც, რომელიც უდაბურ ველებად იშლებოდა ბანაკად მდგარი აჯანყებულების ირგვლივ: „იერმოში ათეულ კილომეტრით გაჭიმული ქვიშის უდაბნოს მეტი არაფერია. აქა-იქ უდაბნოს დამჭკნარი მესკიტო და ჯდუჯა კაკტუსი ფარავს. დასავლეთის მხრიდან მას მწითურ-ყავისფერი მთის წვერები არტყია, ხოლო აღმოსავლეთით უდაბური ტრამალი ჰაერის ტალღებში და მოცახცახე ჰორიზონტის ხაზამდე აღწევს“.

ან კიდევ: „გზაზე დატრიალებული მტვრის კორიანტელში, მოძრავი ღრუბლებით დაფარული ცის ქვეშ, სიბნელეში დაეწყო გრძელი მწკრივი ცხენოსნებისა. ოფიცრები კოლონებს უვლიდნენ, ამოწმებდნენ თოფებს და პატრონტაშებს.

დასავლეთით უდაბნოში, შორეული მთებისაკენ საომრად მიდიოდნენ ცხენოსანთა პირველი რაზმები. ათასამდე ცხენოსანი ათ ხაზად იშლებოდა, როგორც ბორბლის ფესოები იშლებიან ღერძიდან. მათი დეზები ყოლარუნობდნენ, წითელ-თეთრ-მწვანე ბაირაღები ქარში ფრიალებდნენ, მკრთალად გამოსჭვივოდნენ ჯვარედინად გადაკიდებული ტყვიებით გაჭედილი ლენტები, უნაგირებზე თოფის კონდახები ხმაურობდნენ. მძიმე, მაღალი ხომბრერიები და ჭრელი სანბები ასრულებდნენ სურათს“.

ჯონ რიდმა სიყვარულით დახატა მექსიკის რევოლუციის რიგითი ჯარისკაცები, ხალხის მასებიდან გამოსული

ბელადები, გაუნათლებელი, მაგრამ ალალმართალი სახალხო გენერლები, რომელთაც სამართლიანობისათვის ბრძოლაში დიდი სამხედრო ნიჭი, ალღო და ვაჟკაცობა გამოიჩინეს. რიდი არ აიდეალებდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც ერთად იგი ჭირსა და ლხინს ინაწილებდა. „აჯანყებული მექსიკის“ ფურცლებზე შეულამაზებლად, თავისი ნამდვილი სახით, ნაკლითა და სიკეთით არიან გაცოცხლებული არა მარტო ღარიბი, უმეწყნელო გლეხები, არამედ მათი მეთაურებიც. ტრაბახა ავანტურისტების გგერდით, რომლებიც რევოლუციას პირადი გამორჩენის მიზნით მიეტმასნენ, რიდი გვიხატავს რევოლუციის ნამდვილ ბელადებს, ხალხის წიაღიდან გამოსულ მშრომელებს, რომელთაც იარაღი უსამართლობამ და უკიდურესმა გაჭირვებამ ააღებინა ხელში.

ასეთები არიან პანჩო ვილა და ორგეტო.

ორგეტო ღატაკი გლეხია, მისი პირველი ოცნება, ისე როგორც ყოველი პეონისა, მიწაა. იგი მამაცურად იბრძვის მექსიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახალი სამართლიანი წესწყობილებისათვის.

მექსიკის რევოლუციის ჭეშმარიტი ბელადი პანჩო ვილა იყო. „ვილა უწიგნური პეონების შვილი იყო, — წერს რიდი. — პანჩოს არასდროს არ უსწავლია სკოლაში. მას მეცირდი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თანამედროვე ცივილიზაციის სირთულეზე და როცა უკვე დავაჟკაცებული, არაჩვეულებრივი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული, იგი კვლავ შეხვდა ამ ცივილიზაციას, მან მეოცე საუკუნეში ველურის ალალი გულუბრყვილობა მოიტანა.“

ვილას მთელი ცხოვრება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ოცი წლის განმავლობაში იგი კანონგარეშე იყო გამოცხადებული და ვინც მას შეიპყრობდა, მთავრობას მისთვის ჯილდო ჰქონდა დაწესებული. ვილას დიდმა პოპულარობამ მისმა გადასვლამ რევოლუციის მხარეზე აჯანყებას თავიდანვე სახალხო ხასიათი მისცა.

ბუნებით ნიჭიერი და გამჭრიახი ვილა მალე რევოლუციის არმიის სათავეში მოექცა. ვილას ორმოციათასიანი ლაშქარი გრიგალივით დაჰქროდა მექსიკის თვალუწვდენელ ტრამალებზე, ქალაქ ქალაქზე იღებდა და დამონებული პეონებისათვის მიწა და თავისუფლება მოჰქონდა.

ჯონ რიდი ყველგან თან ახლდა პანჩო ვილას. იგი აღტაცებული იყო ამ თავზეხელაღებული გლეხის გულწრფელობითა და დიდი სამხედრო ტალანტით.

ჯონ რიდმა თავის წიგნში მთელი თავები მიუძღვნა პანჩო ვილას მან შესანშნავად აგვიწერა პანჩო ვილას ბრძოლები, მისი გმირული ლაშქრობა და უშიშარი მოქმედება. მწერალმა ასევე დიდი სიმარილითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვიჩვენა ვილას უძლურება იმ რთულ სიტუაციებში, რომლებსაც თავისი გაუნათლებლობის გამო ქვეყნის მართვისას აწყდებოდა.

ოცდათიან წლებში მსოფლიოს ყველა ეკრანზე უდიდესი წარმატებით მიდიოდა ამერიკული კინემატოგრაფის შედევრი „ვივა ვილა“. კინოთეატრებთან გრძელი რიგები იდგა, რათა ენახათ მექსიკის უდაბურ ველებზე სტვენითა და „კუკარაჩას“ სიმღერით მჭროლავი ვილას ჰოლაშქრეების გმირობა.

...მემამულის მოურავი პანჩოს მამას კლავს. შურისძიების წყურვილით ანთებული პანჩო იარაღს აისხამს და პარტიზანებთან გაიქცევა. სასამართლო ექვს მეამბოხე გლეხს ჩამოხრჩობას მიუსჯის. სახრჩობელაზე ექვსი უდანაშაულო პეონი ჰკიდია. მოულოდნელად ქალაქში გრიგალივით შემოიჭრება ვილას რაზმი. რაზმელები მსაჯულებს იჭერენ და მაყურებელი სულგანაბული უცქერის თავისი მხატვრული სიძლიე-

ლამარა აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რით უაღრესად შთამბეჭდავ სცენას: მსაჯულების სკამებზე პანჩო ვილამ სახრჩობელიდან ჩამოხსნილი პეონები დასვა და იწყება სასამართლო. ახლა როლები შეცვლილია: წეღანდელ მოსამართლეებს ჩამომხრჩვალი პეონები ასამართლებენ. ჩამომხვრჩვალთა სახელით ვილა მსაჯულებს სიკვდილს მიუსჯის.

შემაძრწუნებელ სცენას დიდი შინაგანი სიმართლითა და ტაქტით ატარებს შესანიშნავი მსახიობი უილეს ბირი.

ფილმში ბევრი რამ არის აღებული ჯონ რიდის „აჯანყებული მექსიკიდან". სცენარის ავტორმა არა მარტო მასალად გამოიყენა ეს შესანიშნავი წიგნი, მან ისარგებლა რიდის მხატვრული ხერხებით, ვმირთა დახასიათებებით. უფრო მეტიც, ფილმში გამოყენული ჟურნალისტი ჯონ საიქსის პროტოტიპად უმთავრესად ჯონ რიდი იგულისხმებოდა. ამაზე მიუთითებს არა მარტო სახელი ჯონი, არამედ საიქსის ხასიათის ბევრი მხარე, მისი მეგობრობა პანჩო ვილასთან.

„აჯანყებულმა მექსიკამ" ჯონ რიდს მსოფლიო სახელი მოუპოვა და იგი ამერიკელი მწერლების პირველ რიგებში დააყენა. მას ადარებდნენ იმ დროის დასავლეთის უდიდეს მწერალს რედიარდ კიპლინგს, როგორც სამხედრო კორესპონდენტს (კიპლინგი ხომ სამხედრო კორესპონდენციების უბადლო ოსტატად ითვლებოდა!), ხოლო „აჯანყებული მექსიკით" აღტაცებულმა კიპლინგმა ხმამაღლა განაცხადა: „რიდის წერილებით მე დავინახე მექსიკა!"

რიდი პრესისა და ლიტერატურული წრეების ყურადღების ცენტრშია. მის მაღალ ნიჭზე და შემოქმედებაზე აღფრთოვანებით წერენ და ლაპარაკობენ. მას თანამშრომლად იწვევენ ყველაზე გავლენიანი გაზეთები და ჟურნალები.

მექსიკიდან დაბრუნებული ჯონ რიდი პეონების რევოლუციის დაცვას განაგრძობს. იგი დაუღალავად ეწევა პროპაგანდას იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკა არ ჩაერიოს მექსიკის შინაურ საქმეში.

მალე რიდი იძულებული ხდება ნმა აღიმაღლოს ახალი უსამართლობის წინააღმდეგ. ამჯერად ბოროტმოქმედების ადგილი თვითონ ამერიკა იყო. კოლორადოს შტატში ლედლოუს მაღაროელები გაიფიცნენ. გაფიცვა გამოწვეული იყო მაღაროელთა უკიდურესი გაჭირვებით, უმნიშვნელო, დაბალი ხელფასით, უუფლებობით.

მაღაროელები ადმინისტრაციამ ბინებიდან გამორეკა. გაფიცულები სახელდახელოდ გამართულ კარვებში ცხოვრობდნენ და მოთმინებით უცდიდნენ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ მაღაროთა მფლობელებმა შეიარაღებული პოლიცია დაიჭარეს და გაფიცულებს სასტიკად გაუსწორდნენ.

ჯონ რიდმა დაუყოვნებლივ მიაშურა ლედლოუს. მან საკუთარი თვალით ნახა მიუსაფარი, ღარიბი, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებული მაღაროელები, რომელთაც თავიანთი მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არავითარი ძალადობისათვის არ მიუმართავთ...

რიდმა დაწერა ჟურნალ „მეტროპოლიტენისათვის" კორესპონდენციები სათაურით — „ომი კოლორადოში".

„ომი კოლორადოში" კიდევ ახალი საფეხური იყო რიდის შემოქმედებაში. მწერალი ამ კორესპონდენციებში ფაქტის კონსტატაციას კი აღარ ჯერდება, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს იკვლევს და მეზნებარე პროტესტს აცხადებს კაპიტალისტთა უკანონობის წინააღმდეგ.

ჯონ რიდმა ამ ნაწარმოებში ამხილა არა მარტო კაპიტალისა და მის მიერ დაქირავებული ხელისუფლების ბოროტმოქმედება, მან ნიღაბი ჩამოგლიჯა სოციალ-დემოკრატ მოლაყბეებსაც, რომლებიც სიტყვით ვითომ გაფიცულებს თანაუგრძნობდნენ, ხოლო ფაქტიურად არაფერს არ აკეთებდნენ მათ დასაცავად, დასახმარებლად.

1914 წელი.

„...იფეთქა ევროპის ომმა, — წერს ჯონ რიდი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში, — მე ევროპისაკენ გავემგზავრე კორესპონდენტად. წელიწადნახევარი მოვანდომე ომში მონაწილე ქვეყნებში მოგზაურობას, ვიყავი ხუთი მეომარი ქვეყნის ფრონტებზე. ეს იყო ომის სახელოსნო, ტრანშეები იქცნენ ფაბრიკებად, რომლებიც აწარმოებდნენ როგორც სულიერ, ისე ხორციელ ნგრევას. ომს მოჰქონდა სიკვდილი მისი ერთადერთი მნიშვნელობით. ყველაფერი დამუნჯდა, გარდა სიძულვილისა და ზარბაზნებისა. დიდი ომი ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლისა და კაცობრიობის შემდგომი განვითარების შეწყვეტაა“.

ჯერ კიდევ ევროპაში გამგზავრების წინ რიდს თავისი გარკვეული შეხედულება ჰქონდა პირველ მსოფლიო ომზე. მას ღრმად სწამდა, რომ ეს ომი არ შეიძლებოდა პოპულარული ყოფილიყო, რადგან იგი ერთი მუჭა მონოპოლისტების ომი იყო მსოფლიო ბაზრების ხელახლა გადასანაწილებლად; „ეს ომი ჩემი ომი არაა!“ — ხმამაღლა ამბობდა იგი ამერიკიდან გამგზავრების წინ და მისი ეს წინასწარმეტყველება ევროპაში ჩასვლისთანავე დაადასტურა იქ ნახულმა და განცდილმა.

რიდმა მოიარა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია. იგი მისთვის ჩვეული გამბედაობით დადიოდა ცეცხლის ხაზზე, სანგრებში. აქაც უფითრაკოდ ვერ გადარჩა: მარნაზე გახურებული ბრძოლების დროს იგი ფრანგებმა შეიპყრეს. რიდს სათანადო ნებართვა არ აღმოაჩნდა, იგი გარეგნობით იტალიელად ჩათვალეს, დახვრეტას ძლივს დაადწია თავი.

ფრონტისაკენ მიმავალ ახალწვეულებთან თუ ზურგში დაბრუნებულ დაჭრილებთან საუბარში რიდი რწმუნდებოდა, რომ არც ერთი მეომარი ხალხი ხალხს, ამ ხალხების ნამდვილ წარმომადგენლებს — მებრძოლ ჯარისკაცებს — არ ესმოდათ ომის აზრი და მიზანი. ეს მათი ომი არ იყო. სამაგიეროდ ორივე ბანაკის ბურჟუაზიამ კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა: ისინი ხალხებს ამ სასაკლაოს უზარმაზარი მანქანის ფუნქციონირებად მიდიოდნენ და სულაც არ დაგიდევდნენ მილიონობით უდანაშაულო ახალგაზრდების დაღუპვას, ოღონდ მეტი ოქრო მოეხვეჭათ და განცხრომასა და ფუფუნებაში გაეტარებინათ დრო ნეიტრალური ქვეყნების კაფე-რესტორნებში.

რიდი აანალიზებდა ომის წინა პერიოდის სოციალურ და პოლიტიკურ დაჯგუფებებს მთელ მსოფლიოში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გერმანიის მილიტარიზმი, რომელიც კოლონიების ხელში ჩასაგდებად იბრძოდა, ისევე იყო დაინტერესებული მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, როგორც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმი მათ ხელთ მყოფი ბაზრების შენარჩუნებით. ორივე მხარეს გამდიდრებისა და სხვებზე ბატონობის წყურვილი ამოქმედებდა. მათ ანგარიშში მხედველობაში სრულიად არ იყო მიღებული არც მსოფლიოს დანარჩენი ხალხების, არც საკუთარი ქვეყნების მშრომელთა ინტერესები.

მოვლენებზე უშუალო დაკვირვებისა და მათი სწორი ანალიზიდან გამომდინარე რიდმა მართებული დასკვნები გააკეთა: ევროპის ომს მან ვაჭრების ომი უწოდა და მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, ეს ომი პოპულარული არ არის და არც შეიძლება იყოსო.

„გმირობა იქ არ შეიძლება იყოს, სადაც მილიონობით ადამიანები ისეთი განწყობილებით მიდიან სასიკვდილოდ, როგორც ევროპის არმიებს ჭმნდათ ამ სამი წლის მანძილზე“, — სწერდა რიდი ცოტა მოგვიანებით.

რიდმა ფარდა ასადა მეომარი ქვეყნების პროპაგანდას და კაცობრიობას დაანახვა იმპერიალისტური ომის ნამდვილი სახე. „დემოკრატიისათვის ბრძოლისა“ და „სამართლიანობის დამყარებისათვის“ ომის მიღმა მან კარგად დაი-

ნაბა იმპერიალიზმის მგლური ბუნება, ომმა მხოლოდ ერთი მუჭა მონოპოლისტებისათვის მოჭქონდა სიმდიდრე და ფუფუნება, დანარჩენი უმრავლესობისათვის კი — სიკვდილი, სიღატაკე და ცრემლი.

გერმანიაში რიდი შეხვდა კარლ ლიბკნეხტს. ლიბკნეხტმა რიდთან საუბარში ჩამოაყალიბა ის პოზიცია, რომელიც ჭეშმარიტ სოციალისტს უნდა ჰქონოდა კაცობრიობის იმ საშინელი ტრაგედიის დღეებში. ევროპიდან რიდი უკვე ჩამოყალიბებული, მტკიცე რწმენით დაბრუნდა: **„ჩვენ, სოციალისტებს, შეგვიძლია იმედი გვქონდეს, შეგვიძლია დარწმუნებულიც კი ვიყოთ, რომ სისხლის ღვრის საშინელებისა და ნგრევისაგან დაიბადება დიდი სოციალური გარდაქმნანი და გადაიდგმება დიდი ნაბიჯი წინ, ჩვენი მიზნისაკენ — ადამიანთა შორის მშვიდობისაკენ. ჩვენ არ უნდა მოგვატყუოს გაზეთების ლაყბობამ ომის შესახებ, რომ ლიბერალიზმი აწარმოებს ტირანიის წინააღმდეგ წმინდა ომს.**

ეს ჩვენი ომი არ არის!“

ამერიკაში დაბრუნებისთანავე რიდი იწყებს ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას. იგი არ ჯერდება მწვავე ანტიიმპერიალისტურ სტატიებს („ვაჭრების ომი“, „შენიშვნები ომზე“ და სხვ.), რომლებშიც აშკარა პროტესტს აცხადებს ომის საშინელებათა გამო. იგი ამერიკის მუშათა მოძრაობის მოწინავე ადამიანებთან ერთად გამოდის მიტინგებსა და კრებებზე, სადაც საკუთარ შთაბეჭდილებებსა და დასკვნებს უზიარებს თანამემამულეებს. რიდი ამხილებს ამერიკელი მონოპოლისტების აგენტებს, მათ მიერ გაღვივებულ ომის ისტერიას, რომლებიც „დემოკრატიისა“ და „ნაციონალური თავდაცვის“ ყალბი ლოზუნგებით ევროპის ომში ამერიკის ჩათრევას ცდილობდნენ.

**„ახლა ჩვენი ჯერიც დადგა. ახლა ახალგაზრდა ამერიკელთა მილიონები ევროპაში უნდა გაიგზავნონ იმისათვის, რომ „დემოკრატიის“ გულისთვის გერმანელები ჟლიტონ, ან თვით დაიხოცნონ. ამ ახალგაზრდების უმრავლესობა მუშები არიან, რომელთაც იციან, ანუ

ბური კომედიის დაწერა, ეს იქნებოდა სატირა ამერიკის ინტელიგენციის იმ დიდ ნაწილზე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო შექმნილ რთულ პირობებში და თავისი პოზიცია ვერ ჩამოეყალიბებინა.

ნიუ-იორკის ატმოსფერო რიდისათვის თანდათან აუტანელი ხდება. მან განიზრახა ევროპაში სამხედრო კორესპონდენტად გამგზავრებულიყო, მაგრამ მტრებმა მის წინააღმდეგ საშინელი ცილისწმამებლური კამპანია გაიჩაღეს. ცილისწამებამ იმოქმედა, რიდს საფრანგეთის მთავრობამ ვიზაზე უარი უთხრა. მაშინ რიდმა აღმოსავლეთ ევროპის ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა და ისევ ჟურნალ „მეტროპოლიტენის“ სამხედრო კორესპონდენტად გაემგზავრა.

დასავლეთის ფრონტზე ნახული საშინელების შემდეგ თითქოს რიდი ევღარაფერს ვერ უნდა გაეკვირვებინა. მაგრამ აღმოსავლეთის ფრონტის სურათები კიდევ უფრო შემზარავი და შემაძრწუნებელი აღმოჩნდა: აღმოსავლეთის ფრონტი ადამიანთა საშინელი სასაკლაო იყო, სადაც ჯარისკაცებს ტყვიასთან ერთად მუსრს ავლებდა ეპიდემია.

რიდს თან ახლდა კანადელი მხატვარი ბორდმენ რობინსონი, რომელსაც „მეტროპოლიტენისათვის“ მწერლის კორესპონდენციების ილუსტრაციები უნდა დაეხატა.

1915 წლის აპრილში რიდი იტალიაში ჩავიდა და სალონიკის გზით სერბიას მიაღწია. სერბიიდან მათი მარშრუტი გაგრძელდა რუმინეთსა და რუსეთამდე. პეტროგრადიდან რიდი ისევ ბულგარეთში ბრუნდება, საიდანაც კონსტანტინეპოლს მიემგზავრება. თურქეთის ხელისუფლებამ რიდი აიძულა დაეტოვებინა კონსტანტინეპოლი. იგი ბულგარეთის გავლით ბრუნდება ჯერ სერბიაში და შემდეგ სალონიკში. სალონიკიდან რიდი გემით საშობლოში მიემგზავრება.

ამ მოგზაურობის შედეგად ჯონ რიდმა დაწერა ახალი წიგნი „ომი აღმოსავლეთ ევროპაში“ (1916 წ.)

სერბიაში გნუჩევის მთასთან რიდი „გვამების ხეობაში“ მოხვდა.

„თხრილებშუა მიწის ზედაპირი ნაყარი თიხნარით იყო აწეული. ახლო რომ დავაკვირდით, შემაძრწუნებელი სურათი დავინახეთ: ამ პატარა ბორცვებში ჩანდა ფორმის ტანსაცმელის ნაგლეჯები, თავის ქალები, მიწაში აზელილი თმა და ხორცის ნაფლეთები, თეთრი ძვლები, გახრწნილი ხელის მტევნები, ჯარისკაცის ჩექმებიდან ამოშვერილი გასისხლიანებული ფეხები. აუტანელი სიმყრალე იყო. ნახევრად გაველურებული ძაღლების ხროვა ტყის პირას დაშლიგინობდა. ვხედავდით, ორი მათგანი როგორ გლეჯდა მიწაში ნახევრად ჩამარხულ რაღაცას. სიტყვის უთქმელად კაპიტანმა რევოლვერი იძრო და ესროლა. ერთი ძაღლი წაიქცა, ერთხანს იცახცახა და ფეხები გაჰკიბა, მეორე ყმუილით მიეფარა ხეებს და მაშინვე ტყის სიღრმეში, ყოველი მხრიდან გაისმა მგლების საპასუხო შემზარავი ყმუილი...

ჩვენ გვამებზე მივაბიჯებდით. ზოგჯერ დამპალი ხორცით სავსე თხრილებში ფეხი გვეფლობოდა და ძვლები ტკაცუნით იმტვრეოდა.

მცირე თხრილები უცებ ღრმავდებოდა და მატლებით სავსე უძირო ორმოები ჩნდებოდა. გვამების უმეტესობა წვიმისაგან გადარეცხილი მიწის თხელი ფენით იყო დაფარული, ხოლო ბევრი სულაც დაუმარხავად ეყარა. ავსტრიელთა ცხედრების გროვა იმავე მდგომარეობაში ელაგა მიწაზე, როგორც მათ სიკვდილმა მოუსწრო, მათ შორის სერბებიც იყვნენ. ერთგან ავსტრიელის და სერბის სანახეგრად გახრწნილი გვამები მჭიდროდ ჩახვეოდნენ ერთმანეთს. ხელფეხით სასიკვდილოდ ჩაფრენოდნენ ერთიმეორეს და ახლაც კი შეუძლებელი იყო მათი ერთმანეთთან დაცილება...

გნუჩევის მწვერვალის გასწვრივ ექვსი მილის სიგრძეზე მკვდრები უზარმაზარ შტაბელებად ეწყო.

ლამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

— აქ ათეული ათასი მკვდარია, — სთქვა კაპიტანმა“...

„გვამების ხეობის“ საშინელებათა აღწერა კიდევ უფრო საშინელი სურათით თავდება: „სერბიის მთელი ეს მხარე თურმე გნუჩევის მთებიდან, გახრწნილი გვამებიდან გამომდინარე წყლით ცხოვრობს, მოსახლეობა ამ წყალს სვამს, ეს წყალი ჩადის მდინარეებში და იწამლება არა მარტო დუნაი და სხვა მდინარეები, არამედ შავი ზღვაც“.

პირველი მსოფლიო ომის უფრო კოშმარული სურათი ძნელად მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში.

რიდი და რობინსონი რუმინეთზე გავლით რუსეთში ჩავიდნენ. ხუთი კვირა დაჰყო რიდმა რუსეთში, აქედან ორი კვირა პატიმრობაში. საზღვარზე გადმოსვლისთანავე რიდი და რობინსონი შეიპყრეს. გაჩხრეკისას მათ აღმოაჩინდათ რამდენიმე ებრაელის მისამართი. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ისინი ჯაშუშებად ჩაეთვალათ.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგაც რიდსა და რობინსონს პოლიციის „ყურადღება“ როდი აკლდათ, მათ ფეხდაფეხ დასდევდა საგანგებოდ მიჩენილი პოლიციის აგენტები.

რიდმა მცირე ხნის განმავლობაშიც შესძლო შეემჩნია რუსეთის ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 1915 წელს პუტილოვის ქარხნის მუშების დიდ გაფიცვას, გაფიცვებს კიევსა, ოდესასა და სხვა ქალაქებში.

რიდი ხედავდა, რომ რუსეთში არსებობდა „ძლიერი, მაგრამ ჯერ წუნარი საფრთხე ცარიზმისათვის“.

რიდმა რუსეთში ყოფნის რამდენიმე დღის მანძილზეც შესძლო დაენახა რუსი ადამიანების გულითადობა, მათი სტუმართმოყვარეობა: „რუსული ფანტაზია — ყველაზე ცხოველია, — წერს რიდი თავის წიგნში „ომი აღმოსავლეთ ევროპაში“, — რუსული ცხოვრება — ყველაზე თავისუფალია, რუსული ხელოვნება ყველაზე დიდებულია, რუსული საბჭოელ-სასმელი, ჩემი გემოვნების მიხედვით, ყველაზე უკეთესია, ხალხი რუსები, შესაძლოა, ყველაზე საინტერესო არსებანი არიან ქვეყნად“.

რიდი თავის წიგნში ვერ აცდა იმ ზედაპირულ მსჯელობას რუსეთზე, რომელიც დამახასიათებელი იყო მაშინდელი დასავლეთის ინტელიგენციისათვის, კერძოდ, მსჯელობას დოსტოევსკიზე და დაუსრულებელ ჩაის სმაზე, რაზეც ვითომ ამდენ დროს კარგავენ რუსები.

წიგნში იყო წინააღმდეგობანიც. სწორი დაკვირვების გვერდით რიდი მკითხველს სთავაზობს სრულიად დაუსაბუთებელ დასკვნებს იმის შესახებ, თითქოს რუსეთში სუფევდეს „გრძნობებისა და აზრების ღრმა ეროვნული ერთიანობა“. კი თითქოს პროლეტარიატი და საშუალო კლასი „ორივენი საკუთარ პატრიოტულად არიან განწყობილნი“.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, რიდის ეს წიგნი მაინც დიდი ჰოვლენა იყო. მასში ავტორმა შესძლო ეჩვენებინა ომის საშინელებანი აღმოსავლეთის ფრონტზე და, რაც მთავარია, ეგრძნო მოახლოვებული ქარიშხლის სუნთქვა.

აღმოსავლეთ ევროპიდან დაბრუნებული რიდი გამოდის მიტინგებსა და კრებებზე. იგი თავის მსმენელებს მოუთხრობს ომის ნამდვილ არსზე, იმ გიგანტურ სასაკლაოზე, რომელიც ანადგურებს ევროპას ფიზიკურად და სულიერად.

ჯონ რიდი პრესაში განაგრძობს იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას. თავის სტატიებში იგი ამხელს მონოპოლისტების ხროკებს, რომელთაც შოვინიზმის გაღვივებით და ომის ხანძრის გავრცელებით სურთ ხელის მოთბობა და თავიანთი მოგების კიდევ უფრო გაზრდა.

რიდი აშკარად ხედავს, საით ჰიაქანებენ იმპერიალისტები ამერიკის პროლეტარიატს. მან იცის, რომ უუფლებო, სიღარიბისაგან დაბეჩავებულ ამერიკის

მუშათა კლასს ევროპის ომში ჩაბმა ახალი უბედურების მეტს არაფერს მოუტანს. იგი ჭრილობენდ აფრთხილებს ხალხის ბედით მოთამაშე მილტარისტებს: „ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს, უფრთხილდით აჯანყებას!“

რიდი გრძნობს შოვინისტური პროპაგანდის მტრულ ატმოსფეროს. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აკცმბრიობას თვალი აუხილოს და ომის დამღუფველ არსს ნიღაბი ახადოს. იგი ზოგჯერ სასოწარკვეთამდე მიდის. ეს „განწყობილება კარგად ჩანს იმ პერიოდში დაწერილ რიდის ლექსებში.

1917 წელს რიდმა თავი მოუყარა თავის საუკეთესო ლექსებს და გამოსცა კრებული. ეს იყო რიდის ლექსების ერთადერთი წიგნი.

ამავე პერიოდს ეკუთვნის რიდის ავტობიოგრაფიული ნარკვევი „თითქმის ოცდაათი“. ამ ავტობიოგრაფიულ ნარკვევში რიდმა კარგად ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური მრწამსი და სოციალური იდეალი.

„მე ოცდაცხრა წლისა ვარ. მე ვიცი, რომ აქ თავდება ჩემი სიცოცხლის ნაწილი. მიდის ახალგაზრდობა, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მასთან ერთად მიდის მთელი სამყაროს ახალგაზრდობაც. ხანგრძლივი ომი მართლაც შესამჩნევად დაგვეტყო ყველას. მაგრამ ჩვენ ვდგავართ ახალი ეპოქის ზღურბლთან. ქვეყანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ისე სწრაფად იცვლება, მასში ისე ბევრია ნათელი და მნიშვნელოვანი, რომ არ შეიძლება არ იფიქრო იმაზე, თუ როგორ ბრწყინვალე და საშინელ პერსპექტივებს შეიცავს მომავალი.

უკანასკნელ ათ წელს მე დავიარე მთელი დედამიწა. ხარბად ვდებულობდი ახალ შთაბეჭდილებებს, ვიბრძოდი და მიყვარდა, ვაკვირდებოდი და ყურს ვუგდებდი, ვამოწმებდი ფაქტებს. მე ვმოგზაურობდი მთელს ევროპაში აღმოსავლეთის საზღვრამდე. ვიყავი მექსიკაში. ბევრი რამ გადამმდა თავს. მე ვნახე დახოცილთა გვამები, განადგურებული არმიები და გამარჯვებით მთვარალი, მოზეიმე ადამიანები; ვხვდებოდი მეოცნებეებსა და სკეპტიკოსებს.

ჩემი ცხოვრების გზაზე მე ვხედავდი, როგორ იცვლილა სახეს, იკრეფდა ღონეს და აყვავებას განიცდიდა ცივილიზაცია. შემდეგ მე ვნახე, როგორ იფერფლებოდა და იღუპებოდა იგი ომის ხანძრებში გახვეული. მე სანგრებში გავიგე, რა არის ომი. მე ჯერ მთლად მოყირჭებული არა მაქვს ახალი შთაბეჭდილებები, მაგრამ მოყირჭების დროც მალე დადგება, მე ეს ვიცი. ჩემი მომავალი ცხოვრება არ ემგვანება წინანდელს. აი, რატომ მინდა შევდგე ერთი წუთით, თვალი მოვავლო განვლილ გზას, სული მოვითქვა“.

რიდი საინტერესოდ მოგვითხრობს თავის ბავშვობასა და სტუდენტობაზე, შშობლებზე და უნივერსიტეტის ამხანაგებზე; იგი გულახდილად გვიამბობს თავის იდეურ ფორმირებაზე.

ავტობიოგრაფიაში აშკარად ჩანს ის წინააღმდეგობანი, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის რიდის განწყობილებისათვის. „და. აი, ახლა, ოცდაათი წლის დამდეგს, — წერს რიდი, — მე ველარ ვგრძნობ მოწოლილ ენერგიას და სიცოცხლის წინანდელ სიხარულს. დიდმა ომმა ბევრი რამ წამართვა იმისა, რისაც მჯეროდა...“

სწორად აფასებს რა ომის გამანადგურებელ გავლენას ადამიანების ფიზიკურსა და სულიერ მდგომარეობაზე, რიდი ამთავრებს: „მოუთმენლად ველი, ველი როდის გათავდება ყოველივე ეს, რომ ცხოვრება თავის ჩვეულ დინებას მიჰყვეს და მუშაობა შევძლო“.

ჯონ რიდი უდიდეს მნიშვნელობას თავის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მუშათა მოძრაობასთან დაახლოებას ანიჭებს.

იგი გვიამბობს არა მარტო დამქირავებელთა და პოლიციელთა ულმობელობაზე, არამედ სოციალისტების უხერხულობაზე: „ჩვენი სოციალისტური პარტია მუშებთან პირისპირ შეხ-

---

ლამარა აბაშიძე
ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

ვედრისას მე ისევე უმნიშვნელოდ და უნიათოდ მეჩვენა, როგორც რელიგიური დოქტრინა“.

რიდი უკვე კარგად ხედავს მუშების გამოსვლის საშინელი სიღატაკისა და არაადამიანური უუფლებობისაგან: „მას შემდეგ მე მოწმე ვიყავი ბევრი სხვა გაფიცვისა და ვწერდი მათზე. მათი უმრავლესობა წარმოადგენდა სიცოცხლისათვის ძლივსძღვივობით საკმარისი პირობებისათვის ბრძოლას. ყველაფერი, რაც ჩემი თვალით ვნახე, კიდევ ერთხელ მიმტკიცებდა ჩემს პირველ წარმოდგენას ბრძოლაზე და მის აუცილებლობაზე. მე მთელი გულით მინდოდა, რომ პროლეტარიატი აღმდგარიყო საბრძოლველად და თავისი უფლებები მოეპოვებინა...“

ჯონ რიდი წინასწარმეტყველურად გრძნობდა საბრძოლველად აღმდგარი პროლეტარიატის რევოლუციის მოახლოებას; რიდი 1917 წლის აგვისტოში წერდა: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთში მასებს უნდათ ეს ომი, — ამ დღეებში, როცა რუსეთის მასებმა დაარღვიეს საუკუნო დუმილი, — ყური დაადოს მიწას — და იგი გაიგონებს მოახლოებული სამყაროს გუგუნს“.

იმ ერთგვარი სულიერი კრიზისიდან, რომელშიც რიდი დროებით აღმოჩნდა, რევოლუციამ მწერალს გამოსავალი აპოვინა.

რიდი შორიდან აკვირდებოდა დიდ ამბებს, რომელიც რუსეთში ხდებოდა. იგი ხედავდა, როგორ დუღდა რუსეთი, როგორ თანდათან მატულობდა შფოთი და არეულობა. მწერალი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, „რუსეთის წიაღში მძლავრი დამანგრეველი ცეცხლი მძვინვარებს თუ ალი უკვე გამქრალია?“

პასუხი მწერალს თვით მოვლენების განვითარებამ გასცა. რუსეთის სიღრმეში მოგუგუნე ძალები სულ მალე საშკარაოზე გამოვიდნენ და პეტროგრადში რევოლუციამ იფეთქა.

რიდი კვლავაც მოვლენების გულში აღმოჩნდა. იგი 1917 წლის სექტემბერში რუსეთს მიემგზავრება ჟურნალ „მასების“ კორესპონდენტად.

პეტროგრადმა სწრაფად გამოიცვალა. ... ფანტ. ... ...

ბის განვითარებას და ყოველდღიურად ამზადებს მასალას მომავალი წიგნისათვის.

მიტინგები, რომლებიც ასე ხშირად იმართებოდა მაშინ პეტროგრადში, ბრძანებები, მოწოდებები და ფურცლები, რომლითაც აჭრელებული იყო ქუჩები, პლაკატები და ბროშურები, რომლებსაც უხვად ავრცელებდნენ რევოლუციონერებიც და კონტრრევოლუციონერებიც, — რიდისათვის იქცა შთაგონების წყაროდ. იგი მზრუნველად აგროვებდა ამ მასალას, ინახავდა „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კომპლექტებს, შენიშვნებით ავსებდა უბის წიგნაკებს.

პეტროგრადის ქუჩებში ერთი პარტიის პლაკატს ხშირად სხვადასხვა პარტიები ზედ მიაკრავდნენ თავთავიანთ პლაკატებს, ისე რომ, პლაკატების სქელ ფენაში ხშირად ერთმეორის საწინააღმდეგო შინაარსი იმალებოდა.

„ერთხელ, — წერს რიდის ბიოგრაფი ვილიამსი, — **რიდმა აახია პლასტი, რომელიც ერთმანეთზე დაკრულ თექვსმეტ პლაკატს შეიცავდა. რიდი ჩემს ოთახში შემოიჭრა, ქაღალდის უშველებელ ფენას იქნევდა და გაიძახოდა: „შეხედე, ხელის ერთი გაკვრით ავგლეჯე მთელი რევოლუცია და კონტრრევოლუცია“.**

ჯონ რიდი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში თავის თავს არ ღალატობს, იგი ისევე თავზეხალიებულია და, როგორც ერთ დროს აჯანყებულ მექსიკაში, ახლაც რუსეთის ფრონტებზე და რევოლუციის ბარიკადებზე უშიშრად დაქრის.

რიდი ჯერ ჟურნალ „მესსიზზი“, ხოლო მისი აკრძალვის შემდეგ „ლიბერეიტორში“ ბეჭდავს წერილების სერიას სათაურით „პროლეტარიატის აჯანყება“. ავტორის მიზანი იყო ამერიკელი მკითხველისათვის ეთქვა სიმართლე რუსეთის რევოლუციაზე, დაენახვებინა **რუსეთის** პროლეტარიატის ბრძოლის ნამდვილი სურათი და ამით თვალი აეხილა ბურჟუაზიული პროპაგანდით დაბრმავებული პატიოსანი ადამიანებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის დღეებში რიდი თანამშრომლობს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთაშორისო პროპაგანდის განყოფილებაში, ღამეებს თითეს სტამბაში, სადაც იბეჭდება მიმართვა ყველა ქვეყნის ჯარისკაცებისადმი ზავისა და მშვიდობის შესახებ.

ჯონ რიდი აქტიურად მონაწილეობს უცხოელებისათვის განკუთვნილ საბჭოთა გამოცემებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მის **ჰიერ შეთხზული ტექსტები** გაზეთ „ლამპარის“ ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატებისათვის (გამოდიოდა გერმანულ ენაზე სახელწოდებით „რუსეთის რევოლუცია სურათებში“). საინტერესოა რიდის ტექსტი, რომელიც რევოლუციური ტრიბუნალის წევრთა სურათს ახლავს: **„ეს ჯგუფი—მასში ოთხი მუშა და სამი ჯარისკაცია — დღესდღეობით წარმოადგენს რუსეთის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს. მათ უმრავლესობას გამოვლილი აქვს მრავალი წლის ციხე რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ახლა ეს მუშები და ჯარისკაცები გახდნენ მათი გამსამართლებლები, ვინც ხალხს ავიწროვებდა“.**

ძალაუნებურად გაგონდება ეპიზოდი პაინო ვილას ცხოვრებიდან, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ მექსიკაში ჩამომძრჩვალი პეონები ასამართლებენ მჩაგვრელებს, ხოლო აქ, რუსეთში, გამარჯვებული პროლეტარიატის წარმომადგენლები სჯიან მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

გარდა მწერლურ-ჟურნალისტური საქმიანობისა, ჯონ რიდი უშუალო პონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლუციის ბევრ ღირსსახსოვარ ეპიზოდში. როცა ცნობილი გახდა კონტრრევოლუციის გამოსვლის საშიშროება, რიდმა შაშხანაც აიღო ხელში.

ჯონ რიდი იყო მოწმე ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული ამბებისა. იგი ესწრებოდა საბჭოების სრულიად

ლამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

რუსეთის ყრილობის გახსნას. ჯონ რიდი იყო ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილე, იგი აჯანყებულ მასებთან ერთად შეიჭრა ძველი სამყაროს ამ ციტადელში და საკუთარი თვალით ნახა დროებითი მთავრობის წვრთნა დამატებრება.

ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლგამოვლილი ჯონ რიდი 1918 წელს ამერიკაში ბრუნდება. მას მომავალი წიგნისათვის თან მიაქვს უმდიდრესი მასალა, ჩანაწერები და დოკუმენტები.

ამერიკის პოლიციისათვის არა მარტო რიდის მოღვაწეობა იყო კარგად ცნობილი, მან კარგად იცოდა იმ მასალის ფასიც, რომელიც მწერალს თან მოჰქონდა რევოლუციური რუსეთიდან.

ნიუ-იორკის ნავსადგურში ჩამოსვლისთანავე რიდს იუსტიციის სამინისტროს აგენტები ხვდებიან და მთელი იქ ძვირფასი მასალის კონფისკაციას ახდენენ.

ჯონ რიდს ამერიკაც გამოცვლილი დაჰვდა. რუსეთის რევოლუციის ექოს აქაც მოეწია.

ამერიკელი მუშები აშკარად გამოდიან რუსეთის რევოლუციის დასაცავად. ხალხმრავალ მიტინგებზე ისინი თავიანთ სოლიდარობას უცხადებენ რუსეთის პროლეტარიატს და სასტიკად ილაშქრებენ დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომლებიც არაფერს არ ზოგავდნენ რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად.

მასების ამ განწყობილებით ფრთაშესხმული რიდი ამერიკის მუშათა ანტიმილიტარისტული მოძრაობის სული და გული ხდება. იგი კალმითა და სიტყვით, უდიდესი ენერგიითა და ენთუზიაზმით იწყებს ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური პრაპაგანდის მხილებას; სიპარილეს ავრცელებს ყველგან ოქტომბრის რევოლუციის აზრსა და მიზნებზე. ამერიკის პროლეტარიატს მოუწოდებს არა მარტო ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად, არამედ იმისკენაც, რომ ჰან მიბაძოს რუსეთის მუშათა კლასს და თავადაც იბრძოლოს ასეთი, სოციალისტური ამერიკისათვის.

რიდი ამერიკელ მუშებს უამბობს ყველაფერს, რაც საკუთარი თვალით ნახა და განიცადა ოქტომბრის ქარიშტლიან დღეებში.

რუსეთის რევოლუციის უშუალო მოწმის მოსასმენად სხდომებსა და მიტინგებზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა, ყველას სურდა გაეგო შეუღალაზებელი სინამდვილე ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. ნიუ-იორკსა და ბოსტონში, ფილადელფიასა და დეტროიტში, ყველგან, სადაც კი რიდი გამოდის, მუშები ინტერესით ისმენენ სიმართლეს პირველ პროლეტარულ რევოლუციაზე, საბჭოთა მთავრობის პირველ ნაბიჯებზე, მუშათა და ჯარისკაცთა ბრძოლაზე, დეკრეტებზე მიწისა და მშვიდობის შესახებ.

ჯონ რიდს სდევნის პოლიცია, მას უკრძალავენ მიტინგებზე გამოსვლას, არაერთხელ აპატიმრებენ კიდევაც, მაგრამ მწერალს არაფერი არ აშინებს, იგი გაბედულად იბრძვის სიმართლისათვის, პირველი სოციალისტური რევოლუციის დასაცავად.

ამ დროს ამერიკაში მოხდა ღირსშესანიშნავი შემთხვევა: ჩიკაგოში „ქვეყნის ინდუსტრიალური მუშების“ პროცესი დაიწყო. ასერთი კაცი იჯდა ბრალდებულის სკამზე. მათ შორის იყვნენ მაღაროელები, ტყისმჭრელები და სხვა.

ჯონ რიდმა „ლიბერეიტორში“ დაწერა წერილი „სოციალისტური რევოლუცია სამართალში“. ამ წერილში რიდი მისთვის ჩვეული გონებამახვილობით აღწერს სასამართლო პროცესს, შესანიშნავი ფერებით გვიხატავს მსჯავრდადებულებს: **„ძნელი იყო შეეგროვებინათ ამერიკაში ასერთი კაცი, რომელიც უფრო ღირსეულად განასახიერებდა სოციალურ რევოლუციას. ამ დარბაზში მყოფნი ერთხმად ამბობენ: „ეს უფრო ყრილობაა, ვიდრე პროცესი“.**

რიდი არ კმაყოფილდება პროცესის

უბრალო აღწერით. მისი სიტყვები მრისხანე მუქარად გაისმის:

„— მე, რუსეთიდან ახლახან დაბრუნებულს, ეს სცენა მომეჩვენა საოცარად ნაცნობად. დიდხანს ვიგონებდი, თუ სად მინახავს ყოველივე ეს. და უეცრად გავიხსენე — „ქვეყნის ინდუსტრიალური. მუშათა“ პროცესმა ჩიკაგოს ფედერალურ სასამართლოში — ჩემს ხსოვნაში გააცოცხლა მუშათა დეპუტატების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა პეტროგრადში. და მე ვერფრით ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ ამ ადამიანებს ასამართლებენ. მათ თავი ეჭირათ დამოუკიდებლად, არავის თხოვდნენ წყალობას — ისინი იყვნენ თავის თავში დაჯერებულნი, მტკიცენი, ბრძენნი... როგორც ბოლშევიკური რევოლუციური ტრიბუნალი.

და წამით მომეჩვენა, რომ მე ვხედავ ამერიკის საბჭოების ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ასამართლებს მოსამართლე ლენდისს... ვთქვათ, კონტრრევოლუციისთვის“.

აი, სადამდე მივიდა ჯონ რიდი ამერიკის ცხოვრებაზე დაკვირვებისას.

რიდის მოღვაწეობამ მთავრობისათვის მართლაც საშიში ხასიათი მიიღო. მწერალს ხუთჯერ ანატემრებენ. მას ბრალდებად უყენებენ ომის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და ჯარისკაცებს შორის სამხედრო სამსახურის კანონის დაუმორჩილებლობის აგიტაციას, „ხელისუფლების წინააღმდეგ წაქეზებას“ და სხვა.

რიდი მარჯვედ იცავდა თავს. პოლიციას არ გააჩნდა მასალა, რომელიც რიდის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას დაამტკიცებდა, მწერალს უშიშრად ეჭირა თავი და თვითონ გამოდიოდა ბრალმდებლის როლში.

პოლიცია იძულებული ხდებოდა თავდებქვეშ გაეშვა ესოდენ საშიში პატიმარი, ან დიდი ჯარიმის გადახდევინებას დაჯერებოდა.

რიდის ირგვლივ ატმოსფერო თანდათან იძაბებოდა. ჟურნალ-გაზეთების უდიდესი ნაწილი, რომლისთვისაც მანამდე რიდი სასურველი სტუმარი იყო, ახლოს აღარ იკარებდა მწერალს. მემარჯვენე პრესა საშინელი ცილისწამებით გამოდიოდა მის წინააღმდეგ, უცხო სახელმწიფოს აგენტად აცხადებდა და აშკარა მუქარასაც არ ერიდებოდა.

მაგრამ რიდი სწორედ ასეთი შფოთიანი ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი. იგი არათუ უფრთხოდა მუქარასა და ცილისწამებას, კიდევ მეტი შეუპოვრობით განაგრძობდა მუშათა კლასის სამართლიანი საქმისათვის ბრძოლას და კალმით თუ სიტყვით იცავდა რუსეთის რევოლუციას, ამერიკის პროლეტარიატის უფლებებს, დაუნდობლად ამხელდა ინტერვენციის სულის ჩამდგმელებსა და ომის გამჩაღებლებს.

ეს პერიოდი რიდის ცხოვრებაში იყო პერიოდი უაღრესად აქტიური ბრძოლისა, ხოლო მის შემოქმედებაში კი ახალი დიდი აღმავლობის ხანა.

დიდი მეცადინეობის შემდეგ რიდმა გასტეხა პოლიციის წინააღმდეგობა და დაიბრუნა ის ძვირფასი მასალა, რომელიც ამერიკის ნაპირზე ჩამოსვლისას ჩამოართვეს. ჯონ რიდი დიდი შთაგონებით ჩაუჯდა ამ მასალას, მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცხოვლად იყო აღბეჭდილი ოქტომბრის რევოლუციის დაუვიწყარი სურათები. იგი უჩვეულო აღმფრენით შეუდგა მუშაობას. 1919 წლის 19 მარტს გამოქვეყნდა ჯონ რიდის საუკეთესო წიგნი „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“. ეს წიგნი იყო ახალი სიტყვა არა მარტო ამერიკის ლიტერატურაში. იგი იყო დიდი ძალის მხატვრული დოკუმენტი, რომელიც ახალ, მართალსა და გულწრფელ შეფასებას აძლევდა რუსეთის დიდ რევოლუციას.

ჯონ რიდი ასე თანამიმდევრულად მივიდა ოქტომბრის რევოლუციის არსის გაგებამდე. მარქსისა და ლენინის

ლამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

იდეების პროპაგანდისტი და ამერიკის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, იგი ამერიკის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორიც გახდა. პარტიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით წამოვრილი ბევრი რთული საკითხი გარკვევასა და სწორ გადაწყვეტას მოითხოვდა. ჯონ რიდი სწავლობდა ლენინის შრომებს „სახელმწიფო და რევოლუცია“, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. იგი მრავალჯერ უბრუნდებოდა ლენინის წერილებს ამერიკელი მუშებისადმი და შექმნილ რთულ ვითარებაში გზის გაკვლევას ცდილობდა.

ჯონ რიდი კარგად გრძნობდა, რომ იგი ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ იყო დაუფლებული მარქსიზმ-ლენინიზმს. ამიტომ მან არჩია მიემართა პირველწყაროსათვის, დიდი ლენინისათვის.

1919 წლის ბოლოს ჯონ რიდი მიემგზავრება რუსეთში. მისი მოგზაურობა ისევ ფთერაკებითაა სავსე. იგი გემზე ცეცხლფარეშად ეწყობა. ბოლოს ბერგენში ტოვებს გემს. ნორვეგიიდან გემის ტრიუმში დამალული რიდი გზას განაგრძობს ფინეთამდე. დიდი წვალების შემდეგ, ფინელი ამხანაგების დახმარებით, ჯონ რიდი ჩამოდის პეტროგრადში და იქიდან მოსკოვს მიემგზავრება.

მოსკოვში იმ დროისათვის გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი.

რიდი მოსკოვში უარს ამბობს სასტუმროში დაბინავებაზე და ოთახს მუშის ოჯახში ქირაობს. იგი ცხოვრობს მოსკოვის მშრომელთა ჩვეულებრივი ცხოვრებით, იზიარებს მათ ჭირსა და ლხინს.

მწერალი ახლო ეცნობა რუსეთის ცხოვრებას, მასების ყოფას, მთავრობის ორგანოების მოქმედებას. იგი ინტერესით სწავლობს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს ქვეყნის გარდაქმნის ყველა დარგში.

ჯონ რიდს ებადება იდეა დაწეროს ახალი წიგნი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგდროინდელ რუსეთის ცხოვრებაზე. ამ მიზნით იგი აგროვებს ახალ მასალას, დოკუმენტებს. მოგზაურობა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში.

რიდი გატაცებულია მომავალი წიგნის იდეით. ამ წიგნში დიდი ადგილი უნდა დათმობოდა რუსეთის რევოლუციისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ლენინს. რიდი ინტერესით სწავლობს ლენინის ცხოვრებას, საგანგებოდ მოგზაურობს ვოლგაზე და ეცნობა იმ ადგილებს, სადაც ლენინი დაიბადა. რიდი ბევრჯერ შეხვდა ლენინს. მას საუბარი ჰქონდა ლენინთან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტშიც და არაერთხელ ყოფილა სტუმრად მასთან ბინაზე.

ლენინი მისთვის ჩვეულ გულისხმიერებას იჩენდა კომინტერნის დელეგატ ამერიკელ მწერლისადმი. რიდი მოხიბლული იყო ლენინის პიროვნებით. თავისი ახალი წიგნი რიდს ასე ჰქონდა წარმოდგენილი: ლენინს უნდა მიეძღვნას არა რამდენიმე თავი, არამედ მთელი წიგნი ლენინზე უნდა დაიწეროსო. რადგანაც, — ამბობდა რიდი, — ლენინი — ეს არის რუსეთი, რევოლუცია, კაცობრიობაო.

თავის ცხოვრებას ჯონ რიდი ორ პერიოდად ჰყოფდა: ლენინთან შეხვედრამდე, ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდად და ლენინთან შეხვედრის შემდგომ პერიოდად.

ჯონ რიდი საგანგებოდ სწავლობდა რუსულ ენას და დიდ ენთუზიაზმთან ერთად მისთვის ჩვეულ მუყაითობასაც ამჟღავნებდა.

ჯონ რიდმა გადაწყვიტა ისევ ამერიკაში დაბრუნება, მან საგანგებოდ წვერი მოუშვა, რომ არ ეცნობი. ისევ გემის ტრიუმში, ნახშირის ბუნკერში წოლა....

რიდი ფინეთში ჩასვლისთანავე დაატპატიმრეს. სამი თვე დაჰყო მან ფინეთის საპყრობილეში. რიდის დატუსაღების ამბავი ლენინმაც გაიგო და საბჭოთა მთავრობამ ბევრი რამ იღონა მის გასათავისუფლებლად.

ფინეთის ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს რიდი განთავისუფლა და წი-

ნადადება მისცა საბჭოთა რუსეთში დაბრუნებულიყო.

რუსეთში დაბრუნებისთანავე რიდი ებმება კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის მუშაობაში.

რიდს ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის წევრად. იგი დიდი ინტერესით მუშაობს კონგრესის ორ კომისიაში — ნაციონალური და პროფკავშირული მოძრაობის კომისიებში.

ნაციონალურ საკითხს, ისევე როგორც კოლონიალურ საკითხს, კომინტერნის კონგრესის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

თეზისების ავტორი ამ საკითხზე თვითონ ლენინი იყო. იგი კომისიის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა — კომისიის სხდომები მიმდინარეობდა ლენინის თავმჯდომარეობით.

ჯონ რიდი მოხსენებით ნაციონალურ-კოლონიალურ საკითხზე ორჯერ გამოვიდა კონგრესზე, ერთხელ კონგრესის პლენარულ, ხოლო მეორედ — კომისიის სხდომაზე.

რიდის ორივე გამოსვლის თემა იყო ზანგების მდგომარეობა ამერიკაში. მან კონგრესს უამბო რასიულ დისკრიმინაციაზე და აპერიკის კომუნისტების ამოცანად დასახა ბრძოლა ზანგების თანასწორუფლებიანობისათვის.

ჯონ რიდი აირჩიეს აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის დელეგატად, რომელიც იმავე ხანგში ბაქოში იმართებოდა.

ბაქოს ყრილობაზე ჯონ რიდი გამოვიდა ამერიკელი რევოლუციონერების სახელით. მისი მეზნებარე სიტყვა მიმართული იყო დასავლეთის იმპერიალისტების, უოლ-სტრიტის მაგნატების წინააღმდეგ. მან ამხილა ამერიკული დახმარების ნამდვილი აზრი, რომლის საშუალებითაც მონოპოლისტები ხალხებს მონობის ასალ უღელს სთავაზობდნენ.

აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა ბაქოში მართლაც გრანდიოზული იყო. ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ იმპერიალიზმის მიერ დამონებული ხალხების წარმომადგენლები. ისინი გზის მაჩვენებელ მნათობად აცხადებდნენ ოქტომბრის რევოლუციას და კოლონიურ ქვეყნებს მოუწოდებდნენ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

რიდზე ყრილობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი აღფრთოვანებით ამბობდა, რომ ეს „იყო ყველაზე განსაცვიფრებელი რამ მთელს მსოფლიოში“.

ბაქოდან დაბრუნებული ჯონ რიდი ავად გახდა ტიფით. ფინეთის პატიმრობამ მისი ჯანმრთელობა საკმაოდ შეარყია. ექიმებმა სნეულს ვეფარაფერი უშველეს და 1920 წლის 17 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა.

ჯონ რიდის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი პრესა. მისი ცხეადრი დასვენებული იყო კავშირების სახლში და მთელი კვირის განმავლობაში მის გამოსათხოვრად მოედინებოდა ხალხის ნაკადი.

რიდს სამარე კრემლის კედლის წინ გაუთხარეს, ახლანდელი მავზოლეუმის გვერდით და საზეიმოდ დაასაფლავეს.

1917 წელს, წითელ მოედანზე ჯონ რიდი ესწრებოდა რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავებას. რიდმა მათ საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში. სხვათა შორის, სთქვა: **„რუსი ხალხი აუწენებს ამ ჭვეყნად ისეთ ნათელ სამეფოს, რომლის მსგავსსაც ვერ ნახავ ვერც ერთ ცაზე, ისეთ სამეფოს, რომლისთვისაც სიკვდილი ბედნიერებაა“.**

რიდის წიგნის წინასიტყვაობაში ნ. კრუპსკაია წერდა: **„ჯონ რიდმა თავისი თავი მთლიანად დაუკავშირა რუსეთის რევოლუციას. საბჭოთა რუსეთი მისთვის მშობლიური და ახლობელი გახდა. იგი იმ რუსეთში დაიღუპა ტიფით და დასაფლავებულია კრემლის კედელთან. ჯონ რიდმა ისე აღწერა რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავება, რომ იგი ღირსია ამ პატივისა...“**

რიდის საფლავზე მოგვიანებით აღმართეს გრანიტის ლოდი, რომელსაც

ლამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი წარწერა ამშვენებს:

ჯონ რიდი. II ინტერნაციონალის დღიანაგი. 1920

„ეს წიგნი — ისტორიის ნაღვლია ამ სახით, როგორც მე ის ვნახე. მას არა აქვს ნოემბრის რევოლუციის დაწვრილებით ანგარიშზე მეტის პრეტენზია, როცა მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკების მეთაურობით ხელთ იგდეს რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლება და გადასცეს იგი საბჭოებს“, — წერს ჯონ რიდი თავისი „ათი დღის“ წინასიტყვაობაში.

ავტორი წიგნის შესავალშივე მიუთითებს იმ მთავარ წყაროებს, რომელთა საფუძველზეც შეუქმნია „10 დღე“: „ამ წიგნის ძირითად მასალად გამოვიყენე ჩემი საკუთარი ჩანაწერები. მაგრამ, ამას გარდა, მე ვისარგებლე მრავალი რუსული გაზეთით, რომლებშიაც ასახულია თითქმის ყოველი დღე ჩემს მიერ აღწერილი დროისა“... შემდეგ რიდი ჩამოთვლის იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც მაშინ უცხო ენებზე გამოდიოდა პეტროგრადში და რომლებშიც იბეჭდებოდა ცნობები ყველა თავარ მოვლენებზე, გამოსვლებზე, და რუსული პრესის კომენტარებზე.

„ამას გარდა, — დასძენს რიდი, — მე შევაგროვე თითქმის ყველა მოწოდება, დეკრეტი და განცხადება, რომლებიც გაკრული იყო პეტროგრადის ქუჩებში 1917 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან 1918 წლის ივნვრის ბოლომდე. აგრეთვე ოფიციალური გამოცემანი მთავრობის ყველა დეკრეტისა და განკარგულებებისა და სხვა დოკუმენტებისა, რომლებიც აღმოჩნდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, როცა იგი ბოლშევიკების ხელში გადავიდა.“

ამ უდიდესი მასალის თავმოყრა და შესწავლა, პირადად ნახულისა და განცდილის გადმოცემა ჯონ რიდმა შესძლო ისე, რომ მის წიგნში მოხვდა მხოლოდ არსებითი, ყველაზე მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, ყველაზე საინტერესო უცხოელი მკითხველისათვის, ყველა მათთვის, ვისაც რუსეთის რევოლუციის ამბებში გარკვევა სურდა.

„ათი დღის“ ამერიკული გამოცემისათვის დაწერილ მოკლე წინასიტყვაობაში, 1920 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სწერდა: „უდიდესი ინტერესითა და შეუნელებელი ყურადღებით წავიკითხე ჯონ რიდის წიგნი „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“. მე სულით და გულით ვურჩევ ყველა ქვეყნის მუშებს წაიკითხონ ეს თხზულება. ვისურვებდი ეს წიგნი მენახა მილიონ ეგზემპლარად გავრცელებული და ყველა ენაზე თარგმნილი, რადგანაც იგი შეიცავს მართალსა და არაჩვეულებრივად ცოცხლად დაწერილ გადმოცემას მოვლენებისას, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან იმის გასაგებად, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია, რა არის პროლეტარიატის დიქტატურა. ამ საკითხებზე ახლა ფართოდ მსჯელობენ, მაგრამ მანამდე, სანამ მიიღებენ ან უკუაგდებენ ამ იდეებს, აუცილებელია მისაღები გადაწყვეტილების მთელი მნიშვნელობის გაგება.

ჯონ რიდის წიგნი უეჭველად ხელს შეუწყობს გაირკვეს ეს საკითხი, რომელიც მუშათა მსოფლიო მოძრაობის უკთავრეს პრობლემას წარმოადგენს“.

ჯონ რიდის წიგნმა ბევრი ავტორის მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც მის სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც. ბევრმა უძღვნა აღფრთოვანებული სტრიქონები ამ შესანიშნავ წიგნს, მაგრამ ისეთი ლაკონური და ამომწურავი შეფასება რიდის წიგნისა, როგორიც ლენინის ეს წინასიტყვაობა არის, სხვას არავის დაუწერია.

ლენინი არა მარტო წიგნის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აღნიშნავს, არამედ ხაზს უსვამს მის მხატვრულ ძალასაც. იგი მოვლენების მართლად აღწერასთან ერთად მიუთითებს და საგანგებოდ აღნიშნავს იმას, რომ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები გადმოცემულია ცოცხლად და დამაჯერებლად.

ეს უკვე ჯონ რიდის მხატვრული ოს-

ტატობის შეფასება, მისი სტილის დახასიათება.

ლენინის ეს მაღალი აზრი უფრო დაკონკრეტებული და განვრცობილია ნ. კრუპსკაიას წინასიტყვაობაში, რომელიც მან წარუმძღვარა რიდის წიგნის რუსულ გამოცემას.

„ათი დღე, რამაც შეაძრა ქვეყნიერება“ — ასე უწოდა ჯონ რიდმა თავის შესანიშნავ წიგნს, — წერს კრუპსკაია წინასიტყვაობაში, — ამ წიგნში არაჩვეულებრივად მკაფიოდ და ძლიერად არის აღწერილი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეები. ეს ფაქტების უბრალო ჩამოთვლა და დოკუმენტების კრებული კი არ არის, ეს არის ცოცხალი სცენები, იმდენად ტიპიური, რომ რევოლუციის მონაწილეს გაახსენდება ანალოგიური სცენები, რომელთა მოწმეც ის იყო. ყველა ეს ცხოვრებიდან ამოგლეჯილი სურათი უკეთ რომ არ შეიძლება, ისე გადმოსცემს მასების განწყობილებას, ხელმძღვანელებს, მომაფონზეც განსაკუთრებით გასაგები ხდება დიდი რევოლუციის ყოველი ჟანტ“.

შემდეგ კრუპსკაია მსჯელობს იმაზე, თუ როგორ შესძლო უცხოელმა დაწერა ესოდენ მართალი წიგნი რუსეთის რევოლუციაზე და მწერლის წარმატებას იმით ხსნის, რომ ჯონ რიდი გულგრილი დამკვირვებელი როდი იყო, ის იყო მეზნებარე რევოლუციონერი, კომუნისტი, რომელსაც ესმოდა მოვლენათა აზრი, დიდი ბრძოლის აზრი. ამ გაგებამ მისცა მის თვალს ის სიმახვილე, ურომლისოდაც ასეთი წიგნი ვერ დაიწერებოდაო. „რიდის წიგნი იძლევა ჭეშმარიტად სახალხო მასობრივი რევოლუციის საერთო სურათს და ამიტომ მას ექნება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის, მომავალი თაობებისათვის. მათთვის, ვისთვისაც ოქტომბრის რევოლუცია უკვე ისტორია იქნება. რიდის წიგნი თავისებური ეპოსია“.

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები მართლაც ზედმიწევნით სწორად განსაზღვრავენ ჯონ რიდის წიგნის მნიშვნელობას, მის თავისებურებასა და მხატვრული განზოგადოების იმ ძალას, რომელიც მის წიგნს გამოარჩევს ოქტომბრის რევოლუციაზე დაწერილ სხვა ნაწარმოებთაგან.

ჯონ რიდი თავის წიგნს ოქტომბრის რევოლუციის ანგარიშს უწოდებს და მართლაც, რიდის ეს წიგნი თავისებური ანგარიშია. ოღონდ ამ სიტყვის ფართო გაგებით. ეს ანგარიში ფაქტების რეგისტრაცია როდია. ჯონ რიდი, უპირველეს ყოვლისა, მხატვარია და ფაქტებიცა და ცოფრებიც ერთ მიზნის ემსახურება — მხატვრულად აჩვენოს ოქტომბრის დღეების სიდიადე, რევოლუციის თთავური ვმრის — აჯანყებული მასების გაქანება, მისი სიმართლე, მისი ნება და ხასიათის სიმტკიცე.

ნ. კრუპსკაიას განსაზღვრა უაღრესად ზუსტია: ჯონ რიდის წიგნი არის ოქტომბრის რევოლუციის ეპოსი. ამ ეპოსის მთავარი ვმრი ხალხი, მასაა, მაგრამ არა ამსტრაქტული და უსახო. ჯონ რიდი დამაძახსოვრებლად და ნათლად ხატავს მათ სახეებს, ვინც საკუთარი ხელით დაამხო ძველი სამყარო და უდიდესი მსხვერპლის ფასად იწყო ძველის ნანგრევებზე ახალი სამყაროს შენება. მუშებისა და ჯარისკაცების, მატროსებისა და გლეხების ცალკე ტიპების ხატვისას ჯონ რიდი პოულობს მკვეთრ ფერებს, რომლებიც შესანიშნავად გადმოსცემენ ადამიანების ინდივიდუალურ თვისებებსა და ხასიათის თავისებურებას. უაღრესად ზუსტად მიგნებული დეტალებით იგი წარმოგვისახავს რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალის — რუსი მშრომელების პორტრეტებს და ეს სახეები სამდამოდ იბეჭდება მკითხველის ეასსიერებაში.

„ათი დღე“ არის ოქტომბრის რევოლუციის მხატვრული მატიანე. ჯონ რიდი თავის თხრობას იწყებს ოქტომბრის წინა პერიოდით, შემდეგ ავტორი ფეხდაფეხ მიჰყვება მოვლენების განვითარებას, იგი მემატიანის კეთილსინდისიერებით აღნუსხავს ყოველივე იმას,

---

ლამარა აბაშიძე
ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ დღეებში, არამედ იმასაც, რასაც მომავლისთვისაც ექნება მნიშვნელობა. და ამას ჯონ რიდი შეგნებულად აკეთებს. მან დიდი შინაგანი სიმართლითა და მხატვრული ძალით ასახა მასების სულიერი მდგომარეობა. ეგზაში უამრავი ადამიანი არის გამოყვანილი. ბევრი მათგანის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ისტორიაში. მაგრამ რევოლუციის უსახელო გმირების დახატვისას რიდი იმდენ გულწრფელობასა და უშუალობას ამჟღავნებს, რომ მათ სახეებს მკითხველი სამუდამოდ იმახსოვრებს.

შესანიშნავად დახატა ჯონ რიდმა პეტროგრადი, ის ადგილები, სადაც მაშინ რევოლუციის ბედი წყდებოდა და რომლებიც ოქტომბრის შემდეგ ისტორიულ ადგილებად იქცნენ.

„როცა ჩვენ სმოლნთან მივედით, მისი მახიური ფასადი გაჩირაღდნებული იყო, — წერს იგი, — ქუჩებიდან მისკენ მოდიოდნენ ახალი და ახალი ადამიანები, რომლებიც მოიჩქაროდნენ სიბნელესა და წყვდიადში. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ავტომობილები და მატოციკლები. უზარმაზარი რუხი ჯვაშნოსანი, რომლის კოშკურაზეც ორი წითელი ბაირაღი ფრიალებდა, სირენის კივილით გამობობდა ჭიშკრიდან. ციოდა და შესასვლელის გუშაგი გვარდიელები კოცონზე თბებოდნენ. შიდა ჭიშკართანაც კოცონი ენთო, რომლის შუქზეც გუშაგებმა ნელა წაიკითხეს ჩვენი საშვები და თავით ფეხამდე აგვათვალიერეს. შესასვლელის ორივე მხარეს საფარველახდილი ტყვიამფრქვევები იდგა და ძირს გველებივით დახვეული, ტყვიებით სავსე ლენტები ეყარა. ეზოში, ხეების ძირში ჯავშნოსნები დაეყენებიათ. მათი მოტორები ჩართული იყო და მუშაობდნენ. უზარმაზარი, დაცარიელებული, ცუდად განათებული დარბაზები აივსო მძიმე ჩექმების ბრახა-ბრუხით, ყვირილითა და ყაყანით... კიბეები ხალხით იყო გაჭედილი: იქ იყვნენ შავხალათიანი და ბეწვისქუდებიანი მუშები, ბევრ მათგანს მხარზე „შაშანები ეკიდა...“

ჯონ რიდი ამ მასაში ისე იყო ჩართული და გათქვეფილი, რომ იგი აღარც გრძნობდა თავის უცხოელობას. იგი არათუ გაუბედა საფრთხეს, არამედ თვითონ ეძებდა იმ ადგილს, სადაც ყველაზე მეტად შეეძლო განეცადა ბრძოლაში ჩაბმული მასების განწყობილება: „ჩემი მეზობელი, მონგოლური ტიპის ვიწრო თვალებიანი კაცი, რომელსაც თხის ქურქის ფაფახი ეხურა, ამბობდა: „შეხედეთ, პროვოკატორები მუდამ ფანჯრებიდან ისვრიან!“... ჩვენ შევუხვიეთ ბნელსა და თითქმის დაცარიელებულ ზნამენსკის მოედანთან, შემოვუარეთ ტრუბეცკოის უხეირო ძეგლს და გამოვცვივდით ნევის ფართო პროსპექტზე, ისე რომ, სამ ჩვენგანს თოფები შემართული გვქონდა და ფანჯრებს თვალს არ ვაშორებდით. ქუჩა გამოცოცხლებული იყო. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, დაკუზული გარბოდა სხვადასხვა მხარეს. ზარბაზნების ხმა აღარ გვესმოდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდით ზამთრის სასახლეს, მით უფრო ჩუმი და ცარიელი გვეჩვენებოდა ქუჩები. ქალაქის საბჭოს ყველა ფანჯარა განათებული იყო. იქით ხალხის, მეჯიდრო მასა და მეზღვაურების რკალი მიჩანდა. მეზღვაურები გამწარებული ყვიროდნენ, გვეძახოდნენ, რომ შევჩერებულიყავით. მანქანამ სვლა შეანელა და ჩვენ ქვაფენილზე ჩამოვხტით. ეს იყო უჩვეულო სანახაობა. სწორედ ეკატერინეს არხის კუთხეში ქუჩის ფანარქვეშ მეზღვაურებს ნევის პროსპექტი გადაეკრაო, გზა ხალხის ჯგუფებისათვის გადაეღობათ, რიგში ოთხ-ოთხი მეზღვაური იდგა...“

აი, როგორ ძუნწად და მოკლედ, მაგრამ მკვეთრი შტრიხებით ხატავს რიდი რევოლუციონერების პორტრეტებს: „ჩაიარეს: გამხდარმა, წვეროსანმა, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა კაცმა, პოდვოისკიმ, რომლის გონებაშიც მწიფდებოდა აჯანყების ოპერატიული გეგმები; გაუპარსავმა, ჭუჭყიანსაყელოიანმა, უძილობისაგან მოფანდალე ან-

ტონოვმა; ჩაფსკვნილმა, ფართოსახიანმა, მუდამ მომღიმარე ჯარისკაცმა კრილენკომ, რომელიც გაცხარებით იქნევდა ხელებს და მეჰახედ ლაპარაკობდა; ზორბა ტანის წვეროსანმა მატროსმა, სახეშვიდმა დიბენკომ. ასეთები იყვნენ ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის".

ასევე ცოცხლად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ძუნწად, მაგრამ ნათლად ხატავს ჯონ რიდი კონტრრევოლუციის ბანაკს, დროებითი მთავრობის მინისტრებს, კადეტებს, სოციალ-დემოკრატებისა და ესერების ბელადებს.

მაგრამ ყველაზე დიდი აღფრთოვანებითა და შთაგონებით ჯონ რიდმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაუვიწყარი სახე შექმნა.

„მაგრამ აი, ლენინი უკვე ტრიბუნაზეა. იგი დადგა ტრიბუნის კიბეზე ხელებდაყრდნობილი, მოწკურული თვალები დელეგატების მასას მოავლო, თითქოს არც ესმოდა ოვაციები, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. როცა ხმაური მიწყნარდა, მან მოკლედ და უბრალოდ თქვა:

„ახლა დროა შევუდგეთ სოციალისტური წესრიგის დამყარებას!"

ჯონ რიდმა თავის შთაბეჭდილება ლენინზე უფრო ნათლად ჩამოაყალიბა კომინტერნის მეორე კონგრესის შთაბეჭდილებათა წიგნში.

ალბომის პირველივე ფურცელი იხსნება ჯონ რიდის ჩანაწერით:

„ლენინი ესოდენ უბრალო, ესოდენ ადამიანური და ამავე დროს ყველა ჩვენგანზე შორსმჭვრეტი და ურყეველი. ლენინი — ისტორიის ლოკომოტივი".

აქ შესანიშნავად არის გამოხატული ის დიდი და ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჯონ რიდმა ლენინთან სიახლოვისა და მრავალი შეხვედრისაგან მიიღო. დიდბუნებოვანი პიროვნებისა და გენიალური შრომებისაგან მიიღო.

„ათი დღე..." მხატვრული სიძლიერითაც ახალი ეტაპი იყო რიდის შემოქმედებაში. ჯონ რიდმა მონახა თავისებური ფორმა თხრობისა, სწორედ ისეთი, როგორიც რევოლუციის რიტმსა და გაქანებას შეეფერებოდა. „ათი დღე..." თითქოს ქრონიკაა, მატიანეა რევოლუციისა. მაგრამ ეს „ქრონიკა" აღსავსეა შესანიშნავი მხატვრული სურათებით, ხასიათების ღრმა წვდომით, ადამიანთა ფიქრებისა და მისწრაფებების ცოცხლად გადმოცემით. მწერალი გულგრილად კი არ მოგვითხრობს ნახულსა და გაგონილზე. წიგნის ყოველი ფურცელი აღსავსეა მგზნებარებითა და სითბოთი, გულწრფელობითა და უშუალობით.

სტილის ერთგვარი გადამეტებული ფერადოვნება, რომელიც „აჯანყებულ მექსიკაში" იგრძნობოდა, აქ სრულიად გამქრალია. მწერალი ამ წიგნში თხრობის ლაკონურობას აღწევს და მცირე დეტალითაც კი ახერხებს საერთო სურათის გრანდიოზულობის ჩვენებას.

ჯონ რიდმა შექმნა დიდი სოციალური ეპოსი. ამ ეპოსის შინაარსი ისეთივე ღრმა და გრანდიოზულია, როგორც თვით ოქტომბრის რევოლუცია იყო ღრმა და დიადი; ხოლო ფორმა ეპოსისა — ასევე ახალი და ორიგინალურია.

ჯონ რიდის „ათი დღე" — ეს არის ახალი სიტყვა ამერიკის ლიტერატურაში როგორც თავისი შინაარსით, ასევე თავისი ფორმითაც.

ლამარა აბაშიძე

ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ოსტროვსკი

კონსტანტინე ღრუთქიშვანიძე

„ჩემი ყოფაქცევა — ჩემი პირადი საქმე არ არის...“

1936 წლის 15 ნოემბერს მოსკოვში, ნიკოლოზ ოსტროვსკის ბინაზე გაიმართა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. ამ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ რუსული ხელოვნური სიტყვის გამოჩენილი ოსტატები: სერაფიმოვიჩი, ფადეევი, სტავსკი, ასევეი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ოსტროვსკის ახლო ნათესავები და მეგობრები — უნდა განხილულ ოსტროვსკის ახალი რომანი, „ქარიშხლით შობილნი“.

პირველი სიტყვა ამ სხდომაზე ნიკოლოზ ოსტროვსკიმ წარმოსთქვა. მან პრეზიდიუმს მიმართა, — ყველა თქვენგანმა იცის ჩემი ცხოვრების ამბავი, მე ძალიან ავადმყოფი კაცი ვარ, მაგრამ ნუროვითარ შეღავათს ნუ მომცემთ, როგორც მწერალს, ჩემი წიგნის ყველა ნაკლი და ხარვეზი პირში მითხარითო.

ამ სიტყვებში მკაფიოდ სჩანს ნიკოლოზ ოსტროვსკის ხასიათის მთავარი ძარღვი, ის დიდი სულიერი სიმტკიცე, რითაც მან განაცვიფრა მთელი მსოფლიო და ამ ჯანგაგტეხილმა, მოურჩენელი სენისაგან სარეცელზე დაკრულმა, დაბრმავებულმა ადამიანმა ყველაზე დიდი და ლამაზი სიმღერა უმღერა მარად მოუსვენარ სიჭაბუკეს.

ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრებაში ყველაზე საოცარი ის არის, რომ მან, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ჯარისკაცმა, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას თითქმის ყველაფერი შესწირა. მას არ დაჰკლებია არც მტრის ტყვია, არც შიმშილი და სიცივე. არც სახადი და უძილო ღამეები. ბევრი მის ადგილას თავის თავს ვალმოხდილად ჩათვლიდა სამშობლოს წინაშე და მას ამის საკმაო საფუძველიც ექნებოდა, მაგრამ ნიკოლოზ ოსტროვსკი სხვაგვარად ნაწრთობი ფოლადი იყო. მოუსმინეთ, რას ამბობს იგი ერთ-ერთ თავის წერილში:

„მე ახლა ვცდილობ ღრმა ზურგიდან ჩემი კლასის ბრძოლისა და შრომის მოწინავე პოზიციებზე გამოვიდე. მართალი არ არის ის, ვინც ფიქრობს, რომ

ბოლშევიკი შეიძლება უსარგებლო იყოს თავისი პარტიისათვის, თვით ისეთ, ერთის შეხედვით, თითქოს გამოუვალ მდგომარეობაშიც კი, როგორშიც მე ვარო...“ და იგი კიდეც გამოვიდა ბრძოლის ამ მოწინავე პოზიციებზე, და თუ ამქვეყნად ვინმეზე შეიძლება ითქვას, კაცმა ხიშტი კალთით შეცვალაო, უპირველეს ყოვლისა ეს თქმის ლეგენდარულ კომკავშირელზე ნიკოლოზ ოსტროვსკიზე.

ნიკოლოზ ოსტროვსკის გმირული ცხოვრების ყოველი უბრალო წვრილმანიც კი კარგად იციან არა მარტო საბჭოთა ადამიანებმა, არამედ მსოფლიოს ყოველ კუთხეში, სადაც მისი ცხოვრება და ბრძოლა სამაგალითოდ მიუჩნევიათ კაპიტალიზმისა და კოლონიალიზმის ბორკილების დასამსხვრევად მებრძოლ ახალგაზრდობას.

ნიკოლოზ ოსტროვსკიმ იმ დროს აიღო კალამი ხელში, როცა საბჭოთა ლიტერატურის მთავარი პრობლემა იყო — საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი და ეთიკური თვისებების ჩვენება — იმ ადამიანისა, რომელიც მსოფლიოში მანამდე გაუგონარ პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს აშენებდა. ამ მხრივ იგი ფურმანოვთან, სერაფიმოვიჩთან, ფადეევთან და გაიდართან ერთად თამამად შეიძლება ჩაითვალოს ახალი საბჭოთა ლიტერატურის, ახალი გმირის, ადამიანთა ახალი ურთიერთობის, ახალი ხასიათებისა და კლასობრივი დიდი ჰუმანიზმის დაუცხრომელ მხატვრად. იგი იყო დიდი ნოვატორი და ამავე დროს აგრძელებდა და აღრმავებდა რუსული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს. გადაავლეთ თვალი დიდ საბჭოთა ლიტერატურას და ერთი პირველთაგანი, ვინც ვვერდში ამოგიდგებთ, როგორც საყვარელი და დაუვიწყარი სახე — ეს იქნება პავლე კორჩაგინის სახე. საბჭოთა ლიტერატურაში ოსტროვსკიმ დახატა ჩვენი დროის გმირის უკვდავი სახე, რომელიც დღესაც ისევე გვამხნევებს, გვაღელვებს და მახლობელია ჩვენთვის, როგორიც მახლობელი და გამამხნევებელი იყო იგი ჩვენი დიადი ხუთწლედების წარაჩოგბეზე მომფშვავე კომკავშირელებისათვის. ეს კაცი კორჩაგინი — ჩვენი ყველა თაობის ახალგაზრდობის საყვარელი გმირი, — წიგნის გამოსვლის პირველ დღიდანვე გადმოვიდა წიგნის ფურცლებიდან და როგორც მართლა ცოცხალი ჯაბუკი, ისე ჩადგა ამ თაობათა რიგებში. პავკა კორჩაგინი ასწავლიდა ამ ახალგაზრდობას მტრის სიძულვილს და სამშობლოს სიყვარულს. პავკა კორჩაგინი ზოია კოსმოდემიანსკაია და ოლეგ კოშევოის, ლიზა ჩაიკინასი და შურა ჩეკალინის ერთ-ერთი დიდი მასწავლებელი იყო. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მთავარი გმირი პავკა კორჩაგინი ავერ სამი ათეული წელეწადია, როგორც მეღორმე წინ მიუძღვის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას და არა მარტო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას, — მთელი ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდობას, რომელიც იბრძვის იმ ძველი და ბნელი ქვეყნის დასამხობად, რომელთან ბრძოლაში სანთელივით დაიწვა დიდი რუსი მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

ახალგაზრდობის მრავალი საყვარელი გმირი შექმნა საბჭოთა ლიტერატურამ. შექმნა დიდი სიყვარულით, შთაგონებით. საბჭოთა მწერლებს არ დაუზოგავთ ფერი და მადლი, რომ მათი სახეები დიდხანს გაჰყოლოდა ჩვენს ახალგაზრდობას ახალი ქვეყნის მშენებლობის დიდ გზებზე. და ამ გმირთა შორის პავლე კორჩაგინს ერთი პირველი ადგილი უჭირავს. იგი ჩვენი ქვეყნის ჯაბუკებისა და ქალიშვილების ერთ-ერთი ყველაზედ უფრო საყვარელი გმირია, იგი მრავალი თაობის ფიქრების, გრძნობების, მისწრაფებების და იდეალების გამომხატველია, და მწერლის უდიდესი გამარჯვებაც ის არის, რომ ყოველი ახალი თაობა პავლე კორჩაგინს თავის თანამედროვედ მიიჩნევს და მისგან სწავლობს ახალი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

„ჩემი ყოფაქცევა—ჩემი პირადი საქმე არ არის...“

ცხოვრების სიბრძნეს. ნიკოლოზ ოსტროვსკი წერდა, — ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, ის ერთხელ ენიჭება ადამიანს, და მან ისე უნდა იცხოვროს, რომ შემდეგ არ დაინანოს ჯოს — ამ ქვეყანაზე უმიზნოდ ვიცხოვრეო, რომ არ დასწვას სირცხვილმა თავისი უხამსი და ლატაკი წარსული გამო. და სიკვდილის წინ თამამად სთქვას — მთელი ჩემი სიცოცხლე და მთელი ჩემი ძალ-ღონე შევალიე ყველაზე მშვენიერ საქმეს ამქვეყნად — ბრძოლას კაცობრიობის განსთავისუფლებლადო.

ეს სიტყვები ეწერა დროშაზე კომკავშირის მრავალ თაობას, სწერია დღესაც. ამ სიტყვებს იმეორებენ მშვიდობის, ძმობისა და ერთობისათვის მებრძოლი ახალგაზრდები ყველა მატერიზე, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სახის ფერისა.

ოსტროვსკი-კორჩაგინის ამ სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინეს საზღვარგარეთის მოწინავე მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. ასე მაგალითად, ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი კატალაუერი ნაწრომი „ინდოეთის აღმოჩენა“ ინდოელი ხალხის ეროვნულმა გმირმა ჯავაჰარლარ ნერუმ. განის პრემიერ მინისტრი კვამე ნკრუმა ამავე სიტყვებს იმეორებს თავის წიგნში „ავტობიოგრაფია“.

აი რას სწერდა ნიკოლოზ ოსტროვსკის იმდროინდელი ეროპის პირველი ინტელიგენტი, გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე რომენ როლანი:

„— თქვენი სახელი ჩემთვის აშვიათი და უწმინდესი ზნეობრივი მამაცობის სინონიმია... თქვენი ცხოვრება არის და იქნება მანათობელი მრავალი ათასი ადამიანისათვის. თქვენ განუყოფლად შეუსისხლხორცდით თქვენს განთავისუფლებულ და მკვდრეთით აღმდგარ დიდ ხალხს. თქვენ მასში ხართ — ის თქვენშია არის!“

ნიკოლოზ ოსტროვსკი იყო კომკავშირელთა იმ პირველი თაობის წარმომადგენელი, რომლებმაც მამების მხარდამხარ გადამწყვეტი ომრიში მიიტანეს ჩაგვრისა და უსამართლობის ქვეყნის დასანგრევად. სწორედ ამ თაობის ბრძოლა მართა დიდმა ლენინმა კომკავშირის მესამე ყრილობაზე. ლენინის ისტორიული სიტყვა გახდა ის საბრძოლო დროშა, რომელიც არასოდეს ძირს არ დახრილა ოსტროვსკის თაობას და პირნათლად გადასცა კოშეკოისა და მატროსოვის ლეგიონებს.

საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები ოსტროვსკის სწერდნენ, რომ თქვენი წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების პროგრამა არისო... ცხოვრების პროგრამა?! ნუთუ შეიძლება ამაზე დიდი შეფასება მიიღოს წიგნმა ხალხისაგან. „კარგად ვცხოვრობ თუ არა? კარგად ვმუშაობ თუ არა?“ — ჩუმი ღელვით ეკითხებიან თავის თავს ახალგაზრდები, როდესაც ოსტროვსკის წიგნს დახურავენ და დაფიქრებულნი გადახედავენ განვლილ გზას, დღეებს, ცხოვრებას. სწორედ ამ დაფიქრებაში იყო ოსტროვსკის წიგნების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ნიკოლოზ ოსტროვსკიმ შექმნა ჭაბუკებისა და ქალიშვილების გმირული სახეების მთელი წყება. სერიოჟა და ვალია ბრუზჟაკი, მიშა ლევჩუკოვი, ივანე ჟარკი, რიტა უსტინოვიჩი და მრავალი სხვა... ბევრმა მათგანმა თავი შესწირა რევოლუციის გამარჯვებას, ბევრი მათგანი კი კორჩაგინთან ერთად წელს უმაგრებდნენ სამოქალაქო ომისაგან გალატაკებულ ქვეყანას.

კორჩაგინის ბედი მრავალი საბჭოთა ახალგაზრდა კაცის ბედს გადაეჯაჭვა და იქნებ ამიტომ იყო, რომ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ, ეს ახალგაზრდები გულის კანკალით ეკითხებოდნენ ავტორს — როგორ წარიმართება მომავალში პავლე კორჩაგინის ცხოვრებაო, და ალბათ მკითხველების დიდი სიყვარული, დიდი გაბოძახილი აძლევდა ამ ჯანგალეხილ მწერალს იმ დაუშრეტელ სულიერ ენერგიას, რასაც ვერ მოერია ვერავითარი ფიზიკური ტკივილი, ვერავითარი შავეთი, რომელშიდაც

იგი უსინათლობამ ჩასძირა. მაგრამ ნიკოლოზ ოსტროვსკი ამ ბრძოლაში მარტო არ იყო. **„მე მივდიოდი წინ, რადგან მე არ მომაკლო კომუნისტურმა პარტიამ ზურუნვა და ალერსი,** — ამბობს იგი. არ შეიძლება დავიგიწყოთ ის ძველი ბოლშევიკები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს ავადმყოფ ნიკოლოზ ოსტროვსკიზე, როგორც ადამიანზე, მხარში ამოუდგნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჭაბუკს, რომ მის დიდ პირად ტრაგედიას არ გადაეწვა ის ერთადერთი ძაფი, რომელიც მის უძალო სხეულს ჯერ კიდევ ნიცოცხლესთან აკავშირებდა.

ძველი ბოლშევიკებისაგან ისწავლა ოსტროვსკიმ გულის არგატეხა, მხნეობა, ჭირსა შიგან გამაგრება. უბრალო საბჭოთა ადამიანების გულწრფელმა ძმურმა დახმარებამ ბევრი რამ შეაძლებინეს მწერლობის ძნელ გზაზე გამოსულ ოსტროვსკის. გამოჩნდნენ „მოხალისე მდივნები“, ასე ეძახდა ოსტროვსკი იმ უანგარო ადამიანებს, კომკავშირელებს, უპარტიოებს, რომლებიც მთელი საათობით ისხდნენ ავადმყოფი მწერლის სასთუმალთან, სულგანაბული უსმენდნენ მის მთრთოლვარე ხმას და აღელვებულნი სწერდნენ ქარაშხალში შობილი თაობის გმირულ ბიოგრაფიას. ეს მოხალისე მდივნები ცდილობდნენ ერთი სიტყვა არ გამოპარვოდათ ოსტროვსკის ნაამბობიდან, თითქოს ისინი ცხოვრობდნენ ამ გმირების ცხოვრებით და ისე მძაფრად განიცდიდნენ მათი ბედის წაღმა თუ უკუღმა ტრიალს, რომ ავადმყოფი მწერლის ოთახიდან გასვლა ეძნელებოდათ. ოსტროვსკის დაუძველველი ნებისყოფა, კომკავშირის პირველი თაობის ბიოგრაფიის დაწერის გაუნელებელი სურვილი უდიდეს გავლენას ახდენდა ადამიანებზე, იქნებოდა ეს სახელგანთქმული მწერალი სერაფიმოვიჩი, თუ 17 წლის გოგონა გალია ალექსეევა—ოსტროვსკის პირველი „მოხალისე მდივანი“, იქნებოდა ეს სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილი ძველი ბოლშევიკი, ინოკენტი ფედენევი, თუ ლეგენდარული „პოტომკინის“ ყოფილი მეზღვაურები. აი, ამ დიდი ბედის ადამიანების თვალწინ, მათთვის დიდი მორალური დახმარებით მოხდა მარტოლაც სასწაული — დაიბადა ისეთი წიგნები, რომლებმაც ნამდვილად შესძრეს მთელი ქვეყანა. სწორედ რომ შესძრეს! მაშ სხვანაირად როგორ უნდა აეხსნათ ისეთი ბევრისმომქმელი ფაქტები, როგორიც იყო, მაგალითად, ფრანგი პროფესორის ვალენტინ ფელდმანის დახვრეტა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ფრანგულ ენაზე თარგმნა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. იგი დახვრიტეს ფაშისტებმა 1942 წელს, რადგან ამ წიგნის თარგმნა მათთვის ისეთივე სახიფათო იყო, როგორც, მაგალითად, მათ ზურგში პარტიზანული რაზმების მოქმედება და შეიძლება უფრო სახიფათოც. ან კიდევ ასეთი ფაქტი — ვიეტნამელმა ჯარისკაცებმა ოთხი თვე მოანდომეს, რომ ხელით გადაეწერათ ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ეი რას წერს ამ წიგნის ერთ-ერთი გადამწერი, ვიეტნამელი მებრძოლი ტრანდიკ კი:

„ომის დროს ჩვენ არ გვქონდა საშუალება ხელახლა დაგვებეჭდა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ჩვენ ეს წიგნი გვათხოვეს მოკლე ხნით და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ იგი ხელით გადაგვწერა. ვწერდით ლაშქრობაში ხანმოკლე შესვენების დროს, სანგრებში, როდესაც მოძალებულ მტერს მოვიგერიებდით. ეს ხელნაწერი ჩვენ თან გვახლდა მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზე. მან ჩვენთან ერთად გაიარა სამი კომპანია, ჩრდილოეთ ლაოსიდან დასავლეთ ვიეტნამამდე... ჩვენ ძალიან გვიჭირდა. ხანდახან გზაში ტანსაცმელსაც კი გადავყრიდით, მაგრამ „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ხელნაწერი არასდროს არ დაგვიტოვებია. ჯარისკაცებმა სიტყვა მისცეს ერთმანეთს — ეს წიგნი ბოლომდე შევინახოთო“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

„ჩემი ყოფაქცევა—ჩემი პირადი საქმე არ არის...“

ახლა ეს უნიკალური ხელნაწერი ოსტროვსკის მუზეუმში ინახება.

ანდა გავიხსენოთ ერთი ასეთი დამახასიათებელი ამბავი — შვეიცარიაში ბეგმოსცეს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. წიგნმა დაიწყო თავისი ტრიუმფალური მსვლელობა და ამით დამფრთხალმა მთავრობამ გამომცემლობის დირექტორი დააპატიმრა. და სტამბა ჩამოართვა.

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეა, მხოლოდ საბჭოთა ადამიანების ჰუმანიზმს შეეძლო ასეთი სასწაულის მოხდენა, რომ უბრალო ზეინკალი, ფიზიკურად განადგურებული ადამიანი კომუნიზმის მშენებელთა რიგებს დაბრუნებოდა, როგორც სიტყვის უბადლო ოსტატი.

და რაც ჩვენთვის ბუნებრივი და კანონზომიერი იყო, სრულიად გაუგებარი და დაუჯერებელი აღმოჩნდა ბურჟუაზიული საბყოლის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის.

ვენგეროვი და ეფროსი თავიანთ წიგნში „ცხოვრება ნიკოლოზ ოსტროვსკისა“ მოგვითხრობენ ერთ საინტერესო ეპიზოდს, თუ როგორ ესტუმრა ერთხელ ოსტროვსკის ერთ-ერთი ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის კორესპონდენტი და მწერალს უტიფრად დაუწყო გამოკითხვა, რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მართლა შენ დაწერე თუ არაო. მაგრამ მცირე ხნის საუბრის შემდეგ ინგლისელი ჟურნალისტი დარწმუნდა, რომ ნამდვილად ოსტროვსკი იყო ავტორი იმ წიგნისა, რომელმაც ამდენი შეშფოთება გამოიწვია ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციებში. ოსტროვსკის სტუმარს თურმე იმდენად არ სჯეროდა, რომ მისი მასპინძელი „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ავტორი იყო, — რომ მას დიდი სანაძლეოც კი დაედო ინგლისში იმ პირებთან, რომლებიც ამტკიცებდნენ ოსტროვსკის ავტორობას.

ვაი ჩემი ბრალი, თქვენს გამო დიდი ფული დავკარგეო, გამოუტყდა თურმე ჟურნალისტი ნიკოლოს ოსტროვსკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუზომლად დიდი იყო ოსტროვსკის პიროვნებისა და მისი შემოქმედების კეთილმყოფელი გავლენა იმ დიად ბრძოლაზე, რომელსაც კაცობრიობის მოწინავე ნაწილი აწარმოებს ბნელი რეაქციის წინააღმდეგ.

პავლე კორჩაგინის ხასიათი ისეთი დიდი მხატვრული სიძლიერით გამოკვეთა მწერალმა და ამავე დროს ეს სახე საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა კაცისა იმდენად ტიპიური და ზოგადი იყო ჩვენი სინამდვილისათვის, რომ მან, ბუნებრივია, გარკვეული მხატვრული გავლენა მოახდინა ისეთი პერსონაჟების ხასიათების შექმნაზე, როგორიც იყო მაგალითად ოლეგ კოშევოი და სერგეი ტიულენინი, ალექსანდრე ფადეევის ცნობილი რომანიდან „ახალგაზრდა გვარდია“. ბორის პოლევოის მოთხრობის გმირი, მფრინავი მარესევი, სწორედ კორჩაგინისებური შეუპოვრობით ცდილობდა დაბრუნებოდა პირველ ეშელონს. კორჩაგინის ხასიათის თვისებებით არიან გამსჭვალულნი ლიტერატურული გმირები ისეთი შესანიშნავი წიგნებისა, როგორიც არის ვერა კეტლინსკაიას, ვიქტორ კინის, იური გერმანის, ნილინის მოთხრობები და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომლებზედაც ჩვენი ახალგაზრდა თაობა იზრდება.

სამამულო ომის მრისხანე წლებში ოსტროვსკის წიგნები ხან ტყვიით დაცხრილული, ხან კიდევ ცეცხლის ალით შეტრუსული, საველე ჩანთებსა და სავაზნე ყუთებში დებისაგან კაწმემოცვეთილ, თან დაჰყვებოდნენ საბჭოთა მეომრებს. გრძელი გზა გაიარეს ამ წიგნებმა ვოლგიდან — ბერლინამდე და როგორც ერთი ქართველი პოეტი ამბობს: წიგნი შრომის დროს აგერია და ბრძოლის დროს რისხვით სავსე ყუმბარა, — ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ფაშისტებთან ბრძოლაში ისევე სჭირდებოდათ ადამიანებს, როგორც ტყვია-წამალი, როგორც სუ-

ლიერი მხნეობის დაუშრეტელი წყარო. სამამულო ომის ისტორია სავსეა ამის დამამტკიცებელი მაგალითებით. ოსტროვსკის მუზეუმში ინახება დიდძალი მასალა, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდ სულიერ ენერგიას ანიჭებდა ეს წიგნი ომის ძნელ გზაზე მიმავალ ადამიანებს, მაგრამ დამთავრდა ეს ომიც და ოსტროვსკის წიგნები ისევ აგურებად იქცნენ... ვინ დათვლის რამდენია დღეს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დღეებში, ნიკოლოზ ოსტროვსკისა და პავლე კორჩაგინის სახელობის ბრიგადები, კომუნისტური შრომის დამკვრელები. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში გმირულად შრომობენ ახალგაზრდა მშენებლები, იმ პირველი კომკავშირული თაობის ღირსეული მემკვიდრენი, რომელთა წმინდა სისხლით ჰორწყულია ბრძოლის ველები სამამულო და სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში.

ამ დღეებში, როდესაც ნიკოლოზ ოსტროვსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვეცნობოდი, თვალში მომხვდა ერთი ფრაზა — „Моё поведение — не моё личное дело!“ ჩემი ყოფაქცევა — ჩემი პირადი საქმე არ არისო. მხოლოდ დიდ მოქალაქეს, დიდ ჰუმანისტს შეეძლო ასეთი დიდი მოთხოვნილება წაეყენებია საკუთარი თავისათვის. იმ კაცმა, რომელსაც ეს სწამს, ჩემი ყოფაქცევა — ჩემი პირადი საქმე არ არისო, ზედმიწევნით იცის, როგორ უნდა კოლექტივში ცხოვრება. ჩვენმა ახალგაზრდობამ ეს სიტყვები გულისფიცარზე უნდა დაიწეროს, იმ ახალგაზრდობამ, რომელსაც ნიკოლოზ ოსტროვსკი დღესაც მღელვარე სიტყვებით მიმართავს: **„ხელი მაგრად ჩამომართვი, ამხანაგო! ჩემი გამარჯვება — თქვენი გამარჯვებაა! გესმით, როგორ დაუცხრომლად ძგერს ჩემი გული?“**

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

„ჩემი ყოფაქცევა—ჩემი პირადი საქმე არ არის...“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ცისკრის“ 1964 წლის ნომრების შინაარსი

პოეზია

აბულაშვილი ანზორ — ლექსები. № 12.
აბაშუკელი რეზო — ლექსები. № 12.
ამერიკელი პოეტები (რობერტ ფროსტი, ლენგსტონ ჰიუზი, ედგარ ლი მასტერსი, მალკოლმ კაული) — ლექსები. თარგმანი ინგლისურიდან **თ. ჩხენკელისა.** № 5.
არაბული ირაკლი — წინაპრებს. ლექსი. № 9.
ბოლქვაძე ზაურ — ლექსები. № 1, 9.
გაბრიჩიძე ნელი — ფრესკა. ლექსი. № 11.
გაგუა ხუტა — ლექსები. № 3, 7.
გეგეჭკორი გივი — სინათლის წრეში. პოემა. № 8.
გიგაური გიორგი — ლექსები. № 7.
გოგუა ქეთევან — ლექსები. № 6.
გორგანელი ვახტანგ — წარწერა ციხის კედელზე. ლექსების ციკლი. № 7.
ვარშანიძე მამია — ლექსები. № 12.
კალაძე კარლო — ლექსები. № 4.
კაკუშაძე თენგიზ — ლექსები. № 9.
კეშელავა ბონდო — ლექსები. № 4.
კვიტაიშვილი ემზარ — პალტიისპირეთში. ლექსები. № 11.
კუპრავა ოთარ — ორი ხმა. ლექსი. № 3.
კახიძე შალვა — ლექსები. № 2; ოთხი ლექსი თამენიას. № 8; ისევ თამენიას. ლექსი. № 11.
ლეგეგოსკოი ვლადიმერ — ლექსები. თარგმანი **შ. ნიშნიანიძისა.** № 4.
მარცინკევიჩუს იუსტინას — პუბლიცისტური პოემა. თარგმანი **ხ. ბერულავასი.** № 12.
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 6.
მინდაძე ბიძინა — აპრილი. ლექსების ციკლი. № 7.
მირნელი მირიან — სიყვარული. ლექსი. № 8.
მირცხულავა ალიო — სიმპატეკე მეძახის. ლექსი. № 2.
მისტრალი გაბრიელა — ლექსები. თარგმანი ესპანურიდან **ლ. ჭავჭავაძისა.** № 6.
პუშკინი ალექსანდრე — რუსლანი და ლუდმილა. პოემა. თარგმანი **ო. ჭილაძისა.** № 8, 9
ხტურუა ლია — ლექსები. № 5.
სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 6. ობელისკები. ლექსი. № 11.
ქემერტელიძე იორამ — მამის გახსენება. ლექსი. № 3.
ქურჩაია ალი ალა — ჩემი სამშობლო. თარგმანი აზერბაიჯანულიდან **ლ. ერაძისა.** № 7
შალამბერიძე ოთარ — ლექსები. № 5.
შამანაძე ნოდარ — სად გეძახდნენ. ლექსი. № 5.
ჩარკვიანი ჯანსუღ — „მეკეღეურ“ — მზე ბიდილ! პოემა. № 4.
წერეთელი ნუგზარ — პოლონური შთაბეჭდილებებიდან. ლექსები. № 11.
ჭანტურია ტარიელ — მიწის ძახილი. პოემა. № 3.
ჭილაძე თამაზ — ლექსები. № 1.
ჭილაძე ოთარ — ადამიანი გაზეთის სვეტში. პოემა. № 6.
ხალვაში ფრიდონ — ლექსები. № 4.
ჯაბუშანური გაბრიელ — ლექსები. № 8.
ჯავახიძე ვახტანგ — ღია ქალაქი. ლირიკული პოემა. № 5; ლექსები. № 9.
ჯანგულაშვილი თეიმურაზ — საგზარაჯო ჩანაწერები. ლექსები. № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავალიანი ლადო — როცა მზე პირს იბანდა. მოთხრობა. № 11.
ამირეჯანიბი ჭაბუა — მესამე თვალი. მოთხრობა. № 1, 6; გიორგა ზაქაიძე. ძველი ბალადა. № 8.
ბელაბოვა მარია — ეაეიშვილი. მოთხრობა. თარგმანი **გ. გრიგორაშვილისა.** № 6, 7.
ვეფხაძე აკაკი — ორი დღე. მოთხრობა. № 8.
გვაზავა ლამარა — სინანული. მოთხრობა. № 3.
გოგიჩაიშვილი გივი — გაზაფხულიდან გაზაფხულამდე. რომანი. № 7, 8, 9.
გოგოლაძე თენგიზ — ნამესის ქუდი. მოთხრობა. № 2.
დეკდარიანი კლაუდია — ძველი ფუძე. რომანი. № 10, 11, 12.
დორნაბაშვილი გურამ — გემი. მოთხრობა. № 5; შენ ძმა ხარ ჩემი. მოთხრობა. № 9.
ვახაძე აკაკი — სტუმარი. მოთხრობა. № 7.
იოსელიანი ოთარ — რუსოავის დღიური. № 6.
იოსელიანი ოტია — ქალი ავარაკზე. მოთხრობა. № 5.
ისაკიანი ავეტიკ — მოთმინების ჩიბუხი. მოთხრობა. თარგმანი **ა. დავითიანისა.** № 11.
კობერიძე კარლო — ჩემთა ცაგახსნილო ვენახო. მოთხრობა. № 12.
კოლოშვილი ლიდა — ძმები. მოთხრობა. № 7.
მანი თომას — ძმიმე საათი. მოთხრობა. თარგმანი გერმანულიდან **ბ. ჩარკვიანისა.** № 9.
მრელაშვილი ლადო — მოღალატე. მოთხრობა. № 4.
პაუსტოვსკი კონსტანტინე — ინვრის სუსხი. ნაწყვეტი ახალი წიგნიდან. თარგმანი **ვ. ძიძიგურისა.** № 1.
რჩეულიშვილი გურამ — ტრამალი. მოთხრობა. № 1.
სანადირაძე გიორგი — მებადური. მოთხრობა. № 7.
ფეიგინი ემანუელ — ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა. მოთხრობა. თარგმანი **დ. კოკაიისი.** № 9, 10, 11, 12.
შაგლიაშვილი მედეა — ცამეტი მიხაკი. მოთხრობა. № 6; უშენოდ. მოთხრობა. № 12.
ჩაჩიბაია არჩილ — წვალა. მოთხრობა. № 6.
ჩეკურიშვილი ვალერიან — გაჯეგრებული მაყარი. მოთხრობა. № 5.
ძოწენიძე გრიგორი — წალდუნა. ნოველა. № 10.
წულეისკირი ნოდარ — თეთრი მთა. ამბავი. გაგრძელება. № 2, 3; ორი უძილო ღამე. მოთხრობა. № 9.
ჭილაძე თამაზ — მკა. მოთხრობა. № 3; პირველი დღე. მოთხრობა. № 4; ეარსკვლავები. ქოლო. მოთხრობები. № 7.
ჭეიშვილი რეზო — ჩემი მეგობარი ნოდარი. რომანი. № 1, 2, 3.
ფერგიანი მირონ — ფარვანა. მოთხრობა. № 6.
ჯავახიშვილი დავით — სოსოს ნაამბობი. მოთხრობა. № 4; მძარცველები. მოთხრობა. № 12.
ჯანდიერი ვაჟა — კაცი და ჯირკი. მოთხრობა. № 6.
ჰემინგუეი ერნესტ — ჰარი მორგანი. რომანი. თარგმანი ინგლისურიდან **ვ. ჭელიძისა.** № 1, 2, 3 4, 5.

ნარკვევი

თევზაძე ამირან — მსოფლიოს მერვე საოცრება. № 11.
ტაბიძე ივერი — მამლები ყივიან შიშაკში. № 10.
ჯაფარშვილი კოტე — სამთვალა ჩუბინი. № 9.

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

ასათიანი გურამ — ქართული პოეზიის სიახლენი. № 12.
ბერდაფელიძე ბეჟან — პოეტის აღსარება. № 10.
ბაჭანიძე თოარ — გამოჩენილი უკრაინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. № 11.
ბაქრაძე აკაკი — რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო. № 9; „ეინეზრავეა“ ნახვის შემდეგ. № 11.
ებანოიძე თამაზ — მეცნიერი, მოღვაწე, პოეტი. № 9.
ვართაგავა იპოლიტე — გრიგოლ აბაშიძის პატრიოტული ლირიკა. № 1.
თვარაძე რევაზ — მთარგმნელის დიდი ოსტატობა. № 5.
თოდუა მაგალი — საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა. № 1.
ოთაშვილი დიმიტრი — მარუხის მხატვრული მატიანე. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალანდაძე ლავრენტი — ხმათა პოეზია. № 4.

კაკაბაძე ნოდარ — ფრანც კაფკას ცხოვრება და შემოქმედება. № 5.

კანკავა გურამ — თემის მოგონების საიდუმლო. № 3; ლიტერატურული შენიშვნები. № 4; პირველი. № 9.

კვიტაიშვილი ემზარ — წლების სამახსოვროდ. № 8; ბლოკი ქართულად. № 9.

კიკნაძე ვასილ — დუბლიორი თუ დუბლიკატი? № 10.

ლორთქიფანიძე იოსებ — გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტის ხელნაწერი წყაროები. № 5.

მაისურაძე დავით — პარტია და ლიტერატურა. № 6.

მაკაჯარიანი ვლადიმერ — სასწაულება და მითები. № 6.

მერკვილაძე გიორგი — დიდი მხატვარი და მოქალაქე. № 1; ორი ბედი. № 3. მებრძოლი სულის უკვდავება. № 12.

მირიანაშვილი ანდრო — პაოლო იანელი. № 8.

ნათაძე ნოდარ — რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე. წერილი პირველი. № 1. წერილი მეორე. № 2; ქართული სოფლის ჩანახატები. № 10.

ნანიტაშვილი ბორის — ვეფას საყვარელი სახეები. № 2.

ონაშვილი ნათელა — „ზარზმის ზმანება". № 10.

ორლოვსკაია ნატალია — მორფილის ნაწარმოებები ქართული ფოლოლოგიის დარგში. № 6.

ოსეფაიშვილი რევაზ — ახალი ჟურნალი. № 9.

პაჭკორია ოტია — „ლიახვი". № 6.

რადიანი შალვა — ბაბუკობის მომეტრალი. № 4; პოეტი და მებრძოლი. № 8.

ტურაბელიძე ოთარ — „ორმოცდაათიანელთა" სკენტის იდეოლოგიის რეაქციული არსი. № 8.

ფერაძე რამაზ — „შენთვის ჩამოველ პარადა". № 10.

ფურცელაძე გრიგოლ — ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობასა და საგლეხო რეფორმისადმი. № 4.

ქუმსიშვილი დიმიტრი — ქართლის ცხოვრების ერთი ფურცელი. № 7; ერთი კოვზი კუპრი. № 8.

ყიასაშვილი ნიკო — ინგლისური დღიურიდან. № 7.

ჩერქეზიანი ოთარ — აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნიზმის მაღალი იდეალების სულისკვეთებით. № 1.

ცინაძე ავთანდილ — მოქალაქე უპირველეს ყოვლისა. № 7; როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ. № 11.

ცაცანაშვილი ფაშა — „მზის საათი". № 3.

ძიძიგური შოთა — პეტრე იბერიელის თარგმანების ახალი გამოკვლევის გამო. № 3; ფრამატიული ნაწარმოების ენა. № 11.

ჭუმბურიძე ზურაბ, კოპლატაძე თინათინ — სამარცხვინო თარგმანი. № 6.

ხუხაშვილი გიორგი — სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები. № 4.

ჯაში ნიკოლოზ — ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება. № 4.

ჯინორია ოთარ — კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები". № 1.

წიგნის თარო

ბათიაშვილი გურამ — „მამაჩემი მალე ჩამოვა". № 5.

დოლიძე გიორგი — პარიეტ ბიჩერ-სტოუ და ქართველი მკითხველი. № 5.

კვიტაიშვილი ემზარ — წიგნი მსახიობსა და მოქალაქეზე. № 5.

კობერიძე კარლო — ნათელი ფერები. № 5.

მეხნი ვაჟა — პოეტის ახალი წიგნი. № 5; უკვდავი კომპზარი. № 7.

ფრუიძე ლევან — „თხმორის განძი". № 7.

ცაცანაშვილი ფაშა — გმირთა უკვდავება. № 5; ერთი შეხედვით. № 7.

რუსთაველის საკვალევზე

გუგუშვილი მერი, ძოწენიძე ლალი — შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის" ტექსტზე. № 1.

ქუმსიშვილი დიმიტრი — მოქმედების განვითარების ფორმა „ვეფხისტყაოსანში". № 6.

ჭინჭარაული ალექსანდრე — „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან. № 1.

მწერლის დღიურიდან

ასათიანი მამია — ორი შეხვედრა. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი ლეები

სვინტრაძე კონსტანტინე — ლეგენდად ქცეული გმირობა. № 4.

ხელოვნება

თვალჭრელიძე ტატა — ძიების გზით. № 3.
კიკნაძე ვასილ — საუბარი ბერძნული ტრაგედიის გამო. № 5.

მეცნიერება და ტექნიკა

გველესიანი სოფიო — მეცნიერის ღვაწლი. № 1.
ზარდალიშვილი გრიგორ — „წყურვილის" გეოგრაფია. № 7.
ლორთქიფანიძე გურამ — ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქი. № 4.
მეტრეველი როინ — დაეით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი. № 8.
მიშელი ე. — ადამიანის ტვინის რეკორდები. თარგმანი ვ. ყღენტისა. № 3.
პაიჭაძე გიორგი — ეიხტანგ VI პოლიტიკური მოღვაწეობა 1725 — 1737 წლებში. წერილი პირველი. № 5 წერილი მეორე. № 8.
ჩოგოლაშვილი მამია — აკლოგების ქარავნიდან საბაგირო გზამდე. № 2.
ცუკერნიკი დ. — როგორ აღმოაჩინეს ამერიკა. № 9, 10.

სპორტი

ერისთავი ვახტანგ — მოჭადრაკის მოგონებანი. № 9.
ფასინტო დე ტორნესი — მოხუცი და ბურთი. თარგმანი დ. კოკაიასი. № 7.

სატირა და იუმორი

გოგიაშვილი კუკური — ეგავები. № 9.

სახელოვანი 50 წელი

ახაშიძე ლამარა — ჯონ რიდი — რევოლუციის პოეტი. № 12.
ქეთელაური სულხან — ზღაპარი სინამდვილედ იქცეა. № 8.

ახალგაზრდა დადგებითი ბირის პრობლემა თანამედროვე საგზოთა ლიტერატურაში

წერეთელი ნუგზარ — ახალგაზრდა გმირის პრობლემა თანამედროვე ახალგაზრდულ პოეზიაში. № 10.

უკრაინული ლიტერატურის დეკადა

ალაშიძე ირაკლი — უკრაინული ლიტერატურის დეკადა. შესავალი სტატია. № 10.
ბაკანი მიკოლა — თმოგვის გზაზე. ლექსი. თარგმანი **გ. გეგეჭკორისა.** № 10.
დმიტერკო ლუბომირ — ლექსები. თარგმანი **კ. ლორთქიფანიძისა.** № 10.
კოროტჩი ვიტალი — ლექსები. თარგმანი **ჯ. ჩარკვიანისა** და **ა. ასანიძისა.** № 10.
ნოვიცკი ოლექსა — მიფრინავენ წეროები. ლექსი. თარგმანი **თ. ჯანგულაშვილისა.** № 10.
ოლეინიკი სტეფანე — ჩემს ძმებს ქართველებს! ლექსი. თარგმანი **კ. კალაძისა.** № 10.
პავლიჩკო დმიტრო — სონეტები. თარგმანი **ა. მირცხულავასი.** № 10.
რილსკი მაკსიმ — სამშობლო. ლექსი. თარგმანი **ა. სულაკაურისა.** № 10.
სტელმახი მიხაილო — საფუტკრეში. ლექსი. თარგმანი **ი. შალამბერიძისა.** № 10.
ტარნინა პავლო — ლექსები. თარგმანი **ა. მირცხულავასი.** № 10.

უილიამ შექსპირის დაბადების 400 წლისთავი

შექსპირი უილიამ — სონეტები. თარგმანი ინგლისურიდან **რ. თაბუკაშვილისა.** № 2, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავი

ჭილაძე თამაზ — ტარას შევჩენკო. № 5.
შევჩენკო ტარას — კოკასი. პოემა. თარგმანი **კ. ლორთქიფანიძისა.** № 3; ლექსები. თარგმანი **ი. აბაშიძისა, დ. გაჩეჩილაძისა** და **ს. ჩიქოვანისა.** № 3.

ნიკოლოზ ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავი

ლორთქიფანიძე კონსტანტინე — „ჩემი ყოფაქცევა — ჩემი პირადი საქმე არ არის..." № 12.

მიხეილ ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავი

ლერმონტოვი მიხეილ — ლექსები. თარგმანი **გ. გეგეჭკორისა** და **შ. ნიშნიანიძისა.** № 10.

ყოველი მხრიდან

უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა. № 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

ჟურნალი ჟურნალში

„ჭაუნიკი" № 1

აბულაძე თეიმურაზ — ლექსები. № 11.
ასათიანი ლია — მეგინვართან დაბადება. ლექსი. № 11.
ბოდერაძეშვილი თამაზ — სოფლის მაღაზიაში. მოთხრობა. № 11.
ბურგენიძე ავთანდილ — ლექსი. № 11.
ნატროშვილი გიორგი — მხეცი და ადამიანი. წერილი. № 11.
სულაკაური ვალერიან — გაზაფხული დადგება მთაში. მოთხრობა. № 11.
შუკრი ალი — როდის დაბრუნდება. მოთხრობა. თარგმანი ფრანგულიდან **ე. ამბლედიანისა.** № 11.
ჭიაბრიშვილი შამილ — როცა ქალაქი იძინებს. ნარკვევი. № 11.

მხატვრული რედაქტორი **ტიტე შეყილაძე** ტექნიკური რედაქტორი **მედეა შონია**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, კოეზიისა და პროზის — 5-08-86.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 1216. უე 12138. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რა საინტერესოა!
ფოტოეტიუდი **ბონდო დადვაძისა**

წვიმიანი დღე
ფოტოეტიუდი **თარხან არჩვაძისა**

გარეკანის პირველ გვერდზე — მშვიდობისათვის
ქანდაკების ესკიზი **დუხუ ქობალიასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ!

ჟურნალი „ცისკარი“

1965 წლის პირველი

ნომრიდან იწყებს

სამი ახალი რომანის

ბეჭდვას:

თენგიზ გოგოლაძე

„ქაცი ქაცითა“

გიორგი კეჭალმაძე

„მეთორმეტე ზარი“

ვლადიმერ იაკაშვილი

„განთიადი ჩვენი ცხოვრებისა“

ЭЛСП 60 ЛЛЗ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"

ИНДЕКС 76236